# კვირის პალიტრა

36 გვ

№ 22 (382) ◆ 3 – 9 ივნისი. 2002 წ. ◆ ფასი 50 თეთრი ◆ დაარსებულია 1995 წ.


## „ლომინაძე, მამალაძე, შევარდნაძე — გადადგეს!“



## ქაოსი და განუკითხაობა ადგილობრივ არჩევნებზე

**ალბათ გუშინდელ არჩევნებში დაფიქსირებულ დარღვევათა რაოდენობით საქართველო გინესის რეკორდების წიგნში „საპატიო“ ადგილს დაიკავებს...**

...აბსოლუტურად ყველა საარჩევნო უბანზე დაირღვა კანონი....

...არჩევნებში მონაწილე პარტიის ლიდერები ერთხმად აღნიშნავენ, ცესკომ საარჩევნო უბნებში ბიულეტენების გაგზავნა საგანგებოდ დააგვიანა, რათა ყოველ მიუღებელ ხმას ხელისუფლების წისქვილზე ორმაგად დაესხა წყალი.

...ქალაქ რუსთავის ვიცე-მერი ლევან დუგლაძე აცხადებს: „ადგილობრივმა ხელისუფლებამ წინა დღეს მიიღო ცნობა უშიშროებიდან და სხვა წყაროებიდან, რომ მზადდებოდა დანაშაული; მაგრამ ქვემო ქართლში პრეზიდენტის რწმუნებულმა ლევან მამალაძემ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა — ყველაფერს მე მივხედავ, თქვენ მშვიდად იყავითო და აი, შედეგიც — მას უსაფრთხოებისთვის არაფერი გაუკეთებია, მოგვატყუა.“

...ზუგდიდში ერთ-ერთი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელმა, ბადრი ზარანდიამ თავს უფლება მისცა, საარჩევნო უბნები თვითნებურად დაეკეტა.

...არჩევნები ჩაიშალა ხაშურშიც, სადაც დაგვიანებით ჩავიდა ბიულეტენები. მძიმე ვითარება შეიქმნა ქუთაისშიც.

...როგორც ჩანს, ინგლისის ელჩიც იქნება იმ დამკვირვებლების რიცხვში, რომლებიც 2 ივნისის არჩევნების ანგარიშისას სამარცხვინო „დაფაზე“ გააკრავენ საქართველოს ხელისუფლებას! გვ.4



წინასწარი მონაცემებით, თბილისის არჩევნებში „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და ლეიბორისტულმა პარტიამ ყველაზე მეტი ხმები დააგროვეს.



## მოძრაობა „ქართული ავტომობილისთვის“ გრძელდება



„ქუთაისური მაჰინდრა“

მკითხველი მიგვიხვდება, რაზეც ვსაუბრობთ. ერთ-ერთ გასულ ნომერში ქართველი დიზაინერის შესახებ გამოქვეყნებულ წერილს ქართული ავტომობილის გამოშვების იდეა მოჰყვა. საავიაციო ქარხნის მესვეურებთან და უნიკალური ძრავის კონსტრუქტორებთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, „კვირის პალიტრის“ საინფორმაციო მხარდაჭერით ყველა იმ ძალისთვის მოგვეყარა თავი, ვისაც კი საავტომობილო სფეროსთან ჰქონდა შეხება — კვლევითი ინსტიტუტი იქნებოდა თუ ინდივიდუალურად მომუშავე გამომგონებელი. ქართული ავტომობილის იდეას დიდი გამოხმაურება მოჰყვა... გვ.33

## „რუსეთის ნომერ პირველი მტერი — ამერიკა, მეორე — საქართველო“



რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები თემაზე — ვინ არის რუსეთისთვის ყველაზე საშიში ძალა! — პასუხთა აბსოლუტური უმრავლესობა ასე განაწილდა: პირველი ყველაზე საშიში ძალა არის ამერიკა, მეორე — საქართველო! აი, ასეთი ფსიქოლოგიური ატმოსფეროა რუსეთის მოსახლეობასა და საზოგადოებაში შექმნილი და ამაში ლომის წილი სწორედ რუსეთის ხელისუფლებას და მისგან მართულ მასმედიას მიუძღვის.

არ გამოვრიცხავ, რომ ამერიკელები დათმობაზე წავიდნენ, დათანხმდნენ აფხაზეთისა და საქართველოს შორის კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნის შესახებ წინადადებას, რასაც ითხოვენ კიდეც აფხაზები. ამის საფრთხე არსებობს...

ვიცი ამერიკაში მცხოვრები სამი ქართველი, რომლებიც იმათ სიაში ჩაეწერნენ, ვისაც ახლობელ-ნათესავები დაეღუპა 11 სექტემბერს ცათამბჯენების ნანგრევებში, რათა მიეღოთ ფულადი კომპენსაცია. საერთოდ, სხვა ბევრმა თაღლითმაც გააკეთა იგივე და დაახლოებით 500 ათასამდე დოლარი გაიცა მათზე მოტყუების გზით... გვ.3

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!** გვ.23

**გთხოვთ, აუცილებლად შეავსოთ „კვირის პალიტრის“ კითხვარი**



## როგორები არიან „ვაჟკაცი“, „პატიოსანი“ და „ნამუსიანი“ ჯარისკაცები...

გვ.5,11

**ინტერვიუ ქართულ ჯარში თავისით წასულ და იმედგაცრუებულ ჯარისკაცთან**

„ვაჟკაცებიდან“ შეიძლება ერთი მართლა ვაჟკაცი გამოერიოს. მრავალთა დამცველს გვერდით არავინ დაუდგება.

ეს საშინელი სისტემაა...

## სასიკვდილო სარეცელზე მყოფი ორმაგი აგენტის, ანუ მეძავის აღსარება...

**მეტსახელი მატილდა**



იგი საქართველო-აფხაზეთის ომის დროს ორმაგი აგენტი იყო, თუმცა კატეგორიულად უარყოფს, რომ აფხაზი სეპარატისტების სასარგებლოდ აგროვებდა ინფორმაციებს.

„ჩემი მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც სინამდვილეში დეზინფორმაცია უნდა ყოფილიყო, ხშირად აბსოლუტურად სწორ ინფორმაციას შეიცავდა. ვიცი, ახლა მკითხავთ, რით ადასტურებ ამ ცნობასო. უბრალოდ, როცა ფოთიდან ბარჟით სოხუმისკენ საბრძოლო ტექნიკას აგზავნიდნენ ცოცხალ ძალასთან ერთად, დეზინფორმაციაში ზუსტად იყო მითითებული გაგზავნილი ტანკების, საბრძოლო მანქანების მარკა, ტექნიკისა და ცოცხალი ძალის რაოდენობა.“ გვ.6

## რაო, საქმე რომ არ გამოვიდეს, მე უნდა მომკლათ?!

ვერსია

გვ.10

...საღამოს ხუთ საათზე ტრასაზე გამოდით. თქვენ მანქანაში ჩაგიჯდებათ ახალგაზრდა ქალი. ის იქნება თქვენი მძევალი, ვიდრე შვილის მკვლელს არ ჩაიბარებთ.

...შეიტყვეს, რომ თბილისელი ბანკირის ბიჭი, ამ მივარდნილ სოფელში შორეული ნათესავის მეგობართან რომ იმალებოდა ქალაქში გახმაურებული მკვლელობის შემდეგ, ამაღამ აპირებდა თავისი საყვარლის მონახულებას.

...გვამები ისე დაეხრჩათ თევზებს, მხოლოდ ჩონჩხილა ამოიღეს წყლიდან. ამოუცნობი მკვდრების იარლიყით დაკრძალეს ორივენი...

# მშვიდობიან კვირას გისურვებთ!

ყვითელი ლურჯი შავი წითელი

## წინასაარჩევნო პროგნოზებმა „ხორცი შეისხა“...

წინასაარჩევნო კამპანიისას სიტყვით არაერთხელ გაცხადებულმა პროგნოზებმა არჩევნების მოსალოდნელი გაყალბების შესახებ, 2 ივნისს უამრავ საარჩევნო უბანზე კონკრეტულად „შეისხა ხორცი“, თანაც ფრიად საშიში ფორმებითა და მეთოდებით. რუსთავში 40-მდე კბილებამდე შეიარაღებული ბანდიტი თავს დაესხა მიკროავტობუსს, რომლითაც საარჩევნო ბიულეტენები მიჰქონდათ, შიგ მსხდომთ ავტომატის ლულები დაადეს შუბლზე და ბიულეტენები გაიტაცეს. ამ ფაქტს უმალ გამოეხმაურნენ რუსთაველი ამომრჩევლები, რომლებმაც ქვემო ქართლის ადმინისტრაციის შენობასთან მიტინგი გამართეს, მომხდარში გუბერნატორი ლევან მამალაძე დაადანაშაულეს, კაბინეტის კარი აუჭედეს და მისი თანამდებობიდან გადადგომა მოითხოვეს. ამას კი ის მოჰყვა, რომ მამალაძის მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის ჯგუფური ჩხუბი და ზედახორა გაიმართა, რომლის დროსაც „უხვად დაიღვარა“ მუშტებისგან ცხვირ-პირდამტვრეულთა სისხლი...

რუსთავში არჩევნები ჩაიშალა! ზუგდიდში კი, ბიულეტენების და ამომრჩეველთა სიების მიტანა დააგვიანეს და სხვა ბევრი დარღვევაც მოხდა არჩევნების დაწყებამდე, რამაც საბაბი მისცა ბადრი ზარანდიას განეცხადებინა — საარჩევნო უბნებს დავხურავო(!). ასევე უამრავი დარღვევა, ჩხუბი, უბინძურესი ურთიერთლანძღვა დაფიქსირდა მცხეთაში, სადაც ბადრი ხატიძისა და კობა ბუჩუკურის მომხრეები დაერივნენ ერთმანეთს. თბილისისა და სხვა რაიონების საარჩევნო უბნებზეც არაერთ ულირს ქმედებას ჰქონდა ადგილი. ასე რომ, ცესკოს თავმჯდომარის ჯუმბერ ლომინაძის მიერ ამ ფაქტების გამო მოხდილი ბოდიში „წამალი“ არ აღმოჩნდა... ცესკომ საბოლოოდ დაამტკიცა თავისი უსუსურობა და უვარგისობა ისევე, როგორც სახელისუფლებო შტოებმა, რომელთაც უკვე მერამდენედ გამოამჟღავნეს დანაშაულებრივი უპასუხისმგებლობა! (ვრცლად იხ. გ. 4)

## თუ რუსები ნაწყენები არიან, ცივი წყალი დალიონ...

სკანდალურად წარიმართა რუსული კომპანია „იტერას“ დელეგაციის მოლაპარაკებები საქართველოს ხელისუფლებასთან. რუსები კატეგორიულად მოითხოვდნენ „იტერასთვის“ მრავალმილიონიანი დავალიანების გადახდის დაუყოვნებლივ დაწყებას და გაზის გათიშვით იმუქრებოდნენ. პირველ დღეს „იტერას“ წარმომადგენელმა კატეგორიულად მოითხოვა „თბილგაზისგან“ დავალიანების დაფარვა, საქართველოს ფინანსთა და ენერგეტიკის მინისტრებმა კი ასევე კატეგორიული უარი განაცხადეს ცენტრალური ბიუჯეტიდან „თბილგაზის“ დავალიანების გასტუმრებაზე, რის გამოც პოტაპენკომ მოლაპარაკებები შეწყვიტა და საქართველოს მთავრობას მოსაფიქრებლად 24 საათი მისცა, თან დაიმუქრა, თუ კონკრეტულ პასუხს არ მიიღებდა, საქართველოს დატოვებდა და გაზის მიწოდების შეწყვეტაზე განკარგულებას გასცემდა! საბოლოოდ მოლაპარაკება ჩიხში შევიდა და როცა ამის გამო მიხაილ პოტაპენკომ საყვედური გამოთქვა ქართული მხარის „არაკონსტრუქციულობის“ გამო, მირიან გოგიაშვილმა მასმედიის თანდასწრებით ურჩია რუსულ მხარეს — თუ ნაწყენები არიან, ცივი წყალი დალიონო! საქმე ის არის, რომ „იტერა“ ითხოვს კერძო კომპანიების დაგროვილი ვალების დაბრუნებასაც, უწინარესად, სკანდალურად ცნობილი ფირმა „ანგლო-ოილისგან“, რისი გაგონებაც არ სურს ქართულ მხარეს. ფინანსთა, ენერგეტიკის და ქონების მართვის მინისტრები კატეგორიულად აცხადებენ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტი არ გადაიხდის პარლამენტარ ლევან პირველის ფირმის მიერ თავის დროზე დაგროვილ 45-მილიონიან დავალიანებას! მხარეები ვერ შეთანხმდნენ ვალების რესტრუქტურიზაციაზეც (საერთო დავალიანება 117 მილიონია). ქართული მხარე ითხოვს, რომ ვალების რესტრუქტურიზაცია 10 წლის მანძილზე განხორციელდეს, „იტერა“ კი 7 წელიწადს ასახელებს... ახლა მოლაპარაკებები მოსკოვში გაგრძელდება, თუმცა მანამდე შეიძლება „იტერამ“ კიდევ ერთხელ შეუწყვიტოს საქართველოს გაზის მიწოდება.

## ზონის ნაცვლად — სანატორიუმი

რუსთავის №1 კოლონიიდან 22 წლის პატიმარი იური ეგოროვი გაიქცა. მან შიდადამცავი კედლის ძირში ხვრელი გათხარა და გარედამცავ კედელსა და მავთულხლართებს გადაახტა(!). ბადრაგმა მთელი მჭიდი (30 ვაზნა) დააცალა გაქცეულს, მაგრამ 60 მეტრის დისტანციიდან(!) ერთი ტყვიაც ვერ მოარტყა(!). გურჯაანელ იური ეგოროვს 6 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი მანქანის ქურდობისათვის, ახლა სამ წელსაც დაუმატებენ, თუ დაიჭირეს, რა თქმა უნდა!

ავჭალაში კი არასრულწლოვან მსჯავრდადებულებისთვის ახალი კოლონია (სანატორიუმის მსგავსი) გაიხსნა, რომელსაც პრეზიდენტი შევარდნაძეც დაესწრო. პატიმარმა ბავშვებმა პრეზიდენტს ეკლესიის აშენება-გახსნაც სთხოვეს და დაპირებაც მიიღეს. ისინი მადლობას მოახსენებდნენ მთავრობას, რომ „ზონის“ ნაცვლად „სანატორიუმში“ მოიხდიან სასჯელს, თან ისწავლიან და ფეხბურთსაც ითამაშებენ! იუსტიციის სამინისტრომ ამ საქმისთვის 10 ათასი ლარი გაიღო. ახლა კი ქალთა კოლონიის კეთილმოწყობასაც გეგმავენ.

## ზოდელავას კაბინეტში არ შეუშვებენ(?!)

ავისმომასწავებელი ღრუბელი იქუფრება თბილისის მერის ვანო ზოდელავას თავზე, რომელსაც საკრებულოს ფრაქცია „აღორძინების“ წევრმა ჯონდი ბაღათურიამ კლანური ბიზნესის მფარველობა დასდო ბრალად. ბაღათურიამ ზოდელავას მაკომპრომეტირებელ დოკუმენტთა მთელი დასტა წარმოადგინა საგანგებო პრესკონფერენციაზე და ზოდელავას „მოღვაწეობას“ თბილისის მერის პოსტზე უწოდა ორგანიზებული, კორუმპირებული დანაშაული და შეთქმულება, რასაც მისი თქმით, ზოდელავა დედაქალაქის ბიუჯეტის ხარჯზე ახორციელებდა. ბაღათურიას მტკიცებით, რამდენიმე წლის წინ ზოდელავამ, მისმა ნათესავებმა და მერიის სამსახურებმა დააარსეს „თბილბიზნესბანკი“, რომელსაც დღეს პირადი გამდიდრებისთვის იყენებენ შემდეგი მექანიზმით: თბილისში სხვადასხვა სამუშაოს დასაფინანსებლად ამ ბანკიდან იღებენ 36%-იან სესხებს(!), რომელსაც შემდეგ დედაქალაქის ბიუჯეტიდან ისტუმრებენ. ბაღათურიას თქმით, მაგალითად, მერიის კაპიტალური მშენებლობის სამსახურის ხელმძღვანელი, „თბილბიზნესბანკის“ ერთ-ერთი დამფუძნებელია. მან 2000 წელს 9 მილიონ 300 ათასი ლარის ოდენობის სესხები გამოიტანა და მათ გასასტუმრებლად თბილისის მერიამ მხოლოდ პროცენტის სახით ერთი მილიონ 700 ათასი ლარი გადაიხადა, რა თქმა უნდა, დედაქალაქის ბიუჯეტიდან... ბაღათურია კატეგორიულად მოითხოვს ვანო ზოდელავას გადადგომას და იმუქრება, რომ მას კაბინეტში არ შეუშვებს. მანამდე კი აღნიშნული დოკუმენტაცია ბაღათურიამ ანტიკორუფციულ საბჭოს გადაუგზავნა...

## №1 თემა — ქურდები და მათთან ალიანსი

მთავრობის სხდომაზე... ქურდების „თემატიკამაც“ გაიჟღერა, კერძოდ, იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა განაცხადა, რომ ქუთაისში წინასაარჩევნო პროცესს კანონიერი ქურდები აკონტროლებენ და რომ აშკარაა პოლიტიკოსებსა და ქურდებს შორის ალიანსი(!). შაშიაშვილმა ამის დამადასტურებელი მასალები გენერალურ პროკურორს გადასცა. კერძოდ, გუბერნატორი ქუთაისელ ბენზინის მაგნატს ბონდო შალიკიანს ქურდებთან ალიანსში და მის წინააღმდეგ ბრძოლაში ადანაშაულებს(!). ქუთაისის საკრებულოს წევრობის კანდიდატ ბონდო შალიკიანს ქუთაისის ტელევიზიით გამოსვლისას გვარიანად გაულანძღავს იმერეთის გუბერნატორი და მოსკოვის პუტჩში მონაწილეობაში დაუდანაშაულებია. მთავრობის სხდომის შემდეგ კი შალიკიანმა უფრო მძაფრი ბრალდებები წაუყენა გუბერნატორს და განაცხადა, რომ შაშიაშვილი თავის კაბინეტში ღებულობდა ქურდებს, მოლაპარაკებებს აწარმოებდა, ძმობას და მეგობრობას ეფიცებოდაო.

შაშიაშვილმა კი ქურდებთან კავშირი ჟვანიას გუნდსაც დასდო ბრალად... ერთი სიტყვით, ქურდების საკითხმა თავისი „აქტუალურობით“ ტოლი არ დაუდო პოლიტიკურ-ეკონომიკური საკითხების განხილვას. კობა ნარჩემაშვილმა სთხოვა კიდეც თემურ შაშიაშვილს, წერილობით წარმოადგინოს ყველა ფაქტი და ინფორმაცია ქურდებისა და პოლიტიკოსების კავშირის შესახებ, ანუ რომელი კანდიდატის სასარგებლოდ მუშაობენ ქურდები და ა.შ. შაშიაშვილმა პრეზიდენტთან პირისპირ შეხვედრა ითხოვა, შეხვდა კიდეც, თუმცა საუბრის შინაარსი უცნობი დარჩა. სამაგიეროდ, ცნობილი გახდა ჟვანიას გუნდის რეაქცია შაშიაშვილის ბრალდებაზე. გია ბარამიძემ შეახსენა საზოგადოებას, რომ შაშიაშვილი 26 მაისს პარტიზანად წასვლას და დიდი პარტიზანული ომის დაწყებას აპირებდა აფხაზეთში, მაგრამ რადგან ეს საქმე არ გამოუვიდა, ყურადღების გადატანის მიზნით სხვებს დააბრალა ათასგვარი რამ...

## თურქები „ქორწილში“ არ გაუშვეს

უშიშროების სამინისტრომ მდინარე ენგურზე თურქეთის 18 მოქალაქე დააკავა, რომლებიც აფხაზეთში შესვლას არალეგალურად ცდილობდნენ და თანაც ქართველი მაღალჩინოსანი პოლიციელების დახმარებით. წინასწარი ინფორმაციით, თურქებმა მათ (სხვა ინფორმაციით, ვინმე შუამავალ ჩიჯავაძეს) 18 ათასი დოლარი გადაუხადეს (კაცზე 1000 დოლარი). როგორც თურქებმა განაცხადეს, აფხაზეთში... ქორწილში მივდიოდითო(!). მოგვიანებით გაირკვა, რომ ისინი აფხაზეთის სხვადასხვა რაიონში სამუშაოდ მიბრძანდებოდნენ. საქართველოს უშიშროების სამსახურმა 18-ვე თურქი უკან, სამშობლოში დააბრუნა და ადგილობრივი „შუამავლების“ დაკონკრეტებაძებნას შეუდგა!

## „უკანასკნელი შეხვედრა“!

არჩევნებამდე ერთი დღით ადრე „ნაციონალური მოძრაობა“ და „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერები უკანასკნელად გორში „შეხვდნენ“ ერთმანეთს. ანტიკორუფციული საბჭოს წევრმა გივი თარგამაძემ გორში ჩაიტანა ქალაქის მერობაზე „ახალი მემარჯვენეების“ კანდიდატის პაატა ჩხეიძის მაკომპრომეტირებელი მასალები და იმ ხალხს გააცნო, რომლებიც პაატა ჩხეიძის კუთვნილი ბამბეულის კომბინატის ყოფილი თანამშრომლები იყვნენ. გივი თარგამაძემ პაატა ჩხეიძე კომბინატის განადგურებაში დაადანაშაულა, რასაც დარბაზში მყოფი ჩხეიძის მომხრეების აღშფოთება მოჰყვა და ჩხუბსა და ლანძღვა-გინებასაც სტარტი მიეცა... „ახალმა მემარჯვენეებმა“ ხმაურით მიატოვეს იქაურობა, ნაციონალები კი დაიმუქრნენ, რომ ბამბეულის კომბინატის გაჩანაგებისთვის პაატა ჩხეიძის საქმეს შესაბამის ორგანოებს გადასცემენ გამოსაძიებლად!

## სამინისტროები განაჩენს გაასაჩივრებენ

ლილოს სამხედრო ბაზაზე 1996 დასხივებულ-დაავადებულმა ქართველმა ჯარისკაცებმა ხელისუფლებას სასამართლო პროცესი მოუგეს. საოლქო სასამართლომ ჯარისკაცთა სასარგებლოდ 4 მილიონი დოლარის გადახდა დააკისრა ოთხ უწყებას — ჯანდაცვის, თავდაცვის, გარემოს დაცვის სამინისტროებსა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტს. 11 დაავადებულ ჯარისკაცს ამიერიდან ეს ოთხი სამინისტრო 30 წლის განმავლობაში ყოველწლიურად საზღვარგარეთ მიავლენს სამკურნალოდ და საოპერაციოდ და ხარჯებსაც თვითონ გადაიხდის. მაგრამ აღმაშფოთებელი ის არის, რომ სასამართლო პროცესზე დამარცხებული სახელმწიფო უწყებები ამ განაჩენის უზენაეს სასამართლოში გასაჩივრებას აპირებენ(!).

## მძაფრსიუჟეტიანი „საიდუმლო ინფორმაცია“!

რუსეთის ტელევიზიის მე-3 არხმა ჭეშმარიტად ფანტასტიკური ინფორმაცია გაავრცელა და საგანგებო გადაცემაც მიუძღვნა მას. კერძოდ, ამ მე-3 არხის მტკიცებით, მათ ხელთ ჩაუვარდათ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის საიდუმლო ინფორმაცია, რომლის თანახმად რუსეთის სამშვიდობო ძალების წინააღმდეგ საქართველოს ქალაქებშიც მალე განხორციელდება ტერაქტები და დაიწყება ფართომასშტაბიანი დესტაბილიზაცია. მე-3 არხის თქმითვე, ეს ინფორმაცია „გრიფით საიდუმლოა“ და მხოლოდ აშშ-ის პირველი პირებისთვისაა განკუთვნილი(!). „ინფორმაციაში“ ნათქვამია, რომ საქართველოში მომხდარ ტერაქტებში აფხაზ სეპარატისტებს დაადანაშაულებენ. შემდეგ აფხაზები გაიტაცებენ... ნინო ბურჯანაძეს და ვაჟა ლორთქიფანიძეს(!). გავრცელდება ინფორმაცია, რომ აფხაზებმა დახვრიტეს ბურჯანაძეც და ლორთქიფანიძეც; შედეგად აფხაზეთის წინააღმდეგ ამერიკელები და ქართველები განახორციელებენ სპეცოპერაციას და დაიხსნიან ბურჯანაძეს და ლორთქიფანიძეს და ა.შ. ეს ყველაფერი ზაფხულ-შემოდგომაზე მოხდება და ყველაზე „საინტერესო“ ის არის, რომ მე-3 არხის მტკიცებითვე „საიდუმლო“ ინფორმაციაში წერია — ოქტომბერში პრეზიდენტ შევარდნაძეს ინფარქტი დაარტყამს (მაგრამ არ უთქვამთ შევარდნაძე ცოცხალი დარჩება თუ არა). „ინფორმაციის“ თანახმად, ბურჯანაძე-ლორთქიფანიძის აფხაზთა ტყვეობიდან გათავისუფლების შემდეგ მალე დაინიშნება რიგგარეშე საპრეზიდენტო არჩევნები, სადაც პრეზიდენტობის №1 კანდიდატი იქნება ვაჟა ლორთქიფანიძე, №2 კანდიდატი კი ნინო ბურჯანაძე(!), ძალიან საინტერესოა ისიც, რომ „ინფორმაციაში“ არაფერია ნათქვამი, ვთქვათ, მიშა სააკაშვილზე, ზურაბ ჟვანიაზე, ასლან აბაშიძეზე, შალვა ნათელაშვილზე, ჯუმბერ პატიაშვილზე, ანუ იმათზე, რომლებიც სავარაუდოდ იბრძოდნენ პრეზიდენტის პოსტისთვის. თუ „პროგნოზი“ გამართლდა, ეს ქართველი ლიდერები ზაფხულ-შემოდგომაზე დაგეგმილ ტერაქტებს შეეწირებიან და ოქტომბრისთვის ბურჯანაძე-ლორთქიფანიძის გარდა, სხვა აღარავინ დარჩება პრეზიდენტობის კანდიდატი(!). ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მთელი ამ აბრაკადაბრას კომენტირებისას პრეზიდენტის პრესმდივანმა კახა იმნაძემ „საიდუმლო ინფორმაციაც“ და მე-3 არხის გადაცემაც მძაფრსიუჟეტიანი ფილმის სცენარს შეადარა, თუმცა განაცხადა, რომ ეს ყველაფერი შეიძლება რუსეთის მხრიდან ჩვენი გაფრთხილებაც იყოს! ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს ვინ გეგმავს საქართველოში ამ ფორმით ხელისუფლების შეცვლას — რუსეთი თუ აშშ!

## რას მიგვანიშნებს სასწაული?!

სასწაული ხდება ქუთაისში. უკვე რამდენიმე თვეა 14 წლის თორნიკე ჯგერენაიას ხელებსა და შუბლზე მრგვლოვანი და მხედრული სისხლიანი ასოები ესახება, რითაც ბიბლიის ფრაზების ამოკითხვაა შესაძლებელი! შუბლზე ჯვრის გამოსახულება თორნიკე ჯგერენაიას პირველად მასწავლებელმა შეამჩნია, სხვა უცნაური ფიგურები და ასოები კი მას მოგვიანებით ხელებზეც გამოესახა. თვითმხილველთა მტკიცებით, გიორგობის დღესასწაულზე მათ ბიჭის სხეულზე ამოიკითხეს წარწერა „ცოდვათაი არს ნგრევა“, 7-9 მაისს კი თორნიკე ჯგერენაიას, როგორც მაცხოვარს ჯვარცმის დროს, ხელებზე, ფეხებსა და შუბლზე გამოესახა ნაკაწრები, შემდეგ კი მუცლის ფერდზე გაეხსნა ჭრილობა, საიდანაც სისხლის ნაცვლად დიოდა ზეთი! თვითმხილველები (დაახლოებით 500 კაცი) იმასაც ამტკიცებენ, რომ ჯგერენაიას მუცლიდან და ხელებიდან ზეთოვანი სითხე პერიოდულად სდის, სისხლიანი წარწერები კი მას უკვე რამდენჯერმე გამოესახა. თავად თორნიკე აცხადებს, რომ ეს სასწაული მას შარშან, 28 მაისს დაეწყო, როცა სხეულზე, კერძოდ, კისერზე გამოესახა ჯვარი, შემდეგ კი პერიოდულად ჯვარი ესახებოდა ან კისერზე, ან შუბლზე. მიმდინარე წლის 28 თებერვლიდან ხელებზეც გაუჩნდა წარწერები. ამ სასწაულის შესახებ უკვე გადაიღეს დოკუმენტური კადრები, კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ თორნიკე ჯგერენაია მაისის დასაწყისში მოინახულა. ქართველი სამღვდელოება ირწმუნება, რომ ამ სასწაულით უფალი ქართველ ერს მიანიშნებს იმაზე, რომ ცხოვრების წესი უნდა შეცვალოს და მოიქცეს ჭეშმარიტ რწმენაზე!

## საფუძველი ეყრება „ფესვებს“

ქართველი საზოგადოება მალე ახალი პოლიტიკური ძალის დაბადების მოწმე გახდება. ჟიული შარტავას ფონდს, 10 ივნისს, ოპერის თეატრში პოლიტიკურ ორგანიზაციად აკურთხებენ. მანამდე კი იგი ადგილობრივ არჩევნებში მონაწილე კონკრეტულ პირებს დაუჭერს მხარს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ჟიული შარტავას ფონდის გამგეობის წევრები პარლამენტარი ნიკო ლეკიშვილი, სოფლის მეურნეობის ექსმინისტრი ბაკურ გულუა და ცკ-ის ყოფილი კომუნისტურ-კომკავშირული აქტივია, ალბათ, ცხადი შეიქნება, რომ საქმე „მძიმეწონოსან“ პარტიის დაბადებასთან გვაქვს. ახალშობილს სახელად „ფესვებს“ დაარქმევენ. როგორც დამფუძნებლები ამბობენ, ისინი მალე ხელისუფლებისთვის ბრძოლაშიც ჩაებმებიან.

## კრიმინალური ქრონიკა

*** პარასკევს, გვიან ღამით საკუთარ სახლთან მოკლეს უშიშროების ყოფილი მინისტრის ვახტანგ ქუთათელაძის სიძე ირაკლი ჯიბლაძე. იგი ავტოსადგომზე მანქანას აყენებდა, როცა ჯერჯერობით უცნობი პირი მიუახლოვდა და ჩხუბი აუტეხა. ხმამაღალი შელაპარაკება მეზობლების ყურსაც მისწვდა, რასაც გასროლის ხმაც მოჰყვა. მკვლელმა ირაკლი ჯიბლაძეს 7 ტყვია დაახალა და მიიმალა. ჯიბლაძე ადგილზევე გარდაიცვალა. გამოძიება რამდენიმე ვერსიას ამუშავებს, მათ შორის, პირადი ანგარიშსწორების ვერსიას... საქმეს თბილისის პროკურატურა იძიებს!

*** გვიან ღამით პოლიციასა და ბანდიტებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა ლილოს ბაზრობასთან, ლოჭინის ხეობაში, რის შედეგადაც მანქანაშივე ჩაცხრილეს ორი ყაჩაღი, ორი პოლიციელი კი მძიმედ დაიჭრა. ბანდიტებმა სოფელ სააკაძეში ოჯახი დააყაჩაღეს და მისი კუთვნილი მანქანა პატრონიანად გაიტაცეს. მოგვიანებით მაღაზია გაძარცვეს და მიმალვას შეეცადნენ, მაგრამ პოლიცია დაეწია და მას შემდეგ, რაც ყაჩაღები არ დანებდნენ და ცეცხლი გაუხსნეს, ადგილზევე გაანადგურეს!

*** წყალტუბოს რაიონის სოფელ ქვედამესხეთში კი სულაკაძეების ოჯახს გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ოთხი ბანდიტი და ოჯახის უფროსი თენგიზ სულაკაძე დაცხრილეს, მისი რძალი კი მძიმედ დაჭრეს. ამის შემდეგ, ჯერჯერობით, გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა ერთ-ერთი ბანდიტი. პოლიციამ ერთი მკვლელი დააკავა, ორი კი მიიმალა ტყეში. მათი ვინაობა ცნობილია.

## ავარია ლიახვის ხიდზე

საშინელი ავარია მოხდა პარასკევს გვიან ღამით თბილისი-ხაშურის გზატკეცილის 84-ე კილომეტრზე, მდინარე ლიახვის ხიდზე. ბათუმიდან თბილისისკენ მომავალი ხალხით სავსე მიკროავტობუსი სავალი გზის საწინააღმდეგო მხარეს გადავიდა, მომავალ „ჟიგულს“ შეეჯახა, მაგრამ ისეთი დიდი სიჩქარით მოძრაობდა, რომ „ჟიგული“ გვერდით მოისროლა, ხიდის ჯებირი გაანგრია და 20 მეტრის სიმაღლიდან ხევში გადაიჩეხა. ადგილზე დაიღუპა ორი მგზავრი, 15 მძიმედ დაშავდა, მათგან სამის მდგომარეობა უმძიმესია. „ჟიგულში“ მსხდომთაგან კი ახალგაზრდა ქალი და მამაკაცი დაიღუპნენ, სამი დაშავდა...

## ძაღლის კერძები მსოფლიო ჩემპიონატისთვის




საინტერესო მოვლენის მოწმენი გახდნენ სამხრეთ კორეის დედაქალაქში მსოფლიო ჩემპიონატზე ჩასული გულშემატკივრები. ცნობილია, რომ კორეელებისთვის ძაღლის ხორცისგან დამზადებული კერძები ისეთივე დელიკატესია, როგორიც ჩვენთვის, ვთქვათ, შემწვარი ზუთხი, ხიზილალა, საცივი ან სხვა ძვირფასი ეროვნული კერძი. რესტორნების მფლობელმა კორეელებმა მსოფლიო ჩემპიონატისთვის ბლომად მოიმარაგეს ძაღლები, განსაკუთრებით, ლეკვები, რომელთა ახალი ხორცისგან დამზადებულ კერძებს ფართო რეკლამას უწევენ იქ ჩასული ათიათასობით უცხოელი ტურისტის მისაზიდად. ამ ფაქტმა ისე აღაშფოთა ბევრი ევროპელი ფეხბურთის გულშემატკივარი, რომელთა შორისაც ცხოველთა დაცვის საზოგადოების წევრებიც ბლომად აღმოჩნდნენ, რომ პროტესტის ნიშნად პირდაპირ ქუჩებში გამართეს იმპროვიზებული გალიები, შიგ ჩასხდნენ და დასაკლავი ძაღლებივით აყმუვლდნენ, შიგადაშიგ ყეფდნენ კიდეც. კორეელ პოლიციელებს მათთვის ხელი არ შეუშლიათ, მხოლოდ მეგობრულად ურჩიეს — ხმა და ენერგია ფეხბურთის მატჩებისთვის შემოენახათ. რესტორნები კი უკვე გვარიან მოგებას ღებულობენ ძაღლის კერძების წყალობით, რომლებსაც უფრო აზიელი და აფრიკელი გულშემატკივრები ეტანებიან.

## ტრაგედია მთებში

აშშ-ის ორეგონის შტატის მთებში ტრაგედია დატრიალდა. 9 მთამსვლელი ერთ-ერთი მწვერვალის დასაპყრობად ადიოდა, როცა მოულოდნელად გაჩენილმა ნაპრალმა ჩაიტანა უფსკრულში. სამი მთამსვლელი დაიღუპა, დაიმტვრა სამი. მათ საშველად მისული შვეულმფრენის ხრახნი ფერდობს მოედო და მანაც კატასტროფა განიცადა, მთას დაენარცხა და ძირს დაგორდა. მოხდა სასწაული და შვეულმფრენის უფსკრულისკენ ვარდნა დიდმა თოვლმა შეაჩერა. მასში მყოფი 5 მაშველი და მფრინავი კი მხოლოდ დაშავდნენ.

# „რუსეთის ნომერ პირველი მტერი — ამერიკა, მეორე — საქართველო“



პოსტშევარდნაძისეული პერიოდისთვის მიმდინარე ბრძოლის პირველი ეტაპი ლოგიკურ დასასრულს უახლოვდება და დაპირისპირების სტატუს-კვო შენარჩუნებულია. პოლიტიკურმა და სახელისუფლებო ძალებმა 2 ივნისის არჩევნებში „მოთელვა“ გაიარეს (ზოგმა ავტომატით და ზოგმაც მუშტით) და მზერა 2003 და 2005 წლის არჩევნებს მიაპყრეს. იმ „ნანატრ დრომდე“ კი პოლიტიკოსებს წინასაარჩევნო კამპანიისას გამჟღავნებული წრეგადასული ურთიერთსიძულვილი ექნებათ დასაძლევი და არჩევნების შედეგები გადასახარში, ხელისუფლებას კი თავისივე წიაღში გამოზრდილ მაფიოზთა დაუყოვნებლივ მხილება-დასჯა, იმ მაფიოზთა, რომელთა შეკვეთითაც არჩევნებზე შეიარაღებული ბანდები დათარეშობენ, იარაღის მუქარით ბიულეტენებს იტაცებენ, ადამიანებს სცემენ და ქვეყანა სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიჰყავთ. გუშინდელ არჩევნებზე მომხდარ ფაქტებს და სირცხვილს თუ არ ჩამოიწმენდს ხელისუფლება, შეიძლება ძალიან ცუდად შეუბრუნდეს... საერთოდ, ერის ცხოვრებაში დგება „ჟამი შეკრებად ქვათა“ და თუ ქართულმა პოლიტიკურმა სპექტრმა, საზოგადოებამ დღეიდანვე არ დაიწყო ამაზე ზრუნვა, შავ-ბნელი პერსპექტივა გარანტირებული გვექნება. მსოფლიოში კი, პროცესები თვისებრივად ახალ სტადიაში შედის (თუ არ ჩავთვლით პაკისტან-ინდოეთს შორის ბირთვულ დაპირისპირებამდე მისულ კონფლიქტს, რომლის მიზეზიც სეპარატიზმი და რელიგიური შეუწყნარებლობაა) და ექსპერტებიც გავლენის სფეროების ხელახალ გადანაწილებაზე უკვე მერამდენედ ალაპარაკდნენ. ბუში-პუტინის მოსკოვის სამიტის შემდეგ არანაკლებ მნიშვნელოვანი და ჩვენთვის საყურადღებო განცხადებები გაკეთდა 28 ივნისს რომში ნატოს სამიტზე, სადაც პრეზიდენტმა პუტინმა, კერძოდ, ბრძანა: „დანარჩენ მსოფლიოსთან დაპირისპირებამ რუსეთს სასიკეთო არაფერი მოუტანა, რაც კარგად ესმის ჩემი ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობას. დღეს რუსეთი უბრუნდება ცივილიზებულ ერთა ოჯახს და მას არაფერი სჭირდება გარდა იმისა, რომ რუსეთის პოზიცია შეისმინონ, მას ანგარიში გაუწიონ და რუსეთის ნაციონალური ინტერესებიც გაითვალისწინონ...“ მოსკოვშიც და რომშიც პუტინის მიერ გაკეთებულ განცხადებებში თითქმის ყველაფერი მისაღებია ერთის გარდა — რუსეთის ნაციონალური ინტერესებით აპელირება, რასაც პუტინი ყველგან ხაზგასმით და ზოგჯერ მუქარის ტონითაც აფიქსირებს. ხოლო ამ ნაციონალურ ინტერესთა სფეროს რომ საქართველოც წარმოადგენს, ამას დიდი ხანია საკუთარ თავზე ვცდით და ალბათ მომავალშიც გამოვცდით. ამიტომ, მიუხედავად მოსკოვის და რომის სამიტების ისტორიული მნიშვნელობისა, მთელ ქართულ საზოგადოებას მართებს ყურადღების და ძალისხმევის გაათმაგება, მით უმეტეს, რომ არც ქვეყნის სტაბილურობაა ჯერჯერობით გარანტირებული და აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგების საქმეც არათუ ადგილიდან არ იძვრის, არამედ ფრიად საგანგაშო პროგნოზებიც გაისმის... ვესაუბრები აშშ-ის ინდიანას უნივერსიტეტის პროფესორსა და პოლიტოლოგს, ქალბატონ **დოდონა კიზირიას:**

— უნდა ითქვას, რომ ამერიკელები, საგარეო პოლიტიკის განსაზღვრისას, ძალიან მოიკოჭლებენ ამა თუ იმ ქვეყნის ისტორიულ-კულტურული ტრადიციების ცოდნაში. მათთვის მთავარია ამჟამინდელი პოლიტიკურ-ეკონომიკური ვითარება. ხოლო ის, რომ ბევრ ქვეყანაში პოლიტიკა და ეკონომიკა ისტორიულ მახსოვრობასთან და კულტურასთან მჭიდრო კავშირშია, თითქმის არ აქცევენ ყურადღებას.

რუსეთს კი არ შეუწყვეტია და არც შეწყვეტს მცდელობას, შეინარჩუნოს გავლენა საქართველოზე. იგი არ შეურიგდება ამერიკის სამხედროთა ყოფნას აქ. ამერიკელებმა ეს იციან და ამიტომ ცდილობენ რუსებთან მოლაპარაკებას საქართველოს პრობლემატიკაზე, რაც საჯაროდ განაცხადეს და დააფიქსირეს ბუშმა და პუტინმა. მაგრამ გაცილებით მნიშვნელოვანი და საინტერესოა, რაზე ილაპარაკეს კულისებს მიღმა თუნდაც იმავე აფხაზეთის პრობლემასთან დაკავშირებით. მართალია, ვაშინგტონი ცალსახად აღიარებს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ არ გამოვრიცხავ, რომ ამერიკელები დათმობაზე წავიდნენ, დათანხმდნენ აფხაზეთსა და საქართველოს შორის კონფედერაციული სახელმწიფოს შექმნის შესახებ წინადადებას, რასაც ითხოვენ კიდეც აფხაზები. კონფლიქტების მთავარი მომწყობი არის რუსეთი და შეიძლება ამერიკელებმა ამ ნაბიჯით დააშოშმინონ რუსები და თვითონაც მშვიდად იგრძნონ აქ თავი. შეიძლება ჩემი მოსაზრება ბევრს მიუღებლად მოეჩვენოს, მაგრამ ვიმეორებ — ამის საფრთხე არსებობს. ამიტომ მოვლენათა ასეთი სცენარით განვითარების შემთხვევაში მთავარი იქნება საქართველოს ხელისუფლების პოზიცია — რა ხარისხის პოლიტიკურ სტატუსს მისცემს აფხაზეთს. რაც შეეხება ბუში-პუტინის განცხადებას საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის შესახებ, უნდა ითქვას, რომ დიპლომატიური ენა მოქნილი და მრავლისშემცველია. ადვილი შესაძლებელია, რომ სწორედ კონფედერაცია იქნეს აღებული როგორც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვის ერთ-ერთ ფორმად შესაბამისი საერთაშორისო გარანტიებით. ამერიკის პოლიტოლოგიურ წრეებშიც აფხაზეთის პრობლემების მოგვარების პერსპექტივასთან დაკავშირებით არსებობს კონფედერაციის შექმნის შესახებ მოსაზრებაც. ასე რომ, ქართულ დიპლომატიას ურთულესი სამუშაო ელის წინ, აქვე ვიტყვი, რომ ამერიკა არ მიმაჩნია საქართველოს პრობლემების მოგვარების პანაცეად, რაც მიამიტური აზროვნება იქნებოდა და იმედი მაქვს, ქართველებიც აღარ აზროვნებენ ასე, მაგრამ ორ ბოროტებას, აშშ-სა და რუსეთს შორის, ამერიკა ნამდვილად არის ნაკლები ბოროტება საქართველოსთვის, შესაბამისად, მასთან და დასავლეთთან კავშირიც უფრო საჭიროა საქართველოსთვის, ვიდრე რუსეთთან. მივესალმებოდი საქართველო-რუსეთის ნებისმიერ თანამშრომლობას, მაგრამ საუბედუროდ, რუსეთის ნდობა არ შეიძლება და კიდევ დიდხანს ამ ნდობის ხარისხი ნულის ტოლი იქნება.

— **და ამასვე ფიქრობენ ამერიკის პოლიტოლოგიურ წრეებში.**

— დიახ, მნიშვნელოვანი ნაწილი დარწმუნებულია და არცთუ უსაფუძვლოდ, საქართველოში ჩამოსვლის წინ ამერიკის პოლიტოლოგიურ და აკადემიურ წრეებში განხილვის საგნად იქცა რუსეთში ჩატარებული სოციოლოგიური და საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგები თემაზე — ვინ არის რუსეთისთვის ყველაზე საშიში ძალა! — პასუხთა აბსოლუტური უმრავლესობა ასე განაწილდა: პირველი ყველაზე საშიში ძალა არის ამერიკა, მეორე — საქართველო! აი, ასეთი ფსიქოლოგიური ატმოსფეროა რუსეთის მოსახლეობასა და საზოგადოებაში შექმნილი და ამაში ლომის წილი სწორედ რუსეთის ხელისუფლებას და მისგან მართულ მასმედიას მიუძღვის. ეს კარგად უნდა გააცნობიერონ საქართველოში, მით უმეტეს, რომ ამერიკელ პოლიტიკოსთა და ექსპერტთა ნაწილი გაგებით ეკიდება რუსეთში არსებულ ასეთ პოზიციას და აცხადებენ, რომ ერთ დროს უძლიერესი და დღეს დაკნინებულ-დამცირებული რუსეთისგან ეს არ უნდა გვეწყინოს და უნდა თანავუგრძნოთ კიდეცო! საერთაშორისო ორგანიზაციებმა და აშშ-ის აკადემიურმა და პოლიტიკურმა წრეებმა რამდენჯერ სასტიკად დაგმეს რუსეთის მიერ ჩეჩნეთში გაჩაღებული ხოცვა-ჟლეტა და ამ პატარა ერის გენოციდი, მაგრამ განცხადებების იქით საქმე არ წასულა და არანაირი სანქცია რუსეთის წინააღმდეგ არ მიუღიათ. ანტიტერორისტულ კამპანიაში რუსეთის ჩართვის შემდეგ კი, ჩეჩნეთზე საერთოდ ხმას აღარ იღებენ. მეტიც, დაბეჯითებით აღნიშნავენ, თუ რა მძიმე დარტყმებს განიცდის რუსეთი ტერორისტებისგან. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ კავკასია-რუსეთის პრობლემატიკით დაინტერესებულნი არიან და მსჯელობენ ამერიკის პოლიტოლოგიური და აკადემიური (საუნივერსიტეტო) წრეები, თორემ მოსახლეობის 90-95%-ს წარმოდგენაც არა აქვს არც ჩეჩნეთზე, არც საქართველოზე და არც აინტერესებთ.

> იცლება საქართველო ხალხისგან, განსაკუთრებით ახალგაზრდობისგან, რადგან აქ ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავენ. ეს გაცილებით დამანგრეველია ქვეყნისთვის, ვიდრე რუსული ტანკები.

— **ბოლო დროს, რუსი და დასავლელი პოლიტოლოგები, პოლიტიკოსებიც პრეზიდენტ პუტინს უწოდებენ „მსოფლიო ჩემპიონს საგარეო პოლიტიკაში“, ქართული ისტებლიშმენტის მნიშვნელოვანი ნაწილი კი პრეზიდენტ შევარდნაძეს მოიხსენიებს, როგორც „საქართველოს საერთაშორისო სირცხვილს“, მიუხედავად იმისა, რომ საგარეო პოლიტიკაში უდავოდ აქვს მნიშვნელოვანი წარმატებები. საკუთრივ ამერიკის ისტებლიშმენტში როგორი დამოკიდებულებაა დღეს პრეზიდენტ შევარდნაძის მიმართ.**

— მარტში, ვაშინგტონში საგანგებო საერთაშორისო კონფერენცია გაიმართა კავკასიის პრობლემატიკაზე, რომელსაც ბევრი ავტორიტეტული პოლიტოლოგი, ისტორიკოსი და ეკონომისტი ესწრებოდა. აქ ხაზგასმით ილაპარაკეს იმის შესახებ, რომ საქართველოში კორუფციის მასშტაბმა ბევრად გადააჭარბა პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ყველანაირი კორუფციის დონეს და რომ აშშ-ის მიერ საქართველოსთვის გამოყოფილი მილიარდობით დოლარი წყალშია გადაყრილიო, რომ სხვადასხვა სფეროს და დარგის განვითარებისთვის საქართველოსთვის გამოყოფილი ამ ფულით არათუ რაიმე არ გაკეთებულა, არამედ ახლოსაც არ გაჰკარებია ეს დახმარებები ამა თუ იმ საქმეს, რისთვისაც იყო გამიზნული. შევარდნაძის მთავრობა აღიარეს ყველაზე კორუმპირებულად და თავად შევარდნაძის იმიჯიც გვარიანადაა შელახული. რაც შეეხება პუტინის გამოცხადებას „მსოფლიო ჩემპიონად“, პოლიტიკურ და სახელისუფლებო წრეებში ასეთი შეფასების მიცემა სახელმწიფოს ლიდერისათვის, როგორც წესი, უნდა შევადაროთ ქართულ სადღეგრძელოებს, რიტუალს, როცა ადამიანს ისეთ ხოტბა-დიდებას უძღვნიან, რაც არ დაუმსახურებია. პუტინის ქებაც გახლავთ პოლიტიკური რიტუალის ნაწილი, რომლის მიზანიცაა რუსეთთან მშვიდობიანი, ნორმალური ურთიერთობის დამყარება. ამასთან, დასავლეთი ცდილობს პუტინი და მისი გარემოცვა დაუპირისპიროს ელცინის ოჯახს, ანუ ოლიგარქებს, რომლებიც დღემდე მძლავრობენ რუსეთში. პუტინის და მისი უახლოესი გარემოცვის კორუმპირებულობაზე კი, საერთოდ არ არის საუბარი. პუტინს აღიქვამენ როგორც რუსეთის სახელმწიფოსა და სამხედრო პოტენციალის წარმომადგენელ ფიგურას, რასაც ვერ ვიტყვით შევარდნაძეზე. არადა, ფაქტია, რომ პუტინზე დასაწყისში არავითარ იმედებს არ ამყარებდნენ ამერიკაში და ეშინოდათ კიდეც მისი. შევარდნაძის კი იმთავითვე დიდი იმედი ჰქონდათ, რაც უკუღმა შეუტრიალდათ. ამერიკაში დარწმუნებულნი არიან, რომ შევარდნაძე საქართველოში ველარაფერს გააკეთებს, მისი შესაძლებლობები ამოწურულია და ა.შ. იმავე აფხაზეთის დაბრუნებაც თუ მოხერხდა, ეს იქნება არა შევარდნაძის ნიჭის და უნარის წყალობით, არამედ გლობალური პოლიტიკური პროცესების შედეგად... სამწუხაროდ, ქართველებს არ უყვართ საკუთარი პასუხისმგებლობის აღიარება არადა, ფაქტია, რომ საქართველოში ასეთი საშინელი ვითარება გამოწვეულია ქართველების მიერვე საკუთარი ქვეყნის დაუნდობელი განადგურება-გაძარცვით. უკვე მეშინია ჩემს თბილისელ ნაცნობ-მეგობრებთან საუბრისა, რომელთა უმრავლესობა, მთხოვს, როგორმე ვიზა გამოვუგზავნო რათა როგორმე მოხვდეს ამერიკაში სამუშაოდ. იცლება საქართველო ახალგაზრდობისგან, რადგან აქ ვერანაირ პერსპექტივას ვერ ხედავენ. ეს გაცილებით დამანგრეველია ქვეყნისთვის, ვიდრე რუსული ტანკები. თავიდათავი ამ უბედურებისა არის კორუფცია. ვაშინგტონში საქართველოში სტაბილურობისა და ეკონომიკური წინსვლისთვის აუცილებელ პირობად კორუფციის ალაგმვას მიიჩნევენ, რადგან ამერიკელები მყარად აპირებენ აქ ფეხის მოკიდებას და ჩემი ინფორმაციით, უახლოესი 5-10 წლის განმავლობაში საქართველოს გარანტირებული აქვს, რომ ამერიკას სერიოზული ინტერესები ექნება აქ. ამიტომ მათთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოში ისეთი მთავრობის მოსვლა, რომელიც უწინარესად მოსახლეობაში შექმნის რწმენას და ნდობას, განამტკიცებს სტაბილურობას და სამართლებრივ სტრუქტურებს.

— **თავის დროზე ჯორჯ ბუში-უფროსი „დინების წინააღმდეგ სვლად“ აფასებდა ზვიად გამსახურდიას პოლიტიკას. დღევანდელი გადასახედიდან ამერიკის პოლიტიკური და პოლიტოლოგიური წრეები როგორ აფასებენ 10 წლის წინ საქართველოში მომხდარ ამბებს. თუ, რა თქმა უნდა, საერთოდ აქვს ადგილი ასეთ შეფასებებს...**

— ამერიკელებს წარსულზე ლაპარაკი არ ახასიათებთ. როგორც პრაგმატიკოსები, ისინი მსჯელობენ დღევანდელობაზე და პერსპექტივაზე. მაგრამ, საერთო ანალიზისას აღიარებენ, რომ გამსახურდიას ჩამოგდება იყო შეცდომა, რომ სამხედრო გადატრიალების შემდგომი პერიოდი გაცილებით მძიმე და საზიანო აღმოჩნდა საქართველოსთვის, ვიდრე სასიკეთო. ამას ამბობენ არა იმიტომ, რომ თვითონ ზვიად გამსახურდიას პიროვნება მიაჩნიათ შევარდანაძეზე უკეთესად და მისაღებად, არამედ იმიტომ, რომ სამხედრო გადატრიალება და აქ რუსეთის გავლენის გაძლიერება იყო ის დამანგრეველი ფაქტორი, რამაც არ შექმნა საჭირო საფუძვლები უფრო დემოკრატიული, სამართლებრივი და მშვიდობიანი პოლიტიკურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. ამის შედეგებსაც იმკის დღეს საქართველო. არც იმას მალავენ, რომ თავის დროზე საქართველოს მიმართ ვაშინგტონის მიერ დაშვებული შეცდომების გამოსწორებას დღემდე თვითონვე ცდილობენ ამერიკელები და ვერ გამოუსწორებიათ. რა თქმა უნდა, ამ პროცესში უწინარესად ქართველებმა უნდა იმარჯვონ და საკუთარ სახელმწიფოებრივ ინტერესებს უანგაროდ ემსახურონ, რაც, სამწუხაროდ, დღემდე დიდი დეფიციტია ქართულ საზოგადოებაში. მშურს ისრაელისა და მისი ხალხისა, რომელიც სახელმწიფოებრიობის შექმნიდან დღემდე უანგაროდ იღვწის და იბრძვის. მთელ მსოფლიოში გაფანტული ებრაელი მილიონერები და მილიარდერები უზარმაზარ თანხებს იღებდნენ და იღებენ უანგაროდ სამშობლოს გასაძლიერებლად, ქართველი მილიონერები კი იმაზე ფიქრობენ, რამდენი გადარიცხონ შვეიცარიის ბანკებში და სად დახარჯონ უაზროდ და უზნეოდ ფული. მეცინება, როცა ვხედავ, როგორ ხმაურს ატეხენ ხოლმე, როცა ერთ-ორ კაპიკს რაღაც ქველმოქმედებას ახმარენ... ამერიკაში ვითომ სასწავლებლად მყოფი ქართველი მილიონერების შვილებიც მინახავს და ბევრიც მსმენია, რომ 18-19 წლის გოგო-ბიჭებს შეუძლიათ თვეში... 50 ათასი დოლარი დახარჯონ შაბათ-კვირას ამერიკიდან ევროპაში გადაფრენა-გადმოფრენისთვის, რა თქმა უნდა, დროის სატარებლად, ძვირფასი ტანსაცმლის შეძენასა და ძვირ სასტუმროებსა და რესტორნებში ყოფნით...

— **ამერიკაში მყოფი ქართველების შესახებ როგორი აზრია შექმნილი?**

— ქართველების უმრავლესობა, რა თქმა უნდა, ოჯახების გადასარჩენად არის ჩასული და ყველანაირ ადგილზე მუშაობით წელს იწყვეტს, მაგრამ, სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი ნაწილი ისე იქცევა, მრცხვენია ვთქვა, რომ ესენი ქართველები არიან-მეთქი! ამის მიზეზი კი, ჩემი აზრით, არის ის, რომ თვითონ საქართველოში ისე წარიმართა სიტუაცია, ისეთი ატმოსფერო შექმნა მთავრობამ, რომ ზნეობა დააკარგვინა ადამიანებს, გააბოროტა და ეს გაბოროტებული ხალხი ამერიკაშიც სჩადის ყოველგვარ უსინდისობას. ქურდობა, ნარკომანია, მრუშობა, ტყუილი — იქ მცხოვრები ქართველების ნაწილის ჩვეულებრივი დღის წესრიგია... ვიცი სამი ქართველი, რომლებიც იმათ სიაში ჩაეწერნენ, ვისაც ახლობელ-ნათესავები დაეღუპა 11 სექტემბერს ცათამბჯენების ნანგრევებში, რათა მიეღოთ ფულადი კომპენსაცია. საერთოდ, სხვა ბევრმა თაღლითმაც გააკეთა იგივე და დაახლოებით 500 ათასამდე დოლარი გაიცა მათზე მოტყუების გზით. არ ვიცი, ამ ქართველებმა მოასწრეს თუ არა „კომპენსაციის“ მიღება, მაგრამ ძალიან მალე გაარკვიეს სიმართლე და ახლა მიმდინარეობს უმკაცრესი შემოწმება, რის შემდეგაც ყველა ამ თაღლითს ფულს მოატანინებენ და ციხეშიც უკრავენ თავს. მე არ მინდა მათ შორის ქართული გვარებიც გამოჩნდეს, რაც მართლაც თავლაფის დამსხმელი იქნება. ამერიკაში არიან ე.წ. „მოდას აყოლილი“ ქართველებიც, რომლებიც იქ არიან იმიტომ, რომ იტრაბახონ — ამერიკაში ვართო და თითსაც არ ანძრევენ. სამწუხაროდ, თავად ქართველებს შორის გაბატონებულია შეხედულება — ქართველს არ ენდო, უსათუოდ მოგატყუებსო.

— **თქვენ წელიწადზე მეტია, საქართველოში არ ყოფილხართ. როგორი იყო და არის გარედან დანახული და შეფასებული საქართველოში და მის ირგვლივ მიმდინარე პროცესები უწინარესად ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისა და შიდაპოლიტიკური სტაბილურობის თუ მოსალოდნელი საშიშროების თვალსაზრისით.**

— უამრავ პრობლემათაგან, ვფიქრობ, საშიში ვითარება იქმნება სამეგრელოში. სამეგრელოს განცალკევების მცდელობა უკვე იმით ხდება, რომ ფუნქციონირებს საზოგადოება „სამეგრელო“. აქ უკვე ჩადებულია ნაღმი. ზუგდიდში ზვიად გამსახურდიას ძეგლის დადგმაც არის თამაში ძალიან მწვავე ჭრილობაზე, რასაც ბევრი გულწრფელი ადამიანი შეიძლება წამოეგოს. მაგრამ მთელი ამ თამაშის მიზანია სამეგრელოს ჩამოშორება საქართველოსგან. საერთოდ, ამ საფრთხის შესახებ ჯერ კიდევ 11 წლის წინ ვლაპარაკობდი და ეს პირდაპირ ვუთხარი აშშ-ის სენატის საგარეო ურთიერთობათა სპეციალური კომისიის წევრს და ამის მოწმეა პროფესორი გიორგი გაჩეჩილაძე, მაგრამ, საუბედუროდ, სენატში წარმოდგენაც არ ჰქონდათ ამ პრობლემებზე, ამიტომ სათანადო ყურადღება არ მიექცა საქართველოს.

— **სხვათა შორის, ბოლო დროს ქართველ პარტიზანებშიც მოხდა დაპირისპირება და ფრიად საშიში ურთიერთმუქარაც გაისმა მათ შორის. ზუგდიდში კი არჩევნებიც ჩაიშალა.**

— დარწმუნებული ვარ, რომ ესეც რუსეთის პროვოკაციის მცდელობის ნაყოფია და სამწუხაროდ, ხშირად რუსების მიერ ოსტატურად გამოყენებულ ადამიანებს არც კი ესმით, რომ რუსეთის ინტერესების წისქვილზე ასხამენ წყალს. იმედი მაქვს, რომ თუნდაც თავიდან ბოლომდე შერცხვენილი, დისკრედიტებული და კორუმპირებული საქართველოს ხელისუფლება რაღაც ზომებს იღებს, რათა სამეგრელოში უბედურება არ დატრიალდეს... ძალიან ყურადღებით წავიკითხე ჭაჭიას რამდენიმე გამოსვლა და ყველგან მკაფიოდაა გატარებული აზრი, რომ დასავლეთთან კავშირი საქართველოსთვის არის დამღუპველი. ხოლო რაც შეეხება რუსეთს, ჭაჭია ჭკვიანურად მოქმედებს, პირდაპირ არ ამბობს, რომ რუსეთს უნდა შევუერთდეთო, მაგრამ ქვეტექსტებში ადვილად იკითხება, თუ რა კარგი იქნება საქართველოსთვის რუსეთთან დაბრუნება. ვფიქრობ, საქართველოს ხელისუფლებამ, ყოფილებმაც და მოქმედებმაც, მათმა მხარდამჭერმა საზოგადოების წევრებმაც, რომლებიც ტაშს უკრავდნენ მთავრობის მიერ ჩატარებულ სადამსჯელო აქციებს, საჯაროდ უნდა გამოთქვან სინანული სამეგრელოს მოსახლეობის წინაშე, თორემ ჭაჭიები და მისთანები ადვილად შეიქმნიან იქ ბაზას, რათა ყველანაირი უბედურების აზვირთებას შეუწყონ ხელი.

— **დაბოლოს, არჩევნებთან დაკავშირებით გამართულ ბატალიებზე გთხოვთ კომენტარს და იმაზეც, თუ სავარაუდოდ რომელ პოლიტიკურ ძალაზე, ლიდერზე გააკეთებს ვაშინგტონი აქცენტს შევარდნაძის საპრეზიდენტო ვადის ამოწურვისას...**

— საქართველოში გამართულ წინა არჩევნებზე, რომლებიც ტოტალურად გაყალბდა, ამერიკელებმა დახუჭეს თვალი იმიტომ, რომ 1999-2000 წლებში ვაშინგტონი შევარდნაძის ალტერნატივას საქართველოში ვერ ხედავდა. დღეს კი, რაც უფრო მძაფრად შეიგრძნო ქართულმა პოლიტიკურმა ისტებლიშმენტმა, რომ იძირება შევარდნაძე, მით უფრო აყაყანდა და მით უფრო მეტი კანდიდატურა გამოყარა ასპარეზზე. ეშინიათ — რა მოუვათ, როცა შევარდნაძის გემი საბოლოოდ წავა ფსკერისკენ. რასაკვირველია, ვერ დავასახელებ იმ სავარაუდო პოლიტიკოსებს, რომლებზეც ამერიკის პოლიტიკურ და სპეციალურ წრეებში ამყარებენ იმედს და პოსტშევარდნიძისეული პერიოდისთვის მოიაზრებენ საქართველოს ხელისუფლების სათავეში. ვაშინგტონი დაინტერესებულია, თუ ვისთან ექნება საქმე საქართველოში და ჯერჯერობით, რამდენადაც ვიცი, აქცენტს აკეთებენ ერთ-ორ პიროვნებაზე, რომელსაც და რომლის ხელისუფლებასაც დაეყრდნობიან. ეს არჩევნებიც ალბათ განსაზღვრავს მომავალი საპარლამენტო არჩევნების ფავორიტ პარტიებს და ლიდერებს, რაც კარგად იციან შევარდნაძის კორუმპირებულ მთავრობაში და ამიტომ იყო ასეთი წრეგადასული და ყოვლად უზნეო წინასაარჩევნო ბრძოლა და თავად არჩევნებიც, უფრო სწორად, ლანძღვა-გინება და არჩევნების შედეგების გაყალბებაზე წინასწარ ამდენი ლაპარაკი. ეს ეჭვს იძლევა, რომ ხელისუფლებას ნამდვილად არ აძლევს ხელს არჩევნები და მისთვის მიუღებელი ლიდერების პარტიათა გამარჯვება.

***ზურაბ მჭედლიშვილი***

# „გადადგეს ლომინაძე, მამალაძე, შევარდნაძე!..“

## რეპორტაჟი არჩევნებიდან

არჩევნების გაყალბების დიდოსტატად ცნობილი ხათუნა გოგორიშვილი გუშინ, ადგილობრივი არჩევნების დღეს, საბურთალოს საარჩევნო უბნებში გაოგნებული დადიოდა და „კვირის პალიტრის“ კორესპონდენტს ეუბნებოდა: — ეს რა ხდება, თითქმის 10 წელიწადია, რაც არჩევნებში ვმონაწილეობ და ასეთი ქაოსი, დარღვევები, გაყალბებები მეც კი არ მინახავს. თანაც საარჩევნო კომისიები უცოდინარი, შემთხვევითი ხალხითაა დაკომპლექტებული, რომლებიც საქმის ბაიბურში არ არიანო.

ალბათ გუშინდელ არჩევნებში დაფიქსირებულ დარღვევათა რაოდენობით საქართველო გინესის რეკორდების წიგნში „საპატიო“ ადგილს დაიკავებს. პირველი საგანგაშო შემთხვევა თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზატკეცილზე მოხდა — ორმოცკაციანმა შეიარაღებულმა ბანდიტურმა ჯგუფმა გააჩერა რუსთავისკენ მიმავალი საარჩევნო ბიულეტენებით დატვირთული მიკროავტობუსი და გაიტაცა რუსთავის მოსახლეობისთვის განკუთვნილი საარჩევნო ბიულეტენები. ქალაქ რუსთავის ვიცე-მერი ლევან დუგლაძე აცხადებს: „ადგილობრივმა ხელისუფლებამ წინა დღეს მიიღო ცნობა უშიშროებიდან და სხვა წყაროებიდან, რომ მზადდებოდა ასეთი დანაშაული, მაგრამ პრეზიდენტის რწმუნებულმა ქვემო ქართლში ლევან მამალაძემ თავის თავზე აიღო პასუხისმგებლობა — ყველაფერს მე მივხედავ, თქვენ მშვიდად იყავითო და აი, შედეგიც — უსაფრთხოებისთვის არაფერი გაუკეთებია, მოგვატყუა.“

ბიულეტენების გატაცების შემდეგ მერაბ ტყეშელაშვილი და რუსთავში ნაციონალური მოძრაობა — „დემოკრატიული ფრონტის“ ლიდერი გია ხევიაშვილი ლევან მამალაძეს აბრალებენ ბიულეტენების ყაჩაღურ გატაცებას, ხოლო მამალაძე ხელს ნაციონალური მოძრაობის ლიდერებისკენ იშვერს...



სხვათა შორის, რუსთავში მომხდარი ეს შემთხვევა სამართალდამცველებმა 8.30 სთ-ზე დააფიქსირეს. არადა არჩევნები დილის 7 საათზე იყო დანიშნული. ე.ი. გამოდის, რომ საარჩევნო ბიულეტენები ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ რუსთავში გვიან გაგზავნა. სწორედ იმის გამო, რომ საარჩევნო ბიულეტენები დროზე არ მიიტანეს დანიშნულებისამებრ, თბილისის თითქმის ყველა უბანში ხმის მიცემა 2 საათით გვიან დაიწყო. ზოგიერთი საარჩევნო უბანი კი კიდევ უფრო გვიან გაიღო, ანუ იმ დროს, როცა ტელევიზიით მსოფლიო ჩემპიონატის მატჩების ტელეტრანსლაცია დაიწყო. თითქმის საღამოს 7 საათამდე ფეხბურთის მოყვარულთა უმრავლესობა ტელევიზორებს მიეჯაჭვა და არჩევნები დროებით მიივიწყა. ფეხბურთის მატჩების შემდეგ კი ბევრმა გულშემატკივარმა წვიმის გამო არჩევნებზე წასვლა გადაიფიქრა. ბევრი მაინც წავიდა, მაგრამ საარჩევნო უბნებში მასავით უკანასკნელ საათებში მისულთა სიმრავლეს, რიგებს, ზედახორას ვერ გაუძლო და შინ დაბრუნდა.

როგორც არჩევნებში მონაწილე პარტიის ლიდერები ერთხმად აღნიშნავენ, ცესკომ საარჩევნო უბნებში ბიულეტენების გაგზავნა საგანგებოდ დააგვიანა, რათა ყოველ მიულებელ ხმას ხელისუფლების წისქვილზე ორმაგად დაესხა წყალი. ამით ხელისუფლების პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხმები დააკარგვინეს და ჩაუყრელი ბიულეტენებით მთავრობას გაყალბების უფრო მეტი შესაძლებლობა მიეცა.

აბსოლუტურად ყველა საარჩევნო უბანზე დაირღვა კანონი, რომლის თანახმად არჩევნების დღეს ჩამოხსნილი უნდა იყოს სააგიტაციო პლაკატები უბნის მიმდებარე ტერიტორიებიდან. ამომრჩეველს კი, არათუ პლაკატები დახვდა, არამედ ბევრგან ცოცხალი აგიტატორების აბეზარი შეგონებების მოსმენაც მოუხდათ (ამას მიეცი ხმა, იმას და ა.შ.).

არჩევნები ჩაიშალა დიდუბის მე-10 საარჩევნო უბანში, სადაც შეიარაღებული პირები იმყოფებოდნენ(!). პარლამენტარ გია ბარამიძის განცხადებით, ისინი იყვნენ ხელისუფლების მიერ გამოგზავნილი სამთავრობო დაცვის წევრები. ბარამიძესა და მათ შორის შეხლა-შემოხლა მოხდა და საქმე კინაღამ დარტყმამდეც მივიდა.

უცნობმა პირებმა დალეწეს საარჩევნო ყუთები...

დოლიძის №2-ში განთავსებულ №5 საარჩევნო უბანში დოლიძისა და ჩიქოვანის ქუჩების ზოგიერთი საცხოვრებელი კორპუსის მცხოვრებლები ამაოდ ცდილობდნენ უბანში ხმის მიცემას. მაგრამ იმის გამო, რომ ის კორპუსები სიიდან საერთოდ ამოღებული იყო, ამომრჩევლები ხმას ვერ აძლევდნენ. საარჩევნო უბანსა და ოლქში ისეთი არავინ აღმოჩნდა, რომ ასეული ადამიანისათვის ეთქვა, თუ სად, რომელ უბანში მიეცათ ხმა. ბოლოს, ოთხსაათიანი ბჭობისა და გოგორიშვილის აქტიურობის შემდეგ, როგორც იქნა, ცესკომ სიებში გამორჩენილი კორპუსების მცხოვრებთ დართო ნება, ხმა მე-5 უბანში მიეცათ. მაგრამ სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, ბევრი გინებით გაბრუნდა შინ.

საბურთალოს მე-12 საარჩევნო უბანი საბურთალოს ქუჩიდან ისე გადაუტანიათ ბახტრიონის 24-ში, რომ ამის თაობაზე ამომრჩეველთა უმრავლესობამ არაფერი იცოდა და სანამ რამეს გაარკვევდა, არჩევნებში მონაწილეობის სურვილიც დაკარგა და ხალისიც.

გოგორიშვილმა ყურადღება იმავე საარჩევნო ოლქში მიღებული ბიულეტენების რაოდენობაზე გაგვამახვილებინა. ამ უბანში 943 კაცს უნდა მიეცა ხმა, არადა საარჩევნო უბანს რატომღაც 1100-ზე მეტი საარჩევნო ბიულეტენი ჰქონია მიღებული. კანონით კი მხოლოდ 28 ზედმეტი ბიულეტენი ეკუთვნოდა: „ალბათ ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, თუ რად სჭირდებათ ზედმეტი საარჩევნო ბიულეტენები.“

არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ ბევრ უბანში დააფიქსირა კარუსელის მექანიზმი, აგრეთვე ისიც, რომ რამდენიმე ერთი და იგივე პირი რამდენიმე საარჩევნო ბიულეტენს ყრიდა ურნაში. უფრო მეტიც, თბილისში საარჩევნო უბანი თითქმის არ დარჩენილა, სადაც არ დაფიქსირებულიყო სერიოზული დარღვევები. ისიც აღსანიშნავია, რომ რატომღაც საარჩევნო უბნები ძნელად მისადგომ და მისაგნებ შენობებში იყო განთავსებული და არა თბილისელებისათვის უკვე შეჩვეულ დაწესებულებებში. ახალ საარჩევნო უბნებს იმდენად ვიწრო და მოუხერხებელი ოთახები ეჭირათ, რომ არჩევნების ნორმალურად ჩატარება შეუძლებელი გახლდათ. ზოგიერთ საარჩევნო უბანში არ იყო გამოკრული მიმანიშნებელი აბრა და კაცი ვერ გაიგებდა, რა ხდებოდა იქ. ამომრჩეველთა დიდი ნაწილი იმასაც ჩიოდა, — არჩევნებზე მოსაწვევები არ მიგვიღიაო.

დაახლოებით 15 საათზე გოგორიშვილთან ერთად საბურთალოს საოლქო საარჩევნო უბანში გავემგზავრეთ. გზაში ქალბატონ ხათუნას ლეიბორისტთა პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა დაურეკა:

*— ხათუნა, გენაცვალე, ეს რა ხდება, კაცო? შენ თუ ოდესმე არჩევნებთან დაკავშირებით გინატრებდი, ამას ვერ წარმოვიდგენდი. ყველაფერს კისრულობენ. ახლა სამი საათია და დარღვევათა რაოდენობამ მგონი, 10 ათას შემთხვევას გადააჭარბა.*

*— აბა, რა გეგონა? თქვენ მე მლანძღავდით და ალბათ ახლა ხვდები, ვინც არის გასალანძღავი,* — მიუგო მან.

უამრავი საბურთალოელი რატომღაც გამოტოვებული იყო საარჩევნო სიებში და არც დამატებითი სიებით აძლევდნენ მონაწილეობის უფლებას იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ როგორც ვთქვით, საცხოვრებელი კორპუსი, სადაც ხმის მიცემის მსურველი ცხოვრობდა, სიაში საერთოდ არ იყო.

საოლქო უბანი გამსახურდიას გამზირზე, ე.წ. „მართვის ინსტიტუტში“ მდებარეობდა, მაგრამ მის ხელმძღვანელს ნოდარ ნიჟარაძეს აზრის გამოკვრა დავიწყებოდა. იქვე, შესასვლელთან, ხანდაზმული ქალბატონი შევნიშნეთ. იგი გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 22-ე კორპუსში მცხოვრები 83 წლის ანა გორდაძე გამოდგა, რომელიც ამაოდ ცდილობდა ხმის მიცემას. „ჩემი კორპუსი სიიდან არის ამოღებული და ხმას ვერსად ვაძლევ. დილის 8 საათიდან



უბნიდან უბანში დავდივარ. ახლა სამი საათია და ვერაფერი გავარკვიე. საოლქოში გამომგზავნეს და თქვენ რომ არ შემხვედროდით, ალბათ ვერც მივაგნებდიო“, — შემოგვჩივლა.

**გზაში ქალბატონ ხათუნას ლეიბორისტთა პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა დაურეკა: — ხათუნა, გენაცვალე, ეს რა ხდება, კაცო? შენ თუ ოდესმე არჩევნებთან დაკავშირებით გინატრებდი, ამას ვერ წარმოვიდგენდი. ყველაფერს კისრულობენ. ახლა სამი საათია და დარღვევათა რაოდენობამ მგონი, 10 ათას შემთხვევას გადააჭარბა.**

ნოდარ ნიჟარაძის ჩარევით, ქალბატონ ანას წერილი გაატანეს და მისი კორპუსის წინ მდებარე საარჩევნო უბანში გაგზავნეს. სამწუხაროდ, ანა გორდაძისნაირი ხალხი, რომელმაც მიაღწია თავის კონსტიტუციური უფლების აღსრულებას, ბევრი არ აღმოჩნდა.

თითქმის ანალოგიური მდგომარეობა იყო თბილისის სხვა რაიონების საარჩევნო უბნებშიც. ხალხმა არ იცოდა, სად მიეცა ხმა.

უფრო მეტი დარღვევა დაფიქსირდა რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებში. მაგალითად, ზუგდიდში ერთ-ერთი უკანონო შეიარაღებული დაჯგუფების ხელმძღვანელმა, ბადრი ზარანდიამ თავს უფლება მისცა, საარჩევნო უბნები თვითნებურად დაეკეტა.

საღამოს ცნობილი გახდა, რომ თანამდებობიდან გადადგა პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე სამეგრელო-ზემო სვანეთში გია ბერულავა, რომელმაც ზუგდიდში არჩევნების ჩაშლაში პირდაპირ დაადანაშაულა უკანონო შეიარაღებული დაჯგუფება. ბერულავას თქმით, იგი საგანგებო მოხსენებას დაწერს პრეზიდენტის სახელზე ზუგდიდში არჩევნების ჩაშლასთან დაკავშირებით, სადაც დააფიქსირებს, რომ ზოგიერთი ხელისუფალი ბადრი ზარანდიას იყენებს საკუთარი მიზნების განსახორციელებლად და პრეზიდენტის რწმუნებულს ბონდო ჯიქიას აღარა აქვს უფლება ილაპარაკოს სამეგრელოს სახელით. ბერულავას თქმითვე, ბონდო ჯიქიამ ვერ უზრუნველყო ზუგდიდში ახალი დაძაბულობის კერის აღმოფხვრა და ეს მაშინ, როცა ბოლო დროს მოხერხდა სხვადასხვა პოლიტიკურ ძალთა შორის თანხმობის მიღწევა!

სამეგრელოში კიდევ ერთი ინციდენტი მოხდა. ადგილობრივ ტელეკომპანია „ჯიხას“ შენობაში უცნობმა პირებმა ხელყუმბარები შეყარეს. საბედნიეროდ, არავინ დაშავებულა...

არჩევნები ჩაიშალა ხაშურშიც, სადაც დაგვიანებით ჩავიდა ბიულეტენები და ლოდინით გაბეზრებული ამომრჩევლები შინ გაბრუნდნენ(!). გორის რაიონის სოფელ ხიდისთავში კი საქართველოში ინგლისის ელჩი პირადად შეესწრო საოცარ ფაქტს — საარჩევნო ყუთები არ იყო დალუქული... კომისიის წევრებმა ელჩს განუცხადეს, რომ... დაავიწყდათ ყუთების დალუქვა(!). რა თქმა უნდა, ამ ურცხვ ტყუილს ელჩი არ დაიჯერებდა და როგორც ჩანს, ინგლისის ელჩიც იქნება იმ დამკვირვებლების რიცხვში, რომლებიც 2 ივნისის არჩევნების შესახებ ანგარიშისას სამარცხვინო „დაფაზე“ გააკრავენ საქართველოს ხელისუფლებას!

ამ ბაქანალიის ფონზე უპრეცედენტო ფაქტი მოხდა სამაჩაბლოში. ქართულ სოფლებში ოსი ეროვნების მოსახლეობა გადავიდა მეზობელი ოსური სოფლებიდან და არჩევნებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. ვისაც ბიულეტენი არ შეხვდა, ნაწყენი გაბრუნდა უკან.

მძიმე ვითარება შეიქმნა ქუთაისში, სადაც ასევე დაგვიანებით მიიტანეს ბიულეტენები, ხოლო რამდენიმე საარჩევნო უბანში ყუთებში წინასწარ ჩაყრილი ბიულეტენები დახვდა უბიულეტენოდ დარჩენილ ამომრჩევლებს(!).

საბოლოოდ, ცესკოს თავმჯდომარემ ჯუმბერ ლომინაძემ არჩევნები რუსთავში, ზუგდიდსა და ხაშურში ჩაშლილად ჩათვალა და აღიარა, — არასათანადოდ იყო მომზადებულიო, რის გამოც ბოდიშიც მოიხადა.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი აცხადებს, რომ ხელისუფლებას ძალიან უნდოდა არჩევნების ჩაშლა, მაგრამ ჩვენი მოსახლეობის აქტიურობამ მას ამის საშუალება არ მისცა. ამჟამად ალბათ ხელისუფლება მთელ ძალისხმევას მიმართავს არჩევნების გასაყალბებლად და მას ეს არც გაუჭირდება. ამის გამოცდილებაც აქვს და პრაქტიკაც.

ამასობაში კი, ცესკომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ ხელახალი არჩევნები რუსთავში და სხვაგან გაიმართება 9 ივნისს.

ცესკოს შენობასთან კვლავ შეიკრიბნენ ექსპრეზიდენტის მრავალრიცხოვანი მომხრეები და არა მხოლოდ ისინი, რომლებიც ხმამაღლა გაჰყვიროდნენ, — წადით, წადითო! ისინი მოითხოვენ ცესკოს, პრეზიდენტ შევარდნაძის და მთელი მისი ხელისუფლების გადადგომას!

წინასწარი მონაცემებით, სოციოლოგიური სამსახურების, „გორბი“-სა და „აიპი-ემ“-ის ჩატარებული გამოკითხვის მიხედვით, 2 ივნისის საღამოს 9 საათისთვის ლიდერობდნენ „ნაციონალური მოძრაობა“ და ლეიბორისტული პარტია.

**ზვიად ჩაკვეტაძე**
**ზურაბ მჭედლიშვილი**

# რა მმართებათ თბილისურ ჭადრებს

## ნურც ჭადრებს გავწირავთ და ნურც მისი ბუსუსებით შეწუხებულ ადამიანებს...

დედაქალაქის ცენტრალურ ქუჩებზე ლამაზად ჩამწკრივებული ჭადრის ხეებისთვის თვალი შეგივლიათ? მაშინ უთუოდ შეამჩნევდით ჯერ კიდევ ახალამოყრილი ნორჩი ფოთლების ნაადრევ ჭკნობას. ზოგიერთ ქუჩაზე გავლისას კი შემოდგომის პირი გეგონებათ, ჭადრების ქვეშ ისე უხვად მიმოხნეულა მწვანე (და არა ყვითელი) გამხმარი ფოთლები. მრავალწლიანი ჭადრები გაშიშვლებულან, მხრები ჩამოუყრიათ ერთ დროს მოხდენილ და მძლავრ ვარჯებს. უტყვი და ძირძველი „თბილისელები“ შველას ითხოვენ. როგორც კიევისთვის წაბლის ხეებია განუყოფელი, ისე თბილისია ჭადრების ქალაქად ცნობილი და მიუხედავად მისი ერთი უარყოფითი თვისებისა (ამაზე ქვემოთ), თბილისელების დიდ ნაწილს უყვარს ჭადრები და მათ გარეშე ჩვენი ქუჩები ვერც კი წარმოუდგენია.

— შვილო, ამ ჭადრებთან ერთად გავიზარდეთ და დღეს კი გული გვიკვდება, ამ გამხმარი ფოთლების შემყურეთ. უამათოდ ჩვენი ქალაქი უდაბნოდ იქცევა... როგორ შეიძლება ამდენი წლის ხეების სასიკვდილოდ გამეტება... ესენიც ხომ ცოცხალი არსებები არიან, — შემომჩივლეს გამსახურდიას გამზირის მობინადრეებმა, როდესაც მათი სახლების წინ მდგარ ჭადრებს ვათვალიერებდი და ჩემი ამ საკითხით დაინტერესების მიზეზი შეიტყვეს.

როგორც გავარკვიეთ, დედაქალაქის ჭადრებით განაშენიანების უპირატესობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი ნახშირორჟანგის ერთ-ერთი ყველაზე კარგი გადამამუშავებელი და დიდი რაოდენობიი ჟანგბადის გამომყოფია. და რაც ყველაზე მთავარია, საუკეთესო ხმაურდამჭერი და მტვერმსრუტავია. ჭადარი ერთ-ერთი ყველაზე ამტანი და ჯანმრთელი ხეა. ამაზე მისი ფიზიკური მახასიათებლებიც მეტყველებს: ჭადრის გარშემოწერილობა 18 მეტრს აღწევს (ჩვენში ყველაზე დიდი ჭადარი თელავში დგას და მისი სიგანე 12 მ-ია), სიმაღლე 50 მეტრს უტოლდება, ხოლო სიცოცხლის ხანგრძლივობა 2000 წლამდეა. ალბათ სწორედ ამ ფაქტორთა გათვალისწინებით მოხდა ჭადრებით ჩვენი დედაქალაქის ქუჩების და სკვერების გამწვანება თავის დროზე. დღეს კი მათი დიდი ნაწილი გახმო-





ბის პირასაა მისული. აღნიშნულის გასარკვევად, ვინც კომპეტენტურად მივიჩნიეთ, სწორედ მათ დავუკავშირდით.

წინასაარჩევნო კამპანიით დაკავებულმა „მწვანეთა პარტიის“ ლიდერმა გიორგი გაჩეჩილაძემ ჭადრის ხეების ტკივილის შესახებ არაფერი იცოდა და პირველად ჩვენგან შეიტყო. მისი ვარაუდით, ყოველივე ეს ხის ხანდაზმულობის ან ატმოსფეროს დაბინძურების ბრალი უნდა იყოს... ჭადრები ხომ უზომოდ თავგანწირულები არიან ჩვენთვის, — ავტომობილების თუ ქარხნების მიერ გამონაბოლქვ ტოქსიკურ და კანცეროგენულ ნივთიერებებს მათი ფოთლები იწოვენ და ჰაერს ასუფთავებენ. ამიტომაცაა, რომ „ქალაქელი“ ხეების სიცოცხლის ხანგრძლივობა, ტყეებში მობინადრე ჭადრებთან შედარებით გაცილებით უფრო ხანმოკლეა. რაც შეეხება ჭადრის ხეების თავაკ-ყვავილედებით გამოწვეულ ალერგიას, გაჩეჩილაძის განმარტებით, ჯერ კიდევ დაუდგენელია, ჭადრების მიერ არის გამოწვეული თუ არა, თუმცა... როგორც „მწვანეთა“ ლიდერმა ბრძანა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, უწმინდესს და უნეტარეს ილია -ს ჰქონია კარგი იდეა ჭადრებთან დაკავშირებით, კერძოდ, ჭადრის ხეებს ნელ-ნელა უნდა ჩავუნაცვლოთ კედარი, რომელიც ბიბლიური მცენარეა, დადებითი აურა აქვს, ლამაზიცაა და ეკოლოგიური თვალსაზრისითაც დიდად სასარგებლო.

გაჩეჩილაძისგან განსხვავებით, აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით ამომწურავი და კომპეტენტური პასუხი მივიღეთ თბილისის გარემოს დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ზაურ თაბაგარისაგან, რომელმაც ჭადრების ასეთი სავალალო მდგომარეობის დიაგნოზად დაავადება „ანთრაქნოზი“ დაასახელა.

**(გაგრძელება იხ. გვ. 11)**

# პოლიცია ნარკოტიკებს გზაში იპარავს?!

## „გამორიცხულია, ადამიანის სიმთვრალე დაადგინო სუნით ან ამოჩაჩული ტანსაცმლით, ჰალსტუხიანი მთვრალიც ბევრი გვინახავს...“

იუსტიციის სამინისტრო შსს-ს წინააღმდეგ სკანდალურ განცხადებას აკეთებს: „იუსტიციის სამინისტროს ექსპერტიზის ცენტრის მოკვლევით დადგინდა, რომ საქართველოში ნარკოტიკების წინააღმდეგ ბრძოლა მითია იმ უბრალო მიზეზით, რომ ჩვენში შემოსული ნარკოტიკები, როგორც ექსპერტიზის ცენტრში შემოწმებისას დადგინდა, ყალბია“. აღნიშნული ცენტრის ქიმიურ-ტოქსიკოლოგიური სამსახურის მონაცემებით, გამოკვლევის მიზნით მათთან შესული ნარკოტიკები „ანალგინისა“ და „ციტრამონის“ ნარევს წარმოადგენს უმცირესი ნარკოტიკული შემადგენლობით. ექსპერტიზის ცენტრის ხელმძღვანელი მაია ნიკოლეიშვილი გაოგნებულია ამ ფაქტით, მით უფრო, რომ ამგვარი „ნარკოტიკის“ მიღების შემდეგ, ნებისმიერი ადამიანი „კაიფის“ ნაცვლად ტოქსიკურ მოწამვლას მიიღებს.

ბუნებრივია, რადგან ეს ასე არ ხდება, არ არის გამორიცხული, ამოღებულ ნარკოტიკს სარფიანი ბიზნესის მიზნით შეგნებულად ცვლიდნენ პოლიციელები. მეორე მხრივ, პრობლემას ქმნის ისიც, რომ, როგორც მაია ნიკოლეიშვილი ამბობს, საქართველოში დღემდე არ არსებობს ნარკოტიკის სტანდარტი (მისი შემადგენლობა). მათ შორის ჰეროინის, კოკაინის და თქვენ წარმოიდგინეთ, მარიხუანასიც კი. ანუ ქვეყანაში სრული განუკითხაობაა.

კურიოზულად გამოიყურება ჩვენში სიმთვრალის დადგენაც. ნარკოლოგიურ ცენტრში პოლიციის მიერ დაკავებული პიროვნების კლინიკური გამოკვლევა ყოველგვარ ცივილიზებულ მეთოდს სცილდება. იუსტიციის სამინისტრო მიიჩნევს, რომ



მოქალაქეებისადმი ამგვარი მიდგომა უბრალოდ კრიმინალია. ერთი სიტყვით, ნარკოლოგიურ ცენტრში მიყვანის შემდეგ ივსება ტესტი, სადაც მითითებული უნდა იყოს, როგორ გამოიყურება მოქალაქე — აქვს თუ არა ტანსაცმელი მოწესრიგებული, არის თუ არა გაღიზიანებული, სუნთქვა გახშირებული აქვს თუ შენელებული, უკანკალებს თუ არა ხელები. ამ პუნქტების შეჯერებით ხდება პიროვნების სიმთვრალე-სიფხიზლის გარკვევა.

არადა, უდავოა, რომ მოწესრიგებულად ჩაცმული ადამიანიც შეიძლება იყოს მთვრალი. იმაშიც დაგვეთანხმებით, რომ პოლიცია ნარკოლოგიურ ცენტრში ძალით რომ წაათრევს ადამიანს, იგი აუცილებლად იქნება გაღიზიანებული. ვისაც ხელები უკანკალებს, შეიძლება მას უბრალოდ, ნევროზი სჭირდეს და ისე, სხვათა შორის, ჩვენში პოლიციაში ყველა „კანკალებს“. გარდა ამისა, ჩასასუნთქი მოწყობილობა, როგორც გაირკვა, ახდენს პირის ღრუს ანალიზს და არ ადგენს ორგანიზმში ალკოჰოლის შემცველობას.

ამ საკითხებთან დაკავშირებით ვესაუბრებით **მაია ნიკოლეიშვილს**.

— **თქვენ საკმაოდ სკანდალური განცხადება გააკეთეთ — რომ გამოსაკვლევად შემოსული ნარკოტიკი ხშირ შემთხვევაში გაყალბებულია. რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

— ჩვენ მიერ საბაჟოში ჩატარებული კვლევისას ნარკოტიკების ბრუნვის ლეგალურ ინსპექციაში მოვითხოვეთ სტანდარტი ანუ ეტალონი, რომელსაც შემდეგ შევუდარებდით საკვლევ ნივთიერებას. მათ გვითხრეს, რომ გარდა მორფინისა და კოდეინისა, სხვა ნარკოტიკი საქართველოში არ შემოდის (ანუ მათ არ დაუფიქსირებიათ). შსს-ს და ჩვენ ნარკოტიკის თვისებრივი განსაზღვრა, რა თქმა უნდა, შეგვიძლია, მაგრამ როდესაც საჭიროა რაოდენობის და მინარევების დადგენა, ამისთვის უკვე საჭიროა საკმაოდ მგრძნობიარე აპარატურა. ამ დროს, როდესაც ჩვენთან დალუქული სახით გამოსაკვლევად შსს-დან მოდის ნარკოტიკი, რომელსაც თან ახლავს წონისა და დასახელების აღნიშვნა, აღმოჩნდება, რომ არც წონა ემთხვევა აღნიშვნას და ჰეროინის ნაცვლად არის „ანალგინი“ ჰეროინის მცირე მინარევით, იმდენად მცირე მინარევით, რომ ჩვენი აპარატურა მის ოდენობას ვერ ადგენს. იყო შემთხვევა, როცა ნარკოტიკის ნაცვლად „ციტრამონი“ აღმოჩნდა, საკმაოდ დიდი რაოდენობით. ოღონდ სად ხდება გაყალბება — შსს-ში, შემდეგ რგოლში — სადაც ნივთმტკიცება ინახება თუ სად, ამ საკითხს ჩვენ არ ვარკვევთ, ეს ჩვენი საქმე არ არის. ჩვენ უბრალოდ იმ ფაქტზე გავამახვილეთ ყურადღება, რომ აუცილებელია ყოველივე ამის დარეგულირება ერთიანი ექსპერტიზის კანონით.

— **რატომ ფიქრობთ, რომ სიმთვრალე-სიფხიზლის დადგენა ჩვენში არაკომპეტენტურად მიმდინარეობს?**

— ჩვენში გამოიყენება ტესტი. თუ ის დადებითია, მას ჭირდება დამატებითი კვლევა, რადგან ტესტი დადებითი შეიძლება აღმოჩნდეს იმ შემთხვევაშიც, როცა ადამიანი არ არის ნასვამი. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტესტი მაინც კორუფციის წყაროა — თუ პასუხი დადებითია, ე.ი. ადამიანი ნაბახუსევია და იგი, როგორც წესი, მიჰყავთ და ა.შ... ბევრი მინახავს ამგვარად გაწამებული. კლინიკური კვლევის პუნქტები, რომელიც 1996 წელს არის დადგენილი, დღეს მიუღებელია. მაშინ არც დენი იყო, არც აპარატურა და იყო გარდამავალი პერიოდისთვის შექმნილი კითხვარი, რომელშიც დიდი ყურადღება ექცევა იმას, მოწესრიგებულად არის თუ არა ჩაცმული ადამიანი. ამ დროს ჰალსტუხიანი მთვრალიც ბევრი მინახავს. ხელების კანკალი ანუ ტრემორიც სიმთვრალის ნიშნადაა მიჩნეული. ამ დროს ტრემორი ძალიან კარგად ვიცით, რომ ჩიყვით ან ნევროზით დაავადებულ ადამიანსაც ახასიათებს, ან ქალა-ტვინის ტრავმების ნიშანიცაა. ეს ჩვეულებრივია. კითხვარის ბოლოს არის ასეთი კითხვა: პირიდან ალკოჰოლის სუნი. ანუ სუნით უნდა დადგინდეს, რომ ადამიანს მიღებული აქვს ალკოჰოლი. ამ დროს ყველაფერი უნდა დადგინდეს ლაბორატორიული კვლევით და ის, რომ ინსპექტორს შემთხვევის ადგილზე შეეპარა ეჭვი, ამით სიმთვრალე-სიფხიზლის დადგენა შეუძლებელია. ოდოროლოგიური ანუ სუნის ექსპერტიზის ჩატარება შესაბამისი სერტიფიკატის გარეშე დაუშვებელია. ასეთი სერტიფიკატები კი ჩვენს ინსპექტორებს ნამდვილად არ აქვთ. ჩვენი წინადადებაა ანტიკორუფციული საბჭოს მიმართ, რომ კონკრეტულად შევთანხმდეთ — თუ რა რაოდენობის ალკოჰოლის მიღება ჩაითვლება დარღვევად. დასადგენია, ერთ ან ორ კათხა ლუდს რამდენად შეუძლია საფრთხე შეუქმნას სხვა ადამიანს. ამ კორუფციულ მომენტებს აუცილებლად ამოვიღებთ. სიმთვრალის შემთხვევაში დასჯა კი მხოლოდ ლაბორატორიული კვლევის შემდეგ უნდა მოხდეს.

— **ქალბატონო მაია, როგორც შევიტყვე, 14-მილიონიანი ლაბორატორია, რომლის ჩამოსვლითაც სააკაშვილი თავს იწონებდა წინასაარჩევნოდ, არ ჩამოსულა. მართალია?**

— მართალი გითხრათ, არავითარი სურვილი არ მაქვს, სააკაშვილის საწინააღმდეგოდ რაიმე ვთქვა, მაგრამ როდესაც უკვე მე მეკითხებიან, სად არის 14-მილიონიანი ლაბორატორია, ამან შეიძლება ხვალ სხვაგვარი მნიშვნელობა შეიძინოს. ანუ იფიქრონ, რომ მე 14-მილიონიანი აპარატურა სადღაც მაქვს შენახული და ვუმალავ ქვეყანას. ასე გამოდის ხომ? ისიც საკითხავია, ეს 14 მილიონი საიდან მოვიდა, რადგან თუ პროექტის ავტორებსაც დაელაპარაკებით ვაშინგტონში, ნახავთ, რომ ეს ციფრი არ არსებობს. ცნობილი არ არის, რამდენ მილიონიანი იქნება ეს ლაბორატორია. აღნიშნული ლაბორატორია ჯერ არ ჩამოსულა და, რა თქმა უნდა, რომ არ ყოფილიყო ის პოლიტიკური რყევები, რომ არ გადამდგარიყო სააკაშვილი, მისი ჩამოსვლა უფრო დაჩქარდებოდა. მერე მთავრობა გადადგა... ამ ყველაფერმა დიდი დრო წაიღო, მაგრამ პროექტი მიმდინარეობს, ეს არის ხუთწლიანი პროექტი, რომელიც ნაწილ-ნაწილ განხორციელდება.

— **რამდენადაც ვიცი, ამ ლაბორატორიის ჩამოსვლის შემდეგ შსს-დან იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში გადავა იგივე ხელის ანაბეჭდის ექსპერტიზა და „მასროთეკები“, რასაც ნარჩემაშვილი ეწინააღმდეგება. რას იტყვით ამასთან დაკავშირებით?**

2-8 მაისის მთავრობის სხდომაზე, სხვათა შორის, ამაზე იყო საუბარი. გილიგაშვილმა გააკეთა ინფორმაცია ექსპერტიზის მდგომარეობის შესახებ, რის შემდეგაც ბატონი ნარჩემაშვილი მივიდა მიკროფონთან და გამოთქვა აზრი, რომ იუსტიციის სამინისტრო ცდილობს მოახდინოს ექსპერტიზის მონოპოლიზაცია. მე პრეზიდენტის ნებართვით ვუპასუხე, რომ ექსპერტიზა მონოპოლიზებული იყო სწორედ შსს-ს მიერ. თუნდაც ნარკოტიკები, ავიღოთ, თუნდაც თითის ანაბეჭდები, „მასროთეკა“... და ჩვენ ძალიან კარგად გვახსოვს, რომ „მასროთეკაში“ გიორგი სანაიას ტყვიის იდენტურს რამდენიმე თვე ეძებდნენ. კომპიუტერებში შეტანით კი ამის დადგენა ხდება 15 წთ-ში. უბრალოდ რა ხდება იცით? შსს-ს არ სურს გასაგები მიზეზების გამო ყოველივე ამის დაკარგვა. „მასროთეკა“, „თითის ანაბეჭდების ბანკი“, „დნმ“-ს ბანკი როცა იარსებებს ჩვენთან, ჩვენ ვიქნებით სამინისტროსთან არსებული უწყებათაშორისი ლაბორატორია. ამის დათმობა კი, ძალიან უჭირს შსს-ს.

— **თქვენ აღნიშნეთ, რომ თქვენთან გამოსაკვლევად შემოსული ნარკოტიკები არაერთ შემთხვევაში „ციტრამონი“ ან „ანალგინი“ აღმოჩნდა. თუ გქონდათ ამაზე საუბარი შსს-თან და რა გიპასუხეს?**

— მართალი გითხრათ, მეგონა, მადლობას გვეტყოდნენ, როცა ამის შესახებ ვაცნობეთ (პირადად მინისტრთან არ მისაუბრია). ნაცვლად ამისა თავის მართლება დაიწყეს და თურმე შეურაცხყოფა მიგვიყენებია. მე ვთქვი სიმართლე. ფაქტია, რომ შსს-ს რომელიღაც რგოლში „რაღაც“ ხდება. ეს მინისტრმა გაარკვიოს, თუ უნდა და თუ არ უნდა, მაშინ ბრალდებების ნიაღვარი ჩვენკენ წამოვა და უკვე ყველასათვის გასაგები იქნება — რაშია საქმე. აქვე მინდა გითხრათ, რომ ჩვენთან ყველა მომუშავე ექსპერტმა იცის, რომ არსებობს შს მინისტრის სიტყვიერი ბრძანება თუ განკარგულება, რომ შსს-დან ექსპერტიზები არ დაინიშნოს ჩვენს უწყებაში.

— **რატომ?**

— მეც იგივე შეკითხვა მაქვს, მაგრამ ეს ახალი არ არის. თუმცა, როცა მართლა სჭირდებათ სერიოზული ექსპერტიზა, მაინც ჩვენთან მოდიან.

***მარინა მამისაშვილი***

# როგორები არიან „ვაჟკაცი“, „პატიოსანი“ და „ნაშლილი“ ჯარისკაცები...

## ქართული ჯარი ციხის კანონებით ცხოვრობს

ციხეებში გავრცელებულმა ქურდულმა კანონებმა ქართულ ჯარშიც მოიკიდა ფეხი. ყაზარმაში გამეფებულ იერარქიათა შორის შექმნილი საგანგაშო სიტუაცია კატასტროფას უქადის ქვეყნის თავდაცვის ძალებს. ჩაუცმელობით, უჭმელობით, უიარაღობით და სხვა უამრავი პრობლემით სავსე ქართული ჯარის ყაზარმა თანდათან ემსგავსება „ზონას“. ამ შემაშფოთებელი განცხადების საფუძველს გვაძლევს ინტერვიუ ქართველ ჯარისკაცთან, რომელმაც გასაგები მიზეზების გამო ინკოგნიტოდ დარჩენა ისურვა. იგი ჯარში თავისი ნებით წასულთა და შემდეგ იმედგაცრუებულთა იშვიათ კატეგორიას მიეკუთვნება და გულისტკივილით ჰყვება ქართულ ჯარში არსებული განუკითხაობის შესახებ.

— ჯარში ჩვეულებრივ ქურდული, ქუჩის მახინჯი კანონები მოქმედებს. მებრძოლის მენტალიტეტი თითქმის აღარ არსებობს. ყაზარმაში ერთმანეთის გვერდით ცხოვრობს ჯარისკაცთა სამი კატეგორია. ესენი არიან: ე.წ. „ვაჟკაცები“, „პატიოსანი კაცები“ და „ნაშლილები“. „ვაჟკაცი“ ჯარში არაფერს აკეთებს, „პატიოსნები“ და „ნაშლილები“ კი არიან მისი ხელქვეითები, უფრო სწორად მონამორჩილები, რომლებიც, ძალისმიერი ზემოქმედებით დაშინებულები, უსიტყვოდ ასრულებენ ყველა ბრძანებას.

— **რა ბრძანებებზეა ლაპარაკი?**

— „პატიოსანი“ და „ნაშლილი“ ალაგებს, გვის, რეცხავს, სასადილოში სუფრებს შლის. მოკლედ, „ვაჟკაცებს“ ემსახურებიან.

— **რამდენი „ვაჟკაცი“ შეიძლება იყოს ერთ სამხედრო ნაწილში?**

— ასეულში შეიძლება იყოს ერთი, ორი, სამი „ვაჟკაცი“. შესაბამისად ნაწილში, პოლკში რამდენიმე „ვაჟკაცია“ და „ზონაში“ „მაყურებლების“ მსგავსი სტატუსით მოქმედებენ. ისინი მძიმე ზეგავლენას ახდენენ სხვებზე. დაახლოებით 5-6 კაცი თავს ესხმის მსხვერპლს და ატერორებს.

— **რატომ ესხმიან თავს სხვებს და რა პირობებში ახორციელებენ ტერორს?**

— „ვაჟკაცებს“ ვინმეს საცემად მიზეზი ყოველთვის არ სჭირდებათ. საკუთარი გართობის ან უძლეველობის დემონსტრირებისათვის ვინმეს შეარჩევენ და ყაზარმაში ძილის წინ სცემენ. ან სულაც დაძინებულს თავზე დაადგებიან, წამოაგდებენ, რაღაცის გაკეთებას უბრძანებენ, რაზეც მსხვერპლი უარს იტყვის იმ მოტივით, რომ ღამეა. ძალაზე მოსულ „ვაჟკაცებსაც“ მეტი არ უნდათ და ჯარისკაცს სცემენ ხელით, ფეხით, საწოლის რკინის „შტირებით“, ჯაჭვებით. ურტყამენ სხეულის ისეთ ადგილებში, სადაც სილურჯე შეიძლება არ დააჩნდეს, და თუ დააჩნდება, ტანსაცმელი დაფარავს.

— **რატომ აჩაგვრინებენ „ვაჟკაცებს“ დანარჩენები თავს. ნუთუ არ შეუძლიათ თავის დაცვა, ასმეთაურს ვერ დაუძახებენ?**

— ეგ მიუღებელია იქაური კანონებით. მერე „ჩაშვებისთვის“ აგებინებენ მსხვერპლს პასუხს.



არაქურდული საქციელი არ ეპატიება. ერთადერთი, დაზარალებულს შეუძლია გარედან მიიყვანოს ხალხი საქმის გასარჩევად, მაგრამ ეგეც „გრეხია“. ჯარში „გრაჟდანებთან“ საქმეზე ლაპარაკიც არაქურდულია.

— **ნუთუ თავის დაცვის არავითარი შანსი არ არსებობს?**

— უნდა გაძლო, გცემენ, შეიძლება სიკვდილის პირზეც მიგიყვანონ, თუმც არ მოგკლავენ. ეშინიათ. იციან, რომ ჯარიდან ციხეში შესული კარგი იარლიყით უკან ვერ გამოვა, ამიტომაც დანაშაული იმ ფაზამდე არ მიჰყავთ, რომ ციხეში მოხვდნენ.

— **სიკვდილის პირზე მისულ ჯარისკაცს ასმეთაური რომ დილით მწყობრში ვერ ნახულობს, მიზეზით არ ინტერესდება?**

— ნაცემი მსხვერპლი იმალება. თუმცა აბანოში შეიძლება ძალადობის კვალი შეამჩნიოს ოფიცერმა და დაინტერესდეს. ჯარისკაცი ვალდებულია მიზეზი დამალოს.

— **რას აკეთებს ამ დროს ოფიცერი, ცხადია, ცემის შედეგად მიყენებული იარები შემთხვევით დაზიანებაში არ აერევა.**

— მაშინ ოფიცერი საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრსა და ზრუნვას იწყებს. მიდის უფროსთან და დანაშაულის შესახებ მოახსენებს. რაც უფრო მეტ დარღვევას გამოავლენენ ოფიცრები, მით უფრო აიმაღლებენ წოდებას.

*(გაგრძელება იხ. გვ. 11)*

# მე მეგობრებს თანამდებობაზე არ ვცვლი

## — „შემომთავაზეს, თუ ჟვანიას გუნდს დავტოვებდი, პრობლემა მოიხსნებოდა...“



უახლოეს დღეებში პარლამენტი ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურას განიხილავს. არსებობს დიდი შანსი, რომ ელენე თევდორაძე კომიტეტის თავმჯდომარე აღარ იყოს. მით უფრო, რომ კულუარებში „ახალი უმრავლესობის“ მხრიდან უკვე ახალ კანდიდატურებზეც საუბრობენ. არადა, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ ახალი კანდიდატურის დანიშვნა ამ კომიტეტში დიდი რისკია. თუნდაც იმიტომ, რომ შესაძლოა ელენე თევდორაძის მიერ მოპოვებული საერთაშორისო იმიჯი ამ კომიტეტმა საბოლოოდ დაკარგოს. „კვირის პალიტრა“ **ელენე თევდორაძეს** ესაუბრა.

— **ქ-ნო ელენე, ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტს დღემდე თავმჯდომარე არ ჰყავს. რა შეგიძლიათ გვითხრათ, თქვენს კანდიდატურას აღარ წარადგენენ?**

— როგორც იცით, არჩევნებთან დაკავშირებით სესიები ერთი კვირით შეწყდა და ჩვენ ისე დავიშალეთ, რომ ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტის თავმჯდომარის კანდიდატურა არ იყო წარდგენილი. ითქვა, რომ თითქოს პოლიტიკურ ფრაქციათა მოლაპარაკებით სავარძელს მოქალაქეთა კავშირის ფრაქციას შესთავაზებდნენ. სამწუხაროდ, მოქკავშირის ფრაქცია დღეს არ არის ერთიანი და ალბათ, ახალი სესიის დროს კიდევ მოხდება რეორგანიზაცია. ამის გამო საბოლოო შეთანხმება ვერ შედგა. აქედან გამომდინარე, არ ვიცი, სხვა ფრაქციები წარადგენენ თუ არა თავის კანდიდატურას. თუმცა არ დაგიმალავთ, რომ პარლამენტს პირადად შევთავაზე საკუთარი კანდიდატურა. განვაცხადე, რომ დავტოვე მოქალაქეთა კავშირის ფრაქცია, დავრჩი ჯერჯერობით დამოუკიდებელი დეპუტატი, მაქვს შეგროვილი იმ თორმეტი დამოუკიდებელი დეპუტატის ხელმოწერა, რომლებიც ჩემი კანდიდატურის წარდგენას აპირებდნენ, მაგრამ პარლამენტში შექმნილმა „ახალმა უმრავლესობამ“ ეს შეთავაზება არ მიიღო. მათ განაცხადეს, რომ იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომლითაც დამოუკიდებელ დეპუტატებში მხოლოდ ზაზა სიორიძეს დაუჭერდნენ მხარს საბიუჯეტო-საფინანსო კომიტეტში. შემდეგ სიტყვიერად შემომთავაზეს — თუ განვაცხადებდი, რომ დავტოვე ზურაბ ჟვანიას გუნდი, ამ შემთხვევაში პრობლემა მოიხსნებოდა.

— **ვინ შემოგთავაზათ?**

— „აღორძინების“ წევრმა, ბატონმა ჯემალ გოგიტიძემ. ეს ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელი შემოთავაზება იყო, რადგან მე მეგობრებს თანამდებობაზე არ ვცვლი. მერე ლაპარაკი იყო, რომ „აღორძინება“ წარადგენდა თავის კანდიდატურას, მაგრამ ეს ყველაფერი პირად საუბრებში ხდებოდა, არაოფიციალურად... ეს პერიოდი მაინც ვაგრძელებდი ხალხის მიღებას და ჩემთვის დღესაც არა აქვს მნიშვნელობა — რა თანამდებობაზე ვიქნები, მაინც დავრჩები ამ კომიტეტში და გავაგრძელებ ჩემს მოღვაწეობას. თქვენს მკითხველებს კი შევახსენებ, რომ გასულ პარლამენტში არ ვიყავი კომიტეტის თავმჯდომარე, მაგრამ ხალხმა მაშინ გამიცნო.

— **რამდენადაც ვიცი, კულუარებში „აღორძინებიდან“ სანდრო ბრეგაძეზე და „ახლებიდან“ დავით კოღუაშვილზე იყო საუბარი...**

— დიახ, დიახ. მართალი რომ გითხრათ, მეც მხოლოდ ამ ორზე გავიგე. ისე, ლევან გაჩეჩილაძემ კატეგორიულად უარყო და თქვა, რომ „ახლების“ პოზიცია მაინც ელენე თევდორაძისკენ იხრება. თუმცა, ეს იყო მანამ, სანამ მოქკავშირი დაიშლებოდა.

— **რატომ გაჭიანურდა მაინცდამაინც თქვენი კომიტეტის საკითხის განხილვა?**

— ისევ და ისევ „მოქალაქეთა კავშირის“ ფრაქციაში განვითარებული მოვლენების გამო. იმიტომ, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილებით თავიდან „მოქალაქეთა კავშირს“ უნდა დარჩენოდა ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი. ასე რომ, სხვას ვერავის წავუყენებ პრეტენზიას.

***მარინა მამისაშვილი***

# ᲡᲐᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲝ ᲡᲐᲠᲔᲪᲔᲚᲖᲔ ᲛᲧᲝᲤᲘ ᲝᲠᲛᲐᲒᲘ ᲐᲒᲔᲜᲢᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲛᲔᲫᲐᲕᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ...



**იგი საქართველო-აფხაზეთის ომის დროს ორმაგი აგენტი იყო, თუმცა კატეგორიულად უარყოფს, რომ აფხაზი სეპარატისტების სასარგებლოდ აგროვებდა ინფორმაციებს. როგორც ამბობს, იყო შემთხვევები, როცა აფხაზებს საქართველოს მთავარსარდლობის დავალებით დეზინფორმაციას აწვდიდა. მოგვიანებით, იმის გამო, რომ ძალიან ბევრი იცოდა, მისი ლიკვიდაცია დააპირეს, მაგრამ საქართველოს უშიშროების მაღალჩინოსნებს გულმოწყალება გამოუჩენიათ და საზღვარგარეთ გაუპარებიათ.**

დასავლეთ ევროპაში სტრიპტიზიორად მუშაობდა, ღამის კლუბში. მერე საროსკიპოშიც მოხვდა და უკურნებელი სენით — შიდსითაც დაავადდა. ბელგიის ხელისუფლებამ საშიში ინფექციური სენით დაავადებული უცხოელი თავისი ქვეყნიდან დაუყოვნებლივ გაასახლა და საქართველოში გამოაგზავნა. ახლა იგი სიცოცხლის უკანასკნელ დღეებს ითვლის და სასიკვდილო სარეცელზე მიჯაჭვულმა გადაწყვიტა, ვინმესთვის მოეთხრო თავისი ხანმოკლე, მაგრამ ფათერაკებით აღსავსე ბიოგრაფია.

ნამდვილი სახელი უკვე თვითონაც აღარ ახსოვს, უფრო სწორად, არ უნდა გაიხსენოს. მრავალსახოვანი იანუსივით რამდენიმე ნიღაბი აქვს მორგებული და შესაბამისადაც იქცევა. ყველა სახეს თავისი ლეგენდა აქვს. მე ნინო ქაჩიბაიად გამეცნო, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ, სიმართლე მითხრა თუ არა. თუმცა ნაამბობიდან ბევრი რამ მენიშ-

> ჩემი მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც სინამდვილეში დეზინფორმაცია უნდა ყოფილიყო, ხშირად აბსოლუტურად სწორ ინფორმაციას შეიცავდა. ვიცი, ახლა მკითხავთ, რით ადასტურებ ამ ცნობასო. უბრალოდ, როცა ფოთიდან ბარჟით სოხუმისკენ საბრძოლო ტექნიკას აგზავნიდნენ ცოცხალ ძალასთან ერთად, დეზინფორმაციაში ზუსტად იყო მითითებული გაგზავნილი ტანკების, საბრძოლო მანქანების მარკა, ტექნიკისა და ცოცხალი ძალის რაოდენობა.

ნა და ნინოს თავგადასავალი იმდენად საინტერესოდ მეჩვენა, რომ მკითხველისათვის მისი გაცნობა გადავწყვიტე.

— წარმოშობით აფხაზეთიდან, საკურორტო დაბა ალახაძიდან ვარ. მამა ეროვნებით აფხაზია, დედა კი ქართველი. ჩემ გარდა, ოჯახში კიდევ ორი ძმა იზრდებოდა. წელგამართული, თითქმის ყველაფრით უზრუნველყოფილი ოჯახი გვქონდა, მშვენიერი ორსართულიანი სახლი გვედგა, უზარმაზარი ხეხილიანი ეზოთი. მამა ჩემს ძმებს ბავშვობიდანვე ქართველების სიძულვილს უნერგავდა. ჩემს ძმებს თუ მამა ზრდიდა, მე დედის სრულ განკარგულებაში ვიყავი და ნამდვილ ქართველად აღმზარდა. სწორედ ამის გამო მოხდა დედ-მამას შორის ომის დაწყებისას კონფლიქტი. მამამ ოჯახი დატოვა, ძმები თან წაიყვანა და მოსკოვში გაემგზავრა, თუმცა ოფიციალურად არ გაყრილან.

დედაჩემმა მამის ძმასთან გუდაუთაში გამაგზავნა, მისი ჭკუით, იქ, ქალიშვილი უფრო დაცული ვიქნებოდი, ვიდრე ალახაძიში, რადგან აქ მხედრიონელები ისეთ საშინელებას სჩადიოდნენ, ენით ვერ აგიწერ. ახლა წარმოიდგინეთ, უკაცოდ დარჩენილი ოჯახების ქალებს რა მოუვიდოდათ.

ბიძაჩემი ასტამურ ქაჩიბაია პირწავარდნილი სეპარატისტი იყო. დღედაღამ ქართველების გინებაში ათენებდა და აღამებდა. სწორედ მისი რეკომენდაციით დავიწყე მუშაობა მბეჭდავ-მემანქანედ გუდაუთის რაიკომში ოზგანთან. ხომ იცით, გუდაუთა აფხაზი სეპარატისტების ბუდე იყო. სხვათა შორის, იქ, რაიკომში, ქართველი მეომრების დანაშაულობების დამადასტურებელი იმდენი დოკუმენტური მასალა მოდიოდა, რომ ერთი პირობა, მეც შემრცხვა ჩემი ქართველობის. ალბათ კარგად წარმართულმა პროპაგანდამ და აგიტაციამ თავისი შედეგი გამოიღო და როცა ერთმა მეგობარმა შემომთავაზა აგენტურის მოსამზადებელ სკოლაში ჩავრიცხულიყავი, ბევრი აღარ მიფიქრია. გუდაუთის რაიონის მაღალმთიან სოფელ დურიფშში რუსეთის არმიის დაზვერვის ოფიცრების ხელმძღვანელობით ოთხი ქალი და 16 მამაკაცი სამი თვის მანძილზე ვსწავლობდით „შპიონობას“.

ერთი სიტყვით, 1992 წლის დასაწყისში სეპარატისტებმა ქართველთა კონტროლირებად ტერიტორიაზე, კერძოდ, სოხუმში გადამისროლეს. ასეთი დავალება მქონდა, — როგორმე ფოთამდე უნდა ჩამეღწია და ნავსადგურში დამეწყო მუშაობა, თუნდაც დამლაგებლად, ხოლო აფხაზებისათვის უნდა მიმეწოდებინა ინფორმაცია, თუ რა და რამდენი შეიარაღება, რა რაოდენობის ცოცხალი ძალა მიდიოდა ფოთიდან ზღვით სოხუმისაკენ. როგორც კი ქართველების გარემოცვაში მოვხვდი, არ ვიცი, რა დამემართა, უკვალოდ გამიქრა სეპარატისტებისგან გულში ძალად ჩანერგილი ქართველების სიძულვილი. ბევრი არ მიფიქრია. პირდაპირ სოხუმში, ქართველების შტაბში გამოვცხადდი, სადაც გენერალი გენო ადამია შემხვდა. ვთხოვე, ძალიან მნიშვნელოვანი ინფორმაცია მაქვს და უნდა მომისმინოთ-მეთქი. გენერალმა ოთახში შემიყვანა, დამსვა და მეც ყველაფერი დაწვრილებით ვუამბე. ჩვენს საუბარს ბესო ქოიავა — მისი დაცვის წევრი ესწრებოდა. არაფერი დამიმალავს. ისიც ვუთხარი, თუ რა დავალებით ვიყავი გამოგზავნილი.

ბატონმა გენომ დამამშვიდა და შემაქო. ასე მითხრა: „აფერუმ, შენს ქალობას, რომ შენს ნამუსს და ქართველობას არ უღალატე. ნეტავი შენნაირი ქალიშვილი მეც მომცაო“. ადგა, ვიღაც-ვიღაცებს დაურეკა და ჩემი თავი საქართველოს დაზვერვის ორ ოფიცერს ჩააბარა. როგორც შემდეგ გავიგე, ორივენი უშიშროების კომიტეტიდან იყვნენ.

**— როგორც ვიცი, ყველა აგენტს თავისი ნომერი და მეტსახელი აქვს. როგორც აგენტი, თქვენ რა ნომრით იყავით ფიქსირებული სეპარატისტების დაზვერვის სამსახურში?**

— აფხაზეთში აგენტის ნომერი არ მოუციათ. მეტსახელი კი მატილდა იყო... საქართველოს დაზვერვამ გადაწყვიტა, რომ სეპარატისტებისათვის ჩემი მეშვეობით დეზინფორმაცია მიეწოდებინა. დაზვერვის ოფიცრებთან ერთად (მათ პირობითად ლევანს და მიშას დავარქმევ) ფოთში გავემგზავრე და ნავსადგურში ოპერატორად დამაწყებინეს მუშაობა. ჩვენი დაზვერვა რა ინფორმაციასაც მაძლევდა, იმას გადავცემდი აფხაზებს.

**— როგორ ახერხებდით ინფორმაციის გადაცემას, რა, გადამცემი გქონდათ და მორზეს ანბანით მუშაობდით?**

— ტონით გატყობთ, რომ ჩემი არ გჯერათ. ალბათ არც იმას დაიჯერებთ, თუ რას აკეთებდა ქართული სარდლობა. ჯერ ერთი, თითქოს ჩემი მოპოვებული ინფორმაცია, რომელიც სინამდვილეში დეზინფორმაცია უნდა ყოფილიყო, ხშირად აბსოლუტურად სწორ ინფორმაციას შეიცავდა. ვიცი, ახლა მკითხავთ, რით ადასტურებ ამ ცნობასო. უბრალოდ, როცა ფოთიდან ბარჟით სოხუმისკენ საბრძოლო ტექნიკას აგზავნიდნენ ცოცხალ ძალასთან ერთად, დეზინფორმაციაში ზუსტად იყო მითითებული გაგზავნილი ტანკების, საბრძოლო მანქანების მარკა, ტექნიკისა და ცოცხალი ძალის რაოდენობა. სხვათა შორის, ეს არაერთხელ გადავამოწმე და როცა დეზინფორმაციასა და ზუსტ ინფორმაციას შორის სხვაობა ვერ აღმოვაჩინე, დაზვერვის ოფიცრებს გაკვირვებულმა ამის შესახებ ვკითხე. მკვახე პასუხი მივიღე — სადაც არ გეკითხება, იმ საქმეში ცხვირს ნუ ჰყოფ. შენ რა გესმის დაზვერვის ხელოვნებისო. მეორე მაგალითსაც მოვიყვან, თუ როგორ ყიდდა მთავარსარდლობა ქართულ არმიას. ტყვარჩელის აუღებლობა ძალიან ამწარებდათ ქართველებს. მძიმე ტექნიკა ამ ქალაქამდე ვერ ადიოდა იმის გამო, რომ ტყვარჩელთან გასასვლელი ერთადერთი გზატკეცილი თავიდან ბოლომდე დანაღმული იყო. როცა ერთ-ერთ საშტაბო სხდომაზე ერთი ბატალიონის მეთაურმა ტყვარჩელში ტანკებით ასვლა დაუნაღმავი რკინიგზით გადაწყვიტა, მეორე დღეს სასწრაფოდ გამაგზავნინეს ინფორმაცია, თუ რას აპირებდნენ ქართველი სამხედროები. იმ დღესვე რკინიგზის ლიანდაგი ყოველ სანტიმეტრში ისე დაინაღმა, რომ... რაც შეეხება ინფორმაციის გაგზავნას, ესეც არ იყო პრობლემა. მყავდა კურიერი, რომელიც ჩემ მიერ მიცემულ ინფორმაციას სეპარატისტებს აწვდიდა. .

**— საზღვარგარეთ როგორ მოხვდით?**

— როგორც გითხარით, ალბათ ზემოთ ჩათვალეს, რომ იმაზე მეტი ვიცოდი, რაც აგენტმა უნდა იცოდეს. ამასთან, მათთვის ზედმეტად ცნობისმოყვარეც ვიყავი. თავდაპირველად, უნდოდათ სეპარატისტების აგენტად მოვენათლე. ეს არ გაუჭირდებოდათ, მათ ხომ ხელთ ჰქონდათ ჩემი ახსნა-განმარტებითი ბარათი, რომელიც ნებაყოფლობითი აღიარების დროს დავწერე. ეტყობა, საქმის გართულებას მოერიდნენ და გადაწყვიტეს უბრალოდ მოვეშორებინე თავიდან, ანუ ჩემი ლიკვიდაცია დაგეგმეს. თუმცა მოგვიანებით გადაიფიქრეს. მათი გულმოწყალება დღემდე ვერ ამიხსნია. ვფიქრობ, რადგან ახალგაზრდა, ლამაზი ქალიშვილი ვიყავი და თან ყურებითაც ვყავდი დაჭერილი, ჩემი ბოლომდე გამოწურვა გადაწყვიტეს. „მეგობრებმა“ სხვისი პასპორტით და სამგზავრო ფულით მომამარაგეს და ბელგიაში გამიშვეს. იქ იატაკქვეშა სტრიპტიზ-კლუბში უნდა მივსულიყავი, სადაც სამსახურით უზრუნველმყოფდნენ. ბელგიაში უამრავი ქართველი ყოფილა, ძირითადად, „შავები“. ფულის საშოვნელად ყველაფერს კადრულობენ. ბანდიტურ ჯგუფებად არიან გაერთიანებულნი და მაღაზიებს ძარცვავენ, მათ კონტროლქვეშაა იატაკქვეშა საროსკიპოები და ღამის სტრიპტიზ-კლუბები, აგრეთვე არაოფიციალური კაზინოები.

**— სტრიპტიზ-კლუბში რას აკეთებდით?**

— კლუბის პატრონი ქართველი, ყოფილი პოლკოვნიკია, შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობდა და რაღაც დანაშაულისათვის სამხრეები ააგლიჯეს და თადარიგში გაუშვეს. როგორც ვიცი, იქ ყალბი პასპორტითაა ჩასული, გა-

> იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საროსკიპოს ხსენებაზე კივილს იწყებდნენ, გული მისდიოდათ, ზოგიერთი თავის მოკვლასაც კი ცდილობდა. ჯერ ტკბილი სიტყვით ვცდილობდით ასეთის გადაბირებას. თუ არ გაჭრიდა, სხვა მკაცრ ზომებსაც მივმართავდით.□

მოგონილი გვარ-სახელით. ამ პასპორტით იგი ბელგიის მოქალაქე გახდა, სახელიც შეიცვალა და ფრანგულ ყაიდაზე ფრანსუა დაირქვა. თავიდან, ასე, სამი კვირის მანძილზე, კლუბში ვცეკვავდი. მერე ფრანსუას ნდობა მოვიპოვე და საქართველოდან მოტყუებით ჩამოყვანილი გოგონების ზედამხედველობა დამევალა. იქვე, ჩვენს ფრანსუას საროსკიპოც ჰქონდა და გოგოები იქ სჭირდებოდა. საროსკიპოს თბილისელი ბანდიტები „უყურებდნენ“. ერთი სიტყვით, ბანდიტების და ყოფილი სამართალდამცველების ალიანსი იყო.

**— როგორ იტყუებდით გოგოებს საქართველოდან?**

— თავიდან ასეთ ხერხს მივმართავდით. რომელიმე, თბილისში მოქმედ ოფიციალურ ფირმას ვაძლევდით შეკვეთას, რომ მაღალანაზღაურებად სამუშაოზე გვჭირდებოდა ფრანგული ენის მცოდნე, 18-დან 25 წლამდე ლამაზი გარეგნობის ქალიშვილები. თითოეულ გამოგზავნილ გოგონაში ფირმას 100 დოლარს ვუხდიდით, მაგრამ როგორც გოგონებისგან შევიტყვეთ, ფირმა მათ 500-1000 დოლარს ართმევდა იმისთვის, რომ ვითომ სამუშაოდ უშვებდა. ჩვენ თავს ვიზღვევდით და საქართველოში მოქმედ ფირმას ჩვენს ნამდვილ მისამართს არ ვაძლევდით. ქალაქ გენტში ერთი ოთახი გვქონდა დაქირავებული და გოგონებს იმ მისამართზე გვიგზავნიდნენ. ისე, იმ ფირმამ არც კი იცოდა, რისთვის გვჭირდებოდა გოგონები.

**— როცა გოგონები ჩამოვიდოდნენ, რა ხდებოდა?**

— მერე ყველაფერი ტექნიკის საქმე იყო. ჩავსვამდით ავტომანქანაში, უფრო სწორად, უმინო ფურგონში და მიგვყავდა ანტვერპენთან ახლომდებარე პატარა ქალაქ ბრასხაატის ტყეში. იქ მონადირული სახლი გვქონდა იჯარით აღებული. გოგოებს პასპორტებს ჩამოვართმევდით და უკვე დაუფარავად ვეტყოდით, რას მოვითხოვდით მათგან — ანუ ცეკვის ნიჭით დაჯილდოებულებს ერთ დღეს სტრიპტიზ-კლუბში უნდა ემუშავათ, მეორე დღეს საროსკიპოში. ყოველთვიურად კი მიიღებდნენ 600-700 დოლარს, პლუს ის ერთდოლარიანები, რომლებსაც საცვლებში უტენიან სტრიპტიზ-კლუბის კლიენტები მოცეკვავეებს. სხვათა შორის, გოგოებს ამ თანხას მართლაც ვაძლევდით, მაგრამ თვეში 700 ან თუნდაც 1000 დოლარი ის მინიმალური ანაზღაურებაა ბელგიაში, რომელიც საროსკიპოში მომუშავეს ეკუთვნის. სხვათა შორის, ჰოლანდიაში მეძავებს კვირაში ოფიციალურ საროსკიპოში 1500 დოლარი და მეტი გამომუშავება აქვთ, ოღონდ თუ იმ ქვეყნის მოქალაქეა... ჰო, იმას გეუბნებოდი, როცა საქართველოდან ლუკმაპურის საშოვნელად წამოსულ გოგონებს ფაქტის წინაშე დავაყენებდით, თუ დამიჯერებ, ბევრი გვთანხმდებოდა, ზოგიერთი, ისე, წესის გულისთვის, ერთ-ორ დღეს წაიტირებდა და თანხმდებოდა, ოღონდ გარანტიას ითხოვდა, რომ ფულს აუცილებლად მიიღებდნენ. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც საროსკიპოს ხსენებაზე კივილს იწყებდნენ, გული მისდიოდათ, ზოგიერთი თავის მოკვლასაც კი ცდილობდა. ჯერ ტკბილი სიტყვით ვცდილობდით ასეთის გადაბირებას. თუ არ გაჭრიდა, სხვა მკაცრ ზომებსაც მივმართავდით, მაგალითად, შიმშილს, მერე ნარკოტიკების გაკეთების მუქარას. ფრანსუას „სასახელოდ“ უნდა ითქვას, რომ თუ არაფერი არ გაჭრიდა, გოგოს უკან დაბრუნებას სთავაზობდა, ოღონდ ერთი პირობით, თუ ერთხელ მაინც გამოვიდოდა შიშველი სტრიპტიზ-კლუბში. მოცეკვავე გოგონას ვიდეოკამერით გადაუღებდნენ და თუ თბილისში ჩაგვიშვებდა, მაშინ კასეტა გავრცელდებოდა. გოგოსაც სხვა გზა აღარ ჰქონდა და თანხმდებოდა ერთხელ ცეკვას. მაგრამ იმ დღეს მოუბოდიშებდნენ, კამერა გაგვიფუჭდა და ხვალაც იცეკვეო და ისიც, საწყალი, თანხმდებოდა. ასე ეხვეოდა გოგო ბადეში და ბედს ემორჩილებოდა.

**— კი, მაგრამ თვითონ ახალგაზრდა ქალი ხართ, ნუთუ ერთხელ მაინც არ შეგცოდებიათ თანამემამულეები, მეძაობისკენ რომ უბიძგებდით?**

— ადამიანი ადამიანისთვის მგელია, მეც ჩემი გადარჩენისათვის ვიბრძოდი. რამდენს უნდა დავხმარებოდი?! არასოდეს მიფიქრია, მეთქვა, დამნაშავე არა ვარ-მეთქი. არა, ბატონო, ცოდვილი ვარ და ღმერთმა სასტიკად დამსაჯა, უკურნებელი სენით დამაავადა. იმ ცოდვებმა მიწია.

იატაკქვეშა საროსკიპოებში, ძირითადად, ფსიქიკური გადახრის მქონე მამაკაცები დადიან და იოლი წარმოსადგენია, მანიაკი და ფსიქიკურად არანორმალური მამაკაცი რა დღეში ჩააგდებს ქალს. სამაგიეროდ, მათ დიდი მოგება მოაქვთ მეპატრონისთვის. ასე რომ, ახალგაზრდა გოგონებს ვაფრთხილებ, ნუ წამოეგებიან ანკესზე. თქვენ უცხოეთში არავის სჭირდებით. იქ არავინ გელოდებათ. თქვენ მათთვის მხოლოდ და მხოლოდ მოხმარების საგანი ხართ. როგორც ერთჯერად ჭიქას, ისე დაგჭმუჭნიან და მერე სანაგვეზე მოგისვრიან...

ნინო ქაჩიბაიას ამ სიტყვებით, სრულიად შესაძლებლად მიმაჩნია სტატიის დამთავრება, რადგან ჩემი სათქმელი თვითონ ჩემმა რესპონდენტმა თქვა. რაც შეეხება იმას, თუ რამდენად სარწმუნოა მისი თავგადასავალი, ვერაფერს გეტყვით. ამიტომ ჩვენ მაინც დავუკავშირდით საქართველოს უშიშროების სამინისტროსა და დაზვერვის დეპარტამენტს. ავთანდილ იოსელიანმა უშიშროების სამინისტროსკენ მიგვითითა, უშიშროებამ კი რამდენიმე კვირა ითხოვა კომენტარისთვის. და თუ კომენტარს ვეღირსეთ, რაც ვფიქრობთ ინტერესმოკლებული არ იქნება, აუცილებლად შემოგთავაზებთ.

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# „ᲡᲐᲑᲐᲥᲝᲡᲐᲪ ᲛᲝᲕᲐᲢᲧᲣᲔᲑ, ᲡᲐᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲝᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲡᲔᲠᲢᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝᲔᲑᲡᲐᲪ, ᲛᲔᲠᲔ ᲓᲐᲕᲡᲮᲓᲔᲗ ᲓᲐ ᲕᲘᲪᲘᲜᲝᲗ“

## ქართველი ნავთობმაგნატი ბენზინის ფალსიფიკატორს ეძებს

წინა ორშაბათს, როცა ჩვეულებისამებრ ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვიდა, თავს წაზარმაცების უფლება მივეცი, კარგად გამოძინება გადავწყვიტე, მაგრამ რად გინდა, ვინ გაცალა — ქალაქის ტელეფონი გადაირია — არ ვუპასუხე. ორიოდ წუთში ძილი უკვე მობილურმა ტელეფონმა დამიფრთხო. ჯერ ქალაქის, მერე მობილურის ზარები კი იმას ნიშნავდა, რომ რედაქციიდან მეძებდნენ. ისე ყველაფერი აგისრულდეთ, როგორც ჩემი ვარაუდი გამართლდა. რედაქციიდან მორიგე მირეკავდა:




თურმე ვიღაც უცნობი მამაკაცი დაჟინებით ითხოვდა ჩემს ტელეფონის ნომერს — ყოველ ნახევარ საათში რეკავს და კითხულობს, რაღაც ინფორმაცია აქვს თურმე შენთვისო.

— კი ბატონო, ან თავისი ნომერი დატოვოს და დავურეკავ, ან ჩემი მიეცით -მეთქი.

ლოგინში ნებივრობას აზრი აღარ ჰქონდა. ის იყო აბაზანიდან გამოვედი, რომ იმ უცნობმაც დარეკა. ხაზგასმით ზრდილობიანად მელაპარაკებოდა. თავდაპირველად, დააზუსტა — ნამდვილად ჩემი იყო თუ არა სტატია: „ფხვნილი, რომელიც უხარისხო ბენზინს „სუპერად“ აქცევს?! ანუ „ინტერვიუ თბილისელ იატაკქვეშა ნავთობმაგნატთან“. როცა დავუდასტურე, შეხვედრა მთხოვა.

**— რედაქციაში მობრძანდით.**

— რედაქციაში რა მინდა, კონფიდენციალური საუბარი მსურს თქვენთან, რესტორანში გეპატიჟებით.

**— რესტორანში დილაობით არ დავდივარ.**

ბოლოს რედაქციის წინ მდებარე კაფეზე შევთანხმდით.

კაფეს წინ უახლესი მარკის მშვენიერი „ჯიპიდან“ სოლიდური, ბრგე, შუახნის მამაკაცი გადმობრძანდა, ხელი მაგრად ჩამომართვა და კაფეში შემიძღვა. ჩემი მოხიბვლა იმთავითვე ათასნაირი კერძითა და სასმლით გადაწყვიტა, მაგრამ მის განზრახვას ცივი წყალი ჩაის მოთხოვნით და საქმიანი წინადადებით გადავასხი.

**— მაპატიეთ, მაგრამ ძალიან დაკავებული ვარ, საქეიფოდ ნამდვილად არ მცალია. თუ რამე გაქვთ სათქმელი, მთელი ყურადღებით გისმენთ და მიუხედავად იმისა, რომ თქვენთან შეხვედრა დაგეგმილი არ მქონდა, ნებისმიერი ხანგრძლივობის დროს დაგითმობთ.**

— მომწონს საქმიანი ხალხი. ვიფიქრე, ქართულ ტრადიციას ხარკს გადავუხდით-მეთქი, მაგრამ ვხედავ საქმეზე უნდა გადავიდე. ერთი სიტყვით, იქნებ ბენზინს რომ რაღაც ფხვნილს უმატებს, ის კაცი — ჭუჭულა თუ ვიღაცა, შემახვედრო. თუ კაცი ხარ, უარი არ მითხრა.

(გაგრძელება იხ. გვ.11)




საარჩევნო კამპანიას ხშირად ხალხზე განხორციელებულ „ფსიქოლოგიურ დივერსიად“ ნათლავენ. წინასაარჩევნო აგიტაცია-პროპაგანდა, სარეკლამო პლაკატი და ტელევიზიით დატრიალებული ათასგვარი კლიპი მასის არჩევნებზე მისვლის პროვოცირებისათვის აპრობირებული მეთოდია. თუმცა აქ ჩნდება ერთი „მაგრამ“ — როგორ მოქმედებს ოპონენტი პოლიტიკოსების ლანძღვა-გინების მოსმენა საზოგადოებაზე, როგორ „სიმართლეს“ ვისმენთ ათასგვარი სარეკლამო ტრიუკით და რამდენად გააზრებულად ვმოქმედებთ არჩევანის გაკეთებისას...

მიუხედავად იმისა, რომ არაერთგზის მოატყუეს, ხალხი მაინც აკეთებს არჩევანს. მაინც რაზეა გათვლილი მასის ქმედება, რას ვაძლევთ ხმას? — პოლიტიკოსის გარეგნობას, საუბრის მანერას, გაკეთებულ საქმეს თუ პიროვნულ ღირსებებს... უკან მოტოვებული საარჩევნო ბატალიები ამგვარი ანალიზისთვის უხვ მასალას იძლევა. „კვირის პალიტრა“ ამ თემაზე ფსიქოლოგთა და ფსიქოთერაპევტთა ასოციაციის პრეზიდენტ **ნინო ქვარიანს** ესაუბრა:

— წინასაარჩევნო პერიოდი სერიოზული პროცესია — თუ ესა თუ ის პარტია მას კარგად დაგეგმავს, გაიმარჯვებს, მიუხედავად იმისა, არის თუ არა ღირსი. როგორც წესი, საზოგადოების არცთუ დიდი ნაწილი აკეთებს შეგნებულ არჩევანს, რადგან არჩევნებამდე ის იმდენად კარგად არ არის ინფორმირებული, რომ კომპეტენციიდან გამომდინარე მისცეს ვინმეს ხმა.

**— ადგილობრივი არჩევნების პარკამპანიაზე რას იტყვით?**

— ავიღოთ „მოქალაქეთა კავშირის“ (მამალაძის ფრთის) ლოზუნგი: „თქვენ გვირჩევთ — ჩვენ ვასრულებთ“. ცინიკურია ამგვარი ლოზუნგით პოლიტიკური ძალის გამოსვლა, რომელიც 10 წლის მანძილზე მმართველ პარტიას წარმოადგენდა. თუ რამის გაკეთება შეეძლოთ, 10 წლის მანძილზე გაეკეთებინათ. ამიტომ იმ ამომრჩევლებს, რომლებიც შეგნებულ არჩევანს აკეთებდნენ, ეს გააღიზიანებდათ.

**— ძირითადად, როგორ განცხადებებზე „წამოეგება“ ხოლმე ამომრჩეველი?**

— დღეს ძალიან მოდაშია და ჭრის კიდეც პოპულისტური განცხადებები. პოლიტიკოსები, რომლებიც ასეთ განცხადებებს აკეთებენ, თავიანთ საპრეზენტაციო გამოსვლებში იყენებენ ფრაზებს — „ხალხმა ჩემზე უკეთ იცის“, „ხალხი ასე ფიქრობს“, „ჩვენ ხალხთან ვართ“. ამ ფრაზებით ისინი ხალხის ნაწილად ასაღებენ საკუთარ თავს და საზოგადოებას ეს მოსწონს. პოლიტიკურ ბატალიებში ხშირი იყო დაპირისპირებული მხარეების ურთიერთლანძღვაც: ქვეყანაში, სადაც ასეთი მეთოდით იმკვიდრებენ ადგილს, ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოებრივი აზრი სალია. იქ, სადაც სამოქალაქო და ამომრჩევლის კულტურა მაღალია, ასეთი მეთოდები წამგებიანია, მაგრამ ჩვენთან ეს ბევრ ამომრჩეველზე ახდენს ზეგავლენას. ჩვენს ქვეყანაში განსაკუთრებით მომგებიანია ხელისუფლების კრიტიკა. ხალხს არ აინტერესებს, კონკრეტულად რაშია დამნაშავე ხელისუფლება. ის ხედავს შედეგს — არის უმუშევრობა, გაუსაძლისი სოციალურ-ეკონომიკური პირობები და ამიტომაც მოგებულია ის, ვინც ლანძღავს პრეზიდენტს და დამნაშავე ხელისუფლებას. ეს არის გაბრაზებული, გამწარებული საზოგადოება, რომელიც მხარს დაგიჭერს, თუკი ასეთ ხელისუფლებას მოაცილებ.

ზოგიერთ პოპულისტ პოლიტიკოსს არაერთხელ დაუმტკიცეს, რომ მათი ნათქვამი სიცრუე იყო, მიუხედავად ამისა, ხალხი მათ მიჰყვება. ადამიანის ფსიქოლოგია ასეთია, როცა რაიმე გადაწყვეტილებას იღებს, რაც უნდა ლანძღო ესა თუ ის პირი, მაინც არ გაიზიარებს მის კრიტიკას, იმ ეტაპზე, როცა საზოგადოებამ მიილო ეს ადამიანი, აზრი აღარ აქვს მის ლანძღვა-გინებას. კონკრეტული პოლიტიკოსის კრიტიკა იმ ადამიანებზე ჭრის მხოლოდ, რომელთაც „აიწონა-დაიწონას“ პოზიცია უჭირავთ. ამიტომ იმ კანდიდატთა განქიქებას, რომელთა მხარდასაჭერად დარბაზებია გადატენილი და ხალხს იგი მხსნელად, მესიად წარმოუდგენია, საზოგადოების ამ ნაწილისთვის აზრი აღარ აქვს.

არის ამომრჩევლის მესამე ტიპი, რომელიც „კარგი კაცობის“ გამო აძლევს ვიღაცას ხმას.

**— იმავე სააკაშვილმა წინასაარჩევნოდ გამოიყენა ის ეპიზოდებიც, როდესაც მას შეურაცხყოფენ თარგამაძე, მამალაძე და ჟირინოვსკიც კი... ეს რაზე იყო გათვლილი?**

— ამომრჩევლის კეთილგანწყობის მოპოვებაზე. ხელისუფლებისაგან დაჩაგრულის იმიჯი ძალზე მომგებიანი აღმოჩნდა. ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებაა — მას ტანჯულისა და ჩაგრულის გვერდით დგომა უფრო იზიდავს.

ბოლო 10 წლის პოლიტიკური მოვლენების ანალიზიდან ჩანს (ეს პოსტსაბჭოთა სივრცის გადმონაშთია), რომ ჩვენს ერს სჭირდება მესია, ბელადი, რომელიც საქართველოს გადაარჩენს. არ არის აუცილებელი რომელიმე პარტიის ლიდერი გიყვარდეს. როცა სიყვარულის მომენტი ჩნდება რომელიმე ლიდერის მიმართ, იქ ობიექტურობის ხარისხი იკარგება.

სააკაშვილს აქვს ხალხის შემოკრებისა და თავის სიმართლეში დარწმუნების უნარი. ოპონენტები მას მუდმივად უყიჟინებენ, — შენს გარემონტებულ იუსტიციის სამინისტროში წყალი ისევ ჩამოდის, ციხის მშენებლობა არ დამთავრებულა, შენმა რეფორმებმა ვერ გაამართლაო. მიუხედავად ამისა, ის მაინც ირწმუნება, ბევრი გავაკეთეო. სააკაშვილმა მოახერხა ის, რომ ხალხს მისი სჯეროდეს.

**— საარჩევნო კამპანიის დროს ალბათ დიდი მნიშვნელობა აქვს ფსიქოლოგიურ ფონსაც, ხალხის ემოციურ განწყობას.**

— საზოგადოებაზე ზეგავლენას ახდენს ისეთი შეძახილები, კლიპები, სიმღერები, რომლებისგანაც ოპტიმიზმის მუხტი მოდის. ამის ნათელი მაგალითი იყო საპარლამენტო არჩევნებში ედპ-ის წინასაარჩევნო კამპანია. კლიპმა „ქვეყანაშია ფერები მუქი“ ეროვნულ-დემოკრატების წინააღმდეგ იმუშავა, რადგანაც ამომრჩეველში ნეგატიური მუხტი შეიტანა. სამაგიეროდ, საუცხოო იყო „მოქალაქეთა კავშირის“ „გიხაროდენ“. ყველამ იცოდა, რაც იყო „მოქალაქეთა კავშირი“, მაგრამ კლიპს იმდენად დადებითი მუხტი ჰქონდა, რომ პარტიამ წარმატება მოიპოვა.

საინფორმაციო საშუალებებით გაკეთებული რეკლამა ზეგავლენას ახდენს ჩვენს არაცნობიერ მხარეზეც. რაც უფრო ხშირად ვხედავთ სახეებს ან ციფრს (რომელიც უნდა შემოვხაზოთ), იმდენად ხდება ის ჩვენთვის ნაცნობი. არჩევანის გაკეთებისას კი ადამიანი ნაცნობ სპექტრში ეძებს ასარჩევს — ანუ ხაზავს ნაცნობ ციფრს და სახელს.

**— ახლანდელი საარჩევნო კამპანიაც მდიდარი იყო კლიპებით. ყველაზე მომგებიანად რომელი მიგაჩნიათ?**

— „ახლების“ „მზეს ველოდები“ უდავოდ ბევრს მოეწონებოდა. კლიპი კარგად იყო გათვლილი ციფრ 38-ის დამახსოვრებაზე. თუმც ჩემი აზრით, ამავე კლიპში იყო ლაფსუსიც — ქალბატონის ფრაზა, — 38 წელია არაფერი გაგიკეთებიათ და ეხლა რას გააკეთებთ. ვფიქრობ, ეს კლიპის ავტორების შეცდომაა, თუნდაც ერთი სიტყვა რომ შეეცვალათ — „გაგიკეთებიას“ ნაცვლად, „გაუკეთებიათ“ ჩაესვათ, შეცდომა ნაკლებსაგრძნობი იქნებოდა. კლიპისეულ ვარიანტში ისეთი შთაბეჭდილებაც შეიძლება დარჩეს ამომრჩეველს, რომ 38 წლის ლევან გაჩეჩილაძეს არ გაუკეთებია არაფერი.

მომგებიანია შოუბიზნესის წარმომადგენლების ჩართვა წინასაარჩევნო კამპანიაში, ანუ სანახაობის შექმნა.

**— ეს გაცვეთილი მეთოდი თითქმის ყველა პარტიამ გამოიყენა.**

— მაგრამ ამ მხრივ „ახლები“ ყველაზე მომგებიან ვითარებაში არიან. რაკი პოპულარულია „უცნობი“ და მისი სიმღერები.

**— ამომრჩევლის გაორებას ის შეხედულებაც ხომ არ იწვევს, რომ სჯობს ხელისუფლებაში დატოვო უკვე დანაყრებული პოლიტიკოსები, ვიდრე მშიერ ძალას მისცე ასპარეზი?..**

— ამის თაობაზე საინტერესო მოსაზრება გამოთქვა ერთ-ერთმა პოლიტიკოსმა — ძალიან კარგები არიან ლეიბორისტები, მაგრამ ხელისუფლებაში მათი მოსვლა ექსპერიმენტის დაწყებას ნიშნავსო. მოქკავშირი აქამდე ხელმძღვანელობდა სახელისუფლებო სტრუქტურებს და დაამხო ქვეყანა. ამ შემთხვევაში უნდა მოიძებნოს შუალედური ძალა, რომელიც იყო ხელისუფლებაში და რაღაც გააკეთა. მე ვეთანხმები ამ პოლიტიკოსის აზრს, რომ აბსოლუტურად ახალი პოლიტიკური ძალა, რომელსაც ყველა ეტაპი თავიდან ექნება გასავლელი, საშიშია.

**— თქვენი აზრით, რომელ ეტაპზე მყოფი პოლიტიკოსია საქართველოსთვის საჭირო?**

— რეალობიდან და არსებული პოლიტიკური მემკვიდრეობიდან გამომდინარე, ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე ეფექტურები მე-2 ეტაპზე მყოფი პოლიტიკოსები იქნებიან. ჩემი აზრით, ამ პრინციპით უნდა ვიხელმძღვანელოთ არჩევანის გაკეთებისას.

**— წინასაარჩევნოდ ათასგვარი შინაარსის ლოზუნგი ვნახეთ და მოვისმინეთ, ნიშანდობლივი ის იყო, რომ პატრიოტული თემატიკა მათში ნაკლებად იგრძნობოდა.**

— პატრიოტული თემატიკა იმიტომ კი არ გახდა ბანალური, რომ ჩვენი ქვეყანა აღარ გვიყვარს. უბრალოდ, ყველაფერი მოყირჭების სტადიაში შევიდა. ამ თემით ისეთები მანიპულირებდნენ, რომ ხალხს იმედი გაუცრუვდა. ეს მაშინ ხდება, როცა ნებისმიერი პოზიტიური რამ უარყოფითი ემოციის წყარო ხდება. ვთქვათ, მე მაქვს რაღაც, რაც ძალიან მომწონს. მაგრამ თუ ამ „რაღაცის“ გამო პრობლემები მექმნება, მიმუშავდება ნეგატიური განწყობა, იყო დრო, როცა ქართულ სუფრაზეც შემართებით სვამდნენ სამშობლოს სადღეგრძელოს, დღეს კი ნაკლებად. ეს იმიტომ არ მომხდარა, რომ ჩვენში აღარაფერია პატრიოტული, უბრალოდ, ამ თემასთან ერთად ჩვენს ქვეყანაში ბევრი პრობლემა დაილექა.

**— საზოგადოების აქტიური ნაწილის გარდა, არიან ნიჰილისტურად განწყობილნიც, რომლებსაც არც უფიქრიათ არჩევნებზე მისვლა. ალბათ მათ ინდიფერენტულობასაც აქვს ახსნა.**

— ეს ჩვენი პოლიტიკური მემკვიდრეობის ბრალია. როცა ადამიანი ერთხელ, ორჯერ, სამჯერ მიდის გულანთებული არჩევნებზე და არკვევს, რომ მისი ხმა მხოლოდ ვიღაცის პოლიტიკური ამბიციის დაკმაყოფილებას ემსახურება, ბუნებრივია, არასერიოზულად მოეკიდება შემდგომ არჩევნებს, იმედი გაუცრუვდება. გამოსავალი აქ რაციონალური გადაწყვეტილების მიღებაა, თუ რაციონალურად არ ავწონ-დავწონეთ ვის მივცეთ ხმა, კიდევ უფრო გაიზრდება ნიჰილისტურად განწყობილთა რიცხვი. ეს კი იმ ადამიანების რიცხვს გაზრდის, რომელთაც საერთოდ აღარ დააინტერესებთ ხვალ და ზეგ რა მოხდება.

**— დასასრულ, დაგვრჩა კიდევ ამომრჩევლის ერთი კატეგორია, რომელიც მრავალჯერ მოტყუების მიუხედავად, მაინც მიდის ხოლმე არჩევნებზე...**

— ესეც ადამიანური თვისებაა, ანუ ისინი ელიან, — იქნებ რამე შეიცვალოსო. „იქნებაზე“ დავიდა ამომრჩევლის აქტიურობა. ასეთ ხალხს იმედი ასულდგმულებს.

– ძირითადად, როგორ განცხადებებზე „წამოეგება“ ხოლმე ამომრჩეველი?
– ყველაზე მომგებიანად რომელი კლიპი მიგაჩნიათ?
– რა იწვევს ამომრჩევლის გაორებას?
– რით აიხსნება ამომრჩევლის ინდიფერენტულობა?
– რატომ მიდის მრავალჯერ მოტყუებული ამომრჩეველი ხმის მისაცემად?

# ჩვენ ყველაზე ადეკვატურად გამოვხატეთ მოსახლეობის მოთხოვნილება, დაგვეწყო შევარდნაძის კორუმპირებული ხელისუფლების დემონტაჟი

წინასაარჩევნო ბატალიები უკან დარჩა. თუმცა კიდევ დიდხანს გვემახსოვრება ამა თუ იმ პოლიტიკოსისადმი მიძღვნილი „დითირამბები“ და „ოსტატურად“ შერქმეული მეტსახელები. წინასაარჩევნოდ ერთმანეთს ყველაზე მეტად „ახალი მემარჯვენეები“ და „ნაციონალური მოძრაობა“ „წაეკიდა“.

ვესაუბრებით „ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერს, **დავით ბერძენიშვილს**.

**— „ნაციონალისტების“ მაღალი რეიტინგი ბევრმა სწორად დაგეგმილ საარჩევნო კამპანიას მიაწერა. თქვენი იმიჯმეიკერების ვინაობას ხომ არ გაგვიმხელთ?**

— ამ თვალსაზრისით ძალიან გამოგვადგა კობა დავითაშვილის რჩევები. კობას მიაჩნია, რომ საქმეს დათო ბერძენიშვილის რჩევებიც გამოადგა, მიშა სააკაშვილიც აქტიურად მონაწილეობდა ამ კამპანიის დაგეგმვაში. ასე რომ, სხვა პროფესიონალი იმიჯმეიკერები არ გვყოლია. სოციალური შეკვეთა შევარდნაძის ხელისუფლების დამარცხებისა მზად იყო, ამიტომაც შესაბამისი ტაქტიკა ავირჩიეთ. მით უმეტეს, რომ ჩემთვის სავსებით ბუნებრივია ის ლოზუნგები, რითაც გავედით არჩევნებზე. ჩვენ ეს ჯერ შარშან შემოდგომით, აქციების დროს მოვსინჯეთ, გავჭიმეთ პლაკატი „საქართველო შევარდნაძის გარეშე“, ამან მომიტინგეების აღფრთოვანება გამოიწვია. მაშინ გავაკეთეთ ბაჯები (სამკერდე ნიშნები) — „შენც წადი“. ისეთი მოთხოვნილება იყო მათზე, დარიგებას ვერ ავუდიოდით. ასე რომ, რეალურად გავითვალისწინეთ ელექტორატის საპროტესტო განწყობა და რაკი ეს ემთხვეოდა „რესპუბლიკელების“ „ეროვნულ ძალთა გაერთიანების“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ხელმძღვანელთა თვალსაზრისსაც, ჩვენ ყველაზე მკვეთრი საარჩევნო კამპანია ვაწარმოეთ შევარდნაძის ხელისუფლების წინააღმდეგ. ვერც ერთი სხვა საარჩევნო სუბიექტი ამ თვალსაზრისით ჩვენი კონკურენტი ვერ აღმოჩნდა იმიტომ, რომ ზოგი შევარდნაძის პატარა ოფშორულ პარტიად მოგვევლინა ამ არჩევნებში, უფრო მსხვილი პარტიული გაერთიანებები კი შევარდნაძე-აბაშიძის ინტერესებს იცავდნენ. ამის მიუხედავად, ვიმედოვნებ, რომ საპარლამენტო არჩევნებამდე ეს პარტიები ყოველივეს გააანალიზებენ და ჩვენი თაობის სხვადასხვა პოლიტიკური გაერთიანება ერთმანეთთან მჭიდრო თანამშრომლობას მოახერხებს.

ამომრჩევლის მხარდაჭერა სწორედ იმან განსაზღვრა, რომ ჩვენ ყველაზე ადეკვატურად გამოვხატეთ მოსახლეობის მოთხოვნილება, დაგვემარცხებინა შევარდნაძის რეჟიმი და დაგვეწყო მისი კორუმპირებული ხელისუფლების დემონტაჟი.

**— რა მეთოდებით აპირებთ შევარდნაძის წინააღმდეგ ბრძოლას, ხელმოწერების შეგროვებით თუ რევოლუციას უნდა ველოდოთ?**

— საკრებულოს არჩევნებში უკვე იკვეთება ხელისუფლებისადმი უნდობლობა. ვგულისხმობ არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ იმ პარტიებისთვის მიცემულ ხმებსაც, რომელთაც ოპოზიციური და ანტიშევარდნაძისტული პროგრამა აქვთ. ეს ადასტურებს იმას, რომ შევარდნაძის ხელისუფლება მალე დამარცხდება. თუ მოხერხდება ვადამდელი არჩევნების ჩატარება, ჩვენ ამ გზითაც წავალთ, თუ არადა ფაქტობრივად კარს მომდგარია საპარლამენტო არჩევნები. საპარლამენტო არჩევნები პოლიტიკური ვატერლოოს სახეს მიიღებს. ერთ მხარეს იქნება შევარდნაძის ოჯახი,



ანუ კოლექტიური შევარდნაძე თავისი მსხვილი თუ წვრილი ოფშორული პარტია-ზონებით. მეორე მხარეს კი იქნება გაერთიანებული დემოკრატიული ოპოზიცია, რომელსაც ძალიან დიდი ალბათობით შეეძლება საბოლოო დამარცხება აგემოს პრეზიდენტად რეალურად ვერშემდგარი ცკ-ის მდივან შევარდნაძის ხელისუფლებას.

**— თქვენს ლოზუნგებში იკითხებოდა „საქართველო შევარდნაძის კლანის გარეშე“. ვთქვათ, პრეზიდენტი გადაირჩიეთ, მის კლანს როგორღა მოუვლით?**

— ეს ყველაზე პოზიტიური ლოზუნგი იყო მთელი საარჩევნო კამპანიის დროს, მიუხედავად მისი ერთგვარი ნეგატიური შინაარსისა. „საქართველო და თბილისი შევარდნაძის გარეშე“ ნიშნავს შევარდნაძის კლანური მმართველობის სტილისაგან საქართველოს გათავისუფლებას. ეს ნიშნავს ჭრელი საქართველოდან დემოკრატიული, პლურალისტული საქართველოსკენ სვლას, პოლიტიკური უზნეობის ნაცვლად, პოლიტიკური ზნეობის დამკვიდრებას. ეს ნიშნავს იმ პოლიტიკური ძალების მიერ ამომრჩეველთა ნდობის მოპოვებას, რომლებიც მკვეთრად უპირისპირდებიან ამ რეჟიმს და უხინჯო პოლიტიკური ბიოგრაფია აქვთ. ეს ძალიან პოზიტიური და იმედიანი ლოზუნგია. შევარდნაძის ხელისუფლების დამარცხება, ბუნებრივია, არ ნიშნავს ერთი შევარდნაძის შეცვლას მეორე იმავე ტიპის ადამიანით. დღეს გაჩნდა რეალური შანსი იმისა, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ, წარმატებით დაასრულოს საპარლამენტო არჩევნები ქართულმა დემოკრატიულმა პოლიტიკურმა სპექტრმა; ანუ რეალურად შევძლოთ შევარდნაძის ხელისუფლების დამარცხება, როგორც ეს მოახერხეს სერბმა დემოკრატებმა, რომლებმაც ჯერ ბელგრადის თვითმმართველობა წაართვეს მილოშევიჩის ნაციონალ-კომუნისტებს და შემდეგ მილოშევიჩიც მიაბრძანეს, სადაც ჯერ არს. ასე რომ, სწორედ შევარდნაძის ხელისუფლების დემონტაჟია ჩვენი ამოცანა. ერთი ეტაპი ხორციელდება და მალე გადავალთ მეორე ეტაპზე.

*გვერდი მოამზადა*
*იზო რიკაძემ*

# სამხედროებს ტოტალური აღწერა სურთ,

## ჯარში კი მხოლოდ ის მოხვდება, ვინც 200 ლარსაც ვერ მოუჭრის თავს

საქართველოს კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მალე შეიძლება ცვლილებები შევიდეს. ამის თაობაზე კანონპროექტი თავდაცვის სამინისტრომ დიდი ხანია წარუდგინა პარლამენტს და მალე მოსალოდნელია, პარლამენტის სხდომაზეც უყარონ კენჭი, თუმცა მანამდე მას ალბათ აუცილებლად განიხილავენ თავდაცვისა და უშიშროების საპარლამენტო კომიტეტში და იმედია, მნიშვნელოვან კორექტივებსაც შეიტანენ.

თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი უეჭველად აღაშფოთებს საზოგადოების დიდ ნაწილს, რადგან მთავარ სამხედრო უწყებაში სურთ სამხედრო სამსახურში გაიწვიონ დედისერთებიც კი!

„კვირის პალიტრა“ კომენტარისთვის დაუკავშირდა ასოციაცია „სამართალი და თავისუფლების“ დირექტორს ბ-ნ **ირაკლი სესიაშვილს**:



— თავდაცვის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ დიდ პაკეტს, რომელიც არსებულ კანონში ცვლილებების შეტანას ითვალისწინებს, გააჩნია როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მხარეები. მისაღები ის არის, რომ ამ კანონპროექტის მიხედვით ჯარში გაწვევის ორგანიზება სამხედრო კომისარიატებიდან გადადის „ადგილობრივი მმართველობის აღმასრულებელი ორგანოს სამხედრო განყოფილების“ ხელში ანუ ახალგაზრდას სამხედროების ნაცვლად სამოქალაქოები გაიწვევენ. თუკი კომისარიატებზე, როგორც ცალკეულ სამხედრო ნაწილებზე არ ვრცელდებოდა ადმინისტრაციული კოდექსი, ამჯერად სამოქალაქო სტრუქტურაში უფრო გამჭვირვალე და საჯარო გახდება საყოველთაო გაწვევის პროცესი, საზოგადოებას საშუალება ექნება დაესწროს გამწვევი კომისიის სხდომას და საჭიროების შემთხვევაში, იჩივლოს კიდეც. ამასთან საზოგადოებას შეუძლია მოითხოვოს გასაწვევ პირთა სიების წინასწარ გამოქვეყნება, ხოლო წვევამდელებს გააცნობენ მათ უფლება-მოვალეობებს. გამოირიცხება დანაშაულებრივი ქმედება — როდესაც სამხედრო კომისარიატის წარმომადგენლები პოლიციელებთან ერთად ქუჩაში იჭერდნენ ახალგაზრდებს და ისე ასრულებდნენ გაწვევის გეგმას.

— **გამოდის, რომ თავდაცვის სამინისტრო მხოლოდ პროგრესული ცვლილებების შეტანას აპირებს კანონში „სამხედრო სამსახურში გაწვევის“ შესახებ.**

— სამწუხაროდ, არა. ახალი კანონპროექტი აუქმებს შეღავათებს იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც არსებული კანონით ეკუთვნით ჯარში გაწვევისგან გადავადება-განთავისუფლება. ამასთან აწესებს სავალდებულო გადასახადს იმ პირთათვის, რომლებსაც არ სურთ ჯარში სამსახური.

— **კონკრეტულად, რა კატეგორიის მოქალაქეებს შეიძლება გაუუქმდეთ შეღავათები?**

— უმაღლესი სასწავლებლის იმ სტუდენტებს, რომლებიც არ გადიან სამხედრო მომზადებას სამხედრო კათედრაზე და არსებული კანონით 24 წლის ასაკამდე ეკუთვნით გადავადება. აგრეთვე მათ, ვისაც ჰყავს 20 და მეტი კვირის ორსული ცოლი. ეს კი არა და, თუკი წვევამდელს დღევანდელი კანონი ერთი შვილის ყოლაზე უკვე ავტომატურად გადაუვადებდა ჯარში გაწვევას, თავდაცვის სამინისტროს მიერ შემოტანილი ცვლილების შესაბამისად, გადავადება მხოლოდ ორშვილიანებს შეეხებათ; მაგრამ, რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ახალი ცვლილებებით გაწვევას უკვე დედისერთებიც დაექვემდებარებიან.

— **საკვირველია, მაშინ როდესაც თავდაცვის სამინისტრო ყოველწლიურად მცირდება, რა აუცილებელია პოტენციურ წვევამდელთა რიცხვის გაზრდა?**

— საქართველოში ყოველწლიურად 170-180 ათასი წვევამდელი შეიძლება გამოიძებნოს. აქედან უმრავლესობას, არანაკლებ 130 ათას კაცს კანონით ეკუთვნის გადავადება. დარჩენილი 40-50 ათასიდან ყოველწლიურად სამხედრო ძალების რიგების შესავსებად 12-13 ათასი კაციც სამყოფია. მიუხედავად ამხელა არჩევანისა, თავდაცვის სამინისტროს სამობილიზაციო სამმართველო გეგმას მაინც ვერ ასრულებს.

— **რა გადასახადია გათვალისწინებული მათთვის, ვისაც ჯარში სამსახური არ სურს?**

— კანონპროექტის თანახმად, პირი, ვისაც არ სურს გაიაროს სავალდებულო სამხედრო სამსახური, ყოველწლიურად 200 ლარს გადაუხდის სახელმწიფოს, გათვალისწინებულია ერთდროულად 2000 ლარის გადახდაც, რათა მთლიანად განთავისუფლდეს გაწვევისაგან. ეს, ჩემი აზრით, არის კორუფციის დაკანონება. თავდაცვის სამინისტროს მესვეურები ფიქრობენ, რომ ამ სახით წელიწადში სახელმწიფოს 16-18 მლნ ლარს მოუტანენ, საიდანაც, სხვათა შორის, 80% თავდაცვის სამინისტროს სპეცანგარიშზე უნდა დაირიცხოს, დანარჩენი კი სახელმწიფო ბიუჯეტში შევა. ისმის კითხვა, ყოველივე ეს ნუთუ არ გამოიწვევს ჯარში სოციალურ უსამართლობას?! ჩვენ ხომ მხოლოდ იმ „ღარიბების ჯარი“ შეგვრჩება, რომლებმაც 200-ოდე ლარის თავმოყრაც ვერ მოახერხეს.

— **ამ კონკრეტულ შემთხვევაში რა მოსაზრებით სარგებლობს თავდაცვის სამინისტრო?**

— მათ გააჩნიათ ამგვარი არგუმენტი: დღევანდელ ჯარში ისედაც მხოლოდ ღარიბი ოჯახების შვილები მსახურობენ, შეძლებულები უფრო მეტ თანხას კომისარიატებს უდებდნენ ჯიბეში. რაღა მათ ისარგებლონ, არ სჯობს, ეს ფული ოფიციალურად შეიტანონ სამხედრო ბიუჯეტშიო. საინტერესოა, განა კომისარიატები იმავე თავდაცვის სამინისტროს არ ეკუთვნის? თუკი თავდაცვის სამინისტრო თავის რიგებში ვერ ამყარებს წესრიგს, რატომ უნდა გადაიხადოს ჩვეულებრივმა მოქალაქემ დამატებითი თანხა, განა საშემოსავლო გადასახადებით არ ვიხდით ჩვენ წილს ქართული არმიის შესანახად? ასეთი გადასახადების შემოღებას იმიტომაც არ ვეთანხმები, რომ ირღვევა საქართველოს კონსტიტუციის 101-ე პუნქტი, რომელშიც გარკვევით წერია, რომ ყველა მოქალაქე ვალდებულია, გაიაროს სამხედრო სამსახური.

საქართველოში, როგორც წესი, კანონებში ცვლილებების შეტანა ხშირად გარკვეული პოლიტიკური ჯგუფებისა თუ ვიწრო უწყებრივი ინტერესების გათვალისწინებით ხდება. სტატიის ავტორს ძალიან ეეჭვება, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ შემოთავაზებულმა ცვლილებებმა კანონში „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ რაიმე კარდინალური, წარმატებული შედეგი მოიტანოს. ჯარში ძალით წაყვანილი ახალგაზრდა არც მებრძოლად გამოდგება და პოტენციურ დამნაშავედ გახდომის პერსპექტივაც აქვს, თუკი სიცივითა და შიმშილით შეწუხებული ყაზარმაში ყოფნას შინ თვითნებურად დაბრუნებას არჩევს. საყოველთაო სავალდებულო სამსახურმა საქართველოში თავისი დრო მოჭამა — მწარე რეალობა თავად გვიჩვენებს, თუ რა გზით უნდა წავიდეს ქართული არმიის მშენებლობა. ჯარში მხოლოდ მსურველმა უნდა იმსახუროს და ისიც გულმოდგინე შერჩევის შემდეგ, რადგან არმიას თავისი საქმის ისეთივე პროფესიონალი სჭირდება, როგორიც საავადმყოფოს — ექიმი. საზოგადოების დაშინება, პროფესიონალურ არმიას საქართველო ვერ გასწვდებაო, დღევანდელი ზოგიერთი პოლიტიკოსის და მაღალჩინოსანი სამხედროს ერთგვარი თავდაცვის მექანიზმია. ისინი შიშობენ და ასეც იქნება, პროფესიონალურ არმიაში აღარ იქნება საჭირო თავდაცვის სამინისტროსა და გენერალური შტაბის გაბერილი შტატები და შესაბამისად, გენერლების და პოლკოვნიკების რიცხვიც მკვეთრად შემცირდება.

პროფესიონალური არმიის ჩამოყალიბების შემთხვევაში, ჩვენი აზრით, მისაღები გახდება საყოველთაო „საარმიო გადასახადის“ შემოღება, როდესაც ჩვეულებრივ მოქალაქეს ეცოდინება, რომ მის მიერ ჯარისთვის გაღებული პროცენტები ნამდვილად თავისი საქმის პროფესიონალების მომზადებასა და აღჭურვას მოხმარდება. ამის კვალდაკვალ, აუცილებელი იქნება წელიწადში არანაკლებ ორჯერ მასობრივი, ელემენტარული საცეცხლე და ტაქტიკური მომზადება, რომელსაც რეზერვისტები გაივლიან. ათასობით ადამიანი ორი-სამი დღით დიდი სიამოვნებით გავა ბუნებაში, პოლიგონზე, რათა პირველყოფილი მამაკაცური ინსტინქტი გაიხსენოს და სამიზნეს ავტომატის ერთი მჭიდი მაინც „ჩააჭედოს“.

მანამდე კი, კვლავ უსასრულოდ გაგრძელდება კუკუდამალობანას თამაში სამხედრო ნაწილიდან გაქცეული დეზერტირების დასაჭერად, რომლებსაც გაწვევის სისტემა და ყაზარმებში არსებული აუტანელი პირობები დანაშაულის ჩასადენად უბიძგებს.

# „ცისფერი ჩაფხუტების“ დახურვაზე უკრაინელებიც თანახმანი არიან, ოღონდ გაეროდან მილიონებს მოითხოვენ

მოახლოვდა 30 ივნისი და კვლავ ალაპარაკდნენ მოსკოვსა და თბილისში რუსი „ცისფერჩაფხუტიანებისთვის“ მანდატის მორიგი გაგრძელების შესახებ.

1994 წლიდან მოყოლებული, ეს პროცედურა წელიწადში ორჯერ ხორციელდება. აფხაზეთში, დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალების მანდატით შემოსული რუსეთის სამხედრო დანაყოფებისთვის ექვსი თვით ვადის გაგრძელება აქამდე დაუბრკოლებლად ხდებოდა და ეს პროცედურა ფართო საზოგადოებისთვის ნაკლებად იყო ცნობილი.

შარშან, წლის ბოლოს, ოფიციალურმა თბილისმა თითქოსდა მკაცრი პოზიცია დაიჭირა — თუკი არაფერი შეიცვალა აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების საქმეში, რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ მანდატს აღარ გავუგრძელებო. საქართველოს ხელისუფალთა მუქარა, როგორც მოსალოდნელი იყო, ცარიელ სიტყვებად დარჩა — რუსეთმა, სამშვიდობო ოპერაციის საბაბით, კვლავ განაგრძო თავისი სასიცოცხლო ინტერესების გატარება მთლიანად საქართველოში.

ამჯერადაც სავარაუდოა, რომ ბევრი არაფერი შეიცვლება მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვსა და თბილისს შორის ინტენსიური მოლაპარაკებების მორიგი რაუნდი მიმდინარეობს.

ქართული მხარე მოითხოვს, რომ სამშვიდობო ძალების მოქმედების არეალმა მთლიანად აფხაზეთის ტერიტორია მოიცვას, ხოლო გალის რაიონში საერთაშორისო ადმინისტრაცია ამოქმედდეს.

მოსკოვი, მართალია, ისმენს ქართველი დიპლომატების მოსაზრებას, მაგრამ ნაკლებად დასაჯერებელია, რეალურად გაიზიაროს იგი. რატომ უნდა აიტკივოს რუსეთის ფედერაციამ აუტკივარი თავი აფხაზეთის პრობლემატურ თემაში რაიმე ცვლილებების შეტანით, როდესაც დღევანდელი სიტუაციაც ხელს აძლევს?!



ერთადერთი პრობლემა, რომელიც შეიძლება კრემლს პატარა უსიამოვნების გრძნობას უქმნიდეს — სამშვიდობო ძალებისთვის მანდატის დროულად გაგრძელებაა. რუსეთს არ სურს, ამასწინანდელივით, მისი სამხედრო დანაყოფები რამდენიმე თვე ოფიციალური მანდატის გარეშე ანუ უკანონოდ იდგნენ აფხაზეთში. უმანდატოდ დარჩენილ რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ არ ექნებათ ოფიციალური ნება, ჩაერიონ რომელიმე შეიარაღებულ კონფლიქტში, ვთქვათ, გალის რაიონში გააქტიურებული ქართველი პარტიზანების გასანადგურებლად.

როგორც ჩანს, მოსკოვი კვლავ დაიყოლიებს თბილისს მისი სამხედროებისთვის აფხაზეთში ყოფნის მანდატის კიდევ ექვსი თვით გაგრძელებაზე, მაგრამ ქართული მხარის მოთხოვნებს დაუკმაყოფილებელს დატოვებს.

სიმართლე რომ ითქვას, ეს აბსურდის თეატრი, რაც აფხაზეთის პრობლემის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას მერვე წელია თან ახლავს, ყველას ხელს აძლევს — რუსეთს, თავისი სტრატეგიული ინტერესების გასატარებლად საქართველოსა და მთლიანად სამხრეთ კავკასიაში, გაეროს უშიშროების საბჭოს, რათა თავის მოხსენებებში იამაყოს კიდევ ერთი შეიარაღებული კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებით, პრეზიდენტ შევარდნაძეს და მის გარემოცვას, რომ დაკონსერვებულმა აფხაზეთის პრობლემამ ძალაუფლებისთვის მუდმივად ბრძოლაში ხელი არ შეუშალოს (რაღა დასამალია და, თითქმის ყველა ქართულ პოლიტიკურ ძალას თანამდებობებისთვის ბრძოლა უფრო აწუხებს, ვიდრე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა), ზოგიერთ ე.წ. პარტიზანულ დაჯგუფებას, რომელიც დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე, კონტრაბანდული იარაღითა და ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობით საკმაო მოგებას ნახულობს, აფხაზეთის დევნილობაში მყოფი აღმასრულებელი თუ საკანონმდებლო ორგანოების ბევრ წევრს.

ოფიციალური თბილისის მაღალ ეშელონებში სერიოზულად ფიქრობენ, რომ სამშვიდობო ძალების რუსების მაგივრად უკრაინული კონტინგენტით ჩანაცვლება ბევრ რამეს გამოასწორებს. მაგრამ ესეც ხავსმოჭიდებული ადამიანის პოზიციას წააგავს.

უკრაინელები სიამოვნებით ჩაენაცვლებიან რუს „ცისფერჩაფხუტიანებს“ აფხაზეთში (სხვა საკითხია, თავის ნებით წავლენ თუ არა რუსი სამხედროები ამ რეგიონიდან), ოღონდ აუცილებლად გაეროს ეგიდით. ანუ ოფიციალური კიევი გაეროსგან საჭირო და საკმაოდ მნიშვნელოვან დაფინანსებას მოითხოვს. მოისურვებს კი გაეროს უშიშროების საბჭო, რომელიც გამუდმებით გაეროს საწევროების სიმცირეზე წუწუნებს, აფხაზეთში უკრაინელ „ცისფერჩაფხუტიანებს“ ყოველწლიურად მილიონები უხადოს მაშინ, როდესაც მოსკოვი ამას თავისი ხარჯებით აკეთებს?!

UNIVERSITY
CAC
Caucasian Academy Centre
კავკასიის აკადემიური ცენტრი

**უმაღლესი სასწავლებელი CAC** (სი ეი სი)
აცხადებს მიღებას 2002-2003 სასწავლო წლისთვის
საერთაშორისო პროგრამაზე სპეციალობით:
**ბიზნესის ადმინისტრირება (მართვა),**
**სპეციალიზაციით საერთაშორისო მენეჯმენტი.**

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამა აპრობირებულია საზღვარგარეთის წამყვან უნივერსიტეტებში და უზრუნველყოფს საერთაშორისო დონის მენეჯერების მომზადებას ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხით.

ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამას უმაღლესი სასწავლებელი **CAC** (სი ეი სი) ახორციელებს აშშ, გერმანიასა და სლოვენიის პარტნიორ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის საფუძველზე.

*მისაღები გამოცდები ჩატარდება ტესტებით შემდეგ საგნებში:*

- **მათემატიკა (2 ივლისი)**
- **ქართული ენა და ლიტერატურა (4 ივლისი).**

***აბიტურიენტებმა მიმღებ კომისიაში უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:***

- **საშუალო განათლების ატესტატი (დედანი);**
- **დაბადების მოწმობის ასლი;**
- **ოთხი ფოტოსურათი 3X4-ზე;**
- **სამხედრო ბილეთი ან მიწერის მოწმობა.**

***კონკურსის საფუძველზე შეირჩევა 30 აბიტურიენტი.***

**ღია კარის დღე ჩატარდება 15 ივნისს, შაბათს, 11 საათზე.**

***საბუთები მიიღება 17 ივნისიდან 1 ივლისამდე (ჩათვლით) 10 საათიდან 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).***

**მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41;**
**ტელ.: 25 17 30 / 29 40 80**

# რისი ეშინიათ სოხუმსა და ცხინვალში?!

## მიიღებენ თუ არა მონაწილეობას ამერიკელების მომზადებული ქართველი სამხედროები ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ძალისმიერ აღდგენაში

ჯერ „წვრთნისა და აღჭურვის“ ქართულ-ამერიკულ პროგრამას სტარტი ნორმალურად არ აუღია, მაგრამ სეპარატისტული მოძრაობების ლიდერებს შიშმა დარიათ ხელი.

ცხინვალსა და, განსაკუთრებით სოხუმში, ჯერ კიდევ მოკალათებული სეპარატისტები არ გამორიცხავენ, რომ ამერიკელი ინსტრუქტორების მიერ გაწვრთნილი ქართველი რეინჯერები მათ ძალით გაძევებას მოინდომებენ.

ოფიციალურმა თბილისმა განაცხადა — საქართველოს მთავრობა „წვრთნისა და აღჭურვის“ პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ქართველ სამხედროებს აფხაზეთში ძალისმიერ ოპერაციებში არ გამოიყენებსო. ამან ძალიან გააცხარა ცხინვალის თვითმარქვია ხელისუფლება.

— თუკი აფხაზებს გარანტიას აძლევენ, ჩვენ ვისზე ნაკლები ვართო და იმედის თვალი ისევ ჩრდილოეთით, მოსკოვს მიაპყრეს.

სეპარატისტები, რომლებმაც წარმატებები (იმედი ვიქონიოთ, რომ დროებითი) სწორედ შეიარაღებული ძალის დახმარებით მოიპოვეს, ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსივით ღრუბლებში არ დაფრინავენ და მშვენივრად ხვდებიან, რომ „სტატუს-კვოს“ აღდგენა მხოლოდ ძალით შეიძლება.

სწორედ ამის გამო სერიოზულად და არცთუ უსაფუძვლოდ უფრთხიან ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების საქართველოში გამოჩენას.

მკითხველს ნუ ეგონება, რომ ამერიკელი რეინჯერები ერთ წელიწადში ყველა ქართველ სამხედროს „რემბოდ“ აქცევენ. ამას წლები და ინტენსიური ვარჯიში სჭირდება. მთავარია, რომ ჩამოყალიბდეს კარგად ორგანიზებული, დისციპლინირებული და მართვადი ბატალიონები, რომლებიც ურთიერთშეთანხმებულად წარმართავენ კონკრეტულ საბრძოლო ოპერაციას.

ორგანიზებულ და მართვად საბრძოლო დანაყოფებს კი შეეძლებათ იმის დაბრუნება, რაც უდისციპლინობისა და პანიკის გამო დავკარგეთ. სწორედ მოვლენების ამ მიმართულებით წარმართვას უფრთხიან სეპარატისტები.

ოფიციალურმა თბილისმა შეიძლება მთელ მსოფლიოში დაიფიცოს, რომ ამ პროგრამის ფარგლებში მომზადებულ ქართველ სამხედროებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაში არ გამოიყენებს, მაგრამ ზერელე ანალიზიც კმარა იმის მისახვედრად, რომ ერთ წელიწადში სწორედ ეს 1800-2000 ქართველი გახდება უკეთ მომზადებული დანარჩენ არმიასთან შედარებით და ბუნებრივიცაა, რომ მათ მოუწიოთ ცენტრის დავალებების შესრულება ქვეყნის ამა თუ იმ რაიონში შექმნილი კრიზისული სიტუაციის ჩასაქრობად.



სეპარატისტები თავიანთ კონტროლირებად ტერიტორიაზე მხოლოდ ქალებს უშვებენ. მამაკაცებს იქ დასაბრუნებლად ძალის გამოყენება დასჭირდებათ

ასე რომ, სეპარატისტებს, გინდ სოხუმში და გინდაც ცხინვალში, სრული საფუძველი აქვთ, შიშით ელოდონ ახალი ქართველი „რემბოების“ „გამოჩენას“, რომლებიც იმედია, ადრე თუ გვიან (საზოგადოებრიობის მხარდაჭერით) აღადგენენ სამართლიანობას.

თუმცა, მეორე მხრივ, აფხაზ სეპარატისტებს მშვიდი ძილის საშუალებას თავად საქართველოს პრეზიდენტი აძლევს — სანამ ცოცხალი ვარ, აფხაზეთში ომი არ იქნებაო, — აცხადებს იგი...

# ინდოეთ-პაკისტანის ბირთვულ ომს 12 მილიონი ადამიანი შეეწირება

## რადიაციული ფონი კი საქართველომდეც მოაღწევს

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს ანალიტიკური გამოკვლევების თანახმად, თუკი ინდოეთსა და პაკისტანს შორის მაინც დაიწყება ფართომასშტაბიანი ბრძოლა, იგი შეიძლება ბირთვულ ომში გადაიზარდოს, რასაც პირველ ეტაპზე შეეწირება ორივე ქვეყნის 9-12 მლნ მცხოვრები.



ჯამისა და ქაშმირის შტატებში მიმდინარე ნახევარსაუკუნოვანი შეიარაღებული დაპირისპირება ბოლო დღეებში მკვეთრად დაიძაბა. თითქმის არ წყდება საარტილერიო დუელი, არის ათობით მსხვერპლი, მაგრამ ეს არაფერი იქნება იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მალე ამ ორი აზიური ქვეყნის საზღვარზე დაიწყოს.

ამერიკულმა კოსმოსურმა სადაზვერვო თანამგზავრებმა უკვე დააფიქსირეს, თუ როგორ გადაჰყავს პაკისტანს მსხვილი, მრავალრიცხოვანი სამხედრო დანაყოფები ავღანეთის საზღვრიდან ქაშმირისკენ. არადა ავღანეთში საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაციის დაწყებისას, თეთრი სახლის თხოვნით, ისლამაბადმა თავისი ჯარებით გაამაგრა ავღანეთ-პაკისტანის საზღვარი, რათა ბინ ლადენსა და „ალ-ქაიდას“ ათასობით წევრს არ გადაელახა საზღვარი და თავი არ შეეფარებინა პაკისტანისთვის.

სამხედრო ექსპერტების მტკიცებით, ინდოეთს არანაკლებ ორი კვირა დასჭირდება ქაშმირში დამატებითი ძალების გადასასროლად. თუკი ბრძოლები ფართო მასშტაბს მიიღებს, მაშინ ინდოეთს სრული უპირატესობა ექნება როგორც ცოცხალი ძალის, ისე საბრძოლო ტექნიკის მხრივ. მკითხველმა თავად განსაჯოს: ერთმილიარდიან ინდოეთს მილიონზე მეტი ჯარისკაცი ჰყავს, ხოლო შეიარაღებაში 3444 ტანკი და 772 საბრძოლო თვითმფრინავი აქვს. ანალოგიური მონაცემები პაკისტანისთვის შედარებით მოკრძალებულია — 161-მილიონიანი პაკისტანი 620 ათას სამხედროს, 2300 ტანკსა და 353 საბრძოლო თვითმფრინავს ითვლის.

ომის დაწყების შემთხვევაში ინდოეთის არმია შეიძლება ისლამაბადის მისადგომებთან ვიხილოთ, თუმცა პაკისტანს რჩება ბოლო და უმთავრესი არგუმენტი — ბირთვული იარაღი. თუკი ოფიციალური ისლამაბადი დაინახავს, რომ მისი არმია მარცხდება, იგი დაუყოვნებლივ გასცემს ბრძანებას ბირთვული იარაღის გამოყენების თაობაზე.

სადაზვერვო ინფორმაციების თანახმად, დღეს პაკისტანს 50-მდე ბირთვული მუხტის გამოყენება შეუძლია. ვალში, ბუნებრივია, არც ინდოეთი დარჩება, რომლის შეიარაღებაში სამჯერ მეტი ბირთვული ბომბი თუ ქობინია.

აზიაში მოსალოდნელი ბირთვული ომის გაჩაღების შესაძლებლობას ისიც ამტკიცებს, რომ დასავლეთის ბევრმა ქვეყანამ გამალებით დაიწყო თავიანთი მოქალაქეების ევაკუირება პაკისტანიდან და ინდოეთიდან. პენტაგონმა სწრაფი რეაგირების დანაყოფი და სპეციალური სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავები გაგზავნა ინდოეთში თავისი დიპლომატების დაუყოვნებლივ წასაყვანად.

დღემდე ბირთვული იარაღის მქონე ქვეყნები თავს იკავებდნენ მისი გამოყენებისგან, რადგან ჰიროსიმისა და ნაგასაკის ტრაგიკული გაკვეთილები ყველასათვის შთამბეჭდავი იყო. თუ ინდოეთი და პაკისტანი მაინც გადადგამენ ამ უკიდურეს ნაბიჯს და დაიწყებენ, თუნდ მცირე მასშტაბის ბირთვულ ომს, მისგან არა მარტო ადგილობრივი მოსახლეობა დაზარალდება, არამედ რადიაცია შეიწირავს აფეთქებების ადგილიდან ათასობით კმ-ის დაშორებით მცხოვრებლებსაც.

რადიაციულ დაბინძურებას ვერც საქართველო გადაურჩება.

# შვეიცარიული „ნოგა“ რუსულ „მიგებს“ ატერორებს

ერთი წლის წინ „კვირის პალიტრამ“ საკუთარი თვალით ნახა, თუ როგორ „გამოიპარნენ“ ლე ბურჟეს საერთაშორისო გამოფენიდან რუსული თვითმფრინავები (გამანადგურებელი Су-30МКК და სავარჯიშო МиГ-АТ), რათა შვეიცარიული ფირმა „ნოგას“ წარმომადგენლების მოთხოვნით, სასამართლო აღმასრულებლებს არ დაეკავებინათ.

საქმე ის გახლავთ, რომ შვეიცარიული „ნოგასი“ მრავალმილიონიანი ვალი აქვს რუსეთის ფედერაციას, რომლის გადახდასაც ოფიციალური მოსკოვი უკვე რამდენიმე წელია, აჭიანურებს. „ნოგას“ მოთხოვნით, რუსული გემი დააკავეს საფრანგეთის ერთ-ერთ პორტში, მეორედ ეს ლე ბურჟეს გამოფენაზე ჩამოფრენილ რუსულ თვითმფრინავებსაც ემუქრებოდათ, მაგრამ რუსმა მოხელეებმა ხანგრძლივი საუბარი გაუბეს სასამართლო აღმასრულებლებს. ამით ისარგებლეს პილოტებმა და ორივე თვითმფრინავი სასწრაფოდ სამშობლოსკენ „გააცუნცულეს“.

პირში ჩალაგამოვლებულმა „ნოგას“ წარმომადგენლებმა ჭკუა ისწავლეს და წინასწარ ამემამულე კონსტრუქტორები. ამის გამო ბერლინში გამოფენაზე მოსკოვმა აღარ გაუშვა თავისი ორი თვითმფრინავი — საბრძოლო МиГ-29М2 და მსუბუქი, სამგზავრო Ил-103, რადგან ისინი სახელმწიფო საავიაციო კონცერნებს ეკუთვნოდათ და დაპატიმრება არ ასცდებოდათ. ბერლინში დაუბრკოლებლად ჩაფრინდნენ ამფიბია Бе-200, სავარჯიშო Як-130 თვითმფრინავები და საბრძოლო Ми-35 შვეულმფრენები, რადგან ისინი სააქციო საზოგადოების კუთვნილებას წარმოადგენენ და მათი დაკავების მოთხოვნის უფლება შვეიცარიული „ნოგას“ წარმომადგენლებს ნამდვილად არ ჰქონდათ.

ასე რომ, რუსეთის ავიაცია მორიგ სკანდალს კი გადაურჩა, მაგრამ რეალურად უფრო მეტი დაკარგა — ცოტა ხანში დიდ ბრიტანეთში გაიხსნება ახალი ავიაკოსმოსური გამოფენა „ფარნბორო-2002“, სადაც ალბათ კვლავ ჩასაფრდებიან „ნოგას“ მსტოვრები. გამოდის, რომ მათი შიშით რუს კონსტრუქტორებს ეკარგებათ შესაძლებლობა, საერთაშორისო სარბიელზე გაიტანონ ახალი საავიაციო ტექნიკა



მოემზადნენ ახალი საავიაციო გამოფენა ILA-2002-ისთვის, რომელიც მაისის შუა რიცხვებში ბერლინში გაიმართა. მათ განიზრახეს, ვალის ანაზღაურების მოტივით დაეპატიმრებინათ ბერლინში ჩაფრენილი რუსული სამხედრო თვითმფრინავები. ეს ამბავი რუსულმა სპეცსამსახურებმა შეიტყვეს და დროულად გააფრთხილეს თანდა რეკლამა გაუკეთონ მას.

ამასთან, ძალიან გულდაწყვეტილი დარჩა „მიქოიანის“ ფირმა — მას ბერლინში პირველად უნდა ეჩვენებინა პოპულარული გამანადგურებლის ბოლო მოდიფიკაცია — МиГ-29М2, რომლის დიდი რაოდენობით გაყიდვაზე მოსკოვი ოცნებობს.

## არსენალი

# მომავლის ჯარისკაცები ჯვაროსნების არბალეტებს ირჩევენ



ბირთვულ ხანაში, როდესაც ერთი ატომური ბომბით მოწინააღმდეგის ათასობით მებრძოლის განადგურება შეიძლება, ცოტა დაუჯერებელია, ვინმე მშვილდ-ისრებს დაუბრუნდეს. თუმცა მრავალი ქვეყნის სპეცდანიშნულების ჯგუფები დიდი სიამოვნებით იარაღდებიან ძლიერი მშვილდ-ისრებითა და არბალეტებით.

ვიეტნამის ომიდან მოყოლებული, არბალეტი მტკიცედ დამკვიდრდა ამერიკელი რეინჯერის აღჭურვილობაში. ეს შემთხვევით არ მომხდარა, რადგან თავისი უნივერსალურობითა და ზოგიერთი საბრძოლო მახასიათებლებით თანამედროვე არბალეტი კონკურენციას უწევს თვით ცეცხლსასროლ იარაღსაც.

არბალეტის უპირატესობა მისი უჩუმრად გამოყენებაა, რასაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ მტრის ღრმა ზურგში მყოფი მზვერავები და დივერსანტები. მაყუჩიანი პისტოლეტებისა და ავტომატების სროლასაც კი ახლავს გარკვეული ჩქამი, რომელსაც იწვევს რკინის დეტალების ერთმანეთზე სრიალი.

დასავლელი სპეციალისტების აზრით, 50 და 100 მ-ის დისტანციაზე არბალეტით ნასროლი ისარი მიზანში უფრო ზუსტად ხვდება, ვიდრე პისტოლეტის ტყვია. ამასთან, ისრის გაშვების საწყისი ენერგია აღემატება „პარაბელუმის“ 9 მმ კალიბრის ტყვიისას; ამიტომაც არბალეტის ისარი მომაკვდინებელ ძალას 150 მეტრზე გაფრენის შემდეგაც ინარჩუნებს.

კევლარისგან დამზადებული ჯავშანჟილეტი საშუალო სიშორიდან ნასროლ პისტოლეტის ტყვიებს აჩერებს, მაგრამ არბალეტის ისარს ვერ აკავებს, რადგან მახვილი წვერი კი არ გლეჯს კევლარის ზემტკიცე ქსოვილს, არამედ ძაფებს აშორიშორებს და ისე იკვლევს „გზას“ სიღრმისკენ. ასე რომ, მარტო კევლარის ჯავშანჟილეტი (თუ მას დამატებით არ უყენია ტიტანის ან კერამიკის დამცველი ფირფიტები) ვერაფერი დამცველია არბალეტის ისრისგან.

ამერიკელი რეინჯერები შეიარაღებულნი არიან რამდენიმე სახის — კოლიმეტრული, ოპტიკური თუ ლაზერული სამიზნე მოწყობილობებით აღჭურვილი მსუბუქი დასაკეცი არბალეტებით.

არბალეტის საბრძოლო მარაგი 3-6 ისარია. თავად ისრებს მარტო მოწინააღმდეგის გუშაგის უჩუმრად მოსახსნელად როდი ხმარობენ. ალბათ გახსოვთ, სილვესტერ სტალონეს მიერ განსახიერებული ყოვლისშემძლე გმირი რემბო, რომელიც არბალეტის ისრებით შვეულმფრენებს აფეთქებდა.

და ეს არ გახლავთ მხოლოდ მძაფრსიუჟეტიანი სათავგადასავლო ფილმების ავტორთა ფანტაზიის ნაყოფი. არბალეტით მართლაც შეიძლება შვეულმფრენის ჩამოგდება ან მსუბუქად შეჯავშნული საბრძოლო მანქანის აფეთქება.

ამისთვის არბალეტის ისრებს ჩვეულებრივი მახვილი წვერის ნაცვლად ფუგასურ, ცეცხლგამჩენ თუ კუმულატიურ ჭურვებს უკეთებენ, რომლებიც სამიზნეზე დაჯახებისას ფეთქდებიან.

როგორც სტატიის დასაწყისში აღვნიშნეთ, არბალეტებს, გარდა წმინდა საბრძოლო დანიშნულებისა, დამხმარე ამოცანების გადასაწყვეტადაც იყენებენ, დაახლოებით ისევე, როგორც შუა საუკუნეებში ჯვაროსნები ხმარობდნენ.

ისრით შეიძლება ბაგირის მდინარის ერთი ნაპირიდან მეორეზე გადასროლა, შემდეგ მისი დაჭიმვა და მდინარის ასეთი საშუალებით გადალახვა.

მოწინააღმდეგის ღრმა ზურგში გადასროლილი სადაზვერვო-დივერსიული ჯგუფი ასეული კმ-ით დაშორებულ ცენტრთან რადიოკავშირზე გასვლის წინ რადიოსადგურის ანტენას არბალეტის ისრით ყველაზე მაღალი ხის კენწეროზე შეაგდებს, რათა ორმხრივი რადიოკავშირი უფრო შორ მანძილზე განხორციელდეს.

ტყეში მყოფ მშიერ მზვერავებს არბალეტის საშუალებით შეუძლიათ უხმაუროდაც ინადირონ და ტყვია-წამალიც დაზოგონ.

სპეცსამსახურები არბალეტებს ცოტა სხვა მიზნითაც იყენებენ — თუკი მათთვის საინტერესო პიროვნებასთან მიახლოება შეუძლებელია, მის ახლომახლო არბალეტით ისვრიან სპეციალური ფორმის მიკროფონს და ისე უსმენენ.

არბალეტი, ისევე როგორც დანა, ამ საუკუნეშიც დარჩება სპეცდანიშნულების რაზმების შეიარაღებაში, როგორც განსხვავებული ამოცანების შესასრულებელი იარაღის სახეობა.

ქართველ რეინჯერებს არა აქვთ საჭირო რაოდენობის მაყუჩიანი, საშუალო სიშორეზე მსროლელი უხმაურო იარაღი, ამიტომ რამდენიმე საბრძოლო არბალეტი ნამდვილად არ აწყენდათ.

***რუბრიკა მოამზადა ირაკლი ალადაშვილმა***

# რაო, საქმე რომ არ გამოვიდეს, მე უნდა მომკლათ?!

**ამბავი ამერიკული „ჰეფი ენდით“ უნდა დასრულებულიყო, მაგრამ სავალალო, ქართული ფინალი ჰქონდა...**



გარეთ კი ირიჟრაჟა, მაგრამ გამოქვაბულში ჯერ ისევ ბნელოდა. წუხანდელი გრიგალის შემდეგ მის ბინადართ, როგორც იყო, ჩასძინებოდათ. მზის ამოსვლამდე ძილს მიუჩვეველი ღამურები ფხიზლობდნენ მხოლოდ. მართალია, კაცი თავისი მოშვებული წვერითა და ბაჯბაჯა სიარულით ერთი შეხედვით დიდად არ განსხვავდებოდა ამ ადგილებში მომრავლებული ტყიურებისაგან, მაგრამ ქალი ნამდვილი ზღვის ქაფიდან ამოსული აფროდიტე გახლდათ. აგერ, მზის პირველი სხივიც დაეცა, მაგრამ ქალ-ვაჟს წუხანდელი კოშმარის შემდეგ მკვდრებივით ეძინათ. ჯერ იყო და, იქ, ტრასაზე თითქმის ჩაეშალათ ჩანაფიქრი. იმ მანქანამ, რომელსაც ელოდებოდნენ, იმდენად დაიგვიანა, ცოტაც და ალბათ ხელს ჩაიქნევდნენ განზრახულზე. მერე შუაღამე რომ მოახლოვდა, მხოლოდ მაშინღა აინთო სოფლის განაპირა ეზოში მდგარი მათი საკბილოს ფარები. აქედან ხელისგულივით ჩანდა სოფელიც და ის ეზოც, რომელსაც აგერ უკვე მერამდენე ღამეა ამაოდ უთვალთვალებდნენ. გუშინ შეიტყვეს, რომ თბილისელი ბანკირის ბიჭი, ამ მივარდნილ სოფელში შორეული ნათესავის მეგობართან რომ იმალებოდა ქალაქში გახმაურებული მკვლელობის შემდეგ (რომელშიც „დიდი წვლილი“ მიუძღოდა), ამაღამ აპირებდა თავისი საყვარლის მონახულებას. გვიანი იყო და მით უკეთესი დამხვდურებისათვის. ტრასაზე მანქანების მოძრაობა თითქმის შეწყვეტილიყო და ეს აიოლებდა საქმეს. ის იყო, მანქანამ სოფლიდან გამოაღწია, მერე მათკენ გამოუხვია, რომ უცებ თეთრკაბიანი ქალის ფიგურა მოლანდებასავით აესვეტა წინ. ძლიერი ქარის გამო კაბა ისე შემოტმასნოდა ტანზე, სხეულის ყველა ნაკვთი უჩანდა. ბიჭმა იფიქრა, ქალს დანატრებულს ალბათ მეჩვენებაო, მაგრამ უმალვე მიხვდა, რომ არ ცდებოდა. მანქანა თითქოს თვითონ გაჩერდა... ზედ ქალის ფეხებთან. მერე ქალმა წინა კარი გამოაღო და ზომაზე მეტად მოშიშვლებული მკერდით შეანათა ავტომანქანის სალონში, რომელშიც კარის გაღებისთანავე აინთო შუქი.

— თუ ძმა ხარ, აქაურობას გამაცილე, — მოკლედ მიუგდო მძღოლს და ნებართვას არ დალოდებია, ისე მიუჯდა გვერდით. სისხლი აემღვრა ბიჭს. კვირაობით ქალს დანატრებული კაცი, მკვლელობისათვის მთელი რესპუბლიკის პოლიცია რომ ეძებდა, ხანდახან, გვიან ღამით თუ მიაკითხავდა ხოლმე ნაცნობ „პუტანკებს“ და ისიც შიშის კანკალით, ე მანდ პოლიცია არ დამაყენონ თავზეო, ახლა ანგელოზივით გოგოს ქათქათა მკერდს მისჩერებოდა. ამ ვაშლის მოწყვეტას მხოლოდ ხელის გაწვდენაღა უნდოდა...

— საზიზღარი, ამხელა გზაზე წამომიყვანა აქ, სოფელში, თვითონ სუფრასთან გამოტყვრა, მე კი ძინძგლიან მასპინძელს შემატოვა ხელში, — კითხვას აღარ დაელოდა, ისე განაგრძო ქალმა.

— მერე? — ჰკითხა მოულოდნელობით პირდაღებულმა ვაჟმა.

— მერე ავდექი და წამოვედი. ახლა ალბათ ლოგინში მეძებს ის პირუტყვი, მაგრამ ჯერ ისე არ დავხურდავებულვარ, კაცი თუ არ მომეწონა, მის გვერდით დავწვე...

— ჩემისთანაზე უარს იტყოდი? — ჯიქურ ჩაჰკითხა და მუსიკა ჩართო ბიჭმა.

— სხვა დროს იქნებ უარი მეთქვა, მაგრამ ახლა სხვა გამოსავალი რომ არ მაქვს, ვატყობ, — უმწეო კრავივით ააფახულა თვალები გოგომ.

— მაშინ მივბრუნდეთ სოფელში, იქ სახლიცა მაქვს და ქათქათა ლოგინიც.

— არა, არა, ლოგინი დიდ დროს წაიღებს. მინდა შემთხვევით ვისარგებლო და ისე შევძვრე სახლში, ჩემიანებმა ვერაფერი გაიგონ. ასე უფრო ნაკლები უსიამოვნება მელის. ჯობია აგერ იქ შეუხვიო, ყანაში, იმედია, ამ შუაღამისას არავინ გამოვა სათოხნელად.

მანქანამ ცოტა კიდევ გააგრძელა გზა, მერე მარჯვნივ ნახევარწრე მოხაზა და გზისპირა ჩამწკრივებული ხეების იქითა მხარეს, ყანაში გაჩერდა თუ არა, ქალის თანამგზავრი ველოსიპედს გადააჯდა და რამდენიმე წუთში თავს წაადგა სიყვარულით გახელებულ წყვილს. ეს ისე სწრაფად გააკეთა, რა დასამალია და ბიჭის გარეგნობით მოხიბლულ ქალს ეწყინა კიდეც. ამ მამაცხონებულს ცოტა რომ ეცლია, დავარცხნილ-დაბანილ მამაკაცებზე დანატრებულ ვნებასაც დავიცხრობდიო, ფიქრობდა გულდაწყვეტილი. თუმცა ისიც იცოდა, რომ ამ ღამით უფრო მნიშვნელოვანი საქმე კეთდებოდა და ვნების აყოლის უფლება არ ჰქონდა. მერე ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც დეტექტიურ მოთხრობებშია აღწერილი. მანქანის კარი გაიღო და ჯერ ნაგანის ლულა გამოჩნდა, შემდეგ ბაჯბაჯას წვერგაუპარსავი სიფათი. გოგო მაშინვე გაუჩინარდა, უფრო სწორად, ველოსიპედს გადააჯდა და გამოქვაბულისაკენ აიღო გეზი. კაცებმა რამდენიმე წუთს იძიძგილავეს. მანქანის პატრონმა იარაღზეც გაიკრა ხელი, მაგრამ ბაჯბაჯამ აშკარად დაჯაბნა ღონით. იარაღიც აართვა, საიმედოდაც გათოკა, მერე ტყვე იქვე, მეორე გამოქვაბულში მიწიდან ამოზრდილ სველ სტალაგმიტზე მიაბა და იმ გამოქვაბულს მიაშურა, სადაც ქალი ელოდა.

## ბუნაგი

ივლისი იდგა. ყველაზე ცხელი თვე საქართველოში, მაგრამ აქ, მდინარის ამ ნაპირზე, ღამით კლდეები ისე ცივდებოდა, დილით გვარიანად აკანკალებდათ გამოქვაბულის ხიზნებს. ახლაც სიცივემ გამოაღვიძა ორივენი. ქალმა ქურთუკი წაიფარა ზემოდან, ბიჭმა კოსტიუმი. მერე ორივე გამოქვაბულის ჭერს მიაშტერდა. ერთიანად დაეფარათ ღამურებს მღვიმის თავანი. სამაგიეროდ, იატაკი ისე მოწესრიგებული ჩანდა, აშკარად ეტყობოდა ქალის ხელი. ერთ მხარეს პატარა გაზქურასა და კონსერვის ქილებს დაეკავებინა შვერილი, მეორეზე „ბორჯომისა“ და „კოკა-კოლის“ ბოთლები ჩაემწკრივებინათ. გამოქვაბულის ვიწრო შემოსასვლელს ნეკერჩხლის ტოტები ფარავდა. იმის იქით კი ისეთი ფლატე იწყებოდა, თოკის გარეშე დაშვება შეუძლებელი იყო. გელას (მოქმედი პირების სახელები შეცვლილია გარკვეული მოსაზრებების გამო) ადრე ალპურ სექციაში ევლო და ძველი გამოცდილების წყალობით „დაიპყრო“ ეს გამოქვაბული. მას შემდეგ, როცა ღამღამობით დაბლა ეშვებოდნენ, თოკის ბოლოს რომელიმე ხის კენწეროზე აბამდნენ, მერე კი უკან დაბრუნებულები მისი დახმარებით გამოქვაბულში ავიდოდნენ, თოკს აიტანდნენ და მთელი დღის მანძილზე გარეთ არ იხედებოდნენ. პოლიცია გელას ყაჩაღობასა და ძარცვისათვის ეძებდა, ხათუნას კი ქმრის მკვლელობა ედებოდა ბრალად. მართალია, ადრე სხვადასხვა ჯგუფთან „თანამშრომლობდნენ“, მაგრამ მას შემდეგ დაწყვილდნენ, როცა შემთხვევით აღმოაჩინეს, რომ ერთ ბედქვეშ ყოფილან ორივენი. ამ კატეგორიის ხალხში ერთმანეთის წარსულში კირკიტი მიღებული არ არის, მაგრამ კაცმა ერთხელ მაინც ჰკითხა ქალს, ქმარი რატომ მოკალიო.

— რომ გაიგო, ვიპარავდი და არც მსხვილ საქმეებზე ვამბობდი უარს, ცემა დამიპირა და ვერ მოვზომე. ვიფიქრე, ცოტათი ვუჩხვლეტ-მეთქი დანით, მაგრამ ძიძგილაობაში ტარამდე გავუყარე ფერდში თურქული ბებუთი. კიდევ კარგი, შვილი არ დაგვრჩენია, თორემ ალბათ თავს მოვიკლავდი. ახლა კი რა ვიცი რა მელის. ჯანდაბას ყველაფერი, რაც მოსახდენია, მოხდეს. თუ ფულს მოვუყარე თავი, უცხოეთში წავალ, საქართველოდან შორს. აქ ცხოვრების უფლება თვითონვე ჩამოვართვი საკუთარ თავს...

ამ დილით, როგორც კი გამოერკვა, მობილური მოიძია გელამ. ეს აპარატი ტყვეს ჰქონდა ჯიბეში და ამით ერჩია მისიანებისთვის დაერეკა გამოსასყიდის შესახებ. გამოცდილმა რეციდივისტმა ისიც იცოდა, რომ ამგვარ ზარს ადამიანის გატაცებიდან რამდენიმე დღის შემდეგ უფრო მეტი ეფექტის მოხდენა შეეძლო, მაგრამ ამჯერად საქმე ისეთ შეძლებულ ოჯახთან ჰქონდა, ალბათ ბევრი იწილობიწილოს გარეშე შეძლებდა გამოსასყიდის აღებას. ტყვე საიმედო ადგილზე გადამალა, საქმეს კარგი პირი უჩანდა. თუმცა ერთი რამ უღრღნიდა გულს, პოლიციისგან თვითონ ძებნილმა ასევე ძებნილი მოიტაცა და ახლა გამოსასყიდი უნდა აეღო. შავი სამყაროს კანონებით ეს მიუღებელი იყო, მაგრამ იმ ქვეყანაში, სადაც არც ერთი კანონი არ კანონობდა, რაღა მაინცდამაინც შავების კანონს უნდა ეკანონა.

— ალო! გიო, შენა ხარ, შვილო, — შეშფოთებული ქალის ხმა გაისმა აპარატში. როგორც ჩანს, დედამ შვილის ტელეფონის ნომერი იცნო — ხომ შევთანხმდით, რომ მხოლოდ ნოდარის საშუალებით დაგვიკავშირდებოდი. განა არ იცი, რომ შეიძლება გვისმენდნენ?

— ახლა საყვედურების დრო არ არის, ქალბატონო. თქვენი გიო აგერ მყავს გაკოჭილი. ახლა მაგას საყვედური კი არა, პატრონობა სჭირდება!

— ვაიმე, მოუკვდეს დედა. უკვე დაიჭირეთ? სადა გყავთ, რომელი რაიონის პოლიციიდან მირეკავთ?

— პოლიციიდან არა, პროზექტურიდან გირეკავთ. თუ ორ დღეში ორ მილიონ დოლარს არ გადაიხდით, აქედან მკვდარს წაასვენებთ იცოდეთ. ორ დღეში, ესე იგი, დღეს და ხვალ. ზეგ დილით თქვენი შვილი მიქელ-გაბრიელის გზას გაუყვება, თუ ფულს არ მივიღებთ... გესმის? — ... და ტელეფონი გაითიშა.

## გამოსავლის ძიებაში

რა უნდა ექნა, ბატონ მირიანს. სულ იმას გაიძახოდა, არ ვიცი ჩემი შვილი თავს სად აფარებსო და ახლა როგორ განეცხადებინა პოლიციაში, რომ მისი შვილი ისეთივე ბანდიტებმა გაიტაცეს, როგორიც თვითონ იყო. მამის ფულით გაზულუქებული ერთხელ გადარჩა დაჭერას, მეორედ, მესამედ, მეათედ. მერე წვრილმანი ხულიგნობა ბოროტში (არის ასეთი კვალიფიკაცია სისხლის სამართლის კოდექსში) გადაიზარდა, წალმა-უკულმა ისროდა პისტოლეტს. ხან პეტრე დაჭრა, ხან პავლე. ყველას ფულით აჩუმებდა ბატონი მირიანი. მერე ვილაცის უწლოვანი გოგონა გააუპატიურა. ჯერ ერთი, მერე მეორე, მეხუთე, მაგრამ მირიანის ფული მათ პატრონებსაც თაფლავდა. ამ ბოლო დროს კი, როცა არაფრისათვის მოკლა ახალგაზრდა კაცი, რომლის მამასაც მირიანზე ნაკლები ფული როდი ჰქონდა, პირველად დადგა გიო დაპატიმრების საფრთხის წინაშე და მაგრადაც მოიკუნტა. მაგრამ პოლიციის ნაცვლად შავი სამყაროს ხალხი თუ მოიტაცებდა, ნამდვილად ვერ წარმოედგინათ ვერც თვითონ და ვერც მის მშობლებს. მეორე დღეს ისევ დარეკა ტელეფონმა. ხვალ საღამოს ან ფულს მოიტან, ანდა იმ მოკლული ბიჭის მამას დავურეკავ, რომელიც გამოსასყიდსაც გაიღებს და ამასაც ბოლოს მოუღებსო, — უთხრეს ბატონ მირიანს და გიოს ზლუქუნიც მოასმენინეს, ხბოსავით რომ ბღაოდა — მამა, მიშველე, თორემ აქ კოლოები შემჭამენო!

კაცმა რომ თქვას, მირიანი დაღალა მუდმივად შვილის გადარჩენაზე ფიქრმა. ამჯერად ის უფრო საკუთარი რეპუტაციის გადარჩენაზე ფიქრობდა. სადაცაა ქალაქის ერთ-ერთ პრესტიჟულ უბანში მისი ახალაშენებული სახლის, როგორც ახლა უწოდებენ, პრეზენტაცია უნდა გამართულიყო, სადაც მთავრობის თითქმის ყველა წევრი ჰყავდა მიწვეული. როგორ უნდა გაემხილა, რომ ვიდრე ის ჰუმანიტარული დახმარებებიდან და უცხოური გრანტებიდან ნაქურდალი ფულით ამ სარკეებიან დარბაზებს, შადრევნებს და აუზებს აკეთებდა, მისი შვილი საკუთარი ჟინის დასაკმაყოფილებლად ათობით ოჯახს ამწარებდა.

ბოლოს და ბოლოს, 600.000 დოლარს მიუყრიდა გამტაცებელს. მოილაპარაკეს, სად და რა დროს უნდა მიეტანა ფული.

— დეტალებზე, ადგილზე რომ მოხვალ, მერე მოვილაპარაკებთ. მობილური ტელეფონი თან იქონიეო, — უთხრეს და საღამომდე დაემშვიდობნენ. გელამ ახლა გიოსგან მოკლული ბიჭის მამას დაურეკა. თუ ერთ მილიონ დოლარს გადაიხდი, შენი შვილის მკვლელს გაბაწრულს ჩაგაბარებო, უთხრა. ისევ გაეხსნა ჭრილობა მოკლულის მამას. ისევ იფეთქა შურისგების წყურვილმა და — ნახევარ მილიონს დღესვე ვიძლევი, ოღონდ ჯერ საქონელი და მერე ფულიო, ჩასძახა ყურმილს.

საღამოს ხუთ საათზე ტრასაზე გამოდით. თქვენ მანქანაში ჩაგიჯდებათ ახალგაზრდა ქალი. ის იქნება თქვენი მძევალი, ვიდრე შვილის მკვლელს არ ჩაიბარებთ.

— მოდი, ასე გავაკეთოთ, — შესთავაზა გამწარებულ მამას გელამ, — საღამოს ხუთ საათზე ტრასაზე გამოდით. თქვენ მანქანაში ჩაგიჯდებათ ახალგაზრდა ქალი. ის იქნება თქვენი მძევალი, ვიდრე შვილის მკვლელს არ ჩაიბარებთ. თუ ხელს გაძლევთ ჩემი პირობა ესაა, თუ არა და...

— კარგი, კარგი. თანახმა ვარ. ოღონდ ჩემს ნაცვლად სხვები მოვლენ. მე ის მითხარით, ფული როგორ გადმოგცეთ, — იყო პასუხი.

ფულის გადაცემის ტექნოლოგია კი ასეთი იყო: გამოქვაბულიდან ნახევარი კილომეტრის დაშორებით, იქ, სადაც ხეობა ვიწროვდებოდა, ამ დღისათვის საგანგებოდ მოწყობილ ნიშნულთან უნდა მისულიყვნენ გელას კლიენტები. გელა ამ დროს მდინარის პირას, ლელიანში იქნებოდა მიმალული და სიტუაციისდა მიხედვით გასცემდა განკარგულებებს.

დათქმულ საათზე ხეობის ორივე მხარე საგულდაგულოდ შეამოწმა. რაკი დარწმუნდა, რომ „კლიენტები“ ადგილზე იყვნენ, ინსტრუქციის მიცემა დაიწყო: თქვენგან მარცხნივ მოზრდილი ხე რომაა, აი, იმ ხეს გამობმული აქვს ძუა. მასზე კი პატარა კონტეინერია მიმაგრებული. ფული იქ ჩადეთ, მაგრამ ჯერ არ აუშვათ, გასაგებია?

— გასაგებია, მაგრამ ზონარმა რომ ვერ გაუძლოს და გაწყდეს?

— ნუ გედარდებათ, მაგ ზონრით ორმოცკილოიანი ლოქო ამომიყვანია მდინარიდან. დამელოდეთ!

— ბატონი ბრძანდებით, — იყო პასუხი. ეს გიოს მამა მირიანი გახლდათ, რომელმაც კარგა ხანს იორჭოფა, ვაცნობო თუ არა პოლიციასო, მაგრამ მაინც მარტო მისვლა გადაწყვიტა. ასე რომ, ამ მხრივ გელას არაფერი ემუქრებოდა. სულ სხვა მდგომარეობა იყო ფერდობის მეორე მხარეს. მოკლულის მამას შვილის მკვლელის განადგურება ჰქონდა ჩაფიქრებული და პოლიცია არც მას მოუწვევია. ნახევარი მილიონი დოლარი, გელასთვის რომ უნდა გადაეცა, ხელში ეჭირა პატარა ჩანთით, მეორე ნახევარი კი ამ საქმეში გამოცდილ ერთ სანდო კაცს გადასცა და დახმარება სთხოვა. იმ კაცმა კი ექვსი ქილერი იქირავა, თითო ორმოცდაათი ათასად და პროგრამა გააცნო. თუ ფულის გადაცემის შემდეგ მკვლელს არ ჩააბარებდნენ, მძევალი ქალი, ანუ ჩვენთვის ნაცნობი ხათუნა უნდა მოეკლათ.

## შურისძიება

ჩვეულებრივი „ჟიგული“, რომლის მსგავსი ათასობით დაქროდა ამ საავტომობილო გზაზე, ზუსტად დათქმულ დროს მივიდა დანიშნულ ადგილზე. თითქმის მაშინვე თითქოს ღრუბლებიდან გადმოეკიდაო, ჩვენი ნაცნობი ფერია გამოკეკლუცდა. მანქანის ნომერს დახედა და მოსხლეტით ჩაეშვა უკანა სავარძელში. მანქანაში ორნი ისხდნენ, ახალგაზრდა, ასე ოცი-ოცდახუთი წლის მძღოლი და მისი თანამგზავრი, რომელიც მძღოლის გვერდით მოკალათებულიყო.

— რაო, საქმე რომ არ გამოვიდეს, მე უნდა მომკლათ? — ისე გულუბრყვილოდ იკითხა ქალმა, ბიჭები გაშეშდნენ. ლამაზი ქალით აღფრთოვანებულები მხოლოდ ახლა გამოერკვნენ, რომ გარიგება სწორედ მის მოკვლას ითვალისწინებდა პირველი პირობის, ანუ მკვლელის გადაცემის ჩაშლის შემთხვევაში. არა, კაცის კვლა მათთვის უცხო ხილი არ იყო. სისხლის გემო მათ ჯერ აფხაზეთში, შემდეგ კი გვარდია-„მხედრიონის“ დაპირისპირების დროს გაიგეს, მაგრამ ქალის სისხლში ჯერ ხელი არ გაუსვრიათ, ახლა კი? არა, ამაზე მგონი არ უნდა დათანხმებულიყვნენ, მაგრამ რა იცოდნენ, თუ ასეთ მომხიბლავ არსებასთან ექნებოდათ საქმე. თუმცა იქვე იძალა პროფესიულმა თავმოყვარეობამ და წუთის შემდეგ ისინი ლამაზ ქალს კი არა, სასიკვდილოდ განწირულ მსხვერპლს უყურებდნენ თვალებში.

— კი, თუ პირობა დაირღვევა, ნამდვილად მოგკლავთ, — „დაამშვიდა“ ერთმა მათგანმა.

ახლა ფერდობის მეორე მხარეს დარეკა ტელეფონმა და ზუსტად იგივე გაუმეორა, რაც პირველს.

— ხეზე მიბმულ ზონარზე დაკიდებულ კონტეინერში ჩადეთ ფული და დააცურეთო. ორივე მხრიდან, ზუსტად ერთსა და იმავე დროს დაეშვა დოლარებით გაძეძგილი კონტეინერები. მოტოციკლეტით მიწას გართხმული გელა ისე მოიხიბლა ამ სანახაობით, რომ ლამის სიხარულით ეყვირა. დიახ! ზეიმობდა თავისი დადგმული სპექტაკლის წარმატებას. მან საუცხოოდ გაართვა თავი რეჟისორის მოვალეობას და ახლა აგერ, მარჯვნიდან თუ მარცხნიდან მისკენ მოექანება დოლარებით სავსე ორი კონტეინერი. ეს კი საქართველოდან შორს, უცხოეთში უზრუნველად ცხოვრებას ნიშნავდა. მილიონ ასი ათასი დიდი ფულია, მაგრამ ამის ნახევარს ნამდვილად ვერ მისცემს ხათუნას. ამ დილით თავისთვის, უთქმელად გამოეთხოვა ქალს და ოპერაციის გამართლების შემთხვევაში სამომავლო გეგმაც დასახა. ამ გეგმაში კი ხათუნასთან დამაკავშირებელი არც ერთი პუნქტი არ მოიაზრებოდა. ვიდრე კონტეინერები ლელიანს მიაღწევდნენ, მხარეებს პატიოსნად მიუთითა დაბორკილი მკვლელის ადგილსამყოფელი, მოტოციკლი დაქოქა და უკანა ბორბალზე მიმაგრებული ჯერ ერთი ზონარი გადაჭრა, შემდეგ მეორე. ფულით სავსე კონტეინერები მის ფეხებთან დაცვივდა. წამში ორივე ერთმანეთს გადააბა, მოტოციკლზე ხურჯინივით გადაჰკიდა და მთელი ძალით გაიჭრა წინ...

მერჩია აქ დამემთავრებინა თხრობა. ტიპური ამერიკული ფინალი გამოვიდოდა, ან რომელიმე ავსტრალიური ხომალდის გემბანზე ამეყვანა გაპარსულ-გალამაზებული, სმოკინგში გამოწყობილი ჩვენი გელა, რომელიც თურმე არც ისე ბაჯბაჯა ყოფილა, როგორც იქ, გამოქვაბულში ჩანდა. მის გვერდით იქნებოდა ულამაზესი ქალბატონი ხათუნა. წყვილი სულ მალე მეოთხე კონტინენტს დაადგამდა ფეხს და სამუდამოდ დაივიწყებდა წარსულს.

მაგრამ ეს ამბავი ამერიკაში არ მომხდარა. ეს ამბავი ქართული სავალალო სინამდვილეა და მოდით, ჩვენც ქართულად დავამთავროთ, ანუ შელამაზების გარეშე.

გამოქვაბულის შესასვლელში ორი მტრული ბანაკი ერთმანეთს გადაეყარა და ურთიერთსროლა მანამ არ ჩაცხრა, ვიდრე სამი კაცი, მათ შორის მძევლად აყვანილი გიოც არ მოკლეს. მერე დაღუპულები დიდხანს მიჰქონდა მტკვარს და აზერბაიჯანში თაუზთან ორი მათგანი შემთხვევით იპოვა ერთმა იქაურმა მწყემსმა. ექსპერტიზამ ვერაფერი დაადგინა. გვამები ისე დაეხრათ თევზებს, მხოლოდ ჩონჩხილა ამოიღეს წყლიდან. მესამესი ჩონჩხიც არავის უძებნია. უპატრონო, ამოუცნობი მკვდრების იარლიყით დაკრძალეს ორივენი თაუზის მახლობლად. თუმცა დანამდვილებით არავინ იცის, მათი იყო თუ არა ოდესღაც ადამიანის ეს საბრალო ნარჩენები. გელა კი იმ საღამოსვე დააკავეს ბათუმში (რისი მოწმეც თავად გახლდით), მას შემდეგ, როცა კაზინოში ორმოცდაათი ათასი დოლარი წააგო. ხათუნა კი დღესაც ერთ-ერთი ქილერის საყვარელია და ჩემი ინფორმაციით, არალეგალურად ცხოვრობს სადღაც, თბილისის გარეუბანში.

**ვაჟა გავაშელი**

# „საბაჟოსაც მოვატყუებ, საგადასახადოსაც და სერტიფიკაციის ორგანოებსაც, მერე დავსხდეთ და ვიცინოთ“

(დასაწყისი იხ. გვ. 6)

**— არ შემიძლია. სიტყვა მივეცი, რომ მის ვინაობას არ გავამხელდი — რესპონდენტისთვის მიცემულ პირობას ვერ დავარღვევ.**

— რომ იცოდე, იმ კაცს რას ვთავაზობ და რა სარგებელს მიიღებს, თვითონ გისაყვედურებდა, რომ არ შემახვედრე. — არ შემიძლია. აგერ დიქტოფონი, რასაც შესთავაზებ, თქვი და მას მოვასმენინებ. თუ გადაწყვიტა, რომ ეს მისთვის ხელსაყრელია, ალბათ დაგიკავშირდება.

უცნობ მამაკაცს სხვა გზა აღარ ჰქონდა, ამიტომ ჩემს წინადადებას დათანხმდა.

— როგორც ჩანს, მაგ ჭუჭულას მართლაც სასწაულმოქმედი ფხვნილი გამოუგონია. კაცურად გენდობი და გეტყვი, ბენზინის იმპორტიორი ვარ. ჩემს ხალხს ბენზინი აზერბაიჯანიდან და რუსეთიდან შემოაქვს. თუ მაგ კაცს შეუძლია, დაბალოქტანური მარკის ბენზინი რამდენიმე საათით მაღალოქტანურ საწვავად აქციოს, მით უმეტეს, მაღალხარისხოვან „სუპერს“ რამდენიმე საათით დაბალოქტანურადაც აქცევს. იცი, უკუღმა რეაქცია რისთვის მჭირდება? მაგალითად, აზერბაიჯანიდან „სუპერს“ წამოვიღებ, საბუთებში 76 მარკისას ჩავაწერინებ და როცა საზღვარზე, საბაჟოზე გადმოვალ, მაშინ ჩავატარებინებ იმ შენს ჭუჭულას „ფოკუს-მოკუსს“, ცოტა ხნით ოქტანობას დავაწევინებ, ხომ მიხვდი?! „სუპერი“ ძვირი ღირს, შესაბამისად, მასზე საბაჟო მოსაკრებელიც მეტია, რა თქმა უნდა, აქციზიც, ხოლო „სემდესიატშესტოი“ ნაკლები ღირს და ნაკლები თანხით იბეგრება. ამით საბაჟოსაც მოვატყუებ, საგადასახადოსაც და სერტიფიკაციის ორგანოებსაც ზედ მივაყოლებ, თავიანთი ლაბორანტებიანად. მერე დავსხდეთ და ვიცინოთ. არც თქვენ არ დაგტოვებთ უპატივცემულოდ და ყოველთვიურად, თუ ჩემმა მოფიქრებამ და ჭუჭულას გამოგონებამ გაამართლა, სოლიდურ თანხას მოგართმევ. თქვენ რომ არ მითხრათ მისი მისამართი, იცოდეთ, ქვეყანას ავაწრიალებ, მთელ შინაგან საქმეთა სამინისტროს „ძაღლებს“ დავგეშავ და იმ ჭუჭულას, მიწაში რომ ჩაძვრეს, მაინც ვიპოვით. ამიტომ კაცურად გთხოვ, ნუ გაგვაწვალებ. მარტო ის უბანი და ქუჩა დაგვისახელე, სადაც ცხოვრობს. სამაგიეროდ, ისეთ ხალხს გაგაცნობ, რომელთა გაცნობასა და მათთვის „გამარჯობის“ თქმაზე ხალხი ოცნებობს.

**— კი, მაგრამ საბაჟოს თანამშრომლებისა და საგადასახადო სისტემის ხალხის მოსყიდვა ასე ძნელია? ამდენი ჩალიჩი რაში გჭირდება?**

— რომ იცოდე, რა მადის და გაქანების ხალხი მუშაობს მაგ უწყებებში. მაგათ გამყიდეს თუ გამყიდეს. მაგალითად, მოველაპარაკები საბაჟოს ხალხს და შემოვიტან „სუპერის“ მარკის ბენზინს, რომელიც საბუთებში, რა თქმა უნდა, 76 მარკის საწვავადაა გაფორმებული. გადავიხდი არაოფიციალურ „სტავკას“, მაგრამ მერე მებაჟეები საგადასახადოში გვიშვებენ და იქაც გვწეწავენ. თუ ძმა ხარ, ხასიათი გამისწორე და მე ვიცი და ჩემმა კაცობამ.

თუ დაინტერესდები, საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის მონაცემებით, ძირითადად, მხოლოდ ან 72, ან 76 მარკის ბენზინის იმპორტირება ხდება; ხოლო მაღალხარისხოვანი საწვავი თითქოს საქართველოში არ შემოდის. არადა შეიძლება „მერსედესებით“ და „ვოლვოებით“ გავსებულ ქალაქში მხოლოდ დაბალი ხარისხის ბენზინის რეალიზაცია ხდებოდეს?! ვინ ჭამს ამ სისულელეს?

მოვიფიქრებ-მეთქი, შევპირდი ნავთობმაგნატს და დავემშვიდობე.

მხოლოდ ერთი რამ მაფიქრებს: თუ ე.წ. ნავთობმაგნატის ნათქვამის თუნდაც მცირედი ნაწილია მართალი, მაშინ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ჩვენი ბიუჯეტი ყოველწლიურად შაგრენის ტყავივით პატარავდება. ისიც საკვირველია, როგორ ახერხებს სახელმწიფო მინიმალური რაოდენობის პენსიების გაცემას. თუმცა ახერხებს რო?!

***ზვიად ჩაკვეტაძე***

# რა ემართებათ თბილისურ ჭადრებს

(დასაწყისი იხ. გვ. 4)

მისივე განმარტებით, ამ სენით მხოლოდ ჭადრები ავადდებიან, რასაც იწვევს ტემპერატურის მკვეთრი მერყეობა და წვიმების დროს შიგადაშიგ უეცარი გამოდარება. „მკურნალობის“ მეთოდი ერთადერთი ყოფილა: ახლავე თუ არა, შემოდგომაზე მაინც უნდა გადაიბელოს (გაისხლას) ავადმყოფი ჭადრები, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი ერთ წელიწადში ხმობას დაიწყებენ.

**ზაურ თაბაგარი:** როგორც ქალი საჭიროებს კოსმეტიკურ მოვლა-გალამაზებას, ისევე უნდა ყურადღება ჭადარსაც, რადგან იგი ცოცხალი არსებაა. მაგალითად, ავსტრიასა და საფრანგეთში ისეა მოვლილი ჭადრები, რომ ოქტომბრის ბოლოს ფოთლები უკვე ყველას დაყრილი აქვს, ჩვენთან კი მოუვლელობის გამო ჭადარი ყველაზე ბინძურ ხედ ითვლება, იმიტომ, რომ ფოთოლცვენის დაწყებიდან მომავალი წლის მაისამდე, სანამ ახალი ფოთოლი არ მიაწვება ძველს და არ ეტყვის ადგილი დამითმეო, მანამდე არ სცვივა, მიზეზი კი გაუსხვლელობა და მოუვლელობაა. ყოველივე ეს კი იმის ბრალია, რომ საქართველოში გამწვანება არ არის პრიორიტეტად მიჩნეული და რაც მთავარია, არ არის საჭირო თანხები ამ პრობლემის მოსაგვარებლად... დღეს გამწვანება მხოლოდ ორ კაცს სჭირდება, ანუ ხე სჭირდება მაძღარს, რომ მის ჩრდილქვეშ წამოწვეს ან ნარდი ითამაშოს და იმ მშიერ კაცს, ვინც თავის ჩამოსახრჩობად მის ტოტზე ჩამოეკიდება. სხვას, ყველას, გამწვანების პრობლემა ნაკლებად ადარდებს... მახსოვს 20-25 წლის წინ, ლოზუნგი გვქონდა — „გადავაქციოთ თბილისი ბაღნარად“, დღეს კი რა მივიღეთ, ჩვენი დედაქალაქი ავტოგასამართ სადგურებად, „მარშრუტკებად“ და ჯიხურ-ბაზრობებად გადაიქცა, რასაც უამრავი ასწლოვანი ჭადარი და ხე შეეწირა. დამნაშავის ძებნაში ყველა ერთმანეთს ვაბრალებთ ყველაფერს, მაგრამ პასუხი კი არავის მოეთხოვება... არადა თავის დროზე მთელი დედაქალაქი და ფუნიკულიორის ფერდობები ვირებით და ჯორებით არის გამწვანებული, რომელთა მეშვეობით წყალს ეზიდებოდნენ მოსარწყავად. ამხელა შრომითა და ენთუზიაზმით დღემდე მოღწეულ დედაქალაქის გამწვანებას დაუნდობლად ვანადგურებთ. დედაქალაქის გამწვანებას ბერიას დროს ჩაეყარა საფუძველი და ამასთან დაკავშირებით ერთი ამბავი მახსენდება. ერთხელ კრწანისის ქუჩაზე ვჭრიდით დაბერებულ ალვის ხეებს, პრეზიდენტი ამ გზით დადის და რამე არ მოხდესო. უეცრად ერთი ხანდაზმული კაცი მომიახლოვდა და მითხრა: შვილო, დიდხანს იცოცხლე ამ ხეების მოჭრისთვის, ბავშვობიდან ამათი ჟინი მქონდაო და ასეთი რამ მიამბო... პატარა ბიჭი ვიყავი, ცეკადან რომ მოვიდნენ, ნერგები დაგვირიგეს და დარგვა დაგვავალეს. ამ დროს ჩამოიარა „ზიმის“ მარკის მანქანამ, იქიდან ცილინდრიანმა და სათვალიანმა კაცმა გამოყო თავი, თავისთან მიმიხმო, ვინაობა გამომკითხა და მითხრა: ვისი სახლის წინაც გახმება ეს ხე, იმ ოჯახის უფროსს გაუხმება თავი, ასე გადაეცი შენს ყველა მეზობელსო. როდესაც გავიგეთ, რომ ეს კაცი ბერია იყო, სახლიდან ფეხს აღარავინ ადგამდა, ყველა ამ ხეებთან იჯდა და წყალს უსხამდა, რომ არ გამხმარიყვნენ... აი, ასე შიშით გამწვანებულა ჩვენი თბილისი. დღეს კი ვინ არის პატრონი... როდესაც ჩანაცვლებაზეა ლაპარაკი, გარდა კედრისა, არსებობს კიდევ ასეთი ქართული ხე — „დიადი ბოყვი“, რომელიც უზომოდ დიდფოთლიანი, ლამაზი ხეა და თანაც ძალიან მოკლე ხანში ერთიანად სცვივა ფოთოლი. შესაბამისი თანხების არსებობის შემთხვევაში შესაძლებელი და სასურველია ჭადრის და ალვის ხეებს თანდათანობით „დიადი ბოყვი“ ჩავუნაცვლოთ, რითაც ჩვენი ქალაქი კიდევ უფრო გალამაზდება და ყველა პრობლემაც მოიხსნება.

რაც შეეხება ჭადრებით გამოწვეულ ალერგიულობას, ჩვენთვის მეტად საინტერესო და იმედისმომცემი აღმოჩენა იყო ის, რომ თურმე შესაძლებელია დედაქალაქს ჭადრებიც ამშვენებდნენ და არც ალერგიამ შეაწუხოს ჩვენი მოსახლეობა.

**ზაურ თაბაგარი:** — მეც შევუწუხებივარ ამ ბუსუსებს, ერთი-ორჯერ გადამცდა და კინაღამ დამახრჩო. თქვენ წარმოიდგინეთ, რამდენად საშიშია მისი შესუნთქვა მოზარდებისთვის. ალერგიას არა მარტო ჭადრები, ალვის ხეებიც იწვევენ, არადა ამ პრობლემის მოგვარებაც ძალზე იოლია — დამარცვლით ვიტყვი: უნდა გადაიბელოს. ხეები რომ გაისხლება, ანუ დაიკოდება, აღარ გამოიტანს იმ ნაყოფს, რომელიც შემდეგ იშლება და ჰაერში იფანტება. გადაბელილი ხე 10 წლის მანძილზე ამ თავაკ-ყვავილედებს აღარ მოისხამს. ე. ი. ყოველ 10 წელიწადში ერთხელ უნდა ჭადრებს ხელის შევლება, კოსმეტიკა და მოსახლეობაც დაისვენებს ალერგიისგან...

როგორც ხედავთ, პრობლემა არცთუ რთულად მოსაგვარებელი ყოფილა, თანაც ისე, არც ჭადარი გაიწიროს და არც მისი ბუსუსებით შეწუხებული ადამიანი. მთავარია, ვისაც ამ საკითხის მოსახლეობის სასარგებლოდ გადაწყვეტა ევალება, ანუ დედაქალაქის მერიამ გამოყოს შესაბამისი თანხები და დაგვიცვას ალერგიისგან, თორემ ამ ინფორმაციის წამკითხავმა მოსახლეობამ (რომელიც მიხვდება, თუ როგორი მარტივი გადასაწყვეტი ყოფილა ეს პრობლემა) შეიძლება იქით დამართოს „ალერგია“ ჩვენი ქალაქის ხელმძღვანელობას.

***მამუკა ხუციშვილი***

# როგორები არიან „ვაჟკაცი“, „პატიოსანი“ და „ნაშლილი“ ჯარისკაცები...



(დასაწყისი იხ. გვ. 5)

**— თუკი ასეა, რატომ არ ხდება ჯარში ამ განუკითხაობის აღკვეთა?**

— ოფიცრებმა შესანიშნავად იციან, ვინ რისი გამკეთებელია და ვინ როგორ ცხოვრობს. ყველა ოფიცერს ნებისმიერ დროს შეუძლია გააკონტროლოს თითოეული ჯარისკაცი, მაგრამ არ უნდათ ეს, რადგან მათ საქმეს სწორედ „ვაჟკაცები“ აკეთებენ ველური მეთოდებით. თუ ახალწვეულები ჰყავს ოფიცერს ნაწილში, იგი ვალდებულია ყაზარმაში დარჩეს და მათ ყურადღება მიაქციოს. ისინი კი სახლებში მიბრძანდებიან და ახალწვეულებს „ვაჟკაცებს“ აბარებენ, რომლებიც სისასტიკის გამოვლენით აშინებენ გამოუცდელებს და აფრთხილებენ, რომ ხმა არ ამოიღონ და გაპარვაზე არ იფიქრონ. ახალწვეულიც მორჩილად უკან დასდევს იმას, ვისზეც ოფიცრის დავალებით არის მიმაგრებული და ხანგრძლივად იტანს ყოველგვარ დამცირებას.

**— თუ ვერ გაუძლო, გაიპარა და ამ გაპარვის მიზეზიც განაცხადა?**

— ნაწილში სასწრაფოდ მიიღებენ შესაბამის ზომებს. ჯარისკაცის ამ მიზეზით ნაწილიდან გაპარვა ძალიან საშიშია ჩინოვნიკებისთვის. თავდაცვის სამინისტრომდე რომ მივიდეს ძალადობის შესახებ ინფორმაცია, ნაწილში ყველას შავი დღე დაადგება. ამიტომაც „პატიოსანი“ და „წაშლილი“ ხალხის გადაადგილება ნაწილში სასტიკად კონტროლდება. „ვაჟკაცები“ კი მაგრად ცხოვრობენ. თუმცა ეგენიც შეიძლება დაისაჯონ. ასეთი თითოოროლა შემთხვევაა. ეს მაშინ ხდება, როცა მეთაურს მსხვერპლის მხრიდან ინფორმაციის გაჟონვის საფრთხე ემუქრება. მაშინ ახალწვეულის გულის მოსაგებად ოფიცერი მოძალადეს სჯის. ქართულ ჯარში ერთმანეთის მიმართ საშინელი სიძულვილი მძვინვარებს, ეს ეხება როგორც უფროსობას, ისე ჯარისკაცებს, ყველა ერთმანეთზე კომპრომატების ძიებაშია, რათა თვითონ პოზიციები გაიმაგრონ. ჯარისკაცები კი მათ მიერ შექმნილი ბინძური სისტემის ტყვეობაში არიან.

**— ნუთუ არავის უჩნდება სურვილი, რომ ამ დაჩაგრულ ხალხს გამოექომაგოს?**

— „ვაჟკაცებიდან“ შეიძლება ერთი მართლა ვაჟკაცი გამოერიოს. მან იცის, რომ სხვების დაცვით, საკუთარ სამარეს ითხრის, იწყება მასზე თვალთვალი, „ვაჟკაცები“ ელოდებიან, რომ მათ მოწინააღმდეგეს ფეხი გადაუბრუნდეს, რაღაც შეეშალოს, რომ მერე დასცხონ, თუ იარაღი აქვთ, იმასაც კი გამოიყენებენ მის წინააღმდეგ, ის სრულიად მარტო აღმოჩნდება განსაცდელში, მრავალთა დამცველს გვერდით არავინ დაუდგება. ფსიქოლოგიური შოკის შედეგად ჯარი ლაჩრებითაა სავსე.

**— შურისძიების სურვილიც აღარ აქვთ?**

— სამხედრო სამსახურის ვადის გასვლას ელოდებიან, რათა გარეთ გაუსწორდნენ მოძალადეებს, ამიტომაც ერთი სული აქვთ ბიჭებს, რომ გარეთ გავიდნენ. აქ ერთი ფაქტორი მოქმედებს. ჯარში ყოფნის დროსაც ესვრიან ტყვიას ისინი მოძალადეს, მაგრამ სამხედრო ტრიბუნალზე გასამართლების ეშინიათ და ურჩევნიათ ჩვეულებრივ სასამართლოზე აგონ პასუხი.

**— როგორ ფიქრობ, არის ძალა, რომელიც ქართულ ჯარში არსებულ სიტუაციას დაარეგულირებს და ამ განუკითხაობას ბოლოს მოუღებს?**

— ეს ძალა არსებობს, მაგრამ არ მოქმედებს. ქართულ ჯარში დამკვიდრებული ქაოსის აღკვეთა სწორედ მათ შეუძლიათ, ვინც ეს ყველაფერი რუსული ჯარიდან ქართულ ჯარში გადმოიტანა, ესენი არიან სამხედრო ჩინოვნიკები. მათ ვერ გათვალეს, რა კატასტროფას უმზადებდნენ ამით თავდაცვის სისტემას. მთავარია, მათ მოინდომონ და ქართული ჯარი მართლა ჯარს დაემსგავსება. ჯარში თანადგომა და სიყვარულია მთავარი. ეს კი არ არსებობს დღემდე.

**— თავად ოფიცრების მხრიდან ძალადობას თუ აქვს ადგილი?**

— თითქმის ყოველდღე. ვიმეორებ ეს საშინელი სისტემაა, რომელიც ჯარს ანადგურებს, მათ მიერ არის შექმნილი და თუ ვინმე მათი წრიდან ამ ბოროტებას დაუპირისპირდება, ისეთივე დღე ელის, როგორიც „ვაჟკაცს“, რომელიც „პატიოსანი“ და „წაშლილი“ ჯარისკაცების დაცვას გადაწყვეტს. ჯარში ყველა კედელს ყურები აქვს, ყველამ ყველაფერი იცის ყველას შესახებ და გადარჩენისათვის ბრძოლაში ყველა დუმს. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

P.S. ჩვენი მხრიდან შეპირებული თანადგომისა და დაცვის გარანტიების მიუხედავად ჯარისკაცმა არც ვინაობის გამხელა ისურვა და არც იმ ნაწილისა, სადაც მსახურობს. გვთხოვა — „თუ ჩემი ვინაობა გამჟღავნდება, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ მეორე დღეს ცოცხალს ვერ მნახავთ და თუ გადავრჩი, ჩემს ცხოვრებას ფასი აღარ ექნება. თქვენი გაზეთის იმედად გიმხელთ ამ ტკივილს, რომელიც იმედია გულზე მოხვდება ბევრს“. ჩვენც იმ იმედით, რომ ამ ინტერვიუში აღწერილი სისასტიკე ყველა სამხედრო ნაწილში არ ხდება, გადავწყვიტეთ განგაშის ზარი ჩამოგვეკრა კომპეტენტური პირების გასაგონად, ვისაც ქართულ ჯარში მსგავსი განუკითხაობის აღმოფხვრა ძალუძს და ვინც შეძლებს ჯარი მართლა ჯარს დაამსგავსოს. სხვა თუ არაფერი, ისინი ჩვენი თანამემამულეები, მამულის დამცველები და ელემენტარულად ჩვენი შვილები არიან, რომლებსაც ყურადღება და მტერთან ბრძოლის ჟინის გაღვივება სჭირდებათ.

***რატი ახალაძე***





UNHCR

## ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსი

GEORGIA UNA

**გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი [გლუკი] და საქართველოს გაეროს ასოციაცია ლტოლვილთა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით 2002 წლის 20 ივნისს ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სამხატვრო გალერეაში მართავს ბავშვთა ნახატების გამოფენა-კონკურსს სახელწოდებით: "როგორ წარმოგიდგენიათ იყო ლტოლვილი".**

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ 7-დან 12 წლამდე ასაკობრივი ჯგუფის ბავშვებს საქართველოს ყველა რეგიონიდან. ნახატების თემა უნდა შეესაბამებოდეს კონკურსის სახელწოდებას. ნამუშევართა ფორმასა და შესრულების სტილზე შეზღუდვები არ ვრცელდება. მონაწილეთა ნახატების ჩაბარების ბოლო ვადა არის 2002 წლის 5 ივნისი.

კონკურსის საფუძველზე ჟიური გამოავლენს 10 გამარჯვებულ მხატვარ ბავშვს, რომელთაც გადაეცემათ კონკურსში გამარჯვების დამადასტურებელი სერტიფიკატები. მათთვის აგრეთვე გაიმართება კულტურული და წამახალისებელი პროგრამა.

რეგიონებიდან გამარჯვებულ მონაწილეთა მგზავრობისა და თბილისში ცხოვრების ხარჯები მთლიანად იქნება ანაზღაურებული გლუკის მიერ.

**ნამუშევრები შეგიძლიათ წარადგინოთ შემდეგ მისამართებზე:**

| | |
|---|---|
| ქ. თბილისი: | ■ საქართველოს გაეროს ასოციაცია. დოლიძის ქ. №2, მე-4 სართული; |
| | ■ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. ყაზბეგის გამზირი №2ა; |
| ქ. ქუთაისი: | ■ ქუთაისის საინფორმაციო ცენტრი. რუსთაველის ქ. №3; |
| ქ. ბათუმი: | ■ სამოქალაქო განვითარების ცენტრი „აჭარა.“ კლდიაშვილის ქ. №10; |
| ქ. გორი: | ■ ლტოლვილთა უფლებებისა და სოციალური რეაბილიტაციის შიდა ქართლის ცენტრი. 9 აპრილის ქ. №2; |
| ქ. ზუგდიდი: | ■ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. ლაზის ქ. №52; |
| ქ. ახმეტა: | ■ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. ბახტრიონის ქ. №5. |

**დამატებითი ცნობებისათვის დაგვიკავშირდით:** (+995 32) 33 25 16; 33 52 16

# თეატრში რეზო ჩხიკვიშვილის ადგილი ისევ ცარიელია

## — ვცხოვრობთ ესენის რუსთაველზე, ჩემს თავს „ბისტროს“ ვეძახი...

გასულ თვეში კი... დაიბრუნა... 

მაშინაც რამდენიმე კვირით იყო ჩამოსული და... დახვდა ჩაჟამული, ჩამუქებული, სევდიანი, ტკივილიანი სახეებით სავსე ქალაქი. ისეთი დეპრესია დაეუფლა, ორი-სამი დღე სახლში ჩაიკეტა და ოჯახის წევრების გარდა არავინ უნახავს... ახლა კი... ახლა ამ ერთმა კვირამ თვალის დახამხამებაში ჩაიქროლა... „ჩემი ქალაქი, ჩემი თეატრი, ჩემი სცენა, ჩემი მეგობრები...“ რეფრენივით გასდევდა ჩვენს საუბარს. ნამდვილად არ ეყო ეს დღეები, ეყო კი არა, უფრო გაუმძაფრდა მონატრება და მივხვდი, რომ რეზო ჩხიკვიშვილს საკუთარ ქალაქში ხელახლა დაბრუნებამდე დარჩენილი დღეები კი არა, წუთებიც კი დათვლილი ჰქონდა...

**— ამ ჩამოსვლაზე როგორი ქალაქი დაგხვდათ?**

— რომ არ ველოდი, ისეთი — გალამაზებული, განახლებული... ჩემი ნუცუბიძის ქუჩაც შეცვლილა. გამიხარდა, ასფალტი დაუგიათ. ადრე ისეთ დღეში იყო, კისერს მოიტეხავდა კაცი. არ ვიცი, მონატრების ბრალია თუ ობიექტური ვარ, მაგრამ მე მაინც ასე ვიტყვი — ორი წლის წინ დავტოვე შავ-თეთრი თბილისი და დამხვდა — ფერადი.

**— თეატრში თუ იყავით, სპექტაკლს თუ დაესწარით?**

— რა თქმა უნდა. რუსთაველის თეატრში ვნახე „ჰამლეტი“, მარჯანიშვილში დავესწარი „ნატაძრალის“ პრემიერას. ამ ბოლო დროს ძალიან გულჩვილი გავხვდი. ალბათ, ინდურ ფილმებს აღარ უნდა ვუყურო... იმდენად პატრიოტული სპექტაკლია „ნატაძრალზე“, ცრემლი ვერ შევიკავე. ვიჯექი პარტერში და ღაპაღუპით მდიოდა ცრემლები. მსახიობებიც ძალიან მომეწონა.

**— სცენაზე თუ ახვედით სპექტაკლის შემდეგ?**

— ვერ მოვასწარი... სპექტაკლის მსვლელობის დროს ერთი-ორი წუთით გავითიშე — ვუყურებდი კედლებს, ჭერს, სცენის ფიცარნაგს და ვნატრობდი — ნეტა, ახლა აქ არავინ იყოს — მთელი საღამო მარტო ვიჯდებოდი და ვიფიქრებდი-მეთქი... ასე ხშირად ვაკეთებდი ხოლმე, როცა მარჯანიშვილის თეატრის დასის წევრი ვიყავი.

**— ძალიან ბევრ ადამიანს უნდოდა თქვენთან შეხვედრა...**

— ბევრის ნახვა ვერ მოვახერხე და გამინაწყენდნენ. როცა ტელევიზიიდან მირეკავდნენ და ინტერვიუს მთხოვდნენ, ინტერიერად საგრიმიოროს ვირჩევდი. გადაღების შემდეგ უმალვე გავრბოდი მორიგ შეხვედრაზე... გაბრაზებულან ჩემი კოლეგები — რატომ არ გვნახაო. სპექტაკლის შემდეგ რამდენიმე მსახიობი შევიკრიბეთ და მათ გული გადავუშალე. როცა გაიგეს, რა ტემპით ვცხოვრობ, როგორ განვიცდი, რა განწყობა მაქვს, და ასე შემდეგ, შემინდეს ეს „უყურადღებობა“...

**— თქვენი საგრიმიორო ძალიან შეცვლილია?**

— სხვათა შორის, ვერ შევედი, დაკავებული იყო, ჩემმა კოლეგამ — თემურ კილაძემ მითხრა — რეზო, მე ვარ შენს საგრიმიორო ოთახში და ვცდილობ, შენს მაგიდაზე ყველაფერი ისე იყოს, როგორც დატოვე. შენი ოთახი გელოდებაო. ცრემლებამდე გამიხარდა სიტყვებიც, რომლებიც ბატონმა ვასო კიკნაძემ მითხრა — თეატრი რომ დატოვე, შენი ადგილი ჯერ არ შევსებულა, უამრავი ნიჭიერი ახალგაზრდა მოვიდა, კიდევ ბევრი მოვა, მაგრამ გახსოვდეს, შენი ადგილი ცარიელია — ჩამოდი და მიხედეო.

**— რეზო, მინდა გითხრათ, რომ თბილისში ისევ ისე უყვართ თქვენი „დარაბებს მიღმა გაზაფხულია“, როგორც წლების წინ...**

— რამდენიმე დღის წინ მე და ეკა ქუთათელაძე (ეკა ამ სპექტაკლში ნინიკოს თამაშობდა — ე.მ.) კაფეში შევხვდით ერთმანეთს. ეკა სულ არ შეცვლილა... ვისხედით და ვსაუბრობდით... მთელი საღამო ერთად გავატარეთ... ეკამ მითხრა, რეზო, წარმოიდგინე, დღესაც კი, სადღაც, თბილისიდან ძალიან შორს, მაგალითად, ამერიკაში, ხშირად ჩვენზე საუბრობენ, ჩვენ გვიხსენებენო... ზუსტად ვიცი, რომ ეს ასეა... ამ რამდენიმე კვირის წინ გერმანიაში, ჩემს სპექტაკლზე ჩამოვიდა 30 ქართველი სტუდენტი გოგონა — მათი ასაკი 25 წელს არ აჭარბებდა. სპექტაკლის შემდეგ შევხვდით ერთმანეთს... უცებ დამიწყეს საუბარი — რა კარგად გვახსოვს „დარაბებს მიღმა გაზაფხულიო“. გავოგნდი — კი მაგრამ, ბავშვებო, 22 წლის წინ რამდენი წლის იყავით, საიდან გახსოვთ ეს სპექტაკლი-მეთქი, — ვიკითხე. გინდა თუ არა, გვახსოვსო... ამ ფაქტს ახსნას ვერ ვუძებნი...



ვიქნები თამადა (ქართულად) და მაყურებელს (გერმანელს) ვიწვევ სტუმრად...

**— იქ თუ ხართ პოპულარული?**

— მიჭირს საკუთარ თავზე საუბარი, მაგრამ... პოპულარობა არ მაკლია.

**— ვიცი, რომ თქვენი მონო-სპექტაკლი — ჯონ ფოსეს „გიტარისტი“ თვის საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს რურის მხარეში. ეს ყველა გერმანელი მსახიობისთვის საოცნებო მოვლენაა.**

— ეს ნამდვილად ასე იყო... რაც წასული ვარ, ამ შვიდი წლის განმავლობაში უამრავი როლი ვითამაშე, თითქმის ყველა ამპლუაში მოვსინჯე თავი, მაგრამ ეს ბოლო სპექტაკლი ყველაზე მეტად შეეხო ჩემი სულის სიმებს. ძალიან განვიცადე იმ გიტარისტის ბედი, რომელიც დადგა გადაწყვეტილების წინაშე — შეცვალოს საკუთარი ცხოვრება... ამ გადაწყვეტილების წინაშე მეც ვიდექი ერთხელ და ვიცი რა რთულია, რა განცდებთან არის დაკავშირებული... „გიტარისტი“ ძალიან პოეტური პიესაა და ვერც წარმომედგინა, რომ მისი თამაში შეიძლებოდა. ძალიან მოვინდომე და მივაღწიე იმას, რომ მაყურებელი საათ-ნახევრის განმავლობაში გასუსული მისმენს და მომყვება, იმუხტება. შემძრა პირველმა რეაქციამ. სპექტაკლის შემდეგ ორი წუთი გრძელდება სიჩუმე და მერე იწყება ოვაცია...

**— საერთოდ, როგორ აღმოჩნდით გერმანიაში, ვინ მიგიწვიათ?**

— თბილისში უნდა დაედგათ „ოიდიპოს მეფე“, მაგრამ იმის გამო, რომ საქართველოში 1992 წელს საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა, პროექტმა — ყველასთვის მოულოდნელად გადაინაცვლა გერმანიაში. მე განვასახიერე ოიდიპოსი. ჩვენი ჯგუფის ხელმძღვანელი გახლდათ მერაბ თავაძე... ამდენი წლის შემდეგ კიდევ ერთხელ მინდა დიდი მადლობა მოვახსენო მერაბს, გერმანელ მაყურებელს ჩემი თავი რომ გააცნო... რამდენიმე სპექტაკლის შემდეგ ჩვენ, ყველანი, დავბრუნდით საქართველოში, მაგრამ... ყველაფერი უცებ მოხდა. მივიღე მოწვევა ესენის თეატრიდან. მე აღმოვჩნდი გერმანიის სახელმწიფო თეატრში და არ ვიცოდი ენა... ამას ახლა აღარავინ დაიჯერებს... ცოტა ხანში ჩემი ცოლშვილიც წავიყვანე...

**— რამხელები არიან თქვენი ბიჭები?**

— სანდრი მალე თექვსმეტი წლის გახდება, ლევანჩო — თერთმეტის. სანდროს ნათლია გახლავთ ლევან უჩანეიშვილი, ლევანჩოსი — მერაბ ნინიძე...

**— ეკონტაქტებით ხოლმე ერთმანეთს?**

— ვეკონტაქტებით, მაგრამ ისე არა, როგორც სურვილი გვაქვს... მერაბი სულ გადაღებაზეა და მხოლოდ ტელეფონით ვსაუბრობთ, ლევანი ერთი წლის წინ რამდენიმე კვირით ჩამოვიდა გერმანიაში და ჩემთან ცხოვრობდა. საოცრად გახარებულები ვიყავით მაშინ... მერაბი ვერაფრით ჩამოვიყვანე... ერთხელ, მახსოვს დაირეკა ზარი, ავიღე ყურმილი და მესმის — გაურკვეველ ენაზე გაურკვეველი აქცენტით და ფრაზებით ვიღაც უცნობები მაშაყირებენ... შევცბი, არ მოველოდი, იქ მიუღებელია ასეთი რამ... აბა, თუ მიხვდებით, ვინ აღმოჩნდნენ? — რა თქმა უნდა — ლევანი და მერაბი. საფრანგეთში შეხვედრიან ერთმანეთს და როგორც იქნა, ტელეფონით მაინც, სამივე ერთად აღმოვჩნდით...

**— არ გაქვთ რამე საერთო პროექტი საქართველოდან შორს მოღვაწე სამ ქართველ მსახიობს?**

— ძალიან მინდა, გადაცემა მაინც ჩავწერო, ან ისე მოვახერხოთ, რომ ახალ წელს მაინც გვნახოს მაყურებელმა ერთად...

**— თქვენი ბიჭები სწავლობენ?**

— სწავლობენ გერმანულ სკოლაში, გერმანელი მეგობრები ჰყავთ, რომლებიც ხშირად აკითხავენ სახლში. ისინი როცა მიდიან, თუ საუბარი ისევ გერმანულად განაგრძეს, მაშინ ავყვირდები ხოლმე — ეგღა მაკლია, ერთმანეთთანაც გერმანულად ისაუბროთ-მეთქი.

**— მაყურებელს კარგად ახსოვს კინოფილმი „ჩიორა“, სადაც თქვენი მეუღლე — ხათუნა მთავარ როლს ასახიერებს. როგორ გაიცანით ერთმანეთი?**

— მახსოვს, როცა დაამთავრეს „ჩიორას“ გადაღებები. ხათუნას პარტნიორი (თენგიზ გიორგაძე) მე გავახმოვანე. გახმოვანების დროს სტუდიაში ყველა აღნიშნავდა, ძალიან ლამაზი და კარგი გოგოა მთავარი როლის შემსრულებელიო. ხათუნას პერსონაჟსაც სხვა ახმოვანებდა, ამიტომ გახმოვანებაზე ვერ შევხვდით. მართალი გითხრათ, ფილმში მხოლოდ ერთი-ორი სცენაა, სადაც მე ის გარეგნულად მომწონს... სულ მიკვირდა — ასე რატომ აქებთ, ძალიან ჩვეულებრივი გოგოა-მეთქი, ვამბობდი... ბოლოს პრემიერაზე რომ დავინახე, ის ჩვეულებრივი გოგო ჩემთვის არაჩვეულებრივი აღმოჩნდა... შემდეგ მიმიწვიეს ფილმზე „ღამის ილუზია“ და მკითხეს შენი გმირი ბოლოს უნდა დაქორწინდეს და ვის ისურვებდი პარტნიორადო. მე „ჩიორაში“ რომ გოგო თამაშობს, მსგავსი ადამიანის პარტნიორობას ვისურვებდი-მეთქი, ვუპასუხე. მართლაც ხათუნა მოიყვანეს. დავახლოვდით... მალე დაიბადა გრძნობა, რომელმაც ერთმანეთს დაგვაკავშირა. ერთხელ ლევან უჩანეიშვილს ჰკითხეს — ხათუნა მართლა თენგიზ გიორგაძეს გაჰყვა ცოლადო? თენგიზ გიორგაძეს კი არა, თენგიზ გიორგაძის ხმასო, — უპასუხა ლევანმა. ეს იყო 1985 წელი. მაშინ გორბაჩოვმა სპირტიანი სასმელები აკრძალა და მახსოვს, ჩვენს ქორწილში ღვინო დამალული გვქონდა.

**— სად ცხოვრობთ ესენში?**

— ვცხოვრობთ ესენის რუსთაველზე... გნებავთ,

ერთხელ, მახსოვს დაირეკა ზარი, ავიღე ყურმილი და მესმის – გაურკვეველ ენაზე გაურკვეველი აქცენტით და ფრაზებით ვიღაც უცნობები მაშაყირებენ... შევცბი, არ მოველოდი, იქ მიუღებელია ასეთი რამ... აბა, თუ მიხვდებით, ვინ აღმოჩნდნენ?

ბარნოვზე... ნაქირავებ სახლში — სამოთახიან ბინაში...

**— ქართულ საჭმელებს თუ აკეთებთ?**

— როცა ხათუნას დრო აქვს, ქართულ კერძებს ამზადებს, როცა არა, გერმანული წესით ვიკვებებით. ჩემს თავს „ბისტროს“ ვეძახი — ვაღებ მაცივარს და თითქმის ყველაფერი გამზადებულია — ნახევარფაბრიკატებს ვგულისხმობ... გერმანელ სტუმრებს გერმანული სადილებით ვუმასპინძლდები — ვისწავლე სოკოიანი მაკარონის გაკეთება და ყველას ძალიან მოსწონს — ეს ჩემი საფირმო კერძია.

**— ამ ხნის განმავლობაში რომელიმე ქართველი რეჟისორისაგან თუ მიიღეთ მოწვევა?**

— რა მოწვევა უნდა მივიღო? აქ ფულს ვერავინ შეგპირდება, ისე ყველას გაუხარდება ჩემთან მუშაობა. მეც ძალიან ბედნიერი ვიქნები... ორმოცი დღის შემდეგ 6-7 კვირით ჩამოვალ შვებულებით და ეს დრო მაქსიმალურად მინდა გამოვიყენო, რამე მინდა გავაკეთო. ისე ვარ მონატრებული აქაურობას, სიტყვით ვერ გადმოგცემთ, მაგრამ ისიც მიჭირს — იქ ერთი ხელის მოსმით დავანგრიო ყველაფერი, დავკრა ფეხი და წამოვიდე. ყოველდღე რომ 600-700 მაყურებელი მიყურებს, ჩემი გვარით და წარმომავლობით ინტერესდება, ეს მარტო ჩემი წარმატება კი არა, ყველა ქართველის წარმატებაა. ჩაფიქრებული მაქვს ქართული პროგრამის მომზადება — მინდა იქაურები ჩვენს ცეკვას, სიმღერას, ჩვენს ძვირფას ტრადიციებს ვაზიარო... წარმოდგენის ფორმა ასეთი იქნება — მე განვასახიერებ თამადას, მაყურებელს კი სტუმრად მოვიწვევ...

**— ჩვენი გაზეთი რომ გამოვა, არჩევნები უკვე ჩატარებული იქნება და რეკლამად აღარ ჩაგვეთვლება კითხვა — რა გაკავშირებთ ლეიბორისტულ პარტიასთან...**

— მე ვარ საქართველოს ლეიბორისტული პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს თავმჯდომარე გერმანიაში. ეს პატარა წოდებაც მეხმარება იმაში, რომ ხალხთან მივდივარ არა როგორც მხოლოდ მსახიობი რეზო ჩხიკვიშვილი, არამედ როგორც შრომის პარტიის წარმომადგენელი. ყველანაირად შევეცდები, შალვა ნათელაშვილს ჩემი საქმიანობით გვერდში ამოვუდგე და რითიც შემეძლება, იმით დავეხმარო...

**ეკა მახარაშვილი**


# გამოვიდა და იყიდება წიგნი




**რომელიც პასუხს გაგცემთ თქვენთვის საინტერესო 1000 კითხვაზე**

**იყიდება „კვირის პალიტრის“ საგაზეთო ჯიხურებში, ეკლესიებთან არსებულ (ჩიტაძის ქ., ქაშვეთის წინ) და წიგნის მაღაზიებში (მარჯანიშვილისა და ლესელიძის ქ., გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ და სხვ.)**




# რას გვეტყვი, მამაო?

**— შენახული მაქვს ბავშვის ნათლობის სანთლები და პირსახოცები, რომლითაც შეამშრალეს ის ეკლესიაში. როგორ და როდის უნდა გამოვიყენოთ სანთლები და პირსახოცი?**

— თქვენ მიერ დასმული კითხვები იმდენად არაარსებით საკითხებს ეხება, რომ ნუ გაიკვირვებთ, თუ სხვადასხვა მოძღვრისაგან სხვადასხვა პასუხს მიიღებთ. ჩვენი პასუხი კი ასეთი გახლავთ: სანთელი შეგიძლიათ დაანთოთ ნებისმიერ დროს და ნებისმიერი საბაბით, ხოლო, რაც შეეხება პირსახოცს, ის აუცილებლად სათუთად უნდა შეინახოთ, რადგან მასზე წმინდა მირონის კვალია აღბეჭდილი.

**— ჩემი შვილი ძალიან ხშირად პოულობს ქუჩაში ჯვრებს, ფსალმუნებს, რომლებიც, ცხადია, ვიღაცამ დაკარგა. რამდენიმე დღის წინ კი იპოვა ქვა, რომელზედაც ამოკვეთილია მაცხოვრის სახე. ცოდვად ხომ არ მეთვლება სხვისი ნივთების ოჯახში შენახვა და შემიძლია თუ არა, ვაკურთხო ისინი?**

— ცოდვად არ ჩაგეთვლებათ ამ ნივთების ოჯახში შენახვა და შეგიძლიათ აკურთხებინოთ ისინი.

**— შეიძლება თუ არა ცოლად შევირთო ბებიის ნათლულის ძმისშვილი?**

— ეკლესიურად არ გექნებათ დაბრკოლება, რადგან ნათელმირონობა ამ შემთხვევაში გვერდგამავალი ნათესაური შტოს წარმომადგენლებს აკავშირებს ერთმანეთთან და არა პირდაპირი შტოსას.

**— არცთუ დიდი ხნის ჯვარდაწერილ ცოლ-ქმარს ისე აჰყარეს საპატრიარქოში ჯვარი, რომ ქმრის გვერდით ცოლი არ მიუწვევიათ. ითვლებიან თუ არა ისინი ჯვარაყრილად?**

— თუ ორივე მხარე თანახმაა, მაშინ არ არის მათი ერთდროული დასწრება აუცილებელი, ისინი ითვლებიან ჯვარაყრილებად.

**— ნათლიის სიკვდილის შემთხვევაში ვის ეკისრება მისი მოვალეობა, თუ საჭიროა, რომ ბავშვი გადაინათლოს?**

— მეორედ მონათვლა კატეგორიულად გამორიცხულია — ადამიანი ინათლება ერთხელ. ხოლო ნათლიის სიკვდილის შემთხვევაში, თუ ნათლული ზრდასრულია, პიროვნება თავად ზრუნავს თავისი სულიერი სრულყოფისათვის, ხოლო თუ იგი პატარა ბავშვია — მშობლები და ახლობლები ზრუნავენ მის სულიერ განათლებაზე.

**— არის თუ არა თბილისში წმინდა თებრონეს სახელობის ეკლესია?**

— თბილისში წმინდა თებრონეს სახელობის ეკლესია არ არის.

**— ჩემს გარდაცვლილ შვილს სამი სახელი ერქვა: ნათლობის, საერო და მოფერებითი. ახლა არ ვიცი, რომელი სახელით შევავედრო უფალს.**

— გარდაცვლილი უნდა მოიხსენიოთ მხოლოდ ნათლობის სახელით.

**— გახლავართ რწმენაში გაუთვითცნობიერებელი. ჩემმა მეგობარმა კი, რომელსაც შვილი შეეძინა, მთხოვა ნათლიობა. შემიძლია თუ არა ვიკისრო ეს მოვალეობა, თუ თავად არ ვარ მონათლული?**

— ცხადია, მოუნათლაობის გამო თქვენ არა გაქვთ უფლება, იყოთ ნათლია. ნათლიას დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება ღმერთის წინაშე ნათლულის სულიერი აღზრდისათვის. ხოლო თქვენ, მონათლულიც რომ იყოთ და არ ცხოვრობდეთ ეკლესიურად, მაშინაც კი გექნებოდათ მორალური დაბრკოლება ამ ნაბიჯის გადადგმისათვის — აბა, რა უნდა ასწავლოს ნათლულს ადამიანმა, ვინც თავად არის რწმენაში გაუთვითცნობიერებელი? საზოგადოდაც, ნათლობა არ უნდა ვაქციოთ ფორმალობად. ნათლობა — ეს არის ახალი ცხოვრების დაწყება იესო ქრისტეში და ნორჩ არსებას სჭირდება დახელოვნებული მეგზური, რომელიც ღვთივსათნო ცხოვრებას და ზნეობრივ სიკეთეს შთაუნერგავს მას, რათა იგი ღირსეულ ქრისტიანად ჩამოყალიბდეს.

**— ვარ ელექტრიკოსი და ხშირად მიხდება საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ტელევიზორი, ვიდეომაგნიტოფონი, რადიო) შეკეთება. მე არ ვიცი, რა მიზნით გამოიყენებენ მათ მომხმარებლები — იქნებ, უფლის მცნებების საწინააღმდეგოდ? ცოდვად ხომ არ მეთვლება ჩემი საქმიანობა?**

— თქვენ შეასრულეთ თქვენი საქმე, ხოლო თუ როგორ გამოიყენებენ ამ ტექნიკას ადამიანები, ეს თქვენი პასუხისმგებლობის სფეროში არ შედის.

**— ჩემს მეჯვარეებს ერთმანეთი შეუყვარდათ. რამდენად გამართლებულია მათი სავარაუდო ცოლქმრული კავშირი?**

— თუ მეჯვარეები ერთი ბავშვის ნათლიები არ არიან, მაშინ გამართლებულია და შესაძლებელი...

***თქვენთვის საინტერესო კითხვები მოგვაწოდეთ „კვირის პალიტრის“ ყუთების საშუალებით. მათი განლაგების შესახებ იხ. გვ. 36***

***მკითხველთა შეკითხვებზე პასუხებს სცემენ მართლმადიდებლური წიგნები და საკითხავები***

## წერილი რედაქციას

### როგორ განვიკურნოთ ეგზემისგან?

ჩვენი ოჯახი რამდენიმე წელია დიდი პრობლემის წინაშე დგას. ერთ-ერთ წევრს კანის დაავადება, ეგზემა აღმოაჩნდა. ექიმსაც მივმართეთ, ექიმბაშსაც, მაგრამ არაფერი გვეშველა. დაავადება, მართალია, დროებით თითქოს განიკურნებოდა, მაგრამ მცირე ხნის შემდეგ ისევ ახალი ძალით იფეთქებდა. ისევ ვიწყებდით ახალი ექიმების ძებნას...

ასე აღმოვჩნდით გამოუვალ მდგომარეობაში. დავდივართ ექიმიდან ექიმთან, იხარჯება ბევრი ფული, დრო და ენერგია, საშველი კი არ ჩანს.

როგორც გავიგეთ, საქართველოში ყოფილა სამკურნალო ადგილი, სადაც შესაძლებელია კანის ისეთი მძიმე დაავადების განკურნება, როგორიც ეგზემაა.

ძალიან გთხოვთ, იქნებ გვაცნობოთ ამ სამკურნალო ადგილის შესახებ. თუ არ ვცდებით, ეს კურორტი ნუნისია და ხარაგაულის რაიონში მდებარეობს. საბჭოთა კავშირის დროს მოქმედებდა... რა საშუალებებსაც არ მივმართეთ, ვერაფერი შევიტყვეთ, ტყუილად ამხელა მანძილზე გადაადგილება ვერ გადავიწყვეტია.

წინასწარ გიხდით მადლობას.

***ნ. კენჭაძე***

# ნუნისი რომ ამოქმედდეს, მკვდარ ზღვას უკან ჩამოიტოვებს და ზოგიერთები პაციენტებს დაკარგავენ...

## პასუხი მკითხველს

ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში გაზეთი „დროება“ წერდა: „ნუნისში ამ რამდენიმე წლის წინათ მადნის წყლები აღმოჩენილა — ხალხი დაიარება და მეპატრონეებმა აბანოებიც გამართეს. მაგრამ ამ სოფელში ისეთი ცუდი მისასვლელი გზებია, რომ ავადმყოფებს ძლიერ უჭირთ აბანოებზე მისვლა და ამას გარდა, რამდენი ხანია, ეს მადნის წყლები აღმოაჩინეს და ჯერ აქამდინ კაცს ყურადღება არ მიუქცევია. ექიმიც კი არ გამოუგზავნიათ, რომ გამოიკვლიოს — თუ რაგვარი წყლებია, რაგვარ ავადმყოფობისთვის არის საჭირო და მარგებელი და რაგვარისთვის — მავნებელი“.

ამ სიტყვების ავტორი ალბათ ვერც კი წარმოიდგენდა, რომ საუკუნის შემდეგ მისი პუბლიკაცია მაშინდელივით აქტუალური იქნებოდა, ხოლო ნუნისი — კვლავ „შეწუხებული“ ასი წლის გადაუჭრელი პრობლემებით, უგზოობით, უყურადღებობით... მსოფლიო მნიშვნელობის კურორტის შესახებ დღემდე არათუ საზღვარგარეთ, თვით საქართველოშიც ბევრმა არაფერი უწყის, არადა... რამდენი დასნებოვნებული ადამიანის ხსნად შეიძლებოდა ქცეულიყო ნუნისის აბაზანები!

წლების მანძილზე ექსპერტებმა საფუძვლიანად შეისწავლეს ხარაგაულის რაიონში მთის ფერდობზე შეფენილი სოფლის წყლის სამკურნალო თვისებები. აღმოჩნდა, რომ მშვენიერი ბუნებისა და ჰავის გარდა, ღმერთს პატარა სოფელი ნუნისი ბუნებრივი სამკურნალო წყლითაც დაეჯილდოებინა. წლების მანძილზე მიტოვებული და მოუვლელი ნუნისი (რომელიც დერმატოლოგიური კურორტის სახელითაა ცნობილი), თავისი უნიკალური ბუნებრივი წყლით, დღეს უკვე აღარავის ახსოვს. არადა კანის ქრონიკული დაავადებების სამკურნალოდ ნუნისის აბაზანები გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ნებისმიერი ძვირად ღირებული პრეპარატი. კანისა და ვენერიულ სნეულებათა სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში აცხადებენ, რომ ნუნისის მსგავსი წყალი მთელ მსოფლიოში სხვაგან არსად მოედინება!

**ბადრი ჩლაიძე** — კანისა და ვენსნეულებათა სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ხელმძღვანელი:

— ვიღას ახსოვს დღეს ნუნისი? გაპარტახებული და მიგდებულია იქაურობა. წლების მანძილზე ვმუშაობდით ამ კურორტზე, ავადმყოფებს ვგზავნიდით და შედეგებიც გვქონდა. მოგეხსენებათ, კანის ქრონიკული დაავადებებით მსოფლიოში მილიონობით ადამიანი იტანჯება. ნუნისი კი ამ დაავადებათა სამკურნალოდ ფანტასტიკურ შედეგს იძლევა. გულდასაწყვეტია, რომ დღემდე პატრონი არ გამოუჩნდა.

— **ბატონო ბადრი, ნუნისის აბაზანების შესახებ საქართველოში უმეტესობამ არაფერი იცის — თვით ამ პათოლოგიებით დაავადებულმა ადამიანებმაც კი.**

— საიდან უნდა იცოდნენ, ჩემო ბატონო? თორმეტი-ცამეტი წელია იქ ავადმყოფი აღარ გაგვიგზავნია. საერთოდ, ნუნისში სანიტარული პირობები ადრეც არ ვარგოდა. მერე კიდევ, როცა ქვეყანა აირდაირია, ამას კვების პრობლემაც დაერთო. გარდა ამისა, გზაც საშინლად მოუწესრიგებელია. ხალხი ნუნისში, ძირითადად, საბაგიროს მეშვეობით ადიოდა და ისიც გაფუჭდა, გამკეთებელი კი არავინ იყო. ეს ყოველივე რომ მოიშალა, იქ ავადმყოფების გაგზავნა შეუძლებელი შეიქნა.

აბა, ასეთი კურორტის უპატრონოდ მიგდება შეიძლება? მონდომებაა მთავარი, თორემ... ნუნისის მსგავსი ადგილი მსოფლიოში მეორე არ არსებობს. წარმოიდგინეთ, მოდის ფსორიაზით, ეგზემით და კანის სხვა უმძიმესი დაავადებით შეპყრობილი პაციენტი. კი, ბატონო, ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, მაგრამ... მედიკამენტური მკურნალობა მაინც სინდრომულია და ხანგრძლივ შედეგს არ იძლევა — ავადმყოფს დიდი ხნით ვერ განკურნავ. ნუნისი კი 7-8 წლით აძლევს შვებას პაციენტს. განსხვავება არ არის?

— **სწორედ აქედან გამომდინარე, გაჩნდა ეჭვი, თითქოს ნუნისის ამოქმედებას თვით მედიცინის შესაბამისი დარგის მუშაკები აფერხებენ — შემოსავლის გარეშე დარჩენის ეშინიათ!**

— ეს პრობლემა ალბათ კერძო სექტორში მომუშავე ექიმებსა და ექიმბაშებს უფრო აწუხებთ. ხომ ხედავთ, რამდენი განცხადება ქვეყნდება პრესაშიც და ტელევიზიაშიც. გამოაცხადებენ — ვმკურნალობ ფსორიაზს — მიხვალ და... ყველაფერი ბლეფია. ვიცნობ მე ამ ექიმბაშებს. მათ მიერ ვითომ გამოგონილი პრეპარატები ჩვენთანაც გადიოდა აპრობაციას, მაგრამ... დავიწუნეთ. პირდაპირ გეტყვით — ეს არის წმინდა წყლის აფერა! თავისთავად ცხადია, ნუნისი რომ ამოქმედდეს, ისინი პაციენტებს დაკარგავენ, ამიტომაც არ აძლევთ ხელს, მაგრამ შეფერხებით ვერ შეაფერხებენ. როდის იყო, ხალხი აფერისტების ჭკუაზე დიდხანს დადიოდა? როგორც გავიგე, ახლა ვიღაცები დაინტერესებულან ნუნისით. ამბობენ, გზის გაკეთებას აპირებენ და გაჭირვებულ



მოსახლეობას უფასოდაც უმკურნალებენო. იქნებ მართლა რამე ეშველოს, თორემ ჩვენ თუ არ მივხედავთ, მალე ამასაც უცხოელები დაეპატრონებიან...

რამდენიმე ათეული წლის წინ ნუნისს კანის ქრონიკული დაავადებებით შეწუხებული ადამიანები თურმე საბჭოთა კავშირის მოძმე რესპუბლიკებიდანაც სტუმრობდნენ და უკან შედეგით გაოცებულნი ბრუნდებოდნენ. დღეს კი ამ პათოლოგიებით შეპყრობილ პაციენტთა გაჭირვებულ ყოფას ცხოვრების ის ხარჯებიც ამძიმებს, რაც ძვირად ღირებულ მკურნალობასა და პრეპარატებს სჭირდება.

**ცნობისთვის:** კანის დაავადებათა ყველაზე ეფექტურ სამკურნალო საშუალებად მკვდარი ზღვის აბაზანებს მიიჩნევენ. კლინიკური გამოკვლევებითა და ექსპერტთა დაკვირვების შედეგად დადგინდა, რომ ნუნისმა თავისი ეფექტურობითა და შედეგების ხანგრძლივობით შესაძლოა მკვდარი ზღვაც უკან ჩამოიტოვოს.

და მაშინ, როცა შეგვეძლო მსოფლიო მნიშვნელობის კურორტით ქართველებს „ჩვენებურად“ გვეამაყა, პატარა, ღვთისგან ნაკურთხი ნუნისი მივიწყებულ-მიტოვებულია!

და კიდევ ერთი — საქართველოში პრიორიტეტების განსაზღვრა ხომ უმეტესწილად ვიწრო, პიროვნული ინტერესების გათვალისწინებით ხდება ხოლმე...

P.S. როგორც შევიტყვეთ, მართალია დღესდღეობით კურორტი ნუნისი არ მოქმედებს, მაგრამ საბედნიეროდ, სამკურნალო წყალი ისევ არის და ექიმ-კურორტოლოგთან კონსულტაციის გავლის შემდეგ, გეტყვით, რომ ამ წყლის მოხმარება აღნიშნული დაავადებების სამკურნალოდ ავადმყოფისთვის ნამდვილად სასარგებლოა.

***ხათუნა ყვირალაშვილი***



ქაურობა ისე გამოიყურებოდა, თითქოს ქარიშხალს გადაუვლიაო. ამ იავარქმნილ ყოფილ საბჭოთა სამხედრო ბაზაზე, რომელიც თბილისიდან 40 კმ-ით არის დაშორებული, გენერალი გია უჩავა ამერიკელ სამხედრო ინსტრუქტორებს ესალმებოდა. ვაზიანის ბაზა მართლაც დამთრგუნველ შთაბეჭდილებას ტოვებდა. შარშან, აქედან წასვლის წინ, რუსებმა არა მარტო იარაღი და ტექნიკა გაიტანეს, არამედ ელექტროსადენებიც კი დაჭრეს, მინები ჩალეწეს და გაყიდეს ყველაფერი, რისი გაყიდვაც შეიძლებოდა. გაჩანაგებული ნაგებობები ცეცხლს მისცეს. რუსები აქ მრავალი ათწლეულის მანძილზე ფეხმოუცვლელად იდგნენ, ამერიკელები კი მხოლოდ მასწავლებლებად ჩამოვიდნენ. ვაშინგტონმა 150 მწვრთნელი გამოგზავნა და სასწავლო პროგრამის განსახორციელებლად 64 მლნ დოლარი გაიღო — ეს ამ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის წლიურ სამხედრო ბიუჯეტზე ოთხჯერ მეტია. დღემდე ქართული უშიშროების ნაწილები ცდილობენ, წინ აღუდგნენ იარაღით მოვაჭრეებს და ისლამისტ ექსტრემისტებს. ქვეყნის ყველაზე შფოთიან პანკისის ხეობაში ჩეჩენი ბანდიტები და ალ-ქაიდას მებრძოლები დათარეშობენ. ამერიკული დახმარება გულისხმობს დაეხმაროს ქვეყანას ტერორისტებისგან განთავისუფლებაში. ეს დახმარება რუსეთისათვის საშიშ ისლამურ სეპარატიზმთან გამკლავებას გულისხმობს, ამიტომ პუტინმა მშვიდად მიიღო სამხედროების საქართველოში ჩასვლა, თუმცა ბევრი რუსი, მათ შორის სამხედრო მაღალჩინოსანი, არ იზიარებს პუტინის პოზიციას. მათი აზრით, ამერიკული პროგრამა ნათელი დემონსტრირებაა რეგიონში დასავლეთის ზეგავლენის ზრდისა, რეგიონში, რომელიც რუსეთს 200 წელი ეკუთვნოდა. სწორედ ამიტომ გააფთრდა მოსკოვი, როდესაც ამერიკელი ინსტრუქტორების თბილისში შესაძლო ჩასვლის ამბავი გაიგო.

# იმპერიის ნანგრევები

## გამოვა კი საქართველო რუსეთის ჩრდილიდან?



ამერიკელებმა კარგად იციან, რასაც აკეთებენ. ორი წლის შემდეგ, როდესაც პროგრამა დასრულდება, საქართველოს ეყოლება 2000 კარგად გაწვრთნილი სამხედრო მოსამსახურე ოთხ სპეციალურ ბატალიონში და „ეროვნული სამხედრო სამეთაურო ცენტრი“, რომელიც პირველ წლებში კოორდინირებას გაუწევს რესპუბლიკის უშიშროების სამსახურებს. პროგრამის მიზანია, საქართველოს ჰყავდეს ტერორიზმთან მებრძოლი მძლავრი არმია. მაგრამ მხოლოდ ეს არ არის, რაც საქართველოს სჭირდება. მისი ჯარისკაცები მშიერნი და შიშველტიტველნი არიან, დახმარებით მიღებული თანხები კი უკვალოდ უჩინარდება. ყველაზე მეტად აღელვებს ქართველებს დიდი ჩრდილოელი მეზობელი. „მათ ჰგონიათ, რომ ჩვენ დამოუკიდებლობანას ვთამაშობთ, — ამბობს საქართველოს სტრატეგიული და საერთაშორისო კვლევის ცენტრის თანამშრომელი ალექსანდრე რონდელი, — ისინი ჩვენ სერიოზულ ხალხად არ მიგვიჩნევენ“. ბევრ ქართველს იმედი აქვს, რომ ამერიკა დამოუკიდებლობის განმტკიცებაში დაეხმარებათ. „საქართველოს სტრატეგია იმაში მდგომარეობს, რომ გამოვიყენოთ შეერთებული შტატები აქედან რუსების საბოლოოდ განსადევნად“, — ამბობს კავკასიის განვითარების, დემოკრატიისა და თავისუფლების ინსტიტუტის ხელმძღვანელი გია ნოდია. რუსეთი კი წასვლას არ აპირებს. კრემლი ერთ დროს 2000-მდე საიდუმლო ობიექტს ფლობდა საქართველოს ტერიტორიაზე. დღეს კი სამ სამხედრო ბაზას ფლობს საქართველოს ყველაზე მგრძნობიარე რეგიონებში. რუსეთი ეხმარება ერთ-ერთ ასეთს — აფხაზეთს დამოუკიდებლობის მოპოვებაში. მას დღეს „იცავს“ 2000 რუსი მშვიდობისმყოფელი. აპრილის შუა რიცხვებში რუსულმა შვეულმფრენმა დაცხრილა კოდორის ხეობა — ტერიტორია, რომელიც ჯერ კიდევ საქართველოს მთავრობის ხელშია. გაეროს ოფიციალურმა პირებმა განაცხადეს, რომ ეს იყო „სამხედრო ოპერაცია და არა სამშვიდობო რეიდი“.

პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი მთავარი მრჩევლის საგარეოპოლიტიკის საკითხებში, არჩილ გეგეშიძის თქმით, — იმედია, რომ ამერიკელთა ხელშეწყობით ქართული არმია გაძლიერდება და ნატოც კარს გაუღებს. რუსები კი ამის თაობაზე სხვას ფიქრობენ.

***ნიუ ზუიქი***

# გზა საქართველოსკენ დაკეტილია

სამცხელი (ანუ ახალციხელი) თურქები სამხრეთ საქართველოს სასაზღვრო რაიონებიდან 1944 წელს უზბეკეთსა და ყაზახეთში გადაასახლეს. სხვა უკანონოდ გადასახლებულთა მსგავსად, ისინი აღარავის დაუბრუნებია ისტორიულ სამშობლოში. 1989 წელს, ფერღანისა და ტაშკენტის დარბევების შემდეგ თურქი-მესხები იძულებული გახდნენ, რუსეთის ფედერაციის სხვადასხვა რეგიონში დასახლებულიყვნენ.

თურქ-მესხებს არც ისტორიულ სამშობლოში ელიან — ასკვნის ცნობილი ქართველი სამართალდამცველი ***ნაირა გელაშვილი:***

— თურქი-მესხების დასაბრუნებლად სამცხე-ჯავახეთში ყველა გზა გადაკეტილია. სახელმწიფო ფორმალურად თითქოს ზრუნავს მათზე — ევროსაბჭოს წინაშე საქართველოს ვალდებულებების მეექვსე პუნქტში ჩადებულია სწორედ ჩვენს ქვეყანაში დაბრუნების მოსურნე თურქების საკითხი. წლის დასაწყისში ასეთი „სარეპატრიაციო“ კანონპროექტი დამუშავდა და ევროპის საბჭოც გახარებული იყო, რომ საქართველოს მთავრობამ რაღაც მაინც გააკეთა, თუმცა პრეტენზიები კი ბევრი ჰქონდათ ამ დოკუმენტისადმი — კანონი არ არის ცუდი, მაგრამ ცოტა უცნაურია: 1944 წელს საქართველოდან დეპორტირებული ხალხი — თურქი-მესხები რეპრესიების მსხვერპლად არ



**საით წავიდე?!.**

არიან მიჩნეული. ევროპის საბჭომ მოითხოვა თურქი-მესხების რეაბილიტაციის კანონმდებლობით დაკანონება, რაც დღემდე არ განხორციელებულა. „რეპატრიაციული“ კანონპროექტი ურიცხვი ბიუროკრატიული ხრიკით არის სავსე. მაგ. ადამიანს სთხოვენ დეპორტაციის ცნობის, თანაც ორიგინალის წარდგენას. საცოდავი შუაღამისას საწოლიდან წამოაგდეს, ბარგის შეკვრა ვერ მოასწრო, ისე შეაგდეს საბარგო მატარებელში და გზას გაუყენეს. და ვინმეს ჰგონია, ჩაწიკწიკებულ დოკუმენტებს ატანდნენ თან? რაც მთავარია, საქართველოში ჩამოსულ თურქ-მესხებს საცხოვრებელი ადგილის თავის ნებაზე არჩევის უფლება არ აქვთ — მიუთითებენ, სად იცხოვრონ, რაც საქართველოს კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

**— თურმე სამხრეთ საქართველოს სომხური სათვისტომო ეწინააღმდეგება მათ ჩამოსახლებას მამაპაპისეულ მიწებზე.**

— ეს ფაქტორიც არის, მაგრამ ჩვენმა მთავრობამ თურქი-მესხების აგრესიული სტერეოტიპი შექმნა — სამცხე-ჯავახეთში კომპაქტურად რომ დავასახლოთ, თურქულ ავტონომიას მოითხოვენო. ის თურქი-მესხები, რომლებიც დამოუკიდებლად ჩამოდიან საქართველოში და ქართველთა თუ სომეხთა მეზობლად სახლდებიან, ამ სტერეოტიპს არღვევენ, მაგრამ უკვე დამკვიდრებულ ტენდენციას ვერაფერი უშველის.

**— თქვენი აზრით, რა პერსპექტივაა გადასახლებულთათვის?**

— არავითარი. საქართველო მიიღებს კანონს, რომელიც თურქებს საქართველოში ჩამოსვლის საშუალებას არ მისცემს, მერე კი ევროპის საბჭოს განუცხადებს: „ჩვენ გავაკეთეთ ყველაფერი, რაც მოგვეთხოვებოდა — მათ კი ჩამოსვლა არ ისურვეს“. მორჩა და გათავდა.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №20***

# პუტინმა და ბუშმა აფხაზეთი საქართველოს დაუბრუნეს, საქართველო კი აშშ-ს გადასცეს

**სანამ მსოფლიო ევროპასა და აშშ-თან რუსეთის საგარეო პოლიტიკურ მანევრებს ადევნებდა თვალს, ამიერკავკასიაში საგრძნობი ცვლილებები მოხდა. ამერიკელებმა საქართველოში დიდი ხნით დასცეს კარავი!**



27 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროს აკადემიაში საზეიმოდ ჩატარდა ამერიკულ-ქართული პროგრამის, „წვრთნისა და აღჭურვის“, გახსნა.

რუსეთს ეეჭვება, რომ გაამართლოს ამერიკული მეთოდით არმიის მომზადებამ, რადგან აშშ სპეცოპერაციებს ყოველთვის იწყებს მოწინააღმდეგის ობიექტების ავიაციით განადგურებით. ქართულ არმიას ასეთი „ძალები“ არ გააჩნია, ამერიკა კი მათ მიწოდებას არ ჰპირდება... საერთაშორისო ანტიტერორისტული ოპერაცია პანკისში შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ ორი წლის შემდეგ, მაგრამ უსათუოდ რუსეთის მონაწილეობით. თბილისში ეს კარგად აქვთ გაცნობიერებული და ამბობენ, რომ სიამოვნებით განიხილავენ რუსეთის მხარის წინადადებებსა და პროექტებს. რუსეთის გენერალურ შტაბშიც მზად არიან ქართველ სამხედროებთან კონსოლიდაციისათვის, მაგრამ საჯილდაო ქვა აფხაზეთია. მოსკოვმა აშკარად „გადაამლაშა“ ადგილობრივი სეპარატისტების მფარველობაში. ახლა კი, როცა მოსკოვში რუსულ-ამერიკული სამიტის შემდეგ დაფიქსირდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, სხვანაირად აჭიკჭიკდნენ — ყველანაირად ეცდებიან, დაითანხმონ სოხუმი კონფლიქტის დარეგულირების დიტერ ბოდენისეულ გეგმაზე, რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და აფხაზეთს შორის უფლებამოსილების განაწილებას და ამბოხებული რესპუბლიკის სტატუსის განსაზღვრას საქართველოს ერთიან სახელმწიფოში.

სწორედ ამ საქმით არის ამჟამად დაკავებული რფ პრეზიდენტის საგანგებო წარმომადგენელი ვალერი ლოშჩინინი. რამდენიმე დღის წინ, მოსკოვში გამოიძახეს აფხაზეთის მთელი ხელმძღვანელობა. მათი საიდუმლო შეხვედრის შესახებ მხოლოდ ის გახდა ცნობილი, რომ აფხაზებს რუსებმა უბრძანეს, — გეყოთ, მორჩით კონფრონტაციას!.. ექსპერტების აზრით, მალე ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში კარდინალური ცვლილებებია მოსალოდნელი. მით უმეტეს, რომ ჯერ კიდევ რუსულ-ამერიკული შეხვედრის წინ, თვითმარქვია რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა: „აფხაზეთს, როგორც პატარა სახელმწიფოს, მოუწევს თავისი ინტერესების ზესახელმწიფოებთან — აშშ-თან და რუსეთთან შეფარდება. საინტერესოა, რაზე მოილაპარაკებს ორი პრეზიდენტი“.

და მოილაპარაკეს კიდეც... საქართველოს სასარგებლოდ.

რუსეთის გენერალიტეტი, რომელიც ადრე არძინბას რეჟიმს უჭერდა მხარს, ახლა საქართველოს სასიკეთოდ ალაპარაკდა. მაგრამ აქ მათ კორპორაციული ინტერესი აქვთ — ივნისის დასაწყისში მოსკოვში კვლავ განახლდება მოლაპარაკებები რუსეთის ბაზების საქართველოდან გაყვანის შესახებ. რუსეთი ვადის გაგრძელებას 10 წლით ითხოვს. საქართველო მხოლოდ სამ წელზე თანხმდება. გაურკვეველია ამიერკავკასიაში რუსეთის ჯარების თბილისის შტაბის სტატუსიც, მაგრამ კომპრომისიც შესაძლებელია. ერთი მათგანი არის ის, რომ რუსეთმა გააუქმოს თავისი 58-ე არმიის ორი დივიზიის საბრძოლო მზადყოფნა. ამ დივიზიებმა უკვე რამდენიმეჯერ გადაკვეთეს ქართულ-რუსული საზღვარი და სტრატეგიულ პოზიციებს იკავებდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე. სიტუაცია მძიმეა. მაგრამ აშკარაა, რომ ქართულ-აფხაზური დავის მოწესრიგების გარეშე რუსეთი საბოლოოდ დაკარგავს თავის პრიორიტეტებს ამიერკავკასიის რეგიონის დიდ მონაკვეთზე. ეს კი სულ არ შეესიტყვება მათ ნაციონალურ ინტერესებს და ახალ გეოპოლიტიკურ მდგომარეობას.

*P. RESSCONTER.ZU*


# „მედი“-ჭარბთმიანობის კომპლექსური მკურნალობა

ჭარბთმიანობის პრობლემაზე მსოფლიოში მრავალი ცნობილი კოსმეტოლოგიური და სამედიცინო ტექნოლოგიის ფირმა მუშაობს.

ყველასათვის ცნობილია, რომ არასასურველი თმის ტრადიციული გზებით მოშორება გამოსავალი არ არის, ხოლო ყოველი ჩარევის შემდეგ კი უფრო გაუხეშებული თმა იზრდება.

გარდა ამისა, საკმაოდ ხშირია სხვადასხვა სახის გართულება, რასაც კანის ხარისხის გაფუჭება მოსდევს. ელექტროეპილაციის და პრიმიტიუ-



ლი ლაზერული აპარატებით ჩატარებული ეპილაციის დროს კანის საფარის დაზიანების გამო, დიდია შიდსითა და ჰეპატიტით ინფიცირების შესაძლებლობა. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დღეს, როდესაც მსოფლიო შიდსის ეპიდემიის საშიშროების წინაშე დგას.

მსოფლიოს კოსმეტოლოგთა ოცნება, ეპილაციის ჩატარება უკონტაქტოდ, ჩხვლეტისა და კანის დაზიანების გარეშე, რეალობა გახდა მას შემდეგ, რაც 1999 წელს ამერიკელებმა შექმნეს ალექსანდრიტის დერმატოლოგიური ლაზერი. მის მიერ გამოსხივებული სხივი სავსებით უვნებელია ორგანიზმისათვის და დიდი ხანია გამოიყენება მედიცინაში გულის, სისხლძარღვებისა და თვალის სამკურნალოდ.

სხვა, ნებისმიერ ლაზერულ და სინათლის სპექტრზე (ფოტოეპილაცია) მომუშავე აპარატებთან შედარებით, ალექსანდრიტის ლაზერი უზრუნველყოფს ყველაზე სწრაფ და მაღალეფექტურ ეპილაციას კანის დაზიანებისა და მასზე პიგმენტური ლაქების განვითარების გარეშე.

რამდენადაც არ ზიანდება კანის საფარი, შიდსით ან ჰეპატიტით დაავადება ამ აპარატით ჩატარებული ეპილაციის დროს გამორიცხულია.

ეპილაციის დროს თმის ძირი ისე ნადგურდება, რომ არ ზიანდება ირგვლივ მყოფი ქსოვილი. ეპილაციას ალექსანდრიტის ლაზერით უმეტესად რამდენიმე წუთი სჭირდება. საბოლოო განკურნებისათვის საჭიროა რამდენიმე პროცედურის ჩატარება, რაც დამოკიდებულია საეპილაციო თმის ხარისხზე, პაციენტის ორგანიზმის ზოგად მდგომარეობაზე და ჰორმონალურ ფონზე.

მას შემდეგ, რაც ამერიკელი პარტნიორების მეშვეობით, სამედიცინო ცენტრში „მედი“, დამონტაჟებულ იქნა ალექსანდრიტის ლაზერის 2000 წლის მოდელი, იგი საქართველოს მოსახლეობისათვისაც გახდა ხელმისაწვდომი. მთელ კავკასიაში ეს აპარატი ერთადერთია, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირის სივრცეში სულ რამდენიმე ცალი.



სამედიცინო ცენტრი „მედი“, ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციის გარდა, გთავაზობთ სიახლეს – ჭარბთმიანობის მიზეზების გამოკვლევას. საჭიროების შემთხვევაში წარმოებს გინეკოლოგის კონსულტაცია.



უნდა აღინიშნოს, რომ ჭარბთმიანობის მედიკამენტოზური მკურნალობის კომბინაცია ალექსანდრიტის ლაზერით ეპილაციასთან, იძლევა საუკეთესო და სწრაფ ეფექტს.

ფირმა „მედი“ – და მისი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ყოველთვის მზად არიან იზრუნონ თქვენს სილამაზეზე.

**სამედიცინო ცენტრი „მედი“**

25-02-02 93-89-75

ალ. ყაზბეგის გამზ. №1



ძვირფასო მშობლებო და ჩვენო პატარებო!
კვლავ მივიღეთ თქვენი წერილები. გმადლობთ, რომ ასე აქტიურად გვეხმიანებით და მოგწონთ თქვენი გვერდი. თითოეულ ბარათს ვინახავთ და შევეცდებით, მათ შორის საუკეთესოები მომდევნო ნომრებში შემოგთავაზოთ.



## პატარები გვიიოხოიზიე

**პატარა თეკლა** საწოლში წამოჯდა და ძილის წინ სხაპასხუპით კითხულობს „მამაო ჩვენოს".

— თეკლა ასე ჩქარა ნუ ამბობ, — უთხრა ბებომ.

— რა, ვერ გაიგებს? — იკითხა და ისევ მიაყარა...

***

წვიმს. **პატარა ლევანიკო თურქიშვილს** დედა გარეთ არ უშვებს. შესცქერის ბავშვი ცას და გაბრაზებული ამბობს:

— ღრუბლებო, დაუშვით? — აბა, ახლავე აუშვით და დაკეტეთ პირი!

***

**5 წლის გოდუნა გრიგალაშვილს** საბავშვო ბაღში მასწავლებელმა აუხსნა, რომ მამალს თავზე ხერხი ადგას და ფეხებზე დეზები აქვსო.

საღამოს გოდუნამ ოჯახს ახარა:

— მამალს თავზე ხერხემალი ედგა და ფეხებზე დეზედორები ეკიდაო.

***

**2,5 წლის ანდრია-შალვა მეტონიძეს** დედა ეკითხება:

— შვილო, შენს დეიდებს რა ჰქვიათ?

— მზია, ნანი, — მექანიკურად პასუხობს ბავშვი.

— დეიდაშვილებს?

— ბევრი მზია, — გაშალა ხელები პატარამ.

***

**4 წლის ლადო დეკანოსიძე** ეუბნება დედიკოს:

— დედი, ოთარი ძიას მობილური რომ დაუპატარავდება, უთხარი რა, მე მაჩუქოს?

შეიტანე კროსვორდის ბადის ცარიელ უჯრებში ნახატის შემადგენელი გამოსახულებების სახელწოდებები ვერტიკალურად და ყვითელი ფერის ჰორიზონტალურ რიგში მიიღებთ შემდეგი გამოცანის პასუხს: „არც ფეხი აქვს და არც თვალი, არის კოხტა, არის მრგვალი. დახტის, დაქრის, დატრიალებს, სცემენ, მაგრამ არ ღრიალებს".




## რა შეცდომები დაუშვა მხატვარმა მღარბუნიამ?



## იპოვე 13 განსხვავება






მარჯვნივ მოცემული ფიგურებით ააწყვე მარცხენა სურათი და გამოიცანი, რომელი ფიგურა აკლია და რომელია ზედმეტი.




დააწყვილე საგნები და დააკავშირე ერთმანეთთან ხაზებით



მიიყვანე კატა ძეხვთან

## II რებუსი






## ქიავოჩეი



| წარსულში მცხოვრები ნათესავი | ახალი, ლამაზი ტანსაცმელი ბავშვის ენაზე | მეორე ნოტი | ციცინათელების მწყემსი გოგონა | ჯუჯა ცხენი | ერთგვარი ხის სოკო |
|---|---|---|---|---|---|
| ... კაცი უკანას ხიდიაო. | საფრანგეთის დედაქალაქი | შვიდთაგან ერთ-ერთი საიდუმლო მართლმადიდებლურ ეკლესიაში | ამომავალი მზის ქვეყანა | განგება, სვე ანუ ... | |

ძვირფასო მშობლებო! გთხოვთ „კვირის პალიტრის" ყუთების საშუალებით გამოგვიგზავნოთ თქვენი პატარების ბრძნული გამონათქვამები და კურიოზული ამბები. ჩვენ კი მათ გამოქვეყნებას გპირდებით. გთხოვთ, მიუთითოთ რუბრიკა „საბალღო-სალაღო"

**პასუხები იხილეთ 31-ე გვერდზე**

გვერდი მოამზადა მამუკა ხუციშვილმა

CMYK

# ცხოვრებისეული კურიოზები

## ერემო მქვია, ბატონო!..



გასული საუკუნის 70-იანი წლებია. საქართველოს ტელევიზიის მუშაკებმა, ძველმა მეგობრებმა ერთად მოვიყარეთ თავი ამირან ავალიანთან (იყო ასეთი საერთაშორისო მიმომხილველი). ჩემთან ერთად იყვნენ თენგიზ ნათაძე, ზაურ გომართელი, ამირან ბარდაველიძე და ჩვენი მკითხველისთვის უკვე კარგად ნაცნობი ხუმარა ჟურნალისტი ერემო მახათაძე. წინა დღეებში ერემომ ნარდი მოგვიგო ყველას და ერთი სული გვქონდა, სამაგიერო როგორმე სხვაგვარად გადაგვეხადა.

შუა ქეიფში ვართ. ერემო თამადაა (ვის ანდობდა სუფრის თავკაცობას!). ირეკება ზარი და შემოდის მასპინძლის მეზობელი.

თამადამ შემოსწრებულის სადღეგრძელოს თქმა დააპირა და შენი სახელი მითხარი, თუ ძმა ხარო, უთხრა ახალმოსულს. ისიც წამოდგა და... — ერემო მქვია, ბატონოო!

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა. ერემო (რომელსაც მგონი პირველად შეხვდა თავისი სეხნია) ხან მოღიმარ სახეებს გადახედავდა, ხან „ახალგამომცხვარ“ ერემოს. ბოლოს ვეღარ მოითმინა და იფეთქა:

— ერემო კი არა, „გოთვერანი“ ხარ შენ!.. მომინდომა ამანაც ჩემი მოსახელეობა, გამასწარი ახლა აქედან, სანამ მთელი ხარ!..

ერემოს თავისი ტირადა დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ამირანის მეზობელი უკვე გარეთ იყო. ცოტა ხანში კარი ხმაურით გაიღო და გაგდებული და გაცეცხლებული კაცი საბჭოთა წითელი პასპორტით ხელში ერემოს მიეჭრა.

ერემომ პასპორტი გამოართვა და თვალებს არ დაუჯერა — შემოსწრებულს მართლაც ერემო ერქვა.

ცოტა ხნის შემდეგ კიდევ ერთი უცნობი შემოგვესწრო, რომელმაც თამადის შეკითხვაზე, თქვენი სახელი გვიბოძეთო, რიხიანად წარმოსთქვა — ერემო მქვია, ბატონო!..

— ამათ დაგარიგეს, ხომ?! — დაეჭვდა ნამდვილი ერემო (არადა, ზაურმა მართლაც „ივაჟკაცა“ და მოასწრო ჩუმად გაეფრთხილებინა სტუმარი).

— არა, ბატონო, გნებავთ წავალ და პასპორტს მოვიტან, აქვე ვცხოვრობო...

თამადამ აღარ ისურვა კიდევ ერთ პასპორტში ჩახედვა, გენდობიო, უთხრა და მისი სადღეგრძელო განსხვავებული სასმისით დალია — ერთ სუფრაზე სამმა ერემომ მოვიყარეთ თავიო.

ამასობაში დიასახლისმა სუფრას ახალი კერძი შემოამატა და კმაყოფილმა თამადამ მეგობრის მეუღლის სადღეგრძელო მოითხოვა. უცბათ ჩაფიქრდა და დიასახლისს უთხრა, ისე დამაბნიეს დღეს ამ ერემოებმა, შენი სახელიც კი დამავიწყდაო!..

დიასახლისმა, არც აცია, არც აცხელა და ბატონ თამადას განუცხადა:

— ერემო მქვია, ბატონო!..

... როცა სცენაზე მსგავსი რამ ხდება, ფარდა იხურება.

***ვაჟა გავაშელი***

## ჩვენი სტუმარია სატირულ-იუმორისტული ჟურნალი ფილთაქვა




უცხოპლანეტელები ავტოგასამართ სადგურთან დაეშვნენ თავიანთი „თეფშით“. მიუახლოვდნენ ერთ „კალონკას“ და ეუბნებიან:

— დედამიწელო, მოდი ვიმეგობროთ!

„კალონკა“, ცხადია, დუმს.

— მოდი, ვიმეგობროთ და ვითანამშრომლოთ!

„დედამიწელი“ კვლავ დუმს.

— ამ დამპალს მთელი გულით ვთავაზობთ მეგობრობას, ეს კი ძაღლადაც არ გვაგდებს. მოდი, ავაფეთქოთ!

— მოდი, ოღონდ, ცოტა შორს გავიდეთ!

დაიხიეს ერთი კილომეტრით უკან და უცნაური იარაღი დაუმიზნეს. ავტოგასამართი სადგური წამში აფეთქდა — ალი ცას მისწვდა.

— ნახე, რამხელა ენერგია გამოიყო. კიდევ კარგი, უკან დავიწიეთ, როგორ მიხვდი, რომ ასეთი მაგარი იყო?

— ვერ დაინახე, რამხელა „ასო“ ება?! ორჯერ ჰქონდა ტანზე შემოხვეული და ბოლო ყურში ჰქონდა გაჩრილი.

## მოხერხებული აჩია



ეს ამბავი შარშან ზაფხულს მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს, მზემ რომ მაგრად დააჭირა, მეზობლები „კოლექტიურად“ წავიდნენ მდინარე წყალწითელაზე საბანაოდ. როცა ჭყუმპალაობით გული იჯერეს (აბა საცურაო წყალი სადღა იყო გაგანია გვალვაში) და წამოსვლა დააპირეს, ყველამ გაწურა და ისე ჩაიცვეს ტრუსები. მეზობლებში ერთი სვანიც ერია — აჩია. იგი მდინარეში ჩავიდა, „კუპალნიკი“ გაიხადა, საგულდაგულოდ გაწურა და წყალშივე ჩაიცვა...

***პაატა, ქუთაისი***

## „ზაპასებიანი“ საჩუქარი



მამიდაჩემი (რომელსაც მეტსახელად კოკორს ეძახიან ხუმრობით) ძალიან სასაცილო ქალია.

ერთხელ, დაბადების დღეზე, საჩუქრად ჭიქებიც მომართვეს. როდესაც სტუმრები წავიდნენ, მამიდამ საჩუქრების დათვალიერება მოისურვა. განსაკუთრებით ის ყუთი მოეწონა, რომელშიაც ჭიქები ეწყო. გახსნა და იქიდან ორი ლამაზი ბოკალი ამოიღო, შეათვალიერა და ფრთხილად დადო, არ გატყდესო. ის იყო, ყუთიც გვერდზე უნდა გადაედო, რომ ხელში ემძიმა, ჩაიხედა შიგ და იქიდან მუყაოს თხელი ფირფიტა ამოიღო. აღმოჩნდა, რომ ყუთში კიდევ იდო ოთხი ცალი ისეთივე ჭიქა. კოკორიმ იფიქრა, „ახალი ამერიკა“ აღმოვაჩინეო და აღტაცებით წამოიძახა: „ვაიმე, შეხედეთ, „ზაპასებიც“ არ მოჰყოლიაო?!“

***ქეთი პაპაშვილი, თბილისი***

## „დვა როტა“



ეს გახლავთ ერთი ჩვენი ძმაკაცის, ბადრი ობოლაძის მეტსახელი. ახლა გიამბობთ, თუ რატომ შეარქვეს მას ასეთი შთამბეჭდავი „კლიჩკა“.

ბადრიმ, სანამ საბჭოთა არმიის რიგებში გაიწვევდნენ, თავის სასაუბრო ლექსიკაში მისდაუნებურად, „მარგალიტებივით“ ჩააქსოვა უამრავი გაქართულებული რუსული სიტყვა. აი ზოგიერთი მათგანი: სტანცია, ელექტრიჩკა (მის სოფელში მატარებელი დადიოდა), პაკრიშკა, ლამპოჩკა, სემიჩკა, ბოლეშჩიკი და ვინ მოთვლის, კიდევ რა.

ჰოდა, მშობლების გაგიჟებისთვის ამგვარი რუსული ენის ცოდნა ძალიან გამოადგა. საცოდავებმა, სამი თვის განმავლობაში ჯარიდან შვილის წერილი რომ ვერ მიიღეს, ლამის შტურმით აიღეს ტყიბულის ფოსტამტი, მაგრამ უშედეგოდ. ბოლოს სამხედრო კომისარიატი დაატერორეს და როგორც იქნა, საიდუმლოს ფარდა ახადეს.

თურმე ჩვენი ახალბედა რუსეთუმე ჯარისკაცი, მაშინდელი მოდის გამო (ვინც იცოდა და არ იცოდა, ყველა რუსულად ლაპარაკობდა), თავისი სოფლის სახელს რუსულად თარგმნიდა და კონვერტებს ასე აწერდა: „გრუზინსკაია სსრ, ტყიბულსკი, რაიონ, სელო დვაროტა.“ არადა, ვერც ერთი რუსული ენის მცოდნე ამ სიტყვების თარგმნით მისი სოფლის სახელს — ორპირს ვერაფრით მოიაზრებდა...

***გიორგი და დემურ ჭეიშვილები, ქუთაისი***

## მკითხველის —— საყვარელი ანეკდოტი



სვანს შემთხვევით თავში ლურსმანი ჩაერჭო. მიდის ექიმთან:

— ექიმო, რა ღირს ლურსმნის ამოღება?

— ამოღება 20 ლარი. თუ მაგდენი არა გაქვს, 10 ლარი მომეცი და ბოლომდე ჩავაჭედებ.

— აჰა, 5 ლარი და გადაღუნე!..

***ჯ.ბ., ქუთაისი***



მოხუცი პროფესორი შეცდომით შედის ქალების ტუალეტში:

— ბრძანდებოდეთ! ბრძანდებოდეთ, არ არის საჭირო, ფეხზე წამოდგომა.

***ჯანსულ ბოჭორიშვილი, ქუთაისი***



მარომ თავისი ასაკისთვის შეუფერებლად ძალიან, ძალიან მოკლე კაბა ჩაიცვა.

მიხო გაუწყრა: — დედაკაცო, წესიერად ჩაიცვი, თორემა, გარეთ რო გახვალ დაგცინებენ კიდეცა და ერთი მაგრადაც შაგიკურთხავენ!..

— ნეტაი შეენ, — ხელი ჩაიქნია მარომ, — ეგე შევარდნაძეი სულ დასცინიან და სულ აგინებენ, მაგრამა, აბა ვინ რა ფეხები მააჭამა?..

***ვანო შავდათუაშვილი, თბილისი***



რაჭველი მივიდა ექიმთან და შესჩივლა:

— ექიმო, ცოლი მღალატობს, რქები კი არ ამომდის...

ექიმს გულიანად გაეცინა.

— ეგ ხომ ხუმრობითაა ნათქვამი.

— უი, თქვენ გაიხარეთ, ბატონო, მე მეგონა ორგანიზმში კალციუმი მაკლდა!..

***რეზო ღარიბაშვილი, თბილისი***

***ბატონო მკითხველო, რედაქცია კურიოზებსა და ანეკდოტებთან ერთად ელის მხიარულ კარიკატურებს, მეგობრულ შარჟებს, რომელთაგან საუკეთესოებს სიამოვნებით გამოვაქვეყნებთ.***

***მასალები გამოგვიგზავნეთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყუთების მისამართი იხილეთ ბოლო გვერდზე.***

C M Y K



**წერილი რედაქციას**

დიდი მადლობა ყველას, ვისაც მოეწონა ჩემი ნოველები.

მიყვარს და ვენდობი თქვენს გაზეთს, რადგან ის მხოლოდ სითბოს და სიყვარულს აფრქვევს. ბედნიერი ვარ, რომ სწორედ თქვენს გაზეთში დაიბეჭდა ჩემი ნოველები.

რამდენიმე თვეში ან კვირაში, ჩემი ოჯახი წასვლას აპირებს უცხოეთში (გერმანია ან იტალია). წასვლა თან მიხარია, თან კი საშინლად მწყინს, შარშან მთელი წელი მოსკოვში ვიყავით და მაშინ მივხვდი, რას ნიშნავს გამოთქმა — ტკივილამდე მონატრება. არც მათი სინათლე და სითბო მინდოდა და არც მათი გართობა... ახლაც გამიჭირდება... მამას ვერ ვამტყუნებ, მთელი დღეები დადის, რომ რამე გააკეთოს, მაგრამ არაფერი გამოდის. თქვენს გაზეთს იქაც წავიკითხავ და მეც გამოგიგზავნით ჩემს შთაბეჭდილებებს.

***თქვენი ერთგული მერაბ კვიტაშვილი***

## დრამა 3 მოქმედებად

### I მოქმედება

სცენა თითქმის ჩაბნელებულია. დგას ქალაქის დეკორაცია, რომელიც ჩაბნელებულია. აქა-იქ ბჟუტავს ნათურა. სიცივე და ქარი. შეწუხებულ-შეძრწუნებული ხალხი ქუჩაში დალასლასებს. სცენა ბნელდება.

სცენა ოდნავ ნათდება და ჩნდება ერთი ოჯახი. მაგიდაზე დგას სანთელი. ოჯახის უფროსი გაგლეჯილი მთვრალია. ოჯახის დიასახლისი კერავს. ბავშვები (და-ძმა) კუთხეში მიყუჟულან და მოწყენილები უყურებენ ჩამქრალ ნათურას. მოკლედ, ჩვეულებრივი ოჯახური იდილიაა, ჩვეულებრივი, რა თქმა უნდა, ქ. ჭაობის მოსახლეობისთვის.



**დედა** — დღეს 11 სთ-ზე აუცილებლად მოვა დენი.

**ბავშვები** (ერთხმად) — რა იცი?

**დედა** — დღეს ხომ პარასკევია.

**ბავშვები** — წითელი?

**დედა** — წითელი რა შუაშია, დღეს ჩვენი ქალაქის მეფე გამოდის ტელევიზიით — „გისმენთ და გიყურებთ ქალაქის მეფე“ და დენს მთელს ქალაქს აძლევენ.

ამ დროს სცენა ბნელდება. ნათდება მხოლოდ ის ნაწილი, სადაც საათია ჩამოკიდებული. საათი თერთმეტჯერ რეკავს. სცენა ნათდება. ისმის გამაყრუებელი ხმაური, ძაღლების ყმუილი, კატების კნავილი. ასე გამოხატავს ქალაქი დენის მოსვლის სიხარულს. ოჯახის დედა ხელიდან ყრის ნემსს და ძაფს, სამზარეულოში გარბის, ქვაბში ყრის ლობიოს, აბაზანაში რთავს სარეცხ მანქანას, რთავს მტვერსასრუტს, თან დიდი სურვილი აქვს ჩართოს უთო და აუთოოს, მაგრამ ვერ ახერხებს და დამწუხრებული დარბაზისკენ იხედება (დარბაზი იცინის და ტაში).

ბავშვები უსხდებიან მაგიდას და იწყებენ მეცადინეობას. ოჯახის მამა კი სკამზე ზის და ხვრინავს, უცებ სკამიდან ვარდება (დარბაზში ხარხარი და ტაში).

ამ დროს ირთვება ტელევიზორი და ჩნდება ჟურნალისტი.

**ჟურნალისტი** — გამარჯობათ, ძვირფასო ჭაობელებო, გამარჯობათ, ჩვენო მეფეო.

მეფე ზის გაბრაზებული, შუბლშეჭმუხნული, დაღლილი.

**მეფე** — გამარჯობათ.

**ჟურნალისტი** — მაშ ასე, ვიწყებთ გადაცემას „გვისმენს და გვიყურებს ქალაქის მეფე“. რას ეტყოდით ხალხს, მეფევ ბატონო?

**მეფე** — იცით, მე ჩემი გამოსვლა მინდა დავიწყო იმ მძიმე სიტუაციით, რაც შეიქმნა პლანეტებზე — მარსზე და იუპიტერზე. შეიქმნა უმძიმესი...

**ჟურნალისტი** (მორიდებით) — იქნებ ჩვენს ქალაქზე...

**მეფე** — რა ჩვენს ქალაქზე, თქვენ ხართ მოგზავნილი, თქვენ არაფრის დანახვა არ გინდათ. შენ ხარ მენავთობის და კორუმპირებულის ნაბუშარი. მე, ამ უპატიოსნეს კაცს, მებრძვის მთელი სამყარო. მე ახლა ჩამოვთვლი იმ უზარმაზარ ძვრებს, რაც ამ ბოლოს დროს გავაკეთეთ და თქვენ შეგრცხვებათ ყველაფრის. ახლახან ჩამოვიყვანეთ 5 მერსედესის „კატაფალკა“. წავიდა „უაზიკების“ დრო. მეტსაც გეტყვით, ჩვენი ქალაქის ავტოქარხანა იწყებს კატაფალკების სერიულ გამოშვებას და სულ მალე ქალაქი ჭაობი თავს მოიწონებს საკუთარი კატაფალკებით და ჩვენ ჩვენი სამომავლო მანქანა-კატაფალკები მოგვემსახურებიან. განა ეს პატარა საქმეა, მაგრამ მათ არ უნდათ დაინახონ ყოველივე ეს.

ჟურნალისტი ცდილობს სიტყვა ჩაურთოს, მაგრამ განრისხებული მეფე არ აცდის. ის უფრო იჭმუხნის წარბებს, უფრო ბრაზდება და განაგრძობს:

**მეფე** — უფრო მეტსაც გეტყვით, გავხსენით ევროსტანდარტების დონის, 4-ვარსკვლავიანი საქელეხო დარბაზები, სადაც უმაღლეს დონეზე მოგემსახურებიან. გაიხსნა 6 კუბოს დამამზადებელი საამქრო, გავხსენით ოთხი ახალი სასაფლაო, შესანიშნავ ადგილზე, საიდანაც წამოსვლა არცკი მოგინდება კაცს. უნივერსიტეტში გაიხსნა ახალი კათედრა, სადაც ახალგაზრდები ქვაზე ხატვის ხელოვნებას დაეუფლებიან. განა ეს ცოტაა, განა ეს არ კმარა ერთი პატარა ქალაქისთვის.

მეფე ისტერიკაში ვარდება, ფეხზე დგება, გაჰკივის და ხელებს უაზროდ აქნევს.

***(ტაში, ხანგრძლივი ტაში).***
***ფარდა იხურება.***

### II მოქმედება

ფარდა იხსნება. ჩნდება კვლავ ჟურნალისტი.

**ჟურნალისტი** — მეფეო, მოსახლეობა რეკავს და გვთხოვს, უფრო სწორად გვემუდარება, რომ 30-40 წუთი განვაგრძოთ საუბარი, რადგან ვერ მოასწრეს ყველაფრის გაკეთება და სურთ ცოტა ხნით კიდევ შეინარჩუნონ დენი. რას იტყოდით, ყოველივე ამის შესახებ?

**მეფე** — კი, ბატონო, მაშ ასე, მე დავასრულებ ჩემს აზრს. იუპიტერზე და მარსზე...

ამ დროს ირთვება მუსიკა, რომელიც ფარავს ქალაქის მეფის ხმას. თუმცა ის განაგრძობს ლაპარაკს, საუბრობს შუბლშეჭმუხნული, ხელებით და ფეხებით (დარბაზში ტაში და აქა-იქ სიცილი).

### III მოქმედება

ჩაბნელებული ქალაქი. აქა-იქ ბჟუტავს ნათურა. უბერავს ცივი ქარი, რომელიც ქუჩებში დაყრილ ნაგავს ჰაერში ატრიალებს. დარბაზში იფრქვევა ნაგვის სასიამოვნო სუნი (დარბაზში ჩოჩქოლია, ზოგი ჯემპრის საყელოს, ზოგი ცხვირსახოცს იფარებს ცხვირზე). ქუჩებში დაჰქრიან ლამაზი კატაფალკები, სახლში ბრუნდებიან დაღლილი, ბეჭზე ბარშემოდებული მესაფლავენი. ტროტუარზე სხედან ქალაქის ახალგაზრდები და სვამენ არაყს. „საქელეხო დარბაზიდან“ ჟრიამულით გამოდის ნასვამი ხალხი, უნივერსიტეტიდან სიცილ-კისკისით გამოდის ქვაზე ხატვას დაუფლებული სტუდენტობა.

ყოველივე ამას ფონად გასდევს კუბოზე ლურსმნის დაჭედების საამო ხმა.

უცებ სცენა ბნელდება და ნათდება მხოლოდ ერთი ნაწილი. დარბაზი ხედავს სახრჩობელას, რომელზეც საცოდავად ქანაობს ჩვენი ნაცნობი ოჯახის მამა. ბავშვები ტირიან.

**ფარდა იხურება**
**(დარბაზში ოვაციაა)**



**ანი მახატლიშვილი 7 იანვარს 7 წლის გახდა. ახმეტის რაიონის სოფელ მატანში ცხოვრობს და თავისი სოფლის სკოლაში სწავლობს. ერთ წელზე ცოტა მეტია, რაც ლექსების წერა დაიწყო, ერთი წელიც არ გასულა, რაც მამა გარდაეცვალა. ამიტომ ჭარბობს გოგონას ფიქრიან სტრიქონებში სევდა. მოვეფეროთ პატარა ანის...**

● ● ●

ხშირად მასმენენ შეპარვით:
კი არ გვიწყინო, ანაო,
ნუთუ ამ ლექსებს სულ შენ წერ,
არვის იხმარებ განაო?
წარმოიდგინეთ ის ლექსი,
თხუთმეტის აზრი ერიოს,
ყველას ეგონოს, ბრძნულს ამბობს,
თავს უწოდებდეს გენიოსს.
მეც ვიჯდე, ვინც რას მკარნახობს,
თავგამოდებით ვიწერდე,
არ მწყინდებოდეს მოსმენა
სიტყვებს ჰაერში ვიჭერდე.
გინდ დაიჯერეთ, გინდ არა,
მტკიცება არც მიფიქრია,
რომ ყველა ლექსი ნამდვილად
ჩემი ლამაზი ფიქრია.

● ● ●

***ვუძღვნი ლალი ბედუკაძეს***

***„შენ თებერვალში მოხვალ***
***მარხილით,***
***მოხვალ, უამრავ იას მომიტან...“***

მარხილით მორთმეულ იების
თოვლს,
ალბათ სხვანაირად ელიან,
თეთრი ანგელოზნი სიჩუმეში
წმინდა საგალობელს მღერიან.
და ეს ყველაფერი თითქოს ჩემთვის
რაღაც უჩვეულო ფიქრია...
ვიცი, რომ დაგეძებს უფლისწული,
ჩემო საყვარელო ფიფქია.

● ● ●

მდუმარებით სავსე ბილიკს
მივუყვებით,
ქარი ლამაზ ნაძვებს წეწავდა,
სოფლის განაპირას მზერად
მოქცეული
მამას სასაფლაო გვეძახდა...

● ● ●

იამ გაავსო ორღობე
დამათრობელი სუნითა,
გაზაფხულს ისე ველოდი
ისე სულით და გულითა,
თითქოს დიდთოვლა ზამთარმა
ძლივსღა ინება წასვლაო,
თოვლი თუ მოგვენატრება
მოგვიწევს მთაზე ასვლაო.
ყველა დროს თავის ეშხი აქვს,
თავის წესი და ადათი,
უთოვლობამ კი დიდ ზამთარს
სულ დაუკარგა ლაზათი.
გაზაფხულს ვენაცვალები,
კეკლუცობს ნაირფერებით,
ენძელებთან და იებთან
გული ვიჯერე ფერებით.



**გიორგი ვარაზაშვილი: 15 წლისაა, თბილისის 126-ე საშუალო სკოლაში სწავლობს. პატარაობიდანვე წერს ჩანახატებს, მინიატურებს, მოთხრობებს. ამჯერად გიორგის სამ მინიატურას გთავაზობთ და ახალბედა შემოქმედს გზას ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან.**

## სადღაც, უსასრულობაში...

ნელი ნაბიჯით მიდის ნიკალა, იღლიაში ნახატები ამოუჩრია, არსად ეჩქარება.

— ეი, ნიკალა, ნიკალაა!.. — ყვირის დუქნის მეპატრონე და მსუქანი, ბანჯგვლიანი ხელებით თავისკენ უხმობს. მხატვარი ჩერდება, წამით ჩაფიქრდება, შემდეგ სწრაფი ნაბიჯით დუქანში შედის. მედუქნე გამალებით რაღაცას არწმუნებს, ნიკალა უარზეა, დინჯად აქნევს თავს აქეთ-იქით. გადის რამდენიმე წუთი... არყით სავსე ჭიქას სწრაფად იღებს, სწრაფადვე გადაჰკრავს და დუქნიდან გამოდის.



„სად მიდის ნიკალა? საით მიაქანებს ფეხები“ — ეს მანაც არ იცის, უბრალოდ მიდის, ერთ ადგილას ვერ ჩერდება — ხან აქაა, ხან იქ... ჰო, ოღონდ ხატოს და მეტი არაფერი უნდა. ოღონდ თეთრ ტილოზე გადასვას ადამიანები, ცოცხალი არსებები და მერე მათ სული ჩაჰბეროს, მიეფეროს და მიეალერსოს. მხოლოდ ეს უნდა ნიკალას და განა ეს ბევრია? მაგრამ ხანდახან ესეც არა აქვს... არა აქვს ფუნჯები, რომლებითაც თავის გმირებს ქმნის, არა აქვს ტილოები, სადაც ამ ყველაფერს გადაიტანს და თავის ფიქრებს გზას მისცემს.

ზოგისთვის სიცოცხლე ლხინი და დღესასწაულია, ზოგისთვის სიცოცხლე — უბრალოდ სიცოცხლეა, ზოგისთვის ბრძოლაა თავის გასატანად... მაგრამ... მაგრამ აი ნიკალა? ნიკალასთვის სიცოცხლე გაურკვევლობაა... ის არც იქითაა, არც აქეთ, სადღაც უსასრულობაშია და იქიდან ველარ გამოუღწევია... უნდა, მაგრამ არ გამოსდის, ძალა არ ჰყოფნის, თანაც ეშინია, გულიც სტკივა და ისევ თავის ნაჭუჭში დარჩენა ურჩევნია.

— ეჰე, ფიროსმანაშვილო! სად მიდიხარ, დარჩი ჩვენთანა! — ყვირიან ლოტოს კოჭივით გაბერილი მედუქნეები, ტანწვრილი კინტოები. — ჩიტის რძესაც არ მოგაკლებთ, ოღონდ დარჩი!..

იმედი უნდა გაგიცრუოთ, ბატონებო! ნიკალას აქ დარჩენა არ უნდა, მისი გული სხვაგან იწევს და მოდით, ხელს ნუ შევუშლით, იაროს...

აბა, ნახვამდის, თავი შეგაწყინე... მხატვარო, ფიროსმანო, ფიროსმანაშვილო, ალბათ გულიც გაგიწყალე. მაშ, მშვიდობით, იარე შენი გზით, ღმერთი გფარავდეს!..

## დაღლარიკა

ჩემი სოფელი რაჭის ალპურ ზონაში მდებარეობს. უზარმაზარ გაუვალ ტყეში სოკოსავითაა ამოსული. სწორედ იქ ვისვენებ ხოლმე ზაფხულობით.

მთელი დღე სოფლის გოგო-ბიჭებთან ტყე-ღრეში ნარბენმა, გამტვერიანებულმა და დაქანცულმა, ფეხი შევდგი ეზოში თუ არა, ბებო ღიმილით შემომეგება:

— უი, მომიკვდეს თავი, რავა დაღლარიკას დამსგავსებულხარ, ბიჭო!..

დაღლარიკა ჩვენი სოფლის გიჟი იყო. ათიოდე წლის წინ თვითონ მოსულა და ჩვენს სოფელში დარჩენილა. თავისი ნამდვილი არც სახელი იცოდა, არც გვარი და არც ასაკი. ბავშვები უყვარდა ძალიან და ისინიც სიამოვნებით ეთამაშებოდნენ. დაღლარიკას სოფელი აჭმევდა და აცმევდა. ძირითადად ეკლესიაში ეძინა, ზაფხულობით კი სადაც დაუღამდებოდა, იქ იძინებდა. ძალიან კეთილი იყო დაღლარიკა, თვითონ რა ჰქონდა, მაგრამ თუკი რამეს იშოვიდა, ბავშვებთან გარბოდა, რომ მათთვისაც გაეყო. ამბობენ, ერთხელ პატარა ბიჭიც გადაურჩენია მდინარეში დახრჩობას. ამიტომ დედები შვილებს მასთან თამაშს არ უკრძალავდნენ, პირიქით, იმედიანადაც იყვნენ, რადგან დაღლარიკამ სოფლისა და მის გარშემო მიდამოების ყველა კუთხე-კუნჭული ზეპირად იცოდა. ისეთი მხიარული იყო, ისეთი დაუჯერებელი ამბების მოყოლა იცოდა... უიმისოდ არსად არ მივდიოდით ბავშვები. და კიდევ, მასავით დაუზარელი ადამიანი ალბათ დედამიწის ზურგზე არ დაბადებულა. რა უნდა გეთხოვა უბედური დაღლარიკასთვის, რომ სიხარულით არ წამომხტარიყო და იმ წუთში არ შეესრულებინა...

... ამ ზამთარს სოფლიდან ამბავი ჩამოვიდა — დაღლარიკა მომკვდარიყო. თურმე სოფელს ხბო დაჰკარგვოდა, იმას კი გათენებისთვის არ დაუცდია და შუაღამისას წასულა მოსაძებნად. საბრალოს, იმდენი უვლია დათოვლილ ტყე-ღრეში, რომ სოფლიდან საკმაოდ შორს წასულა, უკან დასაბრუნებელი გზა ალბათ სიბნელეში აერია. ღამის სასტიკმა სუსხმა არ დაინდო და ბოლო მოუღო საწყალს...

ღმერთო, აცხონე მისი სული!

## წვიმის კაცი

აგვისტოს მცხუნვარე დღეები იდგა, უცბად წვიმა წამოვიდა...

კოკისპირულად წვიმდა...

ქალაქის ქუჩებში ადამიანის ჭაჭანება არ იყო. წვიმის წვეთები ძლიერად ეხეთქებოდნენ გახურებულ ასფალტს. ქალაქის მცხოვრებნი სახლებში იყვნენ შეყუჟულნი და ფანჯრებიდან იყურებოდნენ, სახეზე რაღაც უცნაური გრძნობა აღბეჭდოდათ.

უცბად დაინახეს ახალგაზრდა ვაჟი, რომელიც იმის მაგივრად, რომ სადმე თავი შეეფარებინა, იდგა ქუჩის შუაგულში, ხელები მაღლა აეწია და თავბრუდამხვევად ტრიალებდა.

— ხალხნო, გამოდით გარეთ, ეს ხომ წვიმაა, გამოდით, იქნებ ამ წვეთებმა ჩამოგვარეცხოს ჩვენი ბინძური ცოდვები, გამოდით! — ყვიროდა ახალგაზრდა და გემრიელად იცინოდა.

— გამოდით, ეს ხომ წვიმაა, წვიმა!!! ნუ აფარებთ თავს, წვიმას უნდა, რომ ჩვენ შევხვდეთ, გავიხაროთ მისი მოსვლით... გამოდით, გამოდით!

ქალაქელები გაკვირვებულნი შესცქეროდნენ უცნაურ ახალგაზრდას: „ვიღაც გიჟია, სულელი, გადარეული“ — ფიქრობდნენ და დამცინავი ღიმილი დასთამაშებდათ სახეზე.

მაგრამ უცნობი ყურადღებასაც არ აქცევდა მათ დამცინავ მზერას, ისევ ისე ტრიალებდა, ხელებს მაღლა იშვერდა და ისევ ისე გემრიელად იცინოდა.



— გამოდით, გამოძვერით თქვენი ბუნაგებიდან, ცოტა დასველდით, გონზე მოდით, რისი გეშინიათ, რა გაფრთხობთ, ეს ხომ წვიმაა, წვიმა!!! — ყვიროდა ვაჟი და ხელებს აქეთ-იქით აქნევდა — გამოდით, ხალხნო, გამოდით!

მაგრამ ქალაქელებს რაღაც აკავებდათ, უხილავი, შეუცნობი ძალა, რომელიც გზას უკეტავდათ და გარეთ გასვლის ნებას არ აძლევდათ. არადა, მათაც უნდოდათ გამოსულიყვნენ და წვიმაში ეტრიალათ, ეცინათ, ეკისკისათ და მაგრად გალუმპულიყვნენ.

უყურებდნენ, უთვალთვალებდნენ სახლებში გამოკეტილი ადამიანები წვიმაში მოცეკვავე მხიარულ კაცს — წვიმის კაცს...

# კიდევ კარგი, კაცი არა ვარ, თორემ დუელში გამოწვევის რეკორდს მოვხსნიდი...



*თბილისში მომხდარმა მიწისძვრამ თურმე გვარიანად შეაშინა „ძილისწინელი" მარეხი — **მარიანა ჩინაშვილი** არათუ შეაშინა, დააზარალა კიდეც და ახლა თითქმის ჩამონგრეულ ჭერქვეშ გულისფანცქალით იძინებს და იღვიძებს.*

— მიწისძვრამ ძალიან შემაშინა. ემოციური ადამიანი ვარ და რამდენიმე დღე გამუდმებით ვნერვიულობდი. მერე კი, როგორც იტყვიან, ჩემი თავი ხელში ავიყვანე და მიწისძვრა საერთოდ ამოვიგდე თავიდან. რაც არ მომწონს და ზიანს მაყენებს, იმას ვივიწყებ, ამიტომაც მჯერა, რომ მიწისძვრა აღარ იქნება და უკეთესი მომავლის მოლოდინში ვარ.

**— ჭერი ჩამოგნგრევიათ, არავინ გეხმარებათ ზარალის ანაზღაურებაში?**

— მიწისძვრის დროს ბზარები გაჩნდა. ჭერი კი რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოინგრა. ახლა ჩვენს ქუჩაზე ისეთი ამბავია, იმდენი სახლი დაინგრა, რომ ნეტავ მათ მიხედავდეს ვინმე და ჩემს ჭერს როგორმე მივხედავთ.

**— საერთოდ მშიშარა თუ ხარ და ყველაზე მეტად რისი გეშინია?**

— ნორმალური ადამიანი, ალბათ, მეტნაკლებად მშიშარაა. მიწისძვრის მეშინია, ბევრი რამის კი არ მეშინია. თუნდაც მგლის. გავიგე, რომ მგელი ადამიანს არ ერჩის. ასე რომ, ამიერიდან ტყეშიც თამამად წავალ. ისე, თუ რაიმესი მეშინია, ეს ქუჩის ძაღლებია. თუ დავინახე, უკანმოუხედავად გავრბივარ. ბიჭები, როგორც ყველგან, ჩვენს უბანშიც დგანან ბირჟაზე. ქუჩის ძაღლებიც მათ ახლოს წვებიან. როგორც კი წამოწოლილ ძაღლებს დავინახავ, მეორე მხარეს გადავდივარ. ბიჭებს თურმე უკვირდათ — რა ჭირს მარიანას, გვერდს რატომ გვიქცევსო.

**— რახან შიშზე გაგვიგრძელდა საუბარი, ერთსაც გკითხავ. ეთანხმები აზრს, რომ „შიში შეიქმს სიყვარულსა"?**

— შოთას სიბრძნეს ვინ შეედავება. შეუძლებელია ქალსა და კაცს ერთმანეთი შიშის გამო შეუყვარდეთ. მაგრამ თუ ვინმე ძალიან გიყვარს, თუნდაც მეგობარი ან სხვა ვინმე, ჩნდება მისი დაკარგვის შიში, ამიტომაც ასმაგად ზრუნავ საყვარელ არსებაზე და ამგვარი შიშით სიყვარულიც უფრო ძლიერდება. ასე რომ, როცა დიდი შოთა ამ აფორიზმს ამბობდა, ცხადია, სხვა სიყვარულსა და შიშს გულისხმობდა.

**— მარიანა, ადამიანები გამუდმებით ძიების პროცესში არიან. შენ თუ ეძებ რამეს და რას?**

— ჩემი პროფესიიდან გამომდინარე ყველაფერში რაღაცას ვეძებ — საგნებში, ადამიანებში. ამიტომაც ვაკვირდები ყველაფერს. ერთხელ ჩემმა ექსპერიმენტმა ისე გამიტაცა, რომ ჩემს მეგობარ ფსიქიატრს ფსიქიატრიულ საავადმყოფოშიც კი წავყევი. პირველი რაც განვიცადე, იყო შოკი, მერე სიხარული იმის გამო, რომ ფსიქიკურად სრულყოფილი ადამიანი ვარ. თავიდან ძალიან განვიცადე ავადმყოფების მდგომარეობა. მერე კი, როგორც მსახიობმა, დაკვირვება დავიწყე.

**— რატომ, ფსიქიკურად დაავადებულის თამაშს ხომ არ აპირებდი?**

— არა, არ ვაპირებდი, მაგრამ ცხოვრება წინ არის. არც მარეხის როლის თამაში მქონდა ჩაფიქრებული, მაგრამ მოულოდნელად ამ ამპლუაში აღმოვჩნდი. ასე, რომ ყველაფერისათვის მზად უნდა ვიყო.

**— ნათქვამია: „აუცილებლად დაქორწინდი, თუ კარგი ცოლი გარგუნა ბედმა, გამონაკლისი იქნები და თუ ცუდი, — ფილოსოფოსი მაინც გახდები". დაეთანხმები ამ სიბრძნეს, თუ ცოლის ნაცვლად ქმარს ვიგულისხმებთ?**

— არა, ჩემი აზრით თუ კარგი ქმარი გარგუნათ ბედმა, თქვენ ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულხართ და თუ ცუდი, დროა თავს უშველოთ და მას თქვენი გაუბედურების საშუალება არ მისცეთ. ეძიეთ ახალი, ამ შემთხვევაში ალბათ არც მოიწყენთ და უბედურიც არ იქნებით.

**— შენზე ამბობენ, მომთმენი ადამიანია, თუმცა მაინც გამოდის მოთმინებიდანო.**

— უზრდელ ადამიანებთან მოთმინების უნარს ვკარგავ. მნიშვნელობა არა აქვს, ჩემ მიმართ ამჟღავნებენ ისინი უზრდელობას თუ სხვის მიმართ, ძალიან ვებრაზდები. კიდევ კარგი, რომ კაცი არა ვარ, თორემ დუელში გამოწვევის რეკორდს დავამყარებდი. ვერც გულცივ ადამიანებს ვიტან. მაგაზეც ვცოფდები და მაინც ჩემი დევიზია: „ის ადამიანია დაფასებული, ვინც დიდი გაჭირვება გადაიტანა, მაგრამ არ გაბოროტდა". დიდ კატაკლიზმებში არ მოვყოლილვარ და არც მინდა, მაგრამ რაც არ უნდა მოხდეს, შევეცდები არ გავბოროტდე და ტკივილები ცრემლის ღერით გავიქარვო.

**— ძილის წინ რაზე ფიქრობ?**

— მადლობას ვუხდი ღმერთს ნორმალური დღისათვის. ვხუჭავ თვალებს, გვერდზე გადავბრუნდები და სიზმრების სამყაროში ვეშვები. სიზმარა ვარ და არაერთი აუსრულებელი ოცნება ამხდენია სიზმარში. იქ იმდენად კარგია, რომ ცხადში დაბრუნება არც კი მინდა ხოლმე, ამიტომაც თითქმის ერთი საათი ვუნდები თვალის გახელას.

**— მარიანა, საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა რისი ნიშანია?**

— იდიოტობის. ვერ ვიტან ასეთ ადამიანებს. ისინი მდაბიოები არიან. საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა იმის ნიშანია, რომ ღირსება არ გაგაჩნია.

**— არის რამე სიახლე შენს ცხოვრებაში?**

— სამწუხაროდ, ჯერჯერობით არაფერი.

**— მარიანა, შენზე ჭორები თუ გაგიგია? სამარშრუტო ტაქსიში ორი ქალი ჩურჩულებდა, — „მარეხი თურმე კაზინოებში დადის, მაგარი იღბალი ჰქონია, სულ იგებს და ცხოვრებაც მოუწყვიაო".**

— რას ამბობ. საერთოდ კაზინოში ფეხიც არ შემიდგამს არასდროს. რა მინდა კაზინოში. სადაც სამი ექვსიანი ფიგურირებს, ღვთის ნებით იქ ჩემთვის კარი დაკეტილია.

**— ერიკ რობერტსთან რომ გქონია მიმოწერა ინტერნეტით, ეგეც ტყუილია?**

— აბა რა. ერიკი კი მომწონს, მაგრამ ისე არა, რომ წერილები მივწერო. კიანუ რივზზე ვგიჟდები, მაგრამ არც ისეთი ამბიციური ვარ, რომ ჰოლივუდელებს მივეპოტინო. ჭორიკნებს კი ვურჩევდი, ჭორაობას თავი დაანებონ და რაიმე უკეთესზე იფიქრონ.

**— სამომავლოდ რას გვპირდები?**

— არჩევნებში მონაწილეობას არ ვიღებ. ამიტომაც ვერაფერს დაგპირდებით და თუ რამეს გავაკეთებ, ყველა თავად ნახავთ. ისე საინტერესო შემოქმედებით ცხოვრებას ვინატრებდი.

**— გატყობ, რომელიღაც როლის თამაში გინდა ძალიან.**

— იტალიაში რომ ვცხოვრობდე, ძეფირელის გავიცნობდი და ვთხოვდი, შექსპირის ნაწარმოებთა ყველა ეკრანიზაციაში მიმალეგბინოს მონაწილეობა. საქართველოში კი ჩემი სათაყვანებელი რეჟისორის, რობერტ სტურუას სპექტაკლებში ვითამაშებდი სიამოვნებით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაშიც შექსპირის პერსონაჟებს. ძალიან მიყვარს შექსპირი.

*ეკა ლომიძე*

**27 მაისს, საღამოს რვის ნახევარზე, მოსკოვში, სკლიფასოვსკის სახელობის ინსტიტუტის რეანიმაციულ ბლოკში გარდაიცვალა თეატრისა და კინოს პოპულარული მსახიობი, საუკეთესო „დოქტორი ვატსონი" ვიტალი სოლომინი. მსახიობი საავადმყოფოში ერთი თვის წინ მიიყვანეს ინსულტის დიაგნოზით. გაკეთდა სასწრაფო ოპერაცია, რომლის შემდეგაც მისი მდგომარეობა მძიმე იყო, მაგრამ სტაბილური. იმ საღამოს, აუცილებელი პროცედურების შემდეგ მსახიობმა ჩაიძინა და ნახევარ საათში აპარატმა დააფიქსირა გულის გაჩერება.**



კვირა 9 ივნისი

შაბათი 8 ივნისი

პარასკევი 7 ივნისი

ხუთშაბათი 6 ივნისი

ოთხშაბათი 5 ივნისი

სამშაბათი 4 ივნისი

ორშაბათი 3 ივნისი

# თმებს ვიჩეჩავ და სრული იდიოტის გამომეტყველებით ვეკითხები — რა გინდა, რატომ გამაჩერე?



*ამიერიდან რეჟისორ **დათო დოიაშვილს** თეატრისა და ოჯახის გარდა ნათლულების „არმიაზეც" მოუწევს ზრუნვა. სულ ახლახან იგი მესამე ნათლულის, მარიამ მამულაშვილის ნათლია გახდა. (მარიამი ცნობილი მშობლების ლელა წურწუმიასა და „მამულიჩას" ქალიშვილია).*

„ამიერიდან ჩვენი ნათესაობა 9 თაობაზე გადადის და ამ კავშირს ვერანაირი სისხლით ნათესაობა ვერ შეედრება" — მითხრა დათომ, რომელსაც შესანიშნავად აქვს გათვითცნობიერებული ნათლიის უფლება-მოვალეობანი, მაგრამ ეჭვობს, რომ ნათლულებთან აღმზრდელობითი ურთიერთობა შეძლოს. დათოსთან ნათლობის შემდგომ გამართულ ლხინზე „წავიჭორავეთ", ერთი-ორი ამბავი მისი ყოველდღიური ცხოვრებიდანაც გავიხსენეთ და თბილისის თემასაც შევეხეთ.

**— დათო, ლელა წურწუმიას სტუმრებს შორის პოლიტიკოსებიც მრავლად ყოფილან. წინასაარჩევნო კბენა-ღრენა იქაც გრძელდებოდა თუ ტრადიციულად, სუფრამ აქაც შეარიგა მოქიშპენი?**

— როგორც შევნიშნე, ლხინში პოლიტიკური არჩევნებისათვის ერთმანეთზე გადაკიდებულმა პარტიებმა კონსოლიდაციას მიაღწიეს. „მოქალაქე" ლევან მამალაძე, ზურაბ ჟვანიას გუნდელი დათო ხუჯაძე, სოციალისტი „შავი" და კიდევ სხვები თავს მშვენივრად გრძნობდნენ ერთმანეთის გვერდით.

**— ალბათ უამრავი სიკეთე დაანათლე მარიამს, „პორშეს" სიყვარულის დანათლება ხომ არ დაგავიწყდა?**

— მანქანების მანია ნამდვილად არ მჭირს, მაგრამ „პორშე" და „იაგუარი" ძალიან მომწონს. მიუხედავად ამისა, ძველი „ოპელით" დავდივარ და რომ ნახო, იტყვი, რომ ჩემნაირი კაცი მანქანას არ უნდა გაეკაროს. შეიძლება ითქვას, რომ საერთოდ არ ვიცი მანქანის მართვა.

**— ამიტომაც არიან ძალიან განერვიულებული თბილისელი პოლიციელები?**

— ვცდილობ საქესთან იშვიათად დავჯდე. ხანდახან ავიჩემებ ხოლმე, აი, ამ კვირაში შეიძლება რაღაც ცუდი მოხდეს-მეთქი და მანქანას არ ვეკარები. ძირითადად კი მანქანით ღამით დავდივარ, ისეთი პოლიციელი თუ შემხვდა, რომელიც გამიგებს, სახეზე ვატყობ, დარღვევის შემთხვევაში მანქანას ვაჩერებ, თმებს ვიჩეჩავ და სრული იდიოტის გამომეტყველებით ვეკითხები — რა გინდა, რატომ გამაჩერე? თუ მიცნეს ხომ მიშვებენ, თუ არადა, ჯარიმას მიწერენ. ახლაც 6 თვე მართვის მოწმობა წართმეული მქონდა და მეგობრების დახმარებით დავიბრუნე.

**— როცა თბილისის თვალიერების საშუალება გეძლევა, თვალში რა გხვდება?**

— ხალხი, რომელსაც ვერ ვცნობ, ქალაქი, რომელიც უცხოა. უცნაური რამ ხდება. ალბათ ჩემი თაობის პრობლემაა ის, რომ ადამიანებს შორის საშინელი გაუცხოება დაიწყო. ირგვლივ ისეთი გარემო შეიქმნა, რომ ძნელად ვპოულობ საერთოს იმ დროსთან, იმ გარემოსთან, რომელშიც გავიზარდე. ისეთი სიტუაციაა, თითქოს საკუთარ სამშობლოში ემიგრანტები ვხდებით. უცხოეთში ნოსტალგია რომ გძალება, ბუნებრივია, უცხო აურა მშობლიურის მონატრებას იწვევს. მაგრამ აქ, ჩვენს ქვეყანაში სამშობლო რომ გვენატრება, ეს ტრაგედიაა.

**— ამ პრობლემის გაჩენის მიზეზი, ან მისი გაქრობის საშუალება რა გგონია?**

— ოპტიმისტი ვიქნები და რაც ხდება ყველაფერს საუკუნის მიწურულს და ახალი საუკუნის დადგომას დავაბრალებ. ყველაფერი ირევა ამ დროს. ეს კანონზომიერი მოვლენაა, ამიტომაც ბუნებრივად, ნელ-ნელა ყველაფერი დალაგდება. შეიძლება ამ პროცესში რაღაც კარგიც დაიკარგოს, ის, რაც მოგვენატრება და აღარ დაბრუნდება, მაგრამ ვერაფერს ვიზამთ, ესეც კანონზომიერი მოვლენაა. ყველაფერი კარგად იქნება. ოღონდ გვინდოდეს.

**— დათო, ამბობენ, რომ ძალიან მკაცრი რეჟისორი ყოფილხართ.**

— ალბათ უფრო ძალიან მომთხოვნი ვარ, ვიდრე ძალიან მკაცრი, სცენაზე, სპექტაკლის რეპეტიციების დროს ვცდილობ ზეგავლენა ვიქონიო სხვებზე. მსგავსი მოქმედება სხვების მიმართ სხვა დროს არ მჩვევია. თეატრში „დიქტატურის" უფლება მაქვს. ეს საქმეს სჭირდება.

**— მარჯანიშვილის თეატრიდან რატომ წამოხვედით?**

— თუ თანამდებობაზე ვარ, სიტუაცია მთლიანად მე უნდა ვმართო. ნაწილობრივ მართვას ვერ ვეგუები. ანუ თუ ვიგრძნობ, რომ ჩემი რადიკალური ნაბიჯები ვიღაცისთვის მიუღებელია, ვცდილობ, ძალიან მარტივად გამოვიდე ნებისმიერი სიტუაციიდან ისე, რომ მდგომარეობა არ დაიძაბოს. მარჯანიშვილის თეატრიდანაც ასე წამოვედი.

**— თქვენი რადიკალური ნაბიჯები რომ ვიღაცისთვის მიუღებელი იყო, ეს მაშინ იგრძენით, როცა მარჯანიშვილის თეატრში „ჯინსების თაობის" დადგმაზე უარი გითხრეს?**

— დიახ. როცა მწერალს აუკრძალავენ ნაწარმოების წერას, ის მეორე ნაწარმოებსაც ველარ დაწერს ნორმალურად, რადგან წერის მომენტში იფიქრებს იმ ხალხზე, ვისთვისაც კონკრეტულად წერს ნაწარმოებებს. „ჯინსების თაობის" დადგმაზე უარის თქმით ანალოგიური სიტუაცია იქმნებოდა ჩემთვისაც. მე არ უნდა დამედგა ეს სპექტაკლი და ე.ი. უნდა შევჩვეოდი რაღაც კონიუნქტურას თუ სისულელეს. ეს მე არ შემიძლია, რადგან მაქვს ჩემი ჩამოყალიბებული აზროვნება და მინდა გავაკეთო ის, რაც სწორი და მართალი მგონია. ამიტომაც უპრობლემოდ დავტოვე ის ადგილი, სადაც ჩემი გეგმის განხორციელება არ შემეძლო.

**— „ჯინსების თაობის" დადგმით ითქვა ის, რაც ამ სპექტაკლის დადგმით იყო განზრახული?**

— არ ვიცი რა ითქვა და რა არა, მაგრამ გულში ხინჯად არ დამრჩენია ის, რომ რაღაცის კეთება მინდოდა და არ გამაკეთებინეს. დღეს ჩემთვის უფრო მისაღებია თავისუფალი რეჟისორის სტატუსი. ანუ სადაც მინდა, იქ ვიქნები და რასაც მინდა, იმას გავაკეთებ. რამდენიმე დღის წინ კი ფესტივალ „ოვაციაზე" „ჯინსების თაობას" პრიზი გადაეცა ყველაზე თამამი განაცხადისათვის.

**— ცნობილია, რომ უცხოეთიდანაც გაქვთ მიწვევები.**

— არ მინდა დროს გავუსწრო, თუმცა, იტალიაში „ოპერა დი რომაში" შემომთავაზეს ოპერის დადგმა.

*ეკა ლომიძე*




# ნოვო-პასიტი

საფეხბურთო
მსოფლიო
ჩემპიონატისას
ძლიერი ნერვები გჭირდებათ!



მიიღეთ ნოვო-პასიტი
და ისიამოვნეთ!

პროსტატიტის მკურნალობა

ბუასილის და პროქტოლოგიური
დაავადებათა მკურნალობა უოპერაციოდ



ექიმი
ისრაელიდან

ტელ.: 25 27 09  23 05 25

## პროგრამული უზრუნველყოფის ინსტიტუტი
**Programming Development Institute**

აცხადებს მიღებას 2002–2003 წ.წ.

✓ **პროგრამირების ფაკულტეტზე**

სწავლის ხანგრძლივობა 4 წელი.

✓ **ინსტიტუტთან არსებული მეორადი კურსები:**

- პროგრამული ენები: Turbo pascal; Delphi; C; C++; SQL; Java... (სწავლის ხანგრძლივობა 10 თვე).
- დიზაინური პროგრამები; WEB-გვერდის დამზადება.
- ინგლისური ენის ინტენსიური სწავლების კურსი აუდიო-ვიდეო მასალების თანხლებით (სწავლის ხანგრძლივობა 6 თვე).

საბუთების მიღება მისამართზე: თავისუფლების მოედანი №7,
ცეკავშირის შენობა, V სართული, №544. ტელეფონი: 999911
E-mail: kiber@www.com

## იჩქარე!
## გათამაშების პირველ ეტაპამდე დარჩა 7 დღე!

# საზაფხულო პრიზების წვიმა



ხალგაზრდა ქალი დაძაბული იწყებს საუბარს:

— სხვების თვალში მე და ჩემი მეუღლე ბედნიერები ვჩანდით, მაგრამ არავინ იცის, რას ვითმენდი მის ხელში, ან რა იმალებოდა მოჩვენებითი „ბედნიერების“ მიღმა. 9 წლის მანძილზე ერთხელაც არ გამიხარია. მშობლებს ვერ ვუმხელდი ჩემს გაჭირვებას, რადგან თავისი უსაშველო დარდი ყოფნიდათ — მოულოდნელად გარდამეცვალა ძმა. ჩემი ქმარი ავადმყოფურად ეჭვიანი იყო. ფხიზელი კიდევ ახერხებდა თავის დაჭერას, ნასვამი კი ისეთ რამეს მეტყოდა, ან გააკეთებდა — სიკვდილს ვნატრობდი ხოლმე. ალბათ მკითხავთ, მაშ, ამდენხანს როგორ გაუძელიო.

ბავშვობიდან თვინიერი და წყნარი ვიყავი, ყველანაირად ვცდილობდი უსიამოვნების თავიდან აცილებას, თუნდაც ეს ჩემი დაჩაგვრის ხარჯზე მომხდარიყო. მშობლები მარიგებდნენ, მირჩევდნენ — ასე და ასე მოიქეციო, მაგრამ ვერაფერი „მიშველეს“. მერე გავთხოვდი. უფრო სწორად, ჩემმა ქმარმა ქუჩიდან მომიტაცა, თუმცა იცოდა, რომ სხვა მიყვარდა. ხუთი დღე და ღამე მოთქმით ვტიროდი. რაჭაში, მისი მეგობრის ბიძის ოჯახში ვიყავი დამწყვდეული. მაშინ ჩვენ შორის არაფერი მომხდარა, მაგრამ თბილისში წამოსვლის დროს მითხრა: ველარავინ ჩადგება ჩვენ შორის, ვერც ვინმე შენი ახლობელი და ვერც ის „ვაჟბატონი“. მიყვარხარ და შენს თავს არავის დავუთმობო. შევშინდი და დავპირდი, რაც არ უნდა მითხრან, ცოლად მაინც გამოგყვები-მეთქი. ეს პირველი ძალადობა იყო ჩემ მიმართ. ამ დათმობამ მერე ცხოვრება სატანჯველად მიქცია...

„გაბედნიერების“ მეორე დღესვე დაიწყო ჩემი „ტერორი“. დიახ, არ ვაჭარბებ, ეს მართლაც მორალური ტერორი იყო, ძალადობის ერთ-ერთი საშინელი ფორმა. ჩემი ქმარი წარამარა მიხსენებდა იმ ძველ სიყვარულს, რომელიც ცრემლით გადავაბარე წარსულს. აღარც მინახავს არსად, რომ მიზეზი ჰქონოდა, მაგრამ ვერ ინელებდა, რომ რამდენჯერმე ერთად გვნახა კინოში.

**— მაინც რას გედავებოდათ? ნუთუ უსაბაბოდ შეიძლო კონფლიქტის დაწყება?**

— ყოველთვის ცდილობდა, რომ მე — მისი ცოლი — მუდამ მომხიბლავი ვყოფილიყავი. რაც მოდური იყო, იმას ყიდულობდა ჩემთვის, მაგრამ რად გინდა ასეთი „მზრუნველობა“, თუკი ტყვეობაში იგრძნობ თავს.

სამსახურიდან დაბრუნებულს თუ ხალისიანად დავხვდებოდი, მომახლიდა, — რაო, რომელიმე ძველმა თაყვანისმცემელმა ხომ არ შეგახსენა თავი ჩემს არყოფნაშიო

ამ სიტყვების მერე რომ მოვიწყენდი, ახლა იმაზე შემომიჩნდებოდა: „ის“ გაგახსენდა, არაო? მეგობარი შინ ვერ დამპატიჟებდა. ყველას აფრთხილებდა: არ მიყვარს, როცა ჩემი ცოლი სხვაგან მიდის, თუ დროსტარება გინდათ, ჩვენთან მობრძანდით და იმხიარულეთო. მართლაც, მოიწვევდა ჩემს დაქალებს, მოგვიტანდა აუარებელ სასუსნავს და სასმელს, თვითონ კი დაგვტოვებდა — ალბათ, ჭორაობა გინდათო. ჩემს მეგობრებს აღაფრთოვანებდათ მისი ეს თვისება, მე კი ტანში მცრიდა. ვიცოდი, რომ სტუმრების წასვლის შემდეგ მორიგი სპექტაკლი გათამაშდებოდა. დაიწყებდა უაზრო დაკითხვას — „გაიხსენე წარსული? რა ამბავი მოგიტანეს დაქალებმა? იჭორავე ჩემზე? ახალი „სატრფო“ ხომ არ გამოგიჩნდა?“ ტირილით თავპირს რომ დავისიებდი, დამშვიდდებოდა და იწყებდა ჩემს მოფერებას. მარწმუნებდა, — ეჭვიანობა უსაზღვრო სიყვარულის „ბრალიაო“.

**— ვერც ბავშვის დაბადებამ შეცვალა?**

— სანამ ჩვენი გოგონა წლის გახდებოდა, თითქოს მართლაც შეიცვალა. გვიან მივხვდი, იმიტომ არ ეჭვიანობდა, „ფორმაშეცვლილი“ ვიყავი. ორსულობაში ძალიან გავსუქდი. სამაგიეროდ, როგორც კი დავიბრუნე ძველი წონა და კვლავ დავიწყეთ სტუმრად სიარული, ისევ აიღერლა. ერთხელ, მისი ნათესავის ქორწილში წავედით. წინა დღეს საგანგებოდ წამიყვანა მაღაზიაში. ძალიან ლამაზი, ძვირფასი შავი კაბა მიყიდა. მერე კი ამ კაბის გამო ლამის ჯვარს მაცვა... მექორწილენი რომ შექეიფიანდნენ, ცეკვა-თამაში გააჩაღეს. ჩემმა ქმარმა მე გამიწვია საცეკვაოდ. მერე სხვამაც იცეკვა ჩემთან. არ მინდოდა, მაგრამ თავად მან მომცა ამის ნება. კაბა მუხლს ქვემოთ მქონდა, ამიტომ მისი მიზეზიანობის ამბავი რომ ვიცოდი, ისე ვცეკვავდი, რომ უფრო ზემოთ არ ამწეოდა. ერთ საათში გარეთ გამიყვანა და ისეთი სილა გამაწნა, მეგონა, დარბაზში მსხდომმა სტუმრებმაც გაიგონეს-მეთქი. ტირილი ამივარდა. სულ ძუკნა მეძახა. ამის მერე, მომკიდა ხელი და აწითლებულ-ატირებული ისევ დარბაზში შემიყვანა, გვერდით მომისვა და მიბრძანა, არ გაინძრეო... ასე ვითმენდი შეურაცხყოფას, რადგან ქმარგაცილებული ქალის სახელი არ მინდოდა მქონოდა.



**— მშობლები შვილს არაფერს ეუბნებოდნენ?**

— როგორ არა! ერთხელ შემთხვევით შევესწარი, დედამისი არიგებდა, — ცოლს უმიზეზოდ ნუ ეჩხუბები, თორემ შეგიძულებსო. იცით, რა უპასუხა? შემიძულებს და მოვკლავ, შენ კი ჩემს საქმეებში ნუ ერევიო. მართლაც, მეორე დღეს ძვირფასთვლიანი ოქროს ბეჭედი მიყიდა. ეგონა, რომ მთელი ცხოვრება ასე ვიქნებოდით: ჯერ გამამწარებდა, მერე კი მომეფერებოდა, ან რამეს მიყიდდა და „მომქრთამავდა“.

**— ნათქვამია, შიში შეიქმს სიყვარულსაო! თქვენს შემთხვევაში ეს ასე არ მოხდა?**

— რომელ სიყვარულზეა ლაპარაკი, როცა ერთი სული მქონდა, დროზე გავცლოდი ჩემს მტანჯველს... ერთხელ, ქუჩაში ვასეირნებდი ბავშვს. დიდი ხანი იყო, არ გამევლო რუსთაველის გამზირზე. სამსახურში დავურეკე და ვთხოვე, ნება მოეცა რუსთაველზე გასეირნებისა. კარგი, წადიო, — მითხრა. გოგონა უკვე ხუთი წლისა იყო. მაღაზიები მოვიარეთ, ათასი წვრილმანი რამ ვიყიდე. მერე „ლაღიძის წყლებში“ შევედით. იქ შემთხვევით შემხვდა ჩემი ბავშვობის ამხანაგი ბიჭი შვილთან ერთად. ძალიან გაგვიხარდა ერთმანეთის ნახვა. ხაჭაპურზე და წყალზე დაგვპატიჟა. მერე პირველ სკოლამდე ერთად მივედით, დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ისინი ქაშუეთის ეკლესიისკენ გადავიდნენ, მე და ჩემმა გოგონამ კი მეტროსკენ გავწიეთ. მეტროს წინ, ერთ-ერთმა გამვლელმა გამაჩერა და გზისკენ მიმახედა, ვილაც კაცი გეძახითო. გავიხედე და რას ვხედავ? ჩემი ქმარი ზის მანქანაში და იქიდან მითვალთვალებს. კინალამ გული გამისკდა. მან მდუმარედ გამიღო მანქანის კარი, ბავშვს ზედაც არ შეხედა. სახლთან რომ მივედით, მითხრა, ბავშვი აიყვანე შინ და ისევ ჩამოდი, სხვაგან უნდა წავიდეთო. ვგრძნობდი, კარგი არაფერი მელოდა, მაგრამ კვლავ დავემორჩილე. როცა მოვბრუნდი, მან გეზი კოჯრისკენ აიღო. „ბუნების წიაღში“ შავი დღე მაყარა. საგანგებოდ იახლეთ ბავშვები, რომ ვინმეს არ ეეჭვა, მაგრამ მე ვერ მომატყუებო. სწორედ მაშინ შევბედე პირველად: თუკი მიგაჩნია, რომ უწესო და მატყუარა ქალი ვარ, რაღას მაჩერებ, გავიყაროთ-მეთქი. ამან სულ გადარია: უჩემოდ ცხოვრებას ნატრობ, მაგრამ ვერ ეღირსები, მოგკლავო.

**— როგორ დააღწიეთ თავი?**

— მისი ეჭვები ყოველგვარ საზღვარს რომ გადასცილდა, თავის მოკვლა ვცადე... მისი ნათესავი კაცი გვესტუმრა. იმ დღეს სადილი არ მქონდა მომზადებული. კვლავ ეჭვიანობამ აიტანა. სტუმართანაც ვერ მოზომა, ბევრი უკადრებელი რამ მაკადრა. ნათესავი გაოგნდა და იძულებული გახდა, გაგვცლოდა. მე კი, დაზაფრულმა და აფორიაქებულმა, იოდს წამოვავლე ხელი და სულმოუთქმელად დავლიე... გადამარჩინეს. მივხვდი, ასე გაგრძელება აღარ შეიძლებოდა. დავიბარე ჩემი მშობლები და მისი დედ-მამის თანდასწრებით ყველაფერი ვთქვი. მეორე დღესვე სასამართლოში შევიტანე განცხადება განქორწინებაზე.

**— მუქარა აღარ აასრულა?**

— როცა ჩვენებთან საცხოვრებლად გადავედი, ერთხელ, ღამით მოვიდა. მე არ გავუღე კარი. ისე გამწარდა, რომ რევოლვერი ამოიღო და კარებს რამდენჯერმე ესროლა. იძულებული ვიყავი, პოლიცია გამომეძახებინა. პოლიციაში მამამისის ამხანაგი მუშაობდა. სანდრო ბიძია რომ მოვიდა და ნახა, რაშიც იყო საქმე, ძალად ჩასვა მანქანაში და შინ წაიყვანა. მე მთხოვა, ნუ უჩივლებო (არც ვაპირებდი ჩივილს), მას კი ახსნა-განმარტებითი ბარათი დააწერინა, რომ აღარასოდეს შემაწუხებდა.

**— ახლა მშვიდად ხართ?**

— რა თქმა უნდა! ახლა ბედნიერიც კი ვარ. ჩვენი განქორწინებიდან სამი წლის მერე მეორე ცოლი შეირთო.

**— მასზეც ეჭვიანობს?**

— ერთმა მისმა ახლობელმა მითხრა, ხანდახან კვლავ „წამოუვლის“ სიგიჟე, მაგრამ რა შედარებაა, საოცრად გამოუკეთდა ხასიათი და მშვიდი, გაწონასწორებული გახდაო. ასე რომ, ჩემო კარგო, სადაც არა სჯობს, გაცლა სჯობს. წლების მანძილზე აშკარა ძალადობას განვიცდიდი მისგან. ასეთი ურთიერთობების დროს ოჯახის შენარჩუნებას და სიჩუმეს არანაირი გამართლება არა აქვს.

***მარინა ბაბუნაშვილი***

**მაღალქუსლიანი ქოშებით მოკეკლუცე ქალზე სექსუალური არავინაა, — ამბობენ ფრანგები. მამაკაცებს ძალიან უყვართ წვრილი ქუსლებით მობაკუნე ქალები. ამ ზაფხულს დიდ პატივში იქნება ძალიან წვრილი და მაღალი (11სმ) ქუსლიანი მაშიები და ქოშები.**

**გაიხადე**

— ერთი ფერის დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი;

— თხელლანჩიანი მოკასინები;

— მოწნული მაშიები;

— მძიმე, კვადრატულცხვირიანი და ქუსლიანი ფეხსაცმელი.



**ჩაიცვი**

ლენტებით, მძივებით, პეპლებით და ა.შ. გაწყობილი წვრილქუსლიანი მაშიები;

— ბერძნული სანდლები;

— მოკასინი — ქოშები;

— იაპონური გეტები, ტყავის და ნატის („ზამში“) წკაპუნები, ე.წ. „ვიეტნამურები“.



დიდებული კოკო შანელი ამბობდა, — სუნამო ისეთ ადგილებში უნდა დაიპკუროთ, სადაც კოცნა გეამებათო.

სუნამოს ისვამენ იმ ადგილებში, სადაც პულსი ფეთქავს: მაჯაზე, იდაყვთან, ყურს უკან. იქ სურნელი თბება და „მუშაობას“ იწყებს.

ყოველი ადამიანის კანს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, ინდივიდუალური სუნი აქვს, რის გამო ერთსა და იმავე სუნამოს სურნელს სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვანაირად „აფრქვევს“. ამიტომ სხვისი მიბაძვით არასოდეს აირჩიოთ სუნამო. საქმიანმა ქალმა სამსახურში მსუბუქი წყლის გამაზე დამზადებული სუნამო უნდა დაიპკუროს, ის მკვეთრი არ არის და სასიამოვნოდ იფრქვევა ჰაერში (Nev West, L·Eau d·Issey, Polo Sport).

პირველ პაემანზე რომანტიკული სუნამო დაგჭირდებათ, რომელიც მამაკაცს ზაფხულის სიოსავით მიელამუნება. ასეთ შეხვედრებს მწვანე არომატები მიესადაგება (Chanel #19, Beautlful, Envy).

თუ მამაკაცთან მთელი დღის და შეიძლება ღამის გატარებასაც აპირებთ, თქვენს სუნამოს უნდა დაჰკრავდეს აღმოსავლური ვანილის სურნელი, რომელიც კაცებს ეროტიკულ ფანტაზიებს უღვიძებს (Dune, Wist, Yungle Tiger, Yust Me).

წელს მოდაშია ყვავილებისა და ხილის სურნელიანი სუნამოები.

მსოფლიოში ყველაზე ძვირფას სუნამოს ჰქვია „1000“.

1. სტატისტიკით ქალები უფრო დიდხანს ცოცხლობენ, თუმცა მეცნიერებამ ამას ვერავითარი ახსნა ვერ მოუძებნა;

2. ქალები არ ავადდებიან პროსტატით, არ ემუქრებათ იმპოტენცია და არც გამელოტებისა ეშინიათ;

3. როცა ქალი მამაკაცს სილას გააწნავს, ის ხურდას ვერ დაუბრუნებს, ეს არის კანონი, რომელსაც ვერც ერთი მამაკაცი ვერ დაარღვევს (თუ ამის წამკითხველი მამაკაცი გამონაკლისია, ის აშკარად რეგვენია);

4. არავინ დაუთმობს ადგილს მამაკაცს, რომელიც ცხრა თვის ორსულს ჰგავს, ორსულ ქალს — კი;

5. ქალს პრობლემის გადაწყვეტა ტირილითაც შეუძლია;

6. ქალებს უხდიან ალიმენტებს, მამაკაცებს — არასდროს;

7. ქალს შეუძლია გაიხვრიტოს ენა, ჭიპი, ძუძუსთავი და ზედ სამკაული ჩამოიკიდოს — მასზე დიდი-დიდი, თქვან, თავისებური და თავნებააო. მამაკაცს კი ამისთვის „ცისფერობას“ მიაწერენ;

8. და უმთავრესი: მამაკაცს არ შეუძლია შვას ახალი სიცოცხლე!

**ძვირფასო ქალებო! მოგვწერეთ, კიდევ ჩვენი რა თვისება შეიძლება შეშურდეთ მამაკაცებს.**


# შეათავსეთ სასიამოვნო სასარგებლოსთან

საქართველოში შემოტანილი აუარება ჰიგიენური ნაწარმიდან ლომის წილი კომპანია „კოლგეიტ პალმოლივის“ პროდუქციაზე მოდის. ამ დღეებში მეტეხში შედგა პრესკონფერენცია, სადაც ფირმის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა დამსწრეებს კომპანიის ისტორია გააცნეს და დაწვრილებით ისაუბრეს მათი ფირმის მიერ შექმნილი პროდუქციის ღირსებებზე.

კოლგეიტ-პალმოლივი ერთ-ერთი უძველესი კომპანიაა (დაარსდა 1806 წელს). მან საქმიანობა სახამებლის, საპნისა და სანთლის გამოშვებით დაიწყო. 60 წლის შემდეგ სურნელოვანი საპნის, სუნამოებისა და ესენციების წარმოება დაამატა და მხოლოდ 1873 წელს „კოლგეიტმა და კომპანიამ“ (იმ დროისათვის ასე იწოდებოდა) გამოუშვა თავისი პირველი კბილის პასტა — არომატიზებული კბილის კრემი, რომელიც ქილებში იყიდებოდა.

1928 წელს „კოლგეიტი და კომპანია“ შეუერთდა უკვე გაერთიანებულ პალმოლივ-პიტ კომპანიას. ამ გაერთიანებას „კოლგეიტ-პალმოლივ-პიტ კომპანია“ ეწოდა.




1947 წელს კომპანიამ წარმოადგინა ორი ახალი პროდუქტი „ფაბ დეტერჰენტი“ (სარეცხი საშუალება) და „აჯაქს ქლინერ“ (აჯაქსის გამწმენდი).

1987 წლიდან კოლგეიტმა შეიძინა თხევადი საპნის ბიზნესი და შექმნა კორპორაცია სხვა სამომხმარებლო პროდუქტებისათვის.

1992 წელს წარმოდგენილი „კოლგეიტ ტოტალი“ 1997 წელს გახდა პირველი კბილის პასტა, რომელიც მიღებულ იქნა აშშ-ს კვებისა და წამლის ადმინისტრაციის და ამერიკის სტომატოლოგიური ასოციაციის მიერ. კბილის პასტასთან ერთად დღეს არანაკლებ პოპულარობით სარგებლობს კოლგეიტის კბილის სხვადასხვა სახეობის ჯაგრისი.

1992 წელს დეოდორანტებისა და ანტიპერსპირანტების მწარმოებელი „მენენის“ კომპანია გახდა „კოლგეიტ-პალმოლივის“ ნაწილი, რითაც „კოლგეიტმა“ განიმტკიცა ლიდერის პოზიციები პირადი ჰიგიენის მოვლის




კომპანიებში.

რაც შეეხება დღევანდელ რეალობას: საქართველოში შემოსულია კოლგეიტ-პალმოლივის 47 დასახელების ნაწარმი. კომპანიის ოფიციალური წარმომადგენლის თქმით, დღეს მათ ფირმას 200-მდე ქვეყანაში აქვს წარმოება. ხარისხისათვის მნიშვნელობა არ აქვს სად ჩამოასხეს კბილის პასტა ან თხევადი შამპუნი, მათი ყველა პროდუქტი ყველგან სტანდარტთან შესაბამისი ფორმულით იწარმოება.

საქართველოში კომპანიას არ აქვს პრობლემები პროდუქციის ფალსიფიცირების (არ არსებობის) და კონტრაბანდის (უმნიშვნელოა) გამო.

თუ რეალიზაცია გაიზრდება და დაინტერესება იქნება, შესაძლებელია რომელიმე დასახელების ნაწარმისათვის ქარხანა საქართველოშიც აშენდეს...

ამასთან ერთად ხაზგასმით აღინიშნა, რომ კომპანია არ ქმნის ეკოლოგიურ პრობლემებს.

პრესკონფერენციაზე მოწვეულმა სტუმრებმა კანისა და ვენსნეულებათა ინსტიტუტის დერმატოლოგიის განყოფილების გამგემ ქალბატონმა მანანა თევზაძემ და საქართველოს სტომატოლოგთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტმა ვლადიმერ მარგველაშვილმა ისაუბრეს „კოლგეიტ-პალმოლივის“ ნაწარმის სამკურნალო თვისებებსა და მისი მოხმარების უსაფრთხოებაზე.

R

ლბათ, არც ერთ კონცერტზე არ ყოფილა აუდიტორია მუსიკის ისეთი ორგანული ნაწილი, როგორიც 26 მაისს, თბილისის სიმფონიური მუსიკის ცენტრში დიდი მაესტროს — ჯანსუღ კახიძის დაბადების დღისადმი მიძღვნილ საღამოზე. საკონცერტო დარბაზი ტაძარს ჰგავდა, რომელშიც ორკესტრანტები და მსმენელები ერთად ლოცულობდნენ ჯანსუღ კახიძის სულისთვის.

თბილისის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით აჟღერდა მოცარტის „რეკვიემი“, დირიჟორი — ვახტანგ კახიძე. ბატონი ვახტანგი ხშირად არ განებივრებს საკუთარი გამოსვლებით, თუმცა მას დირიჟორის ამპლუაში 25 კომპაქტდისკი აქვს ჩაწერილი.



განსაკუთრებული ემოციური დატვირთვა ჰქონდა 26 მაისის კონცერტს ბატონი ვახტანგისთვის, იგი პირველად დადგა სადირიჟორო პულტთან, როგორც ორკესტრის მთავარი დირიჟორი და სამხატვრო ხელმძღვანელი. უპირველეს ყოვლისა კი, მას სურდა ღირსეულად აღენიშნა ქართული მუსიკის დიდოსტატის დაბადების დღე.

წინასწარ ვიცოდით, რომ ბატონი ვახტანგი ორი თვის მანძილზე სწავლობდა პარტიტურებს, განსაკუთრებით ამზადებდა მოცარტის „რეკვიემს“, მაგრამ... მოსმენილმა და ნანახმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ფინალურმა აკორდმა — ჯანსუღ კახიძისეულმა „მრავალჟამიერმა“ ფანტასტიკური ეფექტი მოახდინა მსმენელზე როგორც მუსიკალური, ისე ვიზუალური თვალსაზრისით. მოგეხსენებათ, „რეკვიემი“ ორკესტრის, კაპელისა და სოლისტებისთვისაა დაწერილი, ჯანო კახიძის „მრავალჟამიერის“ ვახტანგისეულ არანჟირებაში კი ამ ისედაც სოლიდურ კოლექტივს, დაემატა ბიჭუნათა გუნდი, ხოლო ზემოთ, აივანზე, შავ-თეთრ ჩოხებში გამოწყობილი ანსამბლი „რუსთავი“ მღეროდა.

**ანზორ ერქომაიშვილი:** — გაორებული გახლავართ — ჯერ ერთი, რომ დღეს ჯანსუღის დაბადების დღეა... მიმაჩნია, რომ ნამდვილი მეფე მოკვდა მუსიკაში. ესაა დანაკლისი, რომელიც საუკუნეებს გაჰყვება. მეორე მხრივ, ვამაყობ იმით, რომ ვახტანგ კახიძე მისი საქმის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა... ვახტანგმა დღეს არაჩვეულებრივი პროფესიონალიზმით იდირიჟორა, ზუსტად და თავშეკავებულად, არავითარი ზედმეტი ეფექტები! ეს იყო ჯანოსადმი მიძღვნილი რეკვიემი და ეს „მრავალჟამიერიც“ ჯანოს მარადიული სიცოცხლისა და მისი საქმის გაგრძელება გახლდათ.

**ნიკო ლეკიშვილი:** — პირველად ჩატარდა კონცერტი ჯანოს გარეშე. „მრავალჟამიერი“ საოცრება იყო, მას არ სჭირდება ტექსტი, ესაა საქართველოს ჰიმნი, „მრავალჟამიერი“ თავისი არსით არის კონსტიტუცია ნებისმიერი ქვეყნისთვის.

**ბიძინა კვერნაძე:** — მინდა გითხრათ, რომ ჯანსუღს მოსწონდა შვილის შემოქმედება. ვეტყოდი ხოლმე, ვატოს შენზე კარგი სმენა აქვს, დამატებითი ჭრილები აქვს ყურში-მეთქი...

კონცერტის ბოლოს ბატონ **ვახტანგ კახიძესაც** გავესაუბრე...

**— ბატონო ვახტანგ, ალბათ, დიდი სულიერი ძალების მობილიზებაა საჭირო იმისათვის, რომ ამ უმძიმეს მდგომარეობაში არა მარტო გამოხვიდეთ სცენაზე, არამედ ბრწყინვალედ უდირიჟოროთ ერთ-ერთ ურთულეს ნაწარმოებს.**

— როდესაც მუშაობა დავიწყე, ძალიან გამიჭირდა. ძნელია (განსაკუთრებით, ჩემთვის) იმ ადგილას დგომა, მაგრამ მუსიკას აქვს საოცარი თვისება — ისეთი მალამოა, რომ მეც და ორკესტრსაც გვიმკურნალა — სტრესი მოგვიხსნა. დღეს ყველა ორკესტრანტი საოცრად მობილიზებული იყო, დიდ პასუხისმგებლობას გრძნობდნენ დიდი მაესტროს მიმართ (როგორც ისინი ეძახდნენ). თითოეულმა მუსიკოსმა, კაპელის წევრმა თუ ბიჭუნამ, ღირსეულად შეასრულა თავისი პროფესიული ვალი.

**— თქვენ ხშირად აღნიშნავდით, რომ კომპოზიცია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, შემდეგ პიანისტობა და დირიჟორობა, ახლა როგორია თქვენი პოზიცია?**

— დირიჟორობა იმიტომ დავიწყე, რომ არ ვყოფილიყავი დამოკიდებული სხვებზე ჩემი ნაწარმოების შესრულებისას. ახლა ის აღარაა მნიშვნელოვანი, ჩემთვის რა უფრო მთავარია, ჩემ უკან დგას ორკესტრი, დარბაზის პერსონალი, თანამშრომლები და, რაც ყველაზე წმინდაა, ჯანსუღ კახიძის დაწყებული საქმის გაგრძელება მევალება. სანამ ცოცხალი ვიქნები, შევეცდები არა მარტო გავაგრძელო დარბაზის ტრადიციები, არამედ განვავითარო კიდეც...

**— რას გვეტყვით „მრავალჟამიერის“ თქვენეულ გაორკესტრებაზე?**

— „მრავალჟამიერი“ მამამ დაწერა კინოფილმისთვის „გამოაღეთ ფანჯრები“.

ამ „მრავალჟამიერს“ C-dur — დო მაჟორზე მრავალჟამიერი ჰქვია, მამის მეგობრებსაც ხშირად უყვარდათ მისი შესრულება. მე კაპელა მყავდა, ბიჭუნათა გუნდიც, „რუსთავის“ ბიჭებიც შემოგვიერთდნენ და მივიღე რთული სინთეზი...

**— როგორ ფიქრობთ, ბატონ ჯანსუღს რომ მოესმინა დღევანდელი კონცერტი, რას გეტყოდათ?**

— ალბათ, მოეწონებოდა და ... კიდევ რამდენიმე წელი იცოცხლებდა!!!

*ალექსანდრე ბერიძე*

P.S. 26 მაისის კონცერტის აფიშები არც კი გამოკრულა. ვინაიდან ეს არ იყო რიგითი ღონისძიება, მსმენელიც მხოლოდ მოსაწვევებით იყო განსაზღვრული და ფაქტობრივად, მუსიკალური აუდიტორიის უდიდესმა ნაწილმა ვერ მოისმინა მოცარტის შედევრი, რომელიც უკვე დიდი ხანია აღარ აჟღერებულა ქართულ სცენაზე. ალბათ, ბატონი ვახტანგი გვაჩუქებს კიდევ ერთ ბრწყინვალე საღამოს, ოღონდ, ამჟამად უკვე ფართო მსმენელისათვის დაიხარჯება...

ალმაშენებელზე, გორკის ბაღში მოსეირნეთა რიცხვი თანდათან მატულობს. მიზეზი უბრალოდ ზაფხულის მობრძანება როდია. მსმენელს იპყრობს და იზიდავს ბაღში მდებარე კლუბ „ათინათის“ ღია ფანჯრებიდან დაღვრილი ჰანგები. მსმენელთა შორის უმრავლესობა ბავშვია. ფანჯრის რაფაზე დაყრდნობილები მთელი გულისყურით უსმენენ მუსიკას და როგორც კი მთავრდება, ხმამაღლა ითხოვენ — „იმღერე, კიდევ იმღერე ნინო...“ ნინოც მღერის გატაცებით, ისე, როგორც მღერიან სცენაზე, მრავალრიცხოვანი მაყურებლის წინაშე და დროდადრო ღიმილს ჩუქნის ერთგულ თაყვანისმცემლებს. **ნინო ქათამაძეს** რეპეტიციის დროს შევხვდი.

**— ნინო, საიდან იღებთ ამ უზარმაზარ ენერგიას, რომელიც საოცარ ბგერებს გამოგაცემინებთ?**

— პირველ რიგში ღმერთი გვაძლევს ენერგიას, რომელიც მერე მოსიყვარულე ადამიანების გარემოცვაში რაღაც ფორმით — სიმღერით, ნახატით, ლექსით ან სხვა სახით გამოიხატება და ასე მოგვაქვს იგი იმ ადამიანებამდე, რომელთაც ხელოვნების გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ. მეხმარება კლუბი „ათინათიც“, სადაც რეპეტიციებისათვის მშვენიერ პირობებს გვიქმნიან, 7 ივნისს კონცერტზეც შეგიძლიათ გვეწვიოთ.

**— საკონცერტო ტურნე რომ გქონდათ ინგლისში, სადაც „ბი-ბი-სი“-მ საათნახევრიანი პროგრამაც კი დაგითმოთ. რა დაგამახსოვრდათ განსაკუთრებულად?**

— ლონდონში საქართველოს კულტურის დღეებზე ვიყავი ჯგუფ „ინსაითის“ არასრულ წარმომადგენლობასთან ერთად. ჩვენი რეპერტუარი დიდი ოვაციით მიიღო ინგლისელმა მაყურებელმა. მიუხედავად იმისა, რომ რეპერტუარის დიდი ნაწილი ქართულენოვანი იყო, ქათინაურების ზღვა წამოვიდა ჩვენი მისამართით. ედინბურგში ერთი მაყურებელი მოვიდა და მითხრა, — დიდი მადლობა თქვენ. მიუხედავად იმისა, რომ ჩემთვის სრულიად უცხო ენაზე მღეროდით, ყველაფერი გავიგე, ყველა ამბავი, ყველა სიტყვა და ვიგრძენი, რომ ქართულ სიტყვებს, თქვენ მიერ წარმოთქმულ ბგერებს უცნაური ძალა აქვსო. კონსერვატორი ინგლისელებისაგან ასეთი შეხედულებები ბევრს ნიშნავს.

**— „ბი-ბი-სი“-ზე შეკითხვებზე პასუხების გაცემა ხომ არ გაგიჭირდათ?**

— პირველ რიგში იმ საათნახევრიან პროგრამაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ პროფესიონალიზმს. სამი დავალება მომცეს, ანუ სამი მუსიკალური თემა უნდა შემესრულებინა დროის სხვადასხვა მონაკვეთში და განსაზღვრულ დროში უნდა ჩავტეულიყავი. ინტერვიუს დროს კი აინტერესებთ, რამდენად თავისუფლად აზროვნებ, ანუ შეგიძლია თუ არა ლაღად უპასუხო ნებისმიერ შეკითხვას... ასე რომ, გავართვი თავი.

**— ახლახან მოსკოვიდან დაბრუნდით, როგორც გავიგე გულშემატკივრად იყავით წასული და არა შემსრულებლად.**

— მეგობრებთან ერთად მოსკოვში და სანკტ-პეტერბურგში გასტროლებზე წავყევი სუხიშვილების ანსამბლს. სათაყვანებელი ანსამბლის გულშემატკივრობას ვაპირებდი, მაგრამ, 10 დღეში უამრავი რამ მოხდა. გადაწყდა, რომ ოქტომბერში კონცერტს გავმართავ მოსკოვში. ჯგუფ „დაბლ-იუკეისთან“ ერთად სიმღერაც ჩავწერე. რუმინულ მწყემსების ბალადას ძალიან მოუხდა ქართული ხმები.

**— თუ არ ჩავთვლით „ახ, ტურფავ, ტურფავ“, „სულიკოს“ და კიდევ რამდენიმე სიმღერას, სიტყვების ნაცვლად ძირითადად მუსიკალურ ბგერათა შეთანხმებას იყენებ, როგორ აკეთებ ამას?**

— ეს ალბათ იმისი ბრალია თუ შედეგია, რომ საქართველოში დავიბადე და ზღვის და მთის ძალა მაქვს. ვგრძნობ, რაოდენ სრულყოფილია ჩემი ქვეყანა, სადაც მზე მზეობს, მთვარე ანათებს, ვარსკვლავები და ციცინათელები ერთად ციმციმებენ და ღმერთის მიერ შექმნილი სამყაროს მნიშვნელობას სწორედ აქ ვგებულობ, ჩემს სამშობლოში. ეს ყველაფერი ჩემში ბადებს ძალას, რომლის წყალობითაც სიტყვაც და ბგერაც თავისით მოდის. მე არაფერზე არ ვფიქრობ წინასწარ, მუსიკას ვუსმენ და ხმით ვყვები.

**— იგრძნობა, რომ საქართველო განსაკუთრებით გიყვარს. ბევრი ჩვენი თანამედროვე ამ გრძნობას სამწუხაროდ უკანა პლანზე სწევს და თვლის, რომ სამშობლოს სიყვარული მოდაში აღარ არის.**

— როგორ შეიძლება ეს იფიქროს იმ ქვეყნის შვილმა, სადაც მცხუნვარე ზაფხულისას შეგიძლია დატკბე კავკასიონის თოვლიანი მწვერვალებითაც. ეს ქვეყანა ნიჭს ბადებს ადამიანებში. როგორ შეიძლება ეს არ გააცნობიერო და მეტი მნიშვნელობა მიანიჭო



სხვა ქვეყანაში ცხოვრებას იმის გამო, რომ იქ ცათამბჯენებში ლიფტით ივლი და ყოველდღე მაცივარი გექნება სავსე.

**— ალბათ, საქართველოს ასეთი მოსიყვარულე შვილი უცხოეთში დიდხანს ვერ გაძლებ.**

— ვერა. ყოველთვის აღმაფრთოვანებდნენ ქართველი ემიგრანტები. გინახავთ სამშობლოს სიყვარულით მკვდარი ვინმე ქართველის გარდა? ან ვინმეს ანდერძს გაუოცებიხართ ისე, როგორც ემიგრანტი ქართველისას? „საქართველოში დამასაფლავეთ ან ქართული მიწა დამაყარეთ გულზე“

**— როცა თქვენ და „ინსაითს“ გისმენთ, მგონია, რომ ერთად დაიბადეთ ყველა, შეხმატკბილებულები ხართ, როგორც ცხოვრებაში, ისე შემოქმედებაში.**

— ეს იმისი ბრალია, რომ ჩვენ, ყველანი, ერთი ქალაქიდან, ბათუმიდან ვართ. მხოლოდ ანდრიუშა არ არის „ჩვენებური“. პირველი სიმღერა, რომელიც „ინსაითთან“ ერთად შევასრულე სცენაზე, „ტურფავ“ იყო. ძალიან მიყვარს ჩემი ბათუმი და უიმისოდ მიჭირს კიდეც, მაგრამ ვძლებ ამ ბიჭების — უჩას, ლევანის, გოჩას, ანდრიუშას, ზუმბას და ნიაზის გვერდით ყოფნით და დიდი მადლობა მინდა ვუთხრა მათ, რომ ასეთი სიყვარული შეუძლიათ.

**— ნინო, შენ ერთ-ერთი იმათთაგანი ხარ, ვინც „არტ-იმედს“ კონტრაქტზე უარი უთხრა. მართალია, რომ საკონტრაქტო პირობები თავისუფლებას ართმევს მომღერლებს?**

— ამ შემთხვევაში უფრო მნიშვნელოვანი ის კი არ არის, რომ თავისუფლებას ზღუდავენ, რომ რეპერტუარის შერჩევაში შეუძლიათ ჩაერთონ და ა.შ. არამედ, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ამ კონტრაქტით ცოცხალი სიმღერის კულტურას უარყოფენ, იმას, რასაც უცხოეთში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. „არტ-იმედი“ არ ზრუნავს იმაზე, რომ შეიქმნას კარგი, ცოცხალი სიმღერები, არამედ ზრუნავენ მომღერლის ვარცხნილობასა და გარეგნულ იმიჯზე. ეს არ არის მთავარი. „არტ-იმედმა“ პროვინციული ამბიციები გვერდზე უნდა გადადოს და საქმე აკეთოს, ვუსურვებ, ისე ჩამოყალიბდეს, რომ ცოცხალი მუსიკის შემსრულებელ ჯგუფებთან ურთიერთობა შეძლოს და იცოდეს, რომ ცოცხალი მუსიკა ხალხის მკურნალია.

*ეკა ლომიძე*

„ფსიქო“ ის სატელევიზიო გადაცემაა, რომლის არსებობის შესახებაც ყველამ იცის და ძალიან ბევრი უყურებს კიდეც, მიუხედავად იმისა, მოსწონს თუ არა... შაბათს ეთერში გასულ „ფსიქოზე“ კვირა დილით მსჯელობენ ძალიან აღშფოთებულნიც და კინოკლასიკით მოხიბლული ადამიანებიც. გადაცემის ავტორი და წამყვანი გოგი გვახარია გახლავთ.

**— როგორც „ფსიქოს“ წამყვანისათვის, ადამიანისათვის, თქვენთვის რა არის კინო?**

— ეს ერთადერთია, რისგანაც ვერ ვთავისუფლდები. ეს ერთგვარი აკვიატებული ვნებაა... ისე კარგი იქნება, ადამიანი აკვიატებული ვნებისაგან გათავისუფლდეს. კინო — ცხოვრებაა-თქო, ამას ვერ ვიტყვი, მაგრამ ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია.

**— პროფესია — კინომცოდნე დამღლელი არ არის? ამდენი ფილმის ნახვა გიხდებათ...**

— 80-იან წლებში უნივერსიტეტის სტუდენტები დაგვყავდა მოსკოვში. სახკინფონდში იყო ასეთი სოფელი — „ბელიე სტოლბი“. სულ ათი დღე გვქონდა. ამ ათ დღეში რასაც მოვასწრებდით, გვაძლევდნენ უფლებას გვენახა. ვქირაობდით ღამით მექანიკოსს, ქრთამს ვაძლევდით და ვუყურებდით ფილმებს. ალბათ მაშინ ვუყურე ყველაზე მეტ ფილმს ზედიზედ, შეუსვენებლივ. სულ 2 საათი გვეძინა დღეღამეში. სტუდენტებს ის ორი საათიც არ ეძინათ. იმ დღეებმა ისე დამასუსტა, ფილტვების ანთება დამემართა.

**— შესაძლებელია ამდენი ფილმის ერთდროული აღქმა?**

— მაშინ ამას ვაკეთებდი, ახლა პროფესიული ჩვევა გამომიმუშავდა და ტიტრების ნახვის შემდეგ ვიცი, როგორი იქნება ფილმი. მეხუთე წუთზე უკვე კარგად ვიცი, ვარგა ფილმი თუ არა... ძალიან იშვიათად ვცდები.

**— მაგრამ სხვა ადამიანების მოსმენა ყოველთვის საინტერესოა, თუნდაც ფილმების ავკარგიანობის ირგვლივ.**

— ახლა საუბარია „ფსიქოს“ ფორმატი შეიცვალოს და მასობრივი ტოკ-შოუ გაკეთდეს. ვყოყმანობ. ჩემი დარწმუნება კი იმით შეძლეს, რომ მეუბნებიან — შენ ადამიანებთან ურთიერთობა შეგიძლიაო. არ ვიცი შევძლებ თუ არა...

**— ალბათ, მაინც გააჩნია ადამიანს...**

— ყველასთან შეიძლება ურთიერთობა, მე ამისი მწამს. ამას წინათ მქონდა ლექცია: რა შეუძლია კინოს. ვთქვათ, გყავს მეზობელი, რომელიც არ გიყვარს და მასთან ერთად გაიჭედე ლიფტში 24 საათით. ჯერ ამბობენ: ვაიმე, რაღა ამასთან ერთად უნდა ვიჯდე?! ახლოდან უყურებ და აღმოაჩენ: რამ გაგაბრაზა ამ კაცზე, ესეც ადამიანია, თავისი ბედი აქვს... ბოღმისაგან თავისუფლდები. კინო ასეთი ხელოვნებაა. ბოღმისაგან გათავისუფლებს.

**— თუმცა ხშირად „ფსიქო“ თავისი რეპერტუარით პირიქით, უარყოფითად მუხტავს ბევრ ადამიანს და უსასრულოდ იწერება საყვედურებით სავსე წერილები თქვენს მიმართ, გაქვთ აღშფოთებული ზარებიც ეთერში. რამდენიმე დღის წინ ჩვენთანაც მოვიდა რედაქციაში მკითხველის, ვ. ონიკაშვილის წერილი: ...ჩვენ, ფერეიდნელი ქართველები, შეძრწუნებული ვართ იმ უხამსი ფილმების დემონსტრაციით, რომლებსაც გოგი გვახარიას საავტორო პროგრამა „ფსიქოს“ გადაცემებში უჩვენებენ ჩვენს მომავალ თაობას... ნება იბოძოს (გოგი გვახარიამ) და კასეტების სახით შეიძინოს ამგვარი ფილმები და სახლში ოჯახთან ერთად ისიამოვნოს მათი ყურებითო...**

— მე მათზე არ ვბრაზობ. ყოველთვის



უნდა ჩააყენო შენი თავი სხვის მდგომარეობაში. ამ 5 წლის განმავლობაში, რაც „ფსიქო“ არსებობს, იმდენ ფსიქოლოგს შევხვდი, იმდენად კარგად ვისწავლე მოსმენა — რაც ყოველთვის მიჭირდა, რომ აღარ მიკვირს.

**— არ გიფიქრიათ, რომ რაღაც უნდა გაითვალისწინოთ, მათი შეხედულებების მიხედვით შეცვალოთ გადაცემების შინაარსი?**

— როგორ არ მიფიქრია, ხუთი წლის წინ უფრო მეამბოხე-რევოლუციონერი ვიყავი. დროთა განმავლობაში მივხვდი: ამბოხებას ბოღმა აწყობს. ამბობენ, მტერი არ არსებობს. მტრის ხატი იქმნება შენი პრობლემების გამო, ამიტომ რევოლუციური სული ნაკლებია ჩემში. თუმცა გაბრაზებაც ვიცი, რასაც მერე აუცილებლად ვნანობ. ამას წინათ ერთი ახლობელი მეგობარი სახლიდან გავაგდე, ნასვამი იყო, მე კი არ მიყვარს შეზარხოშებული ხალხი. არ ვიცი, რა ჰქვია ამას, შიში მათთან ურთიერთობისა თუ სხვა... აღვშფოთდი და მერე ვინანე.

*(გაგრძელება იხ. გვ. 34)*

# ჰეი, ჩვენო უცნაურო კოლორიტებო!..

**„ჩვენს შარაზე მიდი-მოდიან წარსულის აჩრდილები — ჩითისკაბიანები, თავშლიანები, ფარაჯიანები, ტყაპუჭიანები, ქალამნიანები... გადავძახი — გამარჯვებათ, მეგობრებო, მეზობლებო, ვეღარ მიცანით? მე ისა ვარ, თქვენს კევრზე რო ვიდექი, თქვენი გუთნის საყვარის უღელზე... ამოდით ჩემსას, ნუ გერიდებათ. ვიცი, აღარა ხართ, მაგრამ როდი წარეცხილხართ მეხსიერებიდან. ისევ მეცნაურებით.**

**— ოჰ, თქვენც აქა ხართ, ნინუცი, გაიანე, მაგდა, მარტავ — ჩემო მეზღაპრეებო! რა უცნაურად გაიპარენით. რა უნანებლად დასტოვეთ აკვანი და ჯარა, ბოსტანი და თონე, ვენახი და მინდორი! დამიწებულებო, უღმერთო ჯაფით დაწრეტილებო. თქვენ აღარა ხართ, მაგრამ ისევ იცინის დილა, ისევ იპენტებიან ნუშის, ატმის, ვაშლის, მსხლისა და ტყემლის ყვავილები! თქვენს ეზოებში ახლა სხვა დიასახლისები ფუსფუსებენ და არც კი იციან, რომ დღესაც აქ ტრიალებთ...**

**— ამოდით, ამოდით ჩემთან აივანზე, მომაგონეთ, შთამაგონეთ.“**

***გიორგი ლეონიძე***



„ცხოვრება სულ ერთი, ლამაზი წამია...“

ტექსტის აბზაცებად დაყოფას თავი ავარიდეთ.... ერთი ამოსუნთქვითაა დაწერილი (წასაკითხიც) და იმიტომ...

ცხოვრება ჩავლილია, დრო სუნთქვასავით გარდასული. არემარეს მაინც ატყვია თქვენი ნაკვალევი. ექოდ მოისმის გადაძახილ-გადმოძახილი, შაირობა, ფანდურის ხმები, ალინჯის გზაზე ძველებურად ტრიალებს აყვავებული ტყემლის სურნელი, ხნულში ჩასული ობოლი სხივი კი ამაოდ ცდილობს გაგითბოთ ბებერი ძვლები, თვალში ციაგი ჩაგისახლოთ, რომ თქვენს უცნაურ წუთისოფელზე სხვებსაც უამბოთ...

მაშინ ხალისიანად გამოიყურებოდით, მკლავიც გიჭრიდათ და ჭკუაც. თუმცა აღარც კი გახსოვდათ ამ სოფელში პირველად ვინ გაჭრა სახლის საძირკველი, ვის კერაზე აინთო ბუხარი, ვისი აკვანი დაირწა, ვისი სამარე გაითხარა. საიდან შეიყარნენ სამეზობლოდ ნიბლიაშვილები, გოცირიძეები, ჯავახიშვილები, მაისურაძეები, ნარეკლიშვილები, პაპუნაშვილები, ლავრენტოვები, მექვევრიშვილები, შიოშვილები და კვირიაშვილები; რატომ არ შეიძლებოდა აქ ღალატი, კაცის კვლა, ბიწიერი ცხოვრება. იცოდა ეს ბებოთქვენის ბებომ, პაპათქვენის პაპამ, თუმცა ეს თაობა უკვე წასულიყო. მათი სახელები არც ისტორიას შემოუნახავს, არც მატიანეს. თქვენ მაინც მოწიწებით იხსენიებდით. მათი ხელობა და სახელები მიწასთან გასწორებულ, ხავსმოდებულ საფლავის ლოდებზე ახლაც იკითხება. ამ ლოდებქვეშ ინახება სოფლის დასაბამის საიდუმლოც, მაგრამ იმ ცივი მდუმარებიდან ველარავინ ამოიძახებს, როდის აიყარა დედაბუდიანად სისხლის ღვრას გადარჩენილი მოსახლეობა ივრის ხეობის სოფლებიდან, როგორ ამობარგდნენ მთის ძირში ურმებითა და ცხენებით მარტოხელა დედაკაცები ჩვილი ბავშვებით და როგორ დამკვიდრდნენ ერთად ტყის სიღრმეში პირველყოფილი თემი-ვით. უკაცოდ დარჩენილმა ქალებმა ბალღები წამოზარდეს, დაავაჟკაცეს და ცალ-ცალკე კერა გაუჩინეს. თავდაპირველად, 5-7 კომლი შედგა და სოფელიც აშენდა. „ადგილის დედის“ საკურთხევლად დავით გარეჯიდან ნათლისმცემლის მონასტრის წინამძღვარი მოიწვიეს. სწორედ მან დაანათლა ახალმოსახლეებს წმინდა ანტიოქიის სახელი და ათი მცნების საიდუმლოსაც აზიარა. ამ რწმენით ცხოვრობდნენ... მერე ოცდაათ კომლამდე გაიზარდა და ერთმანეთზე მიბმული სოფელი ორ უბნად გაიყო. ასე დაფუძნდა რიყის გაღმა — მარიამჯვარი, გამოღმა — ფიჭვიანის ფერდობზე მარგალიტივით შეფენილი ანტიოქია, შემდგომში სახელშეცვლილი-ანთოკი. აქ იყო თქვენი კერა და ფუძე, საბძელი და კალო, თქვენი მარჯვენით გაჭრილი არხი, თქვენი ფეხით გატკეპნილი გზა-ბილიკები. აქ გიყვარდათ და გძულდათ, აქ დაიბადეთ და აქვე ჩაეხუტეთ შავ მიწას, რომელიც გაპურებდათ, გზრდიდათ, სარჩო-საბადებელით გივსებდათ სხვენსა და ბეღელს.

რა უცნაური კოლორიტები იყავით ცალ-ცალკე და ყველა ერთად. რამ გაგიღვივათ ამხელა იუმორის გრძნობა? რა ფანტაზია გქონდათ, თქვე დალოცვილებო! რა კონცერტებს მართავდით, რა სპექტაკლებს დგამდით უკომპოზიტოროდ, ურეჟისოროდ, უსცენოდ — მინდორში, ვასილაანთ მუხებქვეშ, კურკაანთ კაკალთან. ყველიერში უღლიან საქანელას ჩამოაბამდით, ახალ წელს, ალილობას, აღდგომასა და სხვა ბედნიერ დღეებს საკუთარ ჰანგზე შექმნილი სიმღერებითა და ცეკვებით ალამაზებდით. მედოლეც თქვენი გყავდათ და მეფანდურეც, აკორდეონისა და დაირის დამკვრელიც. მკათათვეში მთებს ასკდებოდა თქვენი „ჰოოპუნას“ ექო, თოხნური თუ მთიბლური. ყეენობას, ბერიკაობას, ელიაობას ხშირ-ხშირად მართავდით, როლების მიხედვით უცნაურ სახელებს შეირქმევდით და ისე ეჩვეოდით გამოგონილ სახელებს, რომ ნამდვილი ან ქორწილის დროს გახსენდებოდათ, ან მიცვალებულის გასვენებისას. მაშინ დაიშაქრავდით პირს, მაშინ მოგაგონდებოდათ, რომ კალატოზი ჩიპარა — თედო იყო, მჭედელი ჭია — სანდრო, მენახირე აფრაკა — იოსები. ზედმეტი სახელი ვის არ გაუგონია, ან სად გინახავთ სოფელი, თუნდაც უბანი კოლორიტის გარეშე — ყველას თავისი ცეტი ჰყავს, თავისი ლოთი და უგვანი. მაგრამ მეტსახელს იმათაც ზურგს უკან ეძახიან. აქ კი სხვაგვარად იყო: ქალი, კაცი, მოხუცი თუ ახალგაზრდა წყენისა და რიდის გარეშე ერთმანეთს მხოლოდ მეტსახელით მიმართავდა და ასევე მოიხსენიებდა. უფრო მეტი. თანდათან „ხვეწდა“ და „აქანდაკებდა“ დაუვიწყარ სახეებს: მაგალითად, ყველაზე მოლეული აუცილებლად „კურკა“ უნდა ყოფილიყო, მიჯაჯულ-მოჯაჯული — „კუკნა“ (აძონძილი თოჯინა), კირილე მიმინოშვილის პროტოტიპი — „პირღია“, ჩია და მოცუცქნული — „ნამცეცა“, ხოლო მომღერალი — „ბულბულა“. ასე გამოიკვეთა სოფელში მთელი ტიპაჟი: ბრაცანა, ბღუილა, ხოხია, ჭამია, ფშეკელა, კომბალა, კოჟოჟა, პროკლოვი (პროკურორი), ბაჩი-ბაყი, ჯეირანა... უფრო უცნაური ის იყო, რომ მეტსახელი არასოდეს გამხდარა ერთმანეთში წყენისა და სიავის საბაბი. თითქოს ბედმა დაბადებიდან ყველას თავისი როლი არგუნა და ბოლომდე „სიდის მანტიაში“ გამოწყობილს უნდა ეთამაშა. ამიტომაც შერჩა თქვენს ნასადგომრებს პატრონისეული სახელები: „ჩიპარაანთ აღმართი“, „ბრაცანაანთ ბილიკი“, „კუკნაანთ კალო“. თქვენს ჭკუას აყოლილი დედაკაცები კი ერთმანეთის ჯიბრზე თავიანთ ძროხებს ლამაზ-ლამაზი ქალების სახელებს არქმევდნენ: თებრო, მზია, თალიკო, ვარდო, ბაბუცა... გადმოდგებოდა ადრიანად მენახირე აფრაკა და უბან-უბან გაჰკიოდა: ბღუილაანთ ნათელ, გამოაგდე დროზე შენი თალიკო! ხალარაანთ ნინავ, არ გესმის, ქალო — თებრო გამოაგდე, თებრო! — სამუნაანთ სონი, შე წელმოწყვეტილო, ჯერ არ მოგიწველია მზია?! თქვენც რა ენაზე ძვალი მოგადგებოდათ, ყველამ იცოდით, რომ ყაჭალას ცხენს კოლა ერქვა, ფშეკელას ვირს — მიშა, ქიტესას ფხუკიან კვიცს — ენგელსი? დაილოცა ღმერთო შენი განგება, თქვენში არაფერი უკუღმართი არ იყო. ეს ჩვეულება კი ისე გქონდათ გამჯდარი, როგორც ფანტასტიკურ ქვეყნებში სიცილის ან გულმავიწყობის ეპიდემია. ცხოველებს — ადამიანების, ადამიანებს გარეგნობისა და ხასიათის გამო შერქმეული ზედმეტი სახელების უწყინარ ძახილში გადიოდა წლები. ასე ღიმილ-ღიმილით ააშენეთ კვირიკის ეკლესია, რვაწლიანი სკოლა, ორსართულიანი სახლები. მერე ოცდაათი ოჯახიდან ოცდაჩვიდმეტნი ომში წახვედით — სულ განაფული მონადირეები, სნაიპერები, გულადები: არჩილი, თედო, დათა, ვასილი, გოგი, რომანი, ლადო... გასაწვევთა სია რომ ამოიკითხეს, ერთმანეთს მუჯლუგუნით ახსენებდით თურმე: ბრაცან-ვასოო, ბიჭო! — ყაჭალ-დათაო, არ გესმის? სანდრო, შენა ხარ, ჭიავ, მიდი! და ოხუნჯობით იკავებდით მწყობრში ადგილებს. მერე როგორი გული გქონდათ? ნიბლიაათ კატო გამოუდგა სიძეს, — ილო, შენ ისედაც ყურთ გაკლია, უფრო მოიყრუე, აღარ წაგიყვანენო. ილომ სიდედრს თავი კი დაუქნია, მაგრამ გასაწვევთა წინა რიგებში ჩადგა და მას მერე აღარავის უნახავს. დათასაც ეხვეწებოდა ბიძაშვილი — ნიშანში არ ისროლო, ბიჭო, ცეცხლის ხაზზე გიკრავენო თავს. იმან მაინც ისროლა და სტალინგრადის ბრძოლიდან ცალფეხა დაბრუნდა. გივიამაც სულ წინ რომ იწევდა, ყირიმში კონტუზია მიიღო, მერე ჭკუაზე შეცდა და მთელი სიცოცხლე თვითმფრინავებს აგინებდა — ბომბებსა ყრიანო. შინ თექვსმეტიღა დაბრუნდით, ჭრილობებითა და „ასკოლკებით“ დახუნძლულები. მაინც ნადირობდით, ნადიმობდით, წელებზე ფეხს იდგამდით, არც უღელი დაგიგდიათ უპატრონოდ და არც კალო. კოლექტივის ბეღელსაც ავსებდით და საკუთარსაც. რა მამითადი იცოდით, რა თანადგომა შეგეძლოთ, თქვე კარგებო! პახუაანთ ელენეს მოზვერი რომ მოჰპარეს, შუაღამისას თოფების ისეთი ბათქაბუთქი ატეხეთ, ქურდებმა რიყესთან გაუშვეს თოკჩაბმული მოზვერი და თავქუდმოგლეჯილები გაიქცნენ.

თქვენ შორის პირველად მაცნაანთ ნიკა მოკვდა. საფლავი აგურით ამოუშენეთ, თაღი გადაუყვანეთ, მიწა არ დაეყაროს გულზეო. წვერმოშვებულები დროშების ფრიალით მიუძღოდით პროცესიას. იმისი ფაშფაშა (ბაჩი-ბაყი) ცოლი გზადაგზა მოსთქვამდა: ნიკავ, ქარი აგიდგეს და უკან დაგაბრუნოსო. პირზე ღიმილი მაშინაც არ მოგადგათ, როცა რძალმაც ბანი მისცა: — აუდგეს, დედამთილო, აუდგეს და აღარ დაუდგეეს! დიდი პატივით დაკრძალეთ თქვენი ხელიდან შენდობის მომლოდინე ერთი კოლორიტი.

მიწაში მუდამ მყარად გედგათ ფესვი. თქვენ წილ ჭაპანს უპრეტენზიოდ ეწეოდით, ურომლისოდაც დაძაბუნდებოდა ქვეყანა. დიდი კაცი არასოდეს გყოლიათ და არც ამაზე გაგიხეთქავთ გული. კრებებზე უსმენდით, როგორ ულრენდნენ დიდკაცები ერთმანეთს. თქვენც მეტი არ გინდოდათ. მაშინვე მზად გქონდათ შაირი და მილექსება. საბჭოშიც სხვაგან იყავით მიერთებული, მეურნეობაშიც. ხელმძღვანელების ფუნქციებს მუდამ ხალხმრავალი სოფლის ან რაიონის წარმომადგენლები ასრულებდნენ. სამაგიეროდ, თქვენნაირი ტრაქტორისტი ქალი, კინომექანიკოსი და საჭირო პროფესიის კაცი სხვაგან სანთლით საძებარი იყო. ის ამბავიც საფლავში ჩაიტანეთ, შიუაანთ ვახტანგას საბჭოს თავმჯდომარემ თქვენთან კინოს ჩვენება რომ აუკრძალა — ცოტანი არიან, გეგმას ვერ შეასრულებო. ისიც ადგა და მეზობლები ძირიძირამდე გიორგიწმინდაში დაგპატიჟათ. ვისაც ფული არა გქონდათ, კალათაში კვერცხები ჩააწყვეთ, ზოგმა ვარიებს გაუკარით ფეხები, ზოგმა გოჭი ჩასვით ტომარაში და კინოს სანახავად გიორგიწმინდის ეკლესიას მიაწყდით, რომელიც დიდი ხანია კლუბად გადაეკეთებინათ. თავმჯდომარემ ქათმების კრიახსა და გოჭების ჭყვიტინს რომ მოჰკრა ყური, იქიდან დაგიფრინათ. კლუბი დააკეტვინა და საგარეჯოში საქეიფოდ წავიდა. ვახტანგამ მანქანა დაქოქა, რაღაც განიშნათ და თავქვეზე დაეშვა. უკან დადევნებულებმა საბჭოს თავმჯდომარის სახლთან ამოჰყავით თავი. ვახტანგამ აპარატურა მომართა. პროჟექტორები ააბრდღვიალა: ბომბებისა და ზარბაზნების ქუხილმა უკუნი გააპო და საბჭოს თავმჯდომარის აწიოკებული ცოლ-შვილი ლოგინებიდან წამოიშალა. ასე უყურეთ ბოლომდე თავმჯდომარის თეთრად შელესილი კედლის ეკრანზე „ბერლინის დაცემას“. მერე იმ თავმჯდომარესაც თქვენ შეარქვით „გებელსი“. უქმე დღეს რომ შეიყრებოდით, ერთ ლექციად ღირდა თქვენი ბჭობა და უბნობა. თქვენს პატარაობაში სოფელში სკოლა არ იყო. ყველაზე უხუცესმა სონკა პაპამ კი ზეპირად იცოდა „ვეფხისტყაოსანი“, „ბიჭო ვანიამ“ — „აჩრდილი“. ახალენაადგმულები პირველად თქვენგან ისმენდნენ „გამზრდელსა“ და „არსენას ლექსს“, „წიქარასა“ თუ „ამირანის თავგადასავალს“. თქვენგანვე სწავლობდნენ განწმენდის ბრძმედში გავლას, ურთიერთობის ფუფუნებას.

მოკლდებოდა სიცოცხლე, ბინდდებოდა; ბერდებოდით, ჭკნებოდით, თეთრდებოდით, ჯოხდაბჯენილები დადიოდით ასი წლისანი, მეტისანი — მაინც ამყნობდით, რგავდით, მარგლავდით, სხლავდით... არც იუმორი გაგნელებიათ. ისევ თქვენ შეარქვით ახალმოსულ შავგვრემან მასწავლებელს — „შავი ლენა“, თმაგაჩეჩილ დირექტორს — „ბუზინა“, კოჭლ ქიმიკოსს — „ფარგალა კოტე“. თქვენ უსწავლელი მსახიობები იყავით, მაგრამ დიდი ხელოვნებით თამაშობდით წუთისოფლის სცენაზე და წახვედით ისე, რომ ფარდა არ დაგიშვიათ.

გამოაშუქეთ კიდევ, გამიმზიანეთ ჩემი ბავშვობის საბუდარი, ჩემი პატარა ანთოკი. თქვენს ნაფუძარზე ახლა სხვები იზრდებიან — თქვენნაირები, დროის ქროლვას აყოლილი „ასეთ-ისეთებიც“. ვიცი, აღარა ხართ, მაგრამ როდი წარეცხილხართ მეხსიერებიდან. მერე რა, რომ დიდკაცები არ ყოფილხართ, მზე ხომ თანაბრად „სწვიმს კეთილთაზედა, ბოროტთაზედა და ცრუთა“, მერე რა, რომ ცხოვრება სულ ერთი წამია, ისევ თქვენისთანებისგან ჩაყრილი ბალავარი შობს მარადიულ სიყმაწვილეს.

***ეთერ თარიმანი***

## «კვირის პალიტრა» თქვენი დახმარებით გახდება უფრო უკეთესი და საინტერესო

უკვე მესამე წელია, ყოველწლიურად მკითხველს „კვირის პალიტრის“ შესახებ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება ეძლევა.
გთავაზობთ ჩვენს ტრადიციულ კითხვარს, გთხოვთ, შეავსოთ და გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთებით

**1. თქვენი სქესი**
☐ ქალი ☐ კაცი

**2. ასაკი**
☐ 18 წლამდე
☐ 18-24
☐ 25-34
☐ 35-45
☐ 45-54
☐ 55-64
☐ 65 წელზე მეტი

**3. განათლება**
☐ არასრული საშუალო
☐ საშუალო/საშუალო სპეციალური
☐ არასრული უმაღლესი
☐ უმაღლესი

**4. საქმიანობა**
☐ მოსამსახურე
☐ მუშა
☐ სტუდენტი/მოსწავლე
☐ ბიზნესმენი/მეწარმე
☐ ფერმერი/გლეხი
☐ პენსიონერი/ინვალიდი
☐ დიასახლისი
☐ დროებით უმუშევარი

**5. დასაქმების სექტორი (რა ტიპის ორგანიზაციაში მუშაობთ?)**
☐ კერძო (არასახელმწიფო)
☐ სახელმწიფო
☐ თვითდასაქმებული

**6. რამდენ ლარს შეადგენს თქვენი ოჯახის ყოველთვიური შემოსავალი?**
☐ 50 ლარამდე
☐ 50-200
☐ 200-700
☐ 700-1500
☐ 1500-ზე მეტი

**7. რამდენად ხშირად კითხულობთ „კვირის პალიტრას“?**
☐ ყოველ ნომერს ☐ ხანდახან
☐ ხშირად ☐ იშვიათად

**8. კვირის რომელ დღეს ყიდულობთ (იღებთ) ძირითადად „კვირის პალიტრას“?**
☐ ორშაბათი
☐ სამშაბათი
☐ ოთხშაბათი
☐ ხუთშაბათი
☐ პარასკევი
☐ შაბათი
☐ კვირა

**9. თქვენ გარდა რამდენი ადამიანი კითხულობს გაზეთის თქვენს ეგზემპლარს?**
☐ მხოლოდ მე
_______ (ჩაწერეთ რაოდენობა) ადამიანი

**10. როგორ შეაფასებთ „კვირის პალიტრას“?**
☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უკეთესია
☐ საქართველოში არსებულ სხვა გაზეთებზე უარესია
☐ ჩვეულებრივია, ჰგავს სხვა გაზეთებს

**11. დაახლოებით რამდენი ხანია, რაც „კვირის პალიტრას“ კითხულობთ?**
☐ ეს პირველი ნომერია
☐ 1-2 თვე
☐ 2-6 თვე
☐ 6-12 თვე
☐ 1-2 წელი
☐ 2-5 წელი
☐ დაარსებიდან

**12. რომელ რუბრიკას კითხულობთ ყველაზე მეტი ინტერესით?**
_______________

**13. აქცევთ თუ არა ყურადღებას რეკლამას გაზეთში?**
☐ დიახ ☐ არა ☐ იშვიათად

**14. გაქვთ თუ არა „კვირის პალიტრის“ გამოწერის სურვილი?**
☐ დიახ
☐ არა
☐ არ ვიცი

**15. „კვირის პალიტრის“ გარდა რომელ გაზეთებს კითხულობთ?**
*(დაასახელეთ რიგითობის მიხედვით)*
1. _______________
2. _______________
3. _______________

**16. რას ურჩევდით „კვირის პალიტრას“?**
_______________
_______________
_______________

**შესაბამისი უჯრა გადახაზეთ ☒**
*(ყუთების ადგილმდებარეობის შესახებ იხ. 36-ე გვერდზე)*

**თქვენ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებით!**



# შეკითხვა ექიმს

*ძვირფასო მკითხველო! რედაქციაში უამრავი წერილი მოდის, რისთვისაც ულრმეს მადლობას მოგახსენებთ — ჩვენი რუბრიკის და მთლიანად გაზეთის მასულდგმულებელი ხომ თქვენი გამოხმაურება და თანადგომაა. რაც შეეხება თქვენს შეკითხვებს, გვერწმუნეთ, თითოეულ მათგანს დიდი გულისყურით ვკითხულობთ და მათზე პასუხს აუცილებლად მიიღებთ, მაგრამ რადგან შეკითხვების რიცხვი საკმაოდ დიდია, ნუ დაგვემდურებით, თუ პასუხის ლოდინი ხანგრძლივად გიწევთ.*

**ფეხის ფრჩხილები მისქელდება. ხდება მყიფე და დეფორმირებული. მითხრეს, სოკოვანმა დაავადებამ იცისო. გავიკეთე ანალიზი და სოკო არ აღმოჩნდა. რა შეიძლება იყოს ფრჩხილების ასეთი ცვლილების მიზეზი?**

***ი.ა.***

ანალიზი სასურველია, გაიმეოროთ, რადგან შესაძლოა, გამოსაკვლევად მასალა აღებული არ იქნა ზუსტად დაზიანებული უბნიდან. თუ განმეორებითი კვლევის შედეგიც უარყოფითი აღმოჩნდა, მაშინ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფრჩხილების ცვლილებები სხვა მიზეზითაა გამოწვეული. მაგალითად, ისეთი დაავადებებით, როგორიცაა: ფრჩხილების ფსორიაზი, წითელი, ბრტყელი ლიქენი. არის კიდევ ერთი მიზეზი — ე.წ. უნიფოდისტოფია, ამ დროს ფრჩხილები ფორმას იცვლის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის ან ვენური უკმარისობის გამო. ფორმის შეცვლის გამოწვევა, შეუძლია აგრეთვე ტრავმას, რომლის შედეგადაც ირღვევა ფრჩხილის ზრდის ფუნქცია — მსგავსი რამ ხშირად ემართებათ ფეხბურთელებს.

**ამ ბოლო დროს დამეწყო ფრჩხილების გაყოფა (გაფცქვნა). იქნებ მირჩიოთ სამკურნალო საშუალება მალამოს ან სხვა რაიმე სახით. რადგან სამკურნალო ლაქებმა შედეგი არ მომცა.**

***ხათუნა მამულაშვილი***

ფრჩხილი და მისი პათოლოგიური ცვლილება არ უნდა განვიხილოთ, როგორც ცალკე აღებული პრობლემა, რადგან იგი მთლიანი ორგანიზმის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. ფრჩხილის ფორმის, მტვრევადობის, ფერის შესწავლა დაკვირვებულ ექიმს მრავალი დაავადების ამოცნობაში ეხმარება. ამრიგად, თქვენი ფრჩხილების გამყიფება-მტვრევა თქვენს ორგანიზმში მიმდინარე ზოგადი პროცესის ასახვაა და, რაღა თქმა უნდა, ადგილობრივი მკურნალობა მალამოებითა და ლაქებით შედეგს ვერ მოგცემდათ.

გირჩევთ, ჩაიტაროთ ზოგადი სამედიცინო გამოკვლევა. თქვენ მიერ აღწერილი სიმპტომები მეტად დამახასიათებელია დაბალი მჟავიანობით მიმდინარე გასტრიტისათვის (კუჭის ანთება), ანემიებისათვის (სისხლნაკლებობა), აგრეთვე კალციუმის ცვლის დარღვევისათვის. სწორი დიაგნოზის დასმა და ძირითადი დაავადების მკურნალობა იქნება თქვენი პრობლემის გადაწყვეტის სწორი გზა.

**რა იწვევს ლეიკოპენიას, როგორ უნდა ვუმკურნელო და საერთოდ თუ განიკურნება?**

***ქ. თ.***

ლეიკოპენია არის ლეიკოციტების (სისხლის თეთრი ბურთულაკები) რაოდენობის შემცირება პერიფერიულ სისხლში (4.10 მ/ლ-ზე ქვევით). მას სხვადასხვა მიზეზი შეიძლება იწვევდეს:

1. ფუნქციური ლეიკოპენია გვხვდება ნევროზული რეაქციებისა და კვების ზოგადი დაქვეითების დროს. ავადმყოფი უჩივის საერთო სისუსტეს, ადვილად დაღლას, შრომის უნარის დაქვეითებას, უგუნებობას. ობიექტურად კი მხოლოდ სუბფებრილური (მცირედ მომატებული) სიცხიანობა აღინიშნება. ფუნქციური ლეიკოპენიის დროს ლეიკოციტურ ფორმულაში ცვლილებები არ შეინიშნება, რადგან შეცვლილი არ არის ძვლის ტვინი.

2. მაიონიზებულ-რადიაციული ლეიკოპენია ჩნდება რენტგენის სხივებით, რადიოაქტიური ნივთიერებებით დაზიანების დროს.

3. ანემიების თანმხლები ლეიკოპენია თან ახლავს აპლასტიკურ-ჰიპოპლასტიკურ (განვითარების ანომალიით მიმდინარე) ანემიას, ადისონ-ბირმერის დაავადებას ($B_{12}$ დეფიციტურ ანემიას).

4. დეფიციტური ლეიკოპენია ორგანიზმში ჩნდება ცილების, ზოგიერთი ამინომჟავის და ვიტამინის უკმარისობით. იგი შიმშილობის, ხანგრძლივი წვრილი ნაწლავის ანთების (ენთერიტის) და კოლიტის შედეგად ვითარდება.

5. ინფექციურ-ტოქსიკური ლეიკოპენია შეიძლება განვითარდეს სხვადასხვაგვარი მოწამვლის, ინფექციური და მალარიის, ძვლის ტვინის სიმსივნის დროს. მკურნალობის დაწყებამდე უნდა გაირკვეს ლეიკოპენიის გამომწვევი ფაქტორი და შეძლებისდაგვარად მოიხსნას მისი მოქმედება. შემდგომში უნდა მოხდეს გართულებებთან ბრძოლა და, ბოლოს, იყენებენ ჰემოსტიმულატორებს. ლეიკოციტების წარმოქმნის მასტიმულირებელი პრეპარატებია ნუკლეინმჟავა ნატრიუმი, პენტოქსილი, ლეიკოგენი; მათი გამოყენება შეიძლება სისხლის, ლეიკოციტური მასის გადასხმებთან, ჰორმონო — და ვიტამინოთერაპიასთან ერთად. ეს — ზოგადად. კონკრეტული მკურნალობის კურსის შესარჩევად მიმართეთ ექიმს.

**ჩემმა 10 წლის შვილმა დაბადა მკვდარი ასკარიდა. მაინტერესებს, ეყოლება თუ არა კიდევ ნაწლავებში ეს პარაზიტი და როგორ ვუმკურნალო?**

***თქვენი მუდმივი მკითხველი***

ეს ფაქტი ადასტურებს ასკარიდოზის დიაგნოზს და აუცილებლად ესაჭიროება მკურნალობა. ამ დროს ნაწლავებში ზოგჯერ ათობით და ათასობით ჭია ბინადრობს. ეს ჰელმინთოზი (ჭიებით ინვაზია) სერიოზული გართულებებით ხასიათდება და მისი უყურადღებოდ დატოვება ყოვლად დაუშვებელია. ასკარიდოზის სამკურნალოდ გამოიყენება ანტიჰელმინთური (ჭიების საწინააღმდეგო) საშუალებები. მაგალითად, ვერმოქსი (1 აბი 2-ჯერ დღეში 3 დღის განმავლობაში), პირანტელი, პიპერაზინი, ნაფტამონი (ამ პრეპარატთაგან ერთ-ერთი).

# ტესტი: იცით, როგორ უნდა მოიქცეთ?

**თქვენს ახლობელს აქვს სტენოკარდიული (გულის ტკივილი) შეტევები ყოველდღიურად. მიიყვანეთ ექიმთან, რომელმაც გადაუღო ელექტროკარდიოგრამა და დაუნიშნა ნიტროსორბიდი, 2-2 აბი დღეში 3-ჯერ. ავადმყოფს საგრძნობლად შეუმცირდა სტენოკარდიული შეტევების სიხშირე, მაგრამ დაეწყო აუტანელი თავის ტკივილები, როგორ მოიქცევით?**

**1. აღარ დაალევინებთ აღნიშნულ პრეპარატს. რა მნიშვნელობა აქვს, თავის ტკივილი დატანჯავს თუ გულის?**

**2. შეუცვლი ამ წამალს სხვა ჩემთვის ცნობილი პრეპარატით, მაგალითად ინტენკორდინით ან კურანტილით.**

**3. შევუმცირებ წამლის დოზას, თუ თავის ტკივილმა მაინც არ გაუარა, ავადმყოფს მივიყვან სხვა ექიმთან, ახალი მკურნალობის დასანიშნად.**

**4. ისევ მივალთ იმავე ექიმთან, რომელიც კარგად იცნობს პაციენტის მდგომარეობას და მხოლოდ მისი მითითებით შევამცირებთ წამლის დოზას ან შევცვლით მას სხვა პრეპარატით, რომელიც მოცემულ შემთხვევაში მისაღები იქნება.**

**სწორი პასუხია მე-4.**

სტენოკარდიული შეტევების გახშირება ინფარქტის წინა მდგომარეობას წარმოადგენს და ამიტომ დიდ ყურადღებას და სათანადო მკურნალობას საჭიროებს. ორგანული ნიტრატები კორონარების (გულის მკვებავი სისხლძარღვების) გამაფართოებელი ეფექტით ხასიათდება და მათ ხშირად ნიშნავენ სტენოკარდიის დროს. სწორედ ნიტრატების ჯგუფს მიეკუთვნება ნიტროსორბიდი. თავის ტკივილი, რომელიც პრეპარატის დანიშვნამ გამოიწვია, ნიტროჯგუფის წამლებისათვის მახასიათებელი გვერდითი მოვლენაა. ამ მოვლენის მოხსნა შეიძლება პრეპარატის შეცვლით ან დოზის შემცირებით, მაგრამ ეს უნდა გაკეთდეს მხოლოდ და მხოლოდ ექიმის მითითებით და მეთვალყურეობით. თუ რა შეიძლება მოჰყვეს სტენოკარდიის მკურნალობის თვითნებურ ცვლილებას, ამას მცდარი პასუხების განხილვისას ვნახავთ.

1. პრეპარატის თვითნებური მოხსნა იმის გამო, რომ იგი ავადმყოფს თავს ატკივებს, ყოვლად დაუშვებელია, რადგან სტენოკარდიული ტკივილი, რომლის პროვოცირებაც გამოიწვევს პრეპარატის მოხსნას, თავისი კლინიკური მნიშვნელობით ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და საშიში სიმპტომია (ნიშანი). თუ ეს სიმპტომი გახანგრძლივდა ნახევარ საათზე მეტხანს, დაიწყება ინფარქტის განვითარება, ამიტომ სტენოკარდიასთან ხუმრობა, შესაძლოა, ძალზე ცუდი შედეგით დამთავრდეს.

2. მეორე პასუხში მოყვანილი პრეპარატები (ინტენკორდინი, კურანტილი) მართლაც ხასიათდება კორონარების გამაფართოებელი მოქმედებით, მაგრამ მათი დანიშვნა მწვავე სტენოკარდიული მდგომარეობის დროს არ შეიძლება ერთი მიზეზის გამო: ამ პრეპარატებს ახასიათებს ე.წ. „მოპარვის სინდრომი“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ინტენსიურად აფართოებენ ჯანსაღ სისხლძარღვებს, ხოლო დაზიანებულ კორონარებს — ნაკლები ინტენსივობით, შედეგად კი ვღებულობთ, რომ ჯანსაღი კორონარები სისხლს ჰპარავენ დაზიანებულ კორონარებს და ეს იწვევს გულის კუნთის იშემიური (სისხლნაკლული) ზონის კიდევ უფრო ღრმა დაზიანებას. შესაძლოა საქმე ინფარქტამდეც კი მივიდეს. ეს რომ არ მოხდეს, კიდევ ერთხელ შეგახსენებთ, რომ ნუ ენდობით მეზობლების, ნათესავების ან თუნდაც საკუთარ დილეტანტურ სამედიცინო განათლებას. თქვენი ზერელე ცოდნის მიღმა არსებობს ბევრი ნიუანსი, რომელთა უცოდინრობასაც ხშირად სერიოზულ შედეგებამდე მივყავართ.

3. წამლის დოზის შემცირება სტენოკარდიის დროს უნდა მოხდეს ექიმის მეთვალყურეობის ქვეშ, რათა კლინიკური და ლაბორატორიული გამოკვლევების მიხედვით დადგინდეს წამლის ოპტიმალური დოზა. ხოლო დოზის თვითნებური შემცირება ისევ გახდება სტენოკარდიული შეტევის პროვოცირების მიზეზი. ამასთან, უნდა მიხვიდეთ არა სხვა, არამედ იმავე ექიმთან, რომელიც იცნობს თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობას და ჩატარებული მკურნალობის შედეგებს.

***თამარ მამაცაშვილი***

# გადავხედოთ კვების რეჟიმს



ზოგჯერ ადამიანი ცოტას ჭამს, მაგრამ მაინც სუქდება. დიეტოლოგებს მიაჩნიათ, რომ ეს შეიძლება გამოწვეული იყოს საჭმლის მომნელებელი სისტემის მოშლით ან კვების არასწორი რეჟიმით. საკვების მიღების ინტერვალი უნდა იყოს არანაკლებ 3-4 საათი, მაგრამ თუ ხორცი მიირთვით, მაშინ კუჭს მის გადასამუშავებლად სჭირდება 6-7 საათი. ამ ინტერვალის გათვალისწინებით უნდა ჭამოთ შეძლებისდაგვარად ცოტა-ცოტა და ხშირად. გარდა ამისა, დიეტოლოგები გვთავაზობენ შემდეგ დიეტას:

**ორშაბათს** — სადილსა და ვახშამზე ჭამეთ უცხიმო, მოხარშული ხორცი, ორთქლზე დამზადებული კატლეტი.

**სამშაბათს** — თევზის ფილე სალათისა და კომბოსტოს გარნირით.

**ოთხშაბათს** — მიირთვით მხოლოდ ბოსტნეული.

**ხუთშაბათს** — სასურველია მთელი დღე სვათ კეფირი (1,5-2 ლ ).

**პარასკევს** — საუზმეზე მიირთვით რამდენიმე მოხარშული კარტოფილი (უმარილოდ) მცენარეული ზეთით; სადილად — პიურე; ვახშმად — მცენარეული ზეთით შეზავებული მოხარშული კარტოფილის, ნედლი კიტრის და ქორფა მწვანილის სალათი.

**შაბათსა და კვირას** — შეიძლება მიირთვათ ის, რაზეც თავი შეიკავეთ კვირის განმავლობაში, მაგრამ მცირე რაოდენობით. ამასთან, ნუ მიეძალებით ცხიმიან, შემწვარ საკვებს, თორემ დიეტის მთელი ეფექტი გაქარწყლდება.

***ოჯდოხნი! №20***

# „გლაქსოსმიტკლაინი“ კომპანიისა და ახალი პრეპარატის — „სერეტიდის“ პრეზენტაციას აწყობს

28 მაისს შერატონ მეტეხი პალასში ბრიტანულმა სამედიცინო-ფარმაცევტულმა კომპანიამ „გლაქსოსმიტკლაინმა“ ასთმის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით მოაწყო ღონისძიება, სადაც შედგა კომპანიისა და მისი ახალი პრეპარატის — „სერეტიდის“ პრეზენტაცია.

ასთმის მსოფლიო დღე საქართველოში მესამედ აღინიშნება. ამ დაავადებისადმი ინტერესი მთელ მსოფლიოში საკმაოდ დიდია, რადგან მისი სიხშირე დღითიდღე მატულობს სხვადასხვა ასაკის, რასის და ეთნიკური ჯგუფების ადამიანებში. დედამიწის მოსახლეობის 4-12%-ია დღეს ასთმით დაავადებული. განსაკუთრებულად მაღალია ავადობა განვითარებულ ქვეყნებში და შემთხვევათა დიდი ნაწილი ბავშვებზე მოდის. ამიტომ ასთმას საერთაშორისო დონეზე სჭირდება მოვლა. დღეისათვის ამ დაავადების კონტროლირება შესაძლებელია და თუ იგი არ არის კონტროლირებადი ეს არასწორი დიაგნოსტირების ან არასწორი მკურნალობის შედეგია. ამიტომ, ასთმის მსოფლიო დღეს ყველა ქვეყანაში მოსახლეობას კიდევ ერთხელ მიეწოდება სწორი ინფორმაცია ასთმის არსისა და მისი მკურნალობის უახლესი მეთოდების შესახებ. „ყველა ადამიანს — თავისუფალი სუნთქვა“ — ასეთია ასთმის დღის დევიზი და ალბათ გასაკვირი არ არის, რომ საქართველოში ასთმის მსოფლიო დღის აღნიშვნის ორგანიზატორად ანტიასთმური (და არა მხოლოდ ამ ჯგუფის) პრეპარატების უმსხვილესი საერთაშორისო კომპანია — „გლაქსოსმიტკლაინი“ მოგვევლინა.

პრეზენტაციის მრავალრიცხოვან სტუმართა და გამომსვლელთა შორის იყვნენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი — ამირან გამყრელიძე, დიდი ბრიტანეთის დედოფლის ელჩი საქართველოში — დებორა ბარნს ჯონსი, „გლაქსოსმიტკლაინის“ კავკასიის რეგიონის გენერალური მენეჯერი — ნიკ ბოტონი, პარლამენტარი — პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი (რომელიც ამ შეხვედრაზე „გლაქსოსმიტკლაინის“ ახალი პრეპარატის — „სერეტიდისადმი“ მადლიერებამ მოიყვანა); მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები — მაია გოთუა და დავით თელია, ქართული სამედიცინო საზოგადოების წარმომადგენლები — ექიმები სხვადასხვა კლინიკებიდან და სამედიცინო ცენტრებიდან.

კომპანია „გლაქსოსმიტკლაინმა“ განვითარების მეტად საინტერესო, ვრცელი გზა განვლო. 1715 წელს სილვანუს ბივანმა ლონდონში დააარსა სააფთიაქო მაღაზია, რომელიც „გლაქსოსმიტკლაინში“ შემავალი ერთ-ერთი კომპანიის „ალენ ენდ ჰენბერის ლიმიტედ“-ის (Allen and Hanburys Ltd) წინამორბედი გახდა. 1995 წელს მოხდა Glaxo-სა და Wellcome-ის შერწყმა და შეიქმნა ახალი კომპანია GlaxoWellcome,ეს უკანასკნელი კი 2000 წლის 27 დეკემბერს SmithKlineBeecham-თან გაერთიანდა და შეიქმნა „გლაქსოსმიტკლაინი“.

კომპანიის თანამშრომლებს სამეცნიერო მოღვაწეობისთვის ხუთგზის აქვთ მიღებული ნობელის პრემია.

სხვადასხვა ტექნოლოგიური წარმატებებისათვის კომპანიას თავისი არსებობის მანძილზე ათგზის აქვს მინიჭებული ბრიტანეთის დედოფლის ჯილდო.

„გლაქსოსმიტკლაინს“ ეკუთვნის ისეთი ცნობილი პრეპარატები, როგორიცაა ზანტაკი Zantac — კუჭის წყლულის სამკურნალო საშუალება, რომელიც 1986 წელს მსოფლიოს საუკეთესო გაყიდვების მქონე მედიკამენტი გახდა. ამავე წელს Beecham-მა გამოუშვა ფართო სპექტრის ცნობილი ანტიბიოტიკი — „აუგმენტინი“ (ამოქსიცილინი/კლავულანის მჟავა),ხოლო Wellcome-მ — საქვეყნოდ ცნობილი ანტივირუსული პრეპარატი „ზოვირაქსი“ (აციკლოვირი) — „ოქროს სტანდარტი“ ჰერპესვირუსული ინფექციების მკურნალობისათვის.

გლაქსოსმიტკლაინის, პრეპარატებს შორისაა, „სერეტიდი“ — ახალი კომბინირებული საინჰალაციო მედიკამენტი ბრონქული ასთმის სამკურნალოდ, რომელიც შეიცავს ინჰალაციურ კორტიკოსტეროიდ ფლუტიკაზონს და პროლონგირებული მოქმედების $B_2$ აგონისტ სალმეტეროლს.

პრეპარატის მოქმედება განპირობებულია აქტიური კომპონენტების თვისებებით: სალმეტეროლი წარმოადგენს ყველაზე უფრო სელექციურ $B_2$ — აგონისტს (მისი $B_2/B_1$ სელექციურობის კოეფიციენტი არის 85000) ხანგრძლივი 12 სთ-იანი ბრონქოდილატაციური ეფექტით. ფლუტიკაზონი წარმოადგენს საინჰალაციო გლუკოკორტიკოიდს დამახასიათებელი ანთების საწინააღმდეგო ეფექტით, რაც იწვევს ბრონქული ასთმის სიმპტომებისა და გამწვავების სიხშირისა და სიმძიმის შემცირებას, სასუნთქი გზების გამავლობის აღდგენას, ფილტვებისა და პაციენტის ცხოვრების ხარისხის მნიშვნელოვან გაუმჯობესებას; დაავადების პროგრესირების შეწყვეტას. ამასთან ფლუტიკაზონს არ ახასიათებს გლუკოკორტიკოიდებისათვის დამახასიათებელი გვერდითი მოვლენები მისი მაქსიმალური დოზების ხანგრძლივი გამოყენებისას, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ბავშვებისა და ორსულების მკურნალობაში.

„სერეტიდი“ ყველაზე ეფექტური ანტიასთმური საშუალებაა ბავშვებსა და მოზრდილებში. იგი ქმნის ბრონქული ასთმის მკურნალობის ახალ პერსპექტივას: განსხვავება იგრძნობა უკვე პირველივე დოზის შემდეგ. ამ ერთი პრეპარატით შესაძლებელია ასთმის სრული კონტროლი.

„სერეტიდი დისკუსი“ წარმოადგენს მრავალდოზიან მშრალფხვნილოვან ინჰალატორს. სხვადასხვა ტიპის ინჰალატორებს შორის „დისკუსი“ ერთ-ერთი ყველაზე უფრო თანამედროვე და სრულყოფილი ხელსაწყოა. წამალი ინჰალატორში მოთავსებულია მიკროდისპერსიული ფხვნილის სახით, რაც ხელს უწყობს პრეპარატის სასუნთქ გზებში ღრმად შეღწევას. თითოეული ინჰალატორი შეიცავს პრეპარატის 60 დოზას, რაც ერთი თვის განმავლობაში საკმარისია.

„სერეტიდი“ მოწოდებულია ბრონქული ასთმის ხანგრძლივი ბაზისური მკურნალობისათვის.

ამრიგად, ასთმის მსოფლიო დღეს „გლაქსოსმიტკლაინმა“ მართლაც სასიამოვნო სიახლის შესახებ ამცნო საზოგადოებას. ეს სიახლე — პრეპარატი „სერეტიდი“ ათასობით ასთმიანი ადამიანის ცხოვრებას შეცვლის სასიკეთოდ, ათასობით ოჯახი გადაწყვეტს უძილო ღამეებისა და მუდმივი დაძაბულობის პრობლემას. „სერეტიდის“ შექმნა წარმოადგენს უდიდეს პროგრესს ბრონქული ასთმის მკურნალობაში. R



# გვირჩევენ ქრონობიოლოგები



მეცნიერებმა ხანგრძლივი კვლევის შედეგად დაამტკიცეს, რომ თითოეული ჩვენგანის შრომისუნარიანობა იცვლება წლის განმავლობაში კვირებისა და დღე-ღამეების მიხედვით. სპეციალისტები, რომელთაც შეადგინეს ბიორიტმების ინდივიდუალური გრაფიკი, კვირის ყველაზე აქტიურ დღეებად მიიჩნევენ სამშაბათს, ოთხშაბათსა და ხუთშაბათს. ამიტომაც გვირჩევენ, რომ ყველა რთული სამუშაო შესრულდეს შუა კვირაში. გამოკვლევებმა ასევე დაადასტურა, რომ შრომისუნარიანობის მიხედვით, ყველაზე აქტიური თვეებია სექტემბერი და თებერვალი და რომ სასიცოცხლო ძალების ყოველ აღმავლობის ფაზას აუცილებლად მოსდევს დაღმავალი პერიოდი, რომლის დროსაც ადამიანი ბევრ შეცდომას უშვებს, იღებს არასწორ გადაწყვეტილებებს, ადვილად იღლება, ხშირად ავადმყოფობს.

**აი, რა დაადგინეს ქრონობიოლოგებმა:**

ღამის 4 სთ-დან 5 საათამდე ადამიანის ორგანიზმი ძალიან მოდუნებულია და ღრმად სძინავს. ამ დროს გაღვიძება ძნელია.

სასურველია ცივი შხაპის მიღება დილის 8 საათამდე, რის შემდეგაც ტანი კარგად უნდა გაიმშრალოთ ხაოიანი პირსახოცით. დილის 8 საათზე თუ ისაუზმებთ, წონაში არ მოიმატებთ, რადგანაც ამ დროს ნახშირწყლები ცხიმად კი არ გარდაიქმნება, არამედ ენერგიად. მაგრამ საღამოს 8 საათზე თუ შეჭამთ რამეს — წონა მოგემატებათ.

ექიმთან ვიზიტი და სამედიცინო პროცედურები დილით სჯობს.

კბილის ექიმთან მისვლა კი უკეთესია შუადღისას. ამ დროს თქვენ ნაკლებმგრძნობიარე ხართ საბურღი მანქანის მიმართ.

ტვინი უფრო აქტიურია დილის 10 საათიდან შუადღემდე. კუნთები უკეთესად მუშაობს 13 საათისათვის. ჭამისთვის საუკეთესო დროა 13 საათი, მაშინაც კი, როდესაც არ სადილობთ და ამ დროს ყველაზე მეტი კუჭის წვენი გამოიყოფა. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ დასვენებისთვის სასარგებლო დროა და ორგანიზმიც მზად არის ძილისთვის 14 საათზე (თურმე, ჩვენს ორგანიზმს ეს დრო უფრო მოსწონს ძილისა და დასვენებისთვის ვიდრე — ღამე).

თმის შეჭრა უმჯობესია 16 სთ-დან 18 საათამდე. ჩვენი სმენა, გემოვნება და ყნოსვა გამძაფრებულია 17 სთ-დან — 19 სთ-მდე.

ღვიძლი ადვილად უმკლავდება მაგარ სასმელებს 18 სთ-დან 20 სთ-მდე. შუაღამის შემდეგ ერთი სირჩაც კი ტყვიის სროლის ტოლფასია. აბაზანა სასურველია 18 სთ-დან 20 საათამდე. ასევე მკვებავ ნიღბებს საუკეთესო შედეგები აქვს 18 სთ-დან 20 საათამდე.

გულითადი საუბრებისთვის საუკეთესო დროა 20 სთ-დან 22 სთ-მდე.

იმუნური სისტემა ყველაზე მეტად იცავს ორგანიზმს ინფექციებისგან 22 საათზე.

## რა არის ქრონოგანრიგი?

შრომისუნარიანობის დღეღამური გრაფიკის შედგენისას ყურადღება გადაიტანეთ ძილისა და ღვიძილის მონაცვლეობაზე. ადამიანთა უმეტესობა არ უსმენს თავის ბიოლოგიურ შინაგან საათებს და მათ საწინააღმდეგოდ მუშაობას აიძულებს ორგანიზმს. ხშირად ნასადილევს რომ რული მოგვერევა, მაგარ ყავას ვსვამთ და ინტენსიურად ვმუშაობთ. უმჯობესია დალიოთ ლიმონიანი ჩაი, მოეშვათ და ჩათვლიმოთ კიდეც.

თუ ორგანიზმი დასვენებას გთხოვთ, დაჰყევით მას — ეს დაგეხმარებათ რთული და მძიმე საქმეების მოგვარებაში. გარკვეული დროის შემდეგ იგრძნობთ, როგორ მოგემატათ ძალა და გაორმაგებული ენერგიით შეუდგებით საქმეს. და კიდევ ერთი: ნუ შეეცდებით დაითრგუნოთ შიმშილის გრძნობა... იცხოვრეთ შინაგანი საათების მიხედვით.

*ოტდოხნი! №19*




სისხლში შაქრის საზომი აპარატები
სერტიფიცირებულია
კომპლექტი 95ლ
•სხვადასხვა გლუკომეტრების ჩხირები; •ერთჯერადი ნემსები 50ც. - 3ლ; •შარდის საერთო ანალიზის ტესტები, 100ც. — 50 ლ.
შპს „კონტრასტი“, ბორჯომის ქ. №4
☎ 35-44-05; 899-19-60-55

ვმკურნალობთ
ქრონიკულ პროსტატიტს
— ექსპრეს-დიაგნოსტიკა 15-20 წუთში;
— ექოსკოპია იაპონური აპარატურით;
— კომპლექსური მკურნალობა დღეისათვის არსებული ყველაზე თანამედროვე მეთოდებით, მათ შორის, პროფ. გუსკოვის აპარატით „ინტრატონი“, რომელსაც ეფექტურობით ანალოგი არ აქვს.
მეცნიერებათა აკადემიის სპეც. პოლიკლინიკა, კაბ. №7 (სპორტის სასახლის უკან, მარჯვნივ). 10-14 სთ.

ისრაელი-საქართველოს სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „მიკროგენი“
გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას ისრაელის უახლესი მეთოდებისა და ტექნოლოგიების გამოყენებით: გინეკოლოგია, ანდროლოგია, ოსტეოპოროზი, ულტრასონოგრაფია, ლაბორატორიული ტესტები, კოსმეტოლოგია, სამკურნალო მასაჟი და მკვდარი ზღვის ტალახისა და მარილების აბაზანები.
მისამართი: ვაჟა ფშაველას გამზ. 32ა
☎ 94 07 08; 94 07 09; 98 39 76

SGS - მსოფლიო სექსოლოგთა ასოციაციის და ევროპის სექსოლოგთა ფედერაციის წევრი
SGS - თანამედროვე ტექნიკური ბაზა
SGS - მაღალკვალიფიციური ექიმი-სექსოლოგები და ფსიქოლოგები
SGS - განკურნების მაქსიმალური გარანტია
SGS - აბსოლუტური ანონიმურობა

ჩვენი პროფესიონალიზმი თქვენი თვითდაჯერების გარანტიაა!!!

ექიმი-სექსოლოგები, ფსიქოლოგები და ფსიქოთერაპევტები მზად არიან დაგეხმარონ ყველა სახის სექსუალური დარღვევის, ნევროზული სიმპტომების დიაგნოსტიკასა და მკურნალობაში.
1. სქესობრივი აქტის ჩატარების გაძნელება ან შეუძლებლობა, მათ შორის: „პირველი საქორწინო ღამის“ პრობლემები.
2. სქესობრივი აქტის გახანგრძლივება ან ნაადრევი დამთავრება.
3. იმპოტენციის ქირურგიული მკურნალობა, ასოს ზომების მომატება.
4. კონფლიქტები ოჯახში და მის გარეთ.
5. დეპრესია, ძილის დარღვევა, აკვიატება და ენერგეტიკული დაქვეითება.
6. კონტაქტის შიში და ურთიერთობის პრობლემები.

ფსიქოლოგიური და სექსოლოგიური სამსახური SGS
თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №5 (ყოფილი „ლეჩკომბინატი“), მე-2 სართ. კაბ. 21-22-23-24. ტელ: 29-34-39. მიღება 10-19 სთ-მდე


# თუ თავი გტკივათ...



თავის ტკივილი ძალზე ინდივიდუალურია. იგი ხასიათის მიხედვით შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დავყოთ. თითოეულს, კი თავისი გამომწვევი მიზეზი აქვს და შესაბამისად მის წინააღმდეგ სხვადასხვა ღონისძიების გატარებაა რეკომენდებული. მაშ ასე:

**პირველი:**

1. თავის ტკივილი ძლიერია და მთელ თავს მოიცავს ერთნაირი ინტენსივობის ტკივილით.

2. ტკივილი მონოტონური, ყრუ ხასიათისაა — მღრღნელი, დამწოლი.

3. ისეთი შეგრძნებაა თითქოს მთელ თავზე რაღაც გიჭერთ.

4. ტკივილი ვითარდება სემინარების, კამათების, გამოცდების, მოულოდნელი ცნობების, უსიამოვნებების დროს.

5. თქვენი სამუშაო დიდი ხნით კომპიუტერთან (ავტომანქანის საჭესთან, საკერავ მანქანასთან, საწერ მაგიდასთან) ჯდომას საჭიროებს.

6. ასრულებთ სამუშაოს, რომელიც საჭიროებს ყურადღების დიდი ხნით კონცენტრირებას, იწვევს ემოციურ დაძაბულობას, დროის დეფიციტს.

**თქვენი დიაგნოზი** — დაძაბულობის თავის ტკივილია. ის ბევრ უსიამოვნებას განაპირობებს. ის ყველაზე ხშირია, 10-დან 7-9 სწორედ ასეთი ხასიათის თავის ტკივილზე მოდის.

**რჩევა:** მოერიდეთ სტრესებს, ნუ დაივიწყებთ დასვენების შესახებ, მეტი იმოძრავეთ, მუშაობის დროს გააკეთეთ ვარჯიშები — კისრისა და მხრის სარტყლის კუნთების. ეს აუცილებლად დაგეხმარებათ.

**მეორე:**

1. ტკივილი ძლიერი და პულსირებადია. ის შეიძლება იყოს როგორც თავის მხოლოდ ერთ მხარეს (მარჯვენა, მარცხენა) ან ორივე მხარეს ერთდროულად.

2. ტკივილის გრძნობა განსაკუთრებით შუბლის, საფეთქლების, თვალების არეშია.

3. ტკივილს თან ახლავს გულისრევის გრძნობა, ზოგჯერ ღებინება, თავბრუსხვევა, კანკალი და სიცივე ხელებში, გაძლიერებული მგრძნობელობა ხმაურსა და სინათლეზე.

4. ტკივილის შეტევის მოხსნის შემდეგ გრძნობთ სისუსტეს, სურვილი გაქვთ, დაიძინოთ.

5. თავის ტკივილი იწყება ერთი ან ბევრი მიზეზის გამო — ემოციური სტრესის, წამლების მიღების, ამინდის ცვლილების, სიმძიმის აწევის, სპორტულ დარბაზში ვარჯიშის შემდეგ, ანდა მაშინ, თუ მიირთმევთ შებოლილ საკვებს, თხილს, 1 ჭიქა წითელ ღვინოს, შამპანურს, ლუდს, მოწევთ სიგარეტს და რამდენიმე საათს გაატარებთ ხმაურიან ადგილას (ტრანსპორტში).

6. ეს პრობლემები მემკვიდრეობით გადმოგეცათ — დედისგან, ბებიისგან ან სხვა ნათესავისგან. მამაკაცებში ასეთი ხასიათის თავის ტკივილი 2-3-ჯერ უფრო ხშირია.

**თქვენი დიაგნოზი** — შაკიკი. თქვენთან ერთად ამით „იტანჯება“ დედამიწის მოსახლეობის 20%-მდე. ამაში „დამნაშავე“ ტვინის სისხლძარღვებია, რომლებიც ვიწროვდებიან ან ფართოვდებიან.

**რჩევა:** შეინარჩუნეთ ემოციური წონასწორობა, იძინეთ არა უმცირეს 8 საათისა, გამორიცხეთ მაპროვოცირებელი ფაქტორები, თქვენთვის კარგია წყლის პროცედურები — კონტრასტული შხაპი, საუნა, აუზი — შაკიკი თანდათანობით „დაგანებებთ თავს“.

**მესამე:**

1. ტკივილი, როგორც წესი, ღამით იწყება, რომელიც არღვევს სიმშვიდესა და ძილს, გაიძულებთ ოთახში ბოლთის ცემას.

2. მწველი და პულსირებადი ტკივილი ყოველთვის თავის ერთსა და იმავე მხარეს „უტევს“.

3. ტკივილის შეგრძნება კონცენტრირებულია თვალების, წარბებზედა არეში, საფეთქლებზე, თხემისა და შუბლის არეში. ზოგჯერ გადაეცემა ყურსა და ქვედა ყბას.

4. შეტევის დროს თვალი წითლდება და ცრემლიანდება, ქუთუთო ეშვება, სახე არაჯანსაღ წითელ ელფერს იძენს, აღინიშნება ოფლის წვეთები.

5. ტკივილი ყველაზე ძლიერი ინტენსივობის არის პირველი 5-10 წუთი, გრძელდება 30 წუთიდან 2 საათამდე და ხშირად მეორდება 2-3-ჯერ დღე-ღამეში.

6. ტკივილის შეტევა რამდენიმე კვირიდან 3 თვემდე გრძელდება. შემდეგ ქრება ნახევარი წლით. ზოგჯერ კი თავს 2-3 წელიც არ გახსენებთ.

**თქვენი დიაგნოზი:** ეს მამაკაცური ვარიანტია შაკიკის. ასაკი 20-დან 30 წელია, 65 წლიდან თავისით გადის.

**რჩევა:** მოერიდეთ, უფრო სწორად აკრძალეთ ამ ხასიათის ტკივილის მაპროვოცირებელი ფაქტორები — სიგარეტი და სპირტიანი სასმელები. იცხოვრეთ რეჟიმით. ცხოვრების რეჟიმის ცვლილება იწვევს ტკივილის შეტევას. გაითვალისწინეთ! ძილი ამ სახის თავის ტკივილს ვერ შველის. სანამ არ დასრულდება, ნუ ეცდებით დაძინებას.

შაკიკის (2, 3) ხასიათის თავის ტკივილის თავიდან ასაცილებლად მიზანშეწონილია ყოველდღიური ცხელი და ცივი კომპრესები. მოამზადეთ 2 მცირე ზომის პირსახოცი. მორიგეობით დაიდეთ კარგად გაწურული პირსახოცები ჯერ ცხელი, 30 წამის შემდეგ ცივი, 2-3-ჯერ გაიმეორეთ და თანდათანობით გაახანგრძლივეთ პროცედურა. ცხელი და ცივი კომპრესი გაიჩერეთ 1,5 წუთი და შეანაცვლეთ 5-6-ჯერ.

**მეოთხე:**

1. იღვიძებთ დილით ძლიერი თავის ტკივილით.

2. გაღვიძების შემდეგ სახე შეშუპებული გაქვთ, თვალების ქვეშ — უპეები.

3. გტკივათ მთელი თავი, მაგრამ ყველაზე მეტად კეფა.

4. თავის ტკივილი ძლიერდება ფიზიკური დატვირთვის შემდეგ.

5. ტკივილი ცხრება სადილობის დროისთვის.

6. ტკივილი გრძელდება გამუდმებით, თავისუფალი დღეების გარეშე.

**დიაგნოზი** — არტერიული ჰიპერტონია (მაღალი არტერიული წნევა). ტკივილის წყარო შევიწროებული ტვინის სისხლძარღვებია. ამავე დროს ამ დაავადებისას არის საშიშროება თავის ტვინში სისხლჩაქცევის (ინსულტი) განვითარებისა.

**რჩევა:** აკონტროლეთ არტერიული წნევა. თავის ტკივილი, როგორც წესი, აღმოცენდება როდესაც სისტოლური წნევა 200, დიასტოლური კი 100-120-ია. ჰიპერტონიის საწყის სტადიაში არტერიული წნევა ასეთ ციფრებს არ აღწევს.

**ექიმს უნდა მიმართოთ:**

— როცა ტკივილის ხასიათი განსხვავებულია: ძლიერი, უეცარი, აუხსნელი, არ ქრება წამლების მიღების შემდეგ, სწრაფადვე ბრუნდება.

— თანმხლები ნევროლოგიური დარღვევების განვითარებისას: უეცარი სისუსტე, სმენის დაქვეითება, თავბრუსხვევა, მხედველობის დაქვეითება, მეტყველების ან მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა.

— თუკი თავის ტკივილი მკვეთრად ძლიერდება, თან ახლავს სხეულის ტემპერატურის მატება, გულის რევა, ღებინება, გაძნელებულია სუნთქვა.

**თავის ტკივილის გამომწვევი მიზეზები შესაძლოა წამლებიც იყოს:**

— ანალგეტიკები — დღეში 2-ჯერ მიღებისას — ასპირინი, პარაცეტამოლი და სხვ.

— არასტეროიდული ანტიანთებითი საშუალებები: ვოლტარენი, იბუპროფენი, ინდომეტაცინი, კეტოპროფენი, პიროქსიკამი.

— ანტიბაქტერიული სოკოს საწინააღმდეგო საშუალებები: ტრიგეტოპრიმი, ბაქტრიმი, ფულვიცინი.

წნევის დამწევი პრეპარატები — კაპტოპრილი, კლონიდინი, მეტოპროლილი, ნიფედიპინი, ინდერალი, რეზერპინი, ადელფანი, რაუნატინი.

— საგულე საშუალებები — იზოსორბიტი, ნიტროგლიცერინი, ვერაპიმილი.

— პრეპარატებები წყლულოვანი დაავადებისთვის: ციმეტიდინი, რანიტიდინი.

— ჰორმონები — პრედნიზოლონი, ჰიდროკორტიზონი, ესტროგენები, რომელიც შედის ჩასახვის საწინააღმდეგო საშუალებებში, ასევე კლიმაქტერიული სინდრომის მოხსნისთვის დანიშნულ პრეპარატებში.

*მაია მუხიგული*


სამედიცინო ცენტრი მედი

ალ. ყაზბეგის გამზ №1 25-02-02 93-89-75
უკონტაქტო ეპილაცია ალექსანდრიტის ლაზერით
ტუჩების, მკერდის, ყურების ფორმის კორექცია
კონტურული მაკიაჟი
თვალებზე, წარბებზე, ტუჩებზე
სახის კანის გაახალგაზრდავება, ნაოჭების გასწორება
ოქროს ძაფებით, ბოტოქსის ინექციებით

## ამერიკა ნტვ-ს გაუნაწყენდა

ნტვ-მ აჩვენა სიუჟეტი — პუტინი და ბუში კრემლში ხელშეკრულებას აწერენ ხელს. ამ დროს აშშ-ის პრეზიდენტი პირიდან იღებს საღეჭ რეზინს...



ამ კადრმა ამერიკის პრესა აღაშფოთა. რამდენიმე წამყვანმა გაზეთმა, მათ შორის „ვაშინგტონ პოსტმა“ ნტვ-ს უსაყვედურა, — რატომ არ ეცით პატივი სტუმარს, რა საჭირო იყო ამ კადრის ჩვენება. ამან შესაძლოა, ჩრდილი მიაყენოს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას. ჩანს, თქვენი არხი მართლაც განიცდის ხელისუფლების ზეწოლას და სწორედ მათი ბრძანებით მოქმედებდითო.

როგორც გაირკვა, ეს კადრი მარტო ნტვ-ს არ გაუშვია. ბუში რომ პირიდან საღეჭ რეზინს იღებს, ყველა ტელეკომპანიას უჩვენებია ბუშის უკომპლექსობის დასამტკიცებლად.

„კომსომოლსკაია პრავდამ“ კომენტარი სთხოვა ნტვ-ს პროგრამა „ნამედნის“ წამყვანს ლეონიდ პარფიონოვს. მან თქვა: — ძალიან გამაკვირვა „ვაშინგტონ პოსტის“ გაცხარებამ. ეტყობა, სწორედ თვითონ არ არის თავისუფალი, რაკი მიაჩნია, რომ ბუშის ჟესტმა შესაძლოა ზიანი მიაყენოს რუსეთ-ამერიკის ურთიერთობას. საკითხავია, რა მიაყენებს ჩრდილს ჩვენს ურთიერთობებს, ის, რომ პრეზიდენტი კრემლში ილეჭება, თუ მნიშვნელოვან საბუთზე ხელმოწერისას რეზინი პირიდან რომ გამოიღო, ან იქნებ ის, რომ კადრები ნტვ-მ უჩვენა?

***კომსომოლსკაია პრავდა №79***

## სტალინს თავის დროზე უარი უთხრეს

იტალიის სამხედრო ბაზა „პრატიკა-დი-მარეში“ რუსეთის პრეზიდენტმა ხელი მოაწერა შეთანხმებას რუსეთ-ნატოს საბჭოს შექმნაზე „ოცეულის“ სახით. ფაქტობრივად, რუსეთი ჩრდილოეთ ატლანტის სტრუქტურაში დაახლოებით იმ უფლებით მიიღეს, რაც ჰქონდა საფრანგეთს 1966-1990 წლებში, როცა ფრანგები უარს ამბობდნენ ალიანსის მანევრებში მონაწილეობაზე. მათგან განსხვავებით, რუსეთი შესაძლებლობის ფარგლებში მიიღებს მონაწილეობას გარკვეული საკითხების გადაწყვეტასა და მანევრებშიც.

ეს რუსეთის ნატოში შესვლის მეორე მცდელობაა. ჯერ კიდევ სტალინის დროს რუსეთმა ოფიციალურად შეიტანა განაცხადი ბლოკში შესვლაზე, მაგრამ უარი უთხრეს: ნატო იმისთვის არ შექმნილა, რომ მოლოტოვმა დაანგრიოსო. მაგრამ ახლა სხვა სიტუაციაა და ამჟამინდელი შეთანხმება რუსეთს აძლევს იმის უფლებას, რომ მონაწილეობა მიიღოს მსოფლიო უსაფრთხოების საკითხების განხილვაში.

სტრატეგიულად რუსეთმა, „თუ საჭირო გახდა“, უნდა დაიცვას ბლოკის სამხრეთი ფლანგი თურქეთთან და უკრაინასთან ერთად (რომელსაც სურს ნატოს სრულუფლებიანი წევრი გახდეს) გაშალოს საერთო ფრონტი.

დამკვირვებლები ბევრს ფიქრობენ პუტინის მიერ დოკუმენტებზე ხელმოწერის შემდეგ ნათქვამ ფრაზაზე — ეს მხოლოდ დასაწყისიაო. ნატოს გენერალურმა მდივანმა ჯორჯ რობერტსონმა პუტინის ნათქვამს დაურთო — ხელშეკრულების დადებით ჩვენ შევქმენით საბჭო, რომლის ყველა წევრს თანაბარი უფლება აქვსო.

ნატოს წესდების თანახმად, რუსეთს შეუძლია ბლოკს ფინანსური დახმარება სთხოვოს არმიის მოდერნიზაციისთვის, როგორც ეს გააკეთა ესპანეთმა 80-იან წლებში, როცა იგი ნატოში იმავე პირობით მიიღეს, როგორითაც ახლა რუსეთი.

***მოსკოვსკი კომსომოლეცი №91***

## გუანტანამოელი ტუსაღები

აშშ-ის მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც გუანტანამოს ბაზაზე ოთხი თვის წინ დატუსაღებულ 25 წლის ავღანელს ქაბულში გადაიყვანენ. ამ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანს საერთო არაფერი ჰქონია ტერორისტებთან. პენტაგონი არაფერს ამბობს, თუ რატომ დასჭირდა ამდენი დრო შიზოფრენიის დიაგნოზის დასმას. ავადმყოფს ქაბულის სამხედრო ჰოსპიტალში მოათავსებენ და ექვსი თვის მანძილზე ამერიკული მხარე საკვებითა და წამლებით მოამარაგებს. საერთოდ, ამერიკელები საგულდაგულოდ მალავენ ყველაფერს, რაც გუანტანამოს ბაზაზე დატუსაღებულთ ეხება. გამოქვეყნებული ერთადერთი ინფორმაციის თანახმად, აქ 384 ტუსაღი ჰყავთ. პენტაგონმა მიმართა იმ ქვეყნების მთავრობებს, საიდანაც არიან ტუსაღები, — თქვენი თანამემამულენი წაიყვანეთ და გამოძიება ერთობლივად თქვენს ტერიტორიებზე ვაწარმოოთო, მაგრამ პენტაგონს აქტიურად არავინ გამოხმაურებია. შესაძლოა საკუთარ ქვეყანაში ზედმეტი არეულობების თავიდან ასაცილებლად, თუმცა საბაბად შესაბამისი იურიდიული აქტების უქონლობა დაასახელეს. ასეა თუ ისე, ტუსაღთა ბედი ამერიკელთა ხელში რჩება. ეს უკანასკნელნი კი, გამოძიების ბოლომდე მიყვანას გეგმავენ.

***შტერნი***

## საიდან აქვთ დოლარები ანტიგლობალისტებს?



**საიდუმლოებით მოცული ვინმე მარკოსი ფრანგ ფერმერ ჟოზე ბოვესთან ერთად ინტერნეტის საშუალებით ხელმძღვანელობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში გაფანტულ ათასობით ანტიგლობალისტს. მარკოსს სახეზე ყოველთვის ნიღაბი აქვს აფარებული, არც მისი ნამდვილი სახელი იცის ვინმემ. სწორედ მარკოსის მოწყობილია ანტიგლობალისტთა გამოსვლები გენუაში, დავოსში, პარიზში, პრაღაში. „არგუმენტი ი ფაქტის“ ჟურნალისტმა მოახერხა თანამგზავრის საშუალებით მისთვის ინტერვიუს ჩამორთმევა.**

— *გლობალიზაციის მოწინააღმდეგეთა მოძრაობა მხოლოდ ერთი შეხედვით ჩანს სტიქიური, სინამდვილეში კარგადაა ორგანიზებული, ვინ აფინანსებს მათ მიმოსვლას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, სასტუმროში ცხოვრებას და ა.შ.*

— ისინი, ვისაც სწამს რევოლუციის იდეალებისა და კარგად ესმის, მსოფლიოს ტრანსნაციონალური კორპორაციების გაფართოების შემთხვევაში, რა მოუვა მათ ბიზნესს. სხვათა შორის, ნებისმიერ რევოლუციას ჰყავდა დამფინანსებელი, თუმცა თავად მე უსასყიდლოდ ვიღვწი. ფული არ მჭირდება, რადგან 8 წელია ჯუნგლებში პარტიზანულად ვცხოვრობ.

— *მაგრამ არსებული ინფორმაციით, თქვენმა გამოსახულებიანმა მაისურებმა 100 მლნ დოლარი შემოსავალი მოიტანა.*

— მაგას რა სჯობს, თუ ღარიბებმა სარგებელი ნახეს.

— *ანტიგლობალისტები არეულობის დროს მაღაზიებს გამორჩევით არბევენ, რატომ?*

— თუ ადამიანმა საკუთარი შრომით შეიძინა ქონება და არა სხვისი ექსპლუატაციის გზით, მას არ ვერჩით. ამიტომაც არის, რომ დემონსტრანტები არბევენ მდიდარ ბუტიკებს და არაფერს ერჩიან პატარა სასაუზმეებს. მე კომუნისტი არ ვარ და არც სოციალიზმის დასამყარებლად ვიტკივებ თავს, უბრალოდ, მინდა, რომ ყველა ადამიანი თანასწორი იყოს.

— *მსოფლიოს ლიდერთა სამიტის დროს გენუაში რამდენიმე ათასი ანტიგლობალისტი ჩავიდა. მარტო ავიაბილეთებს რამდენი ფული დასჭირდებოდა!..*

— მათი უმეტესობა ევროპის ქვეყნებიდან ავტოსტოპით ჩავიდა. ბილეთები მხოლოდ აშშ-დან, ისრაელიდან, რუსეთიდან ჩასულებს დასჭირდათ. სხვათა შორის, ღამე სასტუმროში არავის გაუთევია, ბაღებსა და სკვერებში საძილე ტომრებში ეძინათ. გაცილებით მეტი სახსრები გვექნებოდა, ყველას რომ ვართმევდეთ, ვინც კი გვთავაზობს. მაგალითად, კოლუმბიელ მემარცხენე ამბოხებულებს თავაზიანი უარი შევუთვალეთ — არ გვინდოდა სუფთა საქმე კოკაინით ვაჭრობით ნაშოვნი ფულით შეგვებილწა. ფულს გვიგზავნიან ფერმერთა პროფკავშირები, რომლებსაც ძალიან აზარალებთ გლობალიზაცია, ფული შემოდის ბილ გეიტსის მონოპოლიის მიერ გასაკოტრებლად განწირული კომპიუტერული კომპანიებიდან და ა.შ.

— *რატომ წვავთ მანქანებს და ესხმით თავს პოლიციელებს ევროპის ქალაქებში?*

— როგორ გგონიათ, ვითომ ჩვენ ავურიეთ ეს დაწყობილი მსოფლიო? 1991 წელს გვითხრეს — გიხაროდეთ, კეთილშობილმა კაპიტალისტებმა დაწყევლილი სოციალიზმი გაანადგურესო. მაგრამ რამე სიკეთე მოჰყვა ამას? — არაფერი. მდიდარი ქვეყნები ღარიბ ქვეყნებს ვიზებით გამოეყვნენ, ლამის ყოველდღე ჩნდება ომის ახალი კერა. გლობალიზაცია ანადგურებს ადამიანს. პიროვნებას ხდის ცინიკურს, კიდევ უფრო არეგვენებს, ვიდრე ეს საბჭოთა კავშირში ხდებოდა. გეკითხებით, ევროპელთაგან ვინმემ ამოიღო ხმა, რატომ ბომბავთ ბელგრადსო?

— *ანტიგლობალისტები განსაკუთრებით რატომ ემტერებიან „მაკდონალდსს“ ყველა ქვეყანაში?*

— „მაკდონალდსი“ ჩვენთვის ჩაგვრის სიმბოლოა. იგი მთელ მსოფლიოს მოედო და პლანეტის დაპყრობას ლამობს. ანადგურებს აფრიკის, ევროპის, ლათინური ამერიკის კულტურებს, ერებს საკუთარ იერსახეს უკარგავს...

— *ნიღაბს არასდროს მოიხსნით?*

— არა, მომწონს ნიღბით სიარული. მარკოსი არასოდეს მოკვდება, რამე კიდეც რომ დამემართოს, სხვა ნიღბიანით შემცვლიან...

***არგუმენტი ი ფაქტი №22***

## კორუფციული ბუმერანგი



კიმ დე ჯანგმა ხუთი წლის წინ სამხრეთ კორეის მართვის სადავეები აიღო ხელში. ქვეყანას კორუფციისგან თავდახსნას ჰპირდებოდა. მაშინდელი პრეზიდენტის კიმ იონგ სამის უმცროსი ვაჟი სკანდალში იყო გახვეული, გამოირკვა, რომ ქრთამს იღებდა, რათა მამაპრეზიდენტთან ზოგიერთი კომპანიისთვის „საქმეები ჩაეწყო“. მაშინდელი ოპოზიციის ლიდერმა (დღეს კი პრეზიდენტმა) კიმ დე ჯანგმა ეს ფაქტი ხელზე დაიხვია და ისეთი ანტიკორუფციული სკანდალი ააზვირთა, რომ პრეზიდენტი იძულებული გახდა, ვადამდე გადამდგარიყო. ალბათ იოლი მისახვედრია, თუ ვის დარჩებოდა საპრეზიდენტო რეგალიები. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, კორუფციას ბუმერანგივით სცოდნია დაბრუნება. ამჟამინდელი პრეზიდენტის ვაჟმა კიმ ჰონგ გულმაც ამ სამარცხვინო საქმეში გაყო თავი. მას დაუმტკიცდა ქრთამად ერთი მლნ დოლარის აღება რამდენიმე კომპანიისგან — მათთვის ხელსაყრელი სამთავრობო შეკვეთების მიღებაში დახმარების სანაცვლოდ. პრეზიდენტის ვაჟი უკვე დაპატიმრებულია. დეკემბერში კორეაში საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართება. პრეზიდენტის მთავარმა ოპონენტმა ლიი ჰოი ჩანგმა ისარგებლა ამ შემთხვევით, ანტიკორუფციული კამპანია ააზვირთა და რეიტინგიც 30%-ით აიმაღლა. თუკი ლიი ჰოი ჩანგი პრეზიდენტი გახდა, წინამორბედების მსგავსად სკანდალი ნამდვილად არ ელოდება, მას ხომ ერთადერთი სამი წლის ქალიშვილი ჰყავს.

***ნიუზუიქი***

## მოკლედ

**მოსკოვში**, ახალ არბატზე, პრეზიდენტ პუტინის თანმხლები კორტეჟის წინა რიგში მიმავალ მანქანას მოულოდნელად შეეჯახა კერძო პირის, ლ. გაბრიელიანის მანქანა, რომელიც უადგილო ადგილზე აპირებდა შეხვევას. გაბრიელიანი ადგილზე გარდაიცვალა. დაშავდა დაცვის ერთ-ერთი თანამშრომელიც. თავად პუტინი საღ-სალამათი გადარჩა.

**რუსეთის** ფედერაციის იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების მთავარი სამმართველო არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ სად იმყოფება ჩეჩენთა ბანდიტური დაჯგუფების ყოფილი ლიდერი სალმან რადუევი, მისი თანამოსაქმეები ტურპალ ალი-ატგერიევი, აბდულკადიროვი და ჰასანოვი. რადუევისა და ატგერიევის ადვოკატებმა განაცხადეს — ვერც ჩვენ მივაკვლიეთ მათ ასავალ-დასავალსო. მაისის დასაწყისში, ისინი ლეფორტოვოდან მახაჭყალაში გაგზავნეს, მაგრამ იქ არ ჩასულან. სალმან რადუევს რუსეთის უზენაესმა სასამართლომ 11 აპრილს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა.

მძარცველთა ბანდამ **პარიზიდან** 100 კმ-ის დაშორებით, 2 მლნ-ზე მეტი ევრო გაიტაცა დაჯავშნული ავტომობილიდან. ინკასატორებმა მაშინ დატოვეს მანქანა, როცა თავდამსხმელები აპირებდნენ მათთვის გადასატანი რაკეტის სროლას. ამგვარი იარაღი ძარცვის მიზნით ადრე საფრანგეთში არასოდეს გამოუყენებიათ.

ბოლო სამი კვირის განმავლობაში **ინდოეთში** სიცხემ მოკლა 1037 ადამიანი, ტემპერატურამ $49^0$ C-ს მიაღწია. დელიში საშუალო ტემპერატურა შუადღისას 45-$46^0$-ს აღწევს. ხშირად ირთვება ელექტროობა, წყალი. ჩნდება ხანძრები. ქალაქში მთავრობის საწინააღმდეგო მიტინგები იმართება. ხელისუფლებისგან ითხოვენ სასიცოცხლო პირობების გაუმჯობესებას.

**ისრაელის** ჯარი ისევ შევიდა ბეთლემში ანტიტერორისტული ოპერაციის გასაგრძელებლად. ისრაელელებმა პირველ რიგში შობის ტაძრისკენ მიმავალი გზები ჩახერგეს.

## ვინ შეცვლის ფიდელს?

75 წლის ფიდელ კასტრო ნელ-ნელა სუსტდება. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც მიტინგებზე საათობით შეუსვენებლივ ქადაგებდა კომუნისტურ იდეებს.

დღეს კუბაში უკვე ლაპარაკობენ თუ ვინ შეიძლება შეცვალოს კასტრო. ოფიციალურად ამ კითხვას ჯერ კიდევ 1997 წელს გასცა პასუხი ფიდელმა. მან მემკვიდრედ თავისი უმცროსი ძმა რაულ კასტრო დაასახელა. 70 წლის რაული დღეს კუბის შეიარაღებულ ძალებს მეთაურობს და პარტიის იერარქიულ კიბეზე ფიდელ კასტროს შემდეგ დგას. დასავლელი ანალიტიკოსები რაულს უკანასკნელ „რევოლუციონერ დინოზავრად“ მიიჩნევენ, რომლის ლიდერობის შემთხვევაში — ქვეყანაში არანაირი რეფორმა არ გატარდება. თუმცა შესაძლებელია, რომ ფიდელის გარდაცვალების შემდეგ სიტუაცია სრულიად სხვა გზით წავიდეს. კუბის კომუნისტური რეჟიმის სათავეებს ძმებ კასტროებთან ერთად სულ რამდენიმე „ძველი მებრძოლი“ შემორჩა. პარტია „ახალგაზრდავდება“. ფიდელის წასვლის შემდეგ შესაძლოა პარტია ახალ კურსს — ე.წ. „ტროპიკულ გლასნოსტს“ დაადგეს, ეს კი ჩინური მოდელის კუბური ვარიანტი იქნება, ანუ მოხდება პოლიტიკური ძალაუფლების ეკონომიკური ლიბერალიზაცია, რაც ქვეყანაში უცხოური კაპიტალის შემოდინებას შეუწყობს ხელს.



***ოგონიოკი №22***

## რადიო „თავისუფლებას“ რიგაში ეპატიჟებიან

ლატვიის პრემიერმა ანდრის ბერზინიშმა განაცხადა, რომ თანახმაა შეიფაროს „რადიო თავისუფალი ევროპის“ რედაქცია სახელმწიფო ტელევიზიის შენობაში. მან პრაღაში, სადაც ამჟამად იმყოფება „თავისუფლების“ შტაბბინა, წერილი გაგზავნა და ოფიციალურად დაადასტურა თავისი ნათქვამი.

ჩეხეთის ხელისუფლების მოთხოვნით, „თავისუფლება“ იძულებულია დატოვოს შენობა, რომელშიც აქამდე მუშაობდა.

თავად „მტრის ხმა“, როგორც საბჭოთა ხელისუფლების დროს უწოდებდნენ „თავისუფლებას“, არ ჩქარობს პრაღის რიგაზე გაცვლას. მათ მადლობის წერილი გაუგზავნეს ლატვიის პრემიერს და თავაზიანად უთხრეს უარი შეთავაზებაზე.

ლატვიის სტუმართმოყვარეობის მიზეზი კი ის გახლავთ, რომ სახელმწიფო ტელევიზიის ახალი გენერალური დირექტორი ულდის გრავა „თავისუფლების“ ყოფილი თანამშრომელია. იქ მას მარკეტინგისა და განვითარების დარგში დირექტორის პოსტი ეჭირა. მისი აზრით, ლატვიას რადიო „თავისუფლებიდან“ დაახლოებით ნახევარი მლნ დოლარის მიღება შეუძლია. ჩანს, გრავა ამ გზით აპირებდა ლატვიის სახელმწიფო ტელევიზიის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ქვეყნის პრემიერს რადიო „თავისუფლების“ რიგაში მიწვევაც მან ურჩია.

***მოსკოვსკიე ნოვოსტი №20***

## მურატ ზიაზიკოვმა ფიცი დადო

ნაზრანში გაიმართა რესპუბლიკის ახალი პრეზიდენტის მურატ ზიაზიკოვის ინაუგურაცია. წარსულში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის გენერალ-მაიორმა ამ პოსტზე შეცვალა მეორე გენერალი რუსლან აუშევი. ზიაზიკოვს კარგად იცნობენ რესპუბლიკაში — თავის დროზე მამამისი კომპარტიის ინგუშეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი იყო.

გენერალ-მაიორ ზიაზიკოვის არჩევით არცთუ მდიდარ, კლანური ტრადიციების მქონე რესპუბლიკაში, რომელსაც 350 ათასი მცხოვრები ჰყავს, განვითარების ახალი პერიოდი იწყება, რაც ალბათ გააუმჯობესებს ინგუშეთის ურთიერთობას ფედერალურ ცენტრთან.

ინაუგურაციას მოსკოველი სტუმრებიც დაესწრნენ, ძირითადად პარტია „ერთიანი რუსეთის“ ხელმძღვანელები, რომლებიც მხარს უჭერდნენ ზიაზიკოვის გაპრეზიდენტებას. ისინი ახალარჩეულ პრეზიდენტს დაჰპირდნენ, არც შემდგომში მოგაკლებთ მხარდაჭერასო. ზიაზიკოვმა მათ მადლობა მოახსენა და დასძინა, — მთავარია, დუმაში დაგვიჭიროთ მხარი, როცა შემოდგომაზე მომავალი წლის ბიუჯეტზე იმუშავებთო. ინგუშეთის უხუცესთა საბჭოს ერთ-ერთმა წევრმა სიამაყით თქვა, — თურქმენებს საფარმურატი ჰყავთ, ჩვენ კი სუპერმურატი, რომელიც დაეწევა და გაუსწრებს საფარმურატსო.



***იზვესტია №90***

## ვცადოთ, ეს ჩვენ შეგვიძლია



*ბევრი, დღეს საქვეყნოდ აღიარებული ცნობილი მილიონერი თავის პირველ ნაბიჯებს ისეთი მცირე და უმნიშვნელო საქმით იწყებდა, ბიზნესსაც რომ ძნელად უწოდებს კაცი.*

*მათ კი ასეთი ფინალისთვის იქნებ არც დაუწყიათ საქმე — ყოველდღიურობას აუწყვეს ფეხი. სხვათა შორის, ალბათ არც ჩვენსავით უწუწუნიათ და მთავრობის ლანძღვაში გართულთ გულ-ხელი არ დაუკრეფავთ.*

*ჩვენც ჩვენი ყოველდღიურობა დაგვდევს თან, რომელიც ითხოვს — გაანძრიე ტვინი და ხელი... იაზროვნეთ, იქნებ ვცადოთ...*

**რუბრიკას მკითხველი გამოეხმაურა**

# იქნებ თხილმა გვიშველოს!..

რამდენიმე წელია, გაჭირვების გამო სოფელში გადავსახლდი და ბევრი ისეთი რამ გავიგე, რაც შეიძლება ყველას გამოადგეს.

ჩვენს მოსაზღვრე თურქეთში, მარტოოდენ ტრაბზონის ოლქში, მთებში ტყე გაუჩეხავთ და თხილი გაუშენებიათ. ცოტაოდენი თურქული მესმის და ზოგჯერ ტრაბზონის რადიოს ვუსმენ, საიდანაც შევიტყვე, რომ ყოველ სექტემბერში, თხილის მოსავლის აღებისას, სკოლებიდან ბავშვებს ათი დღით არდადეგები აქვთ „თხილის საკრეფად“. ქალაქებიდან დიდძალი ხალხი ჩამოდის სოფლებში და ყველანი მიდიან მთებში — თხილის მოსავლის ასაღებად, უფრო სწორად, ასაკრეფად.

სულ ტრაბზონის ოლქში სეზონზე 30 ათასამდე ტონა თხილი იკრიფება, რომელსაც კილოგრამს 5 დოლარად იბარებენ თხილის შემსყიდველები ამერიკიდან, გერმანიიდან, იაპონიიდან... 200 ტონა თხილის ჩამბარებელს უპრობლემოდ უხდიან მილიონ დოლარს. ასე რომ, მარტოოდენ ამ ოლქში მოსახლეობის წლიური შემოსავალი მხოლოდ თხილის მოსავლისგან 150 მილიონ დოლარს შეადგენს და ეს მაშინ, როცა აქაური მოსახლეობა 150 ათას კაცზე ოდნავ მეტია. შარშან, შემოდგომაზე თურქეთში დიდი წვიმები იყო, მოსავლის ერთ მესამედზე მეტი განადგურდა და მხოლოდ 90 მილიონი დოლარი აიღეს. გამწარებული თურქები თავიანთ მთავრობას აკრიტიკებდნენ, „თხილის პოლიტიკას“ ცუდად აწარმოებენო. საქმე ისაა, რომ თურქეთიდან 5 დოლარად წაღებულ კილოგრამ თხილს ამერიკელი ბიზნესმენები მარსელში ან ლონდონში საკონდიტრო ფირმებს 25 დოლარად(!) აბარებენო.

მოკლედ, თხილის ბიზნესი საკმაოდ მომგებიანი ყოფილა: თუკი თხილი კარგი ჯიშისაა, ამერიკელები მას 5-ად კი არა, 6-7 და ზოგჯერ 9 დოლარადაც იბარებენ კილოგრამს, ხოლო ყველაზე დაბალი ხარისხის მქონე თხილის ფასი 5 დოლარზე ქვემოთ არ ჩამოდის.

ახლა საქართველოში გადმოვინაცვლოთ: გურიაში ბევრგან შეხვდებით სახლებსა და გზებზე წარწერას: „ვიბარებ თხილს“. შემოდგომაზე, გურულები კილოგრამ თხილს 80 თეთრად აბარებენ, გაზაფხულსა და ზაფხულში — 1,5-2 ლარად. ეს თხილი შემდეგ მიაქვთ ბათუმსა და ფოთში, სადაც თურქი, რუსი და უკრაინელი ბიზნესმენები კილოგრამს 2 დოლარად იბარებენ. ხოლო თუ მოახერხეს და პროდუქცია თურქეთში გაიტანეს, იქ, ჩვეულებრივ, 5 დოლარს იღებენ. ასე რომ, თუკი 200 ტონა თხილში ტრაბზონში მილიონ დოლარს იძლევიან, ბათუმში ამდენივეში მხოლოდ 400 ათას დოლარს იღებენ. ამასთან, უცხოელთა მოთხოვნა თხილზე იმდენად დიდია, რომ ათასი კი არა, ასი ათასი ტონაც რომ ჩაუტანო, რეალიზაცია უპრობლემოდ მოხდება.

2000 წელს, როგორც გახსოვთ, ბათუმში აშშ-ის მაშინდელი პრეზიდენტის ბილ კლინტონის მეუღლის, ჰილარი კლინტონის ძმები ჩამოვიდნენ — 10 ათასი ტონა თხილის შესყიდვას აპირებდნენ (კილოგრამის 5 დოლარად). დაფაცურდნენ ხელისუფალნი და ბიზნესმენები, აქეთ ეცნენ, იქით ეცნენ, მაგრამ რაც არ იყო, რას შეაგროვებდნენ?! 800 ტონას თავი ძლივძლივობით მოუყარეს — ან ამდენი როგორ შეაგროვეს, საოცარია. ჰილარი კლინტონის ძმებს გაუკვირდათ თურმე — ამდენი მთები გაქვთ, სადაც ვერც დასახლდებით, ვერც რაიმე მოსავალს მოიყვანთ და აქ თხილს რატომ არ აშენებთ, ამხელა ადგილს ტყუილად რად კარგავთო. წავიდნენ და დაიბარეს — თუკი საქართველოში მოიყვანთ დიდი რაოდენობით თხილს, ჩვენ აუცილებლად დავბრუნდებით, თურქეთის მსგავსად გავხსნით მიმღებ პუნქტებს ყველა ქალაქში, სადაც 10 ათასი ტონა თხილი მაინც შეგროვდებაო. გინდაც მილიარდი დოლარის თხილს შევისყიდით, ხოლო თუ თხილი არ გექნებათ, საქართველოში არაფერი გვესაქმება, გქონდეთ ეგ თქვენი მთები და ისხედით უფულოდო.

თხილი თურქეთის სხვა ოლქებშიც მოჰყავთ, ოღონდ თურქები მის ბიზნესს ნაკლებშემოსავლიანად(!) თვლიან — მათ უფრო შემოსავლიანი დარგებიც აქვთ, ამიტომ დაბლობებს თხილისთვის არ აცდენენ და ამ კულტურას მხოლოდ მთებში აშენებენ. თურქეთის რადიოს ცნობით, მოუსავლიან წლებში თურქეთი თხილის რეალიზაციით იღებს მხოლოდ ერთ მილიარდ დოლარს(!), ხოლო მოსავლიან წლებში — მილიარდ-ნახევარს!!!

იქნებ საქართველოში დაგვეწყო თხილის გაშენება? ამ კულტურას მოვლა თითქმის არ უნდა — დარგე და პირველ წელს მორწყე, რომ არ გახმეს, მერე კი თვითონ მიხედავს საკუთარ თავს. საჭიროა მხოლოდ თვალყურის დევნება, რომ ბუჩქები ამერიკულმა პეპელამ არ გადაჭამოს და არ გაახმოს — დაავადებული, აბლაბუდაში გახვეული ტოტები უნდა დააჭრან და დაწვან. გარდა ამისა, ყოველ ბუჩქს 4-5 ამონაყარი ღეროს გარდა სხვა, ძირიდან ამონაყარი ტოტები უნდა დაეჭრას, რადგან ბევრი ტოტი ერთმანეთს ჩრდილავს და თხილს აღარ ისხამს. ბუჩქებს შორის დაშორება ორ მეტრზე ნაკლები არ უნდა იყოს, თორემ ერთმანეთს დაჩაგრავენ.

გარდა ამისა, ძირს დაყრილ ნაყოფზე (გინდაც იგი საუკეთესო ჯიშისა იყოს) ტყის თხილი ამოდის. ამიტომ საუკეთესო ჯიშის თხილი თუ გვინდა, საჭიროა ამ ჯიშის ბუჩქის ძირებიდან ამონაყარი (თითოეული წლიურად 5-6 ღერს მაინც ამოიყრის) ფესვებიანად ამოითხაროს, დავრგოთ ნოემბერ-იანვარში და ახალ ნერგებსაც მივიღებთ.

დაბოლოს: მოსავლის აღებისას თხილი უშუალოდ ხიდან არ უნდა მოიკრიფოს — ასეთი მოსავალი არ ინახება, შიგნიდან ჭკნება და სამიოდე დღეში გული აღარა აქვს. ნაყოფი თავისით უნდა ჩამოცვივდეს სიმწიფისგან — აი, ასეთი მოსავალი ინახება თვეობით და წლობით და უცხოელებსაც სწორედ ასეთი თხილის ყიდვა უნდათ. თხილი ჩვენთან სექტემბერში შემოდის და ათიოდე დღეში მთელი მოსავალი ბუჩქებიდან მიწაზე ჩამოიცლება ხოლმე. იგი მიწიდან უნდა აიკრიფოს, გაშრეს — აი, ეს არის მთელი ტექნოლოგია.



კარგი იქნება, თუ ხრიოკ და მიუვალ ადგილებში თხილს დავრგავთ – ამტანი მცენარეა, სიცხე-სიცივეს კარგად უძლებს, მოსავალსაც მალე, რამდენიმე წელიწადში იძლევა და ეს კულტურა ფეხზე დააყენებს არა მარტო ცალკეულ ოჯახებს, არამედ მთლიანად სოფლის მოსახლეობას და სახელმწიფოსაც კარგ შემოსავალს გაუჩენს.

მინდა მკითხველს ჩემი მოსაზრებაც გავაცნო — კარგი იქნება, თუ ხრიოკ და მიუვალ ადგილებში თხილს დავრგავთ — ამტანი მცენარეა, სიცხე-სიცივეს კარგად უძლებს, მოსავალსაც მალე, რამდენიმე წელიწადში იძლევა და ეს კულტურა ფეხზე დააყენებს არა მარტო ცალკეულ ოჯახებს, არამედ მთლიანად სოფლის მოსახლეობას და სახელმწიფოსაც კარგ შემოსავალს გაუჩენს. ვფიქრობ, აუცილებელია მოსახლეობის დიდმა მასამ ერთად დაიწყოს თხილის მოშენება. ახალდარგული ნერგი პირველ მოსავალს 4-5 წლის შემდეგ იძლევა, 8-10 წლის შემდეგ კი არცთუ ისე დიდი პლანტაცია ერთ ოჯახს თავისუფლად შეინახავს.

მეგრელი და გურული თხილის მწარმოებლები თავიანთ ბიზნესს ფარულად ეწევიან. არ სურთ, რომ თხილის წარმოება მთელმა მოსახლეობამ დაიწყოს. ამის შედეგად მთლიანობაში მცირე მოსავალი მოდის — იმდენი არა, რომ მის შესასყიდად ამერიკელმა თხილის შემსყიდველი პუნქტები უშუალოდ ჩვენთან, ადგილებზე გახსნან. არადა, თუ მთელი მოსახლეობა ერთსულოვნად დაიწყებს თხილის მოშენებას, ეს დალოცვილი მცენარე ყველგან იხარებს — მთაშიც და ბარშიც. თუკი ტრაბზონის ოლქში (რომელიც გურიაზე პატარაა) 30 ათასი ტონა მოსავალი მოჰყავთ, ნუთუ მთელი საქართველო 100 ათას ტონას მაინც ვერ მოიყვანს წელიწადში — ეს კი არც მეტი, არც ნაკლები — ნახევარი მილიარდი დოლარია... ერთ გურულ გლეხს ვესაუბრე, მითხრა, სამი ათას კვადრატულ მეტრზე ოთხი წლის წინ თხილი გავაშენე, წელს ერთი ტონა მოსავალი მოვიწიე, ადგილზევე ჩავაბარე იაფად — კილოგრამი 80 თეთრად და მხოლოდ 800 ლარი ავიღეო... მიმღები პუნქტი რომ გვქონოდა, ეს რიცხვი ერთიათად გაიზრდებოდა...

იქნებ თხილმა მაინც გვიშველოს!..

***ემზარ მდინარაძე,***
***აღმოსავლეთმცოდნე***

**რედაქციისაგან:**

**სხვათა შორის, საქართველოს ზოგიერთ რეგიონში უკვე დაწყებულია თხილის პლანტაციების გაშენება, იქმნება თხილის სამტვრევი მინი-ქარხნებიც, მაგრამ როგორც წერილის ავტორი აღნიშნავს, თხილი რაც მეტი იქნება, მით მისი ფასი შემცირების ნაცვლად გაიზრდება.**

**P.S. ბატონო მოაზროვნეებო, ვისაც საკუთარი მცირე ბიზნესისთვის მიგიგნიათ ან სხვათა წამოწყებას შესწრებიხართ, შეგვეხმიანეთ.**



## მკითხველს ბევრი რამ აინტერესებს...

### რა ვიცით სიგარის შესახებ?

**— სიგარა ძვირად ღირებული სიამოვნებაა, ვიცი, რომ თამბაქოს სამშობლო ამერიკაა, თუმცა კუბური სიგარა საუკეთესოდ ითვლება. გთხოვთ განმიმარტოთ, რატომ?**

***ბესო თავაძე, თბილისი***

— მას შემდეგ, რაც ევროპაში „ახალი ქვეყნიდან“ თუთუნი შემოვიდა, ხუთი ათასწლეული გავიდა. თუთუნის სამშობლო ამერიკა გახლავთ. ისტორიულად სიგარის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს თამბაქოს მთლიანი, დახვეული ფოთლები, რომლებსაც ინდიელები ეწეოდნენ. თავდაპირველად ევროპელებისათვის უცხო მცენარის ფოთლების მოწევა გარკვეულ რიტუალთან, კერპმსახურებასთან იყო გაიგივებული. ინდიელთა ლეგენდის მიხედვით, მანიტუს დიადმა სულმა მოუსავლიანი მიწის გასანაყოფიერებლად ინდიელებს მოციქული, მშვენიერი ქალი გამოუგზავნა, რომლის მარჯვენა ხელის შეხებისას კარტოფილი ამოდიოდა, მარცხენასი კი სიმინდი. იმის გამო, რომ გზა გრძელი და დამღლელი იყო, ქალს ხშირად უწევდა შესვენება. სადაც მოციქული ჩამოჯდებოდა და ადამიანთა ბედზე დაფიქრდებოდა, იქ თამბაქო ამოდიოდა. ასე რომ, სიგარის მოწევა თუთუნის მოხმარების ერთგვარი ხერხი როდია, ეს მთელი ფილოსოფიაა. სიგარის დასამზადებლად გამოიყენება საუკეთესო ჯიშის მთლიანი თამბაქოს ფოთლები. ძვირად ღირებულია ის სიგარა, რომელიც დამზადებულია ხელით, ანუ კუბური სიგარების უმეტესობა ასე მზადდება და შეიცავს 100%-ით ნატურალურ ფოთლებს. ხელით დამზადებული სიგარა გაცილებით მაღალი ხარისხისაა, მაგარი და არომატული.

### ვის იწვევენ ჯარში?

**— შემისრულდა 17 წელი. დამიბარეს ადგილობრივ კომისარიატში. მინდა სწავლის გაგრძელება. აქვთ თუ არა უფლება წამიყვანონ ჯარში?**

***ლ. გიორგაძე, თბილისი***

— სამხედრო-სავალდებულო სამსახურს დაქვემდებარებული მოქალაქის ასაკი გახლავთ 18-დან 27 წლამდე — საქართველოს კანონი „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ (მუხლი მე-9). ამ შემთხვევაში სამხედრო კომისარიატი გიბარებთ აღრიცხვაზე ასაყვანად და არა სამხედრო სამსახურში გაწვევის მიზნით. აღრიცხვაზე აყვანა ხდება იმ წლის 1 იანვრიდან 31 მარტამდე, როდესაც საქართველოს მოქალაქეს უსრულდება 17 წელი. აღრიცხვა ტარდება ყოველ წელს — 1 იანვრიდან 31 მარტამდე.

იმ შემთხვევაში, თუ თქვენ ჩაირიცხებით უმაღლეს სასწავლებელში, სავალდებულო-სამხედრო სამსახური გადაგივადდებათ სწავლის დასრულებამდე. იმავე კანონის 30-ე მუხლის 1 პუნქტის ქვეპუნქტების თანახმად, წვევამდელს სამხედრო სამსახურში გაწვევა გადაუვადდება, თუ: გ) არის უმაღლესი ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის სტუდენტი და სამხედრო სწავლებას გადის შესაბამის სამხედრო კათედრაზე — სასწავლებლის დამთავრებამდე; დ) არის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტი და არ გადის სამხედრო მომზადებას სამხედრო კათედრაზე ან საზღვარგარეთ იმყოფება სასწავლებლად — სწავლის დამთავრებამდე, ერთხელ 24 წლის ასაკამდე; ე) არის საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო, დაწყებითი პროფესიული ან საშუალო სპეციალური სასწავლებლის მოსწავლე — 20 წლის ასაკამდე;

სასწავლებელში ჩარიცხვის შემდეგ წარადგენთ სამხედრო კომისარიატში ცნობას, რომ ნამდვილად ხართ ამა თუ იმ სასწავლებლის სტუდენტი და ზემოთ აღნიშნული კანონის თანახმად სწავლის დასრულებამდე ვერავინ შემოგედავებათ.

### შეღავათები თბილისელ ფსიქიატრებს

**— ვმუშაობ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მითხრეს, რომ მეკუთვნის შეღავათები. არ ვიცი, ვირწმუნო თუ არა ეს და რა შეღავათებზეა საუბარი?**

***ი. ლომიძე, თბილისი***

— საქართველოს კანონმდებლობა ამ შეღავათს არ ითვალისწინებს, მაგრამ თუ თქვენ ბრძანდებით ქალაქ თბილისის მაცხოვრებელი, დედაქალაქის საკრებულოს 2001 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებაში „ქ. თბილისის ბიუჯეტის ხარჯზე კომუნალური მომსახურების (წყალი, ბუნებრივი აირი, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა) შეღავათებით მოსარგებლე მოქალაქეთა კატეგორიების შესახებ“ შევიდა ცვლილებები და დამატებები — ფსიქიატრიის დარგში მომუშავე პირებს დაუწესდა 50%-იანი შეღავათი ჩამოთვლილ კომუნალურ გადასახადებზე (წყალი, ბუნებრივი აირი, საოჯახო-საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა). ეს შეღავათი ვრცელდება 2002 წლის 1-ლი მარტიდან და მხოლოდ ქალაქ თბილისის მაცხოვრებლებზე.

### ვინ გამოიგონა საკანცელარიო სამაგრი?

**— ვინ გამოიგონა ისეთი საკანცელარიო აუცილებელი ნივთი, როგორიცაა სამაგრი (скрепка)?**

***დავით სულაძე, ქუთაისი***

— უსაფრთხო საკანცელარიო სამაგრის შექმნის იდეა ერთდროულად სამ ადამიანს მოუვიდა აზრად, თუმცა გამომგონებლად ითვლება ნორვეგიელი მათემატიკოსი იოჰან ვალერა. სამთა შორის სწორედ მის ესკიზზე იყო მითითებული ყველაზე ადრეული თარიღი — 1899 წელი. ნორვეგიელები ძალიან ამაყობდნენ თავიანთი თანამემამულის ამ გამოგონებით. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც გერმანელმა ოკუპანტებმა აუკრძალეს ნორვეგიელებს თავიანთი მონარქის ინიციალების მქონე ღილების ტარება, მათ ნაციონალური ღირსების დასაცავად ღილების ნაცვლად სამაგრის გამოყენება დაიწყეს. თქვენ წარმოიდგინეთ, 1990 წელს ნორვეგიის დედაქალაქ ოსლოში დაიდგა სამაგრის 5 მ-იანი უჟანგავი ფოლადისგან ჩამოსხმული ძეგლი.

***მკითხველთა შეკითხვების მიხედვით პასუხები მოიძია რუსუდან ჟორჟოლიანმა***

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა
1 ივნისიდან დაადგინა ლარის მიმართ
უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი:

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2,2155 |
| ევრო | 2,0775 |
| ინგლ. ფუნტი | 3,2479 |
| რუსული რუბლი | 0,0707 |
| თურქული ლირა (1.000.000) | 1,5504 |


**თბილისის საინჟინრო-ჰუმანიტარული ინსტიტუტი „მთიები“**

*აცხადებს მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:*
◆ იურიდიული; ◆ ქართული ენა და ლიტერატურა; ◆ ჟურნალისტიკა; ◆ საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობა; ◆ საბუღალტრო აღრიცხვა და აუდიტი; ◆ ფინანსები და კრედიტები; ◆ საბანკო საქმე; ◆ უცხო ენები; ◆ დაწყებითი განათლების პედაგოგიკა; ◆ სკოლამდელი აღზრდა.
წარმოებს სტუდენტების სტაჟირება საზღვარგარეთ. ვაჟები თავისუფლდებიან სამხედრო სამსახურიდან. ლტოლვილები და მრავალშვილიანი ოჯახის წევრები თავისუფლდებიან გადასახადისგან 50%-ით
საბუთები მიიღება ყოველდღე გარდა კვირისა 10-17 სთ-მდე. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. №178, მე-18 საშ. სკოლა („დინამოს“ სტადიონთან). ტელ: 35-27-00; 38-00-83; 52-67-67; 62-05-07

**ავეჯის გადაზიდვა**
☎ 25-60-60

**შპს „გეოკორი“**

აწარმოებს ბურღვით სამუშაოებს სასმელი და ტექნიკური წყლის მისაღებად
მის: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან), ოთ. 118
ტ: 33-26-75; 38-24-02



## თარაზულად:

**5**



კანის ფესტივალის მთავარი ჯილდოს მფლობელი

**6**



ამერიკელთა საყვარელი თამაში, კეტბურთი

**9**



ადგილი, სადაც ტრავმა მიიღო ფეხბურთში ესპანეთის ნაკრების ძირითადმა მეკარემ

**10**



ფრანგი მხატვარი (წარმოშობით ესპანელი), კუბიზმის ფუძემდებელი

**11**



რადიოტალღების მიმღებ-გადამცემი მოწყობილობა

**15**

კანის ანთება

**17**



ჩინოვნიკის საოცნებო ავეჯი

**18**



მსუბუქი ნამცხვარი

**19**



სამოსი

**20**



სასუნთქი გზების დაავადების ერთ-ერთი სიმპტომი

**24**



ნახევრად ლეგალური ტერორისტული ორგანიზაცია

**25**



საუკეთესო ხარისხის მინა

**26**



მუსიკალური ნაწარმოების დასწავლა ან სასინჯი შესრულება

**29**



კოსმოსური ხომალდი

**32**



პარფიუმერიული ნაწარმი

**33**



საგამოფენო დარბაზი

**34**

პირი, რომლის დაბადების დღეს საზეიმოდ აღნიშნავენ

**35**



დირიჟაბლების გერმანელი კონსტრუქტორი

## შვეულად:

**1**



წალკოტი უდაბნოში

**2**




ყურე წითელ ზღვაში სინასა და არაბეთის ნახევარკუნძულებს შორის

**3**



მდინარე დას. ევროპაში, ძირითადად გერმანიაში

**4**



ნორვეგიელი დრამატურგი

**5**

სახელმწიფო ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობა შინასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში

**7**



დამცინავი, ... ღიმილი

**8**



სათამაშო

**12**



ამერიკელი მწერალი, „დაკარგული თაობის“ სიმბოლო

**13**



სტუდენტთა „სარჩო“

**14**



სახელმწიფო, რომლის სათავეში იმპერატორი დგას

**16**



სხდომა, რომელზეც რაიმე საკითხს განიხილავენ

**21**



აშშ-ის უძველესი და ყველაზე პრესტიჟული უნივერსიტეტი

**22**




ერთმანეთზე გადაბმული რამდენიმე ელემენტი

**23**



დიდი გემი, რომელზეც იმყოფება შენაერთის სარდალი

**27**




სახელმწიფო აპენინის ნახევარკუნძულზე

**28**



ჯიში

**30**



მამათა დიდი მონასტერი

**31**



არგონავტებზე მითის კოლხი პერსონაჟი

კროსვორდი შეადგინა რამაზ ალანიამ

**„კვირის პალიტრა“ №21 კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 5. რასტრელი; 6. ბოქსიორი; 9. ართრიტი; 10. ჟილეტი; 11. ენძელა; 15. მექანიზმი; 17. ტრეკი; 18. პაწია; 19. ბანკეტი; 20. ფარაონი; 24. ნეკნი; 25. კვატი 26. შლაგბაუმი; 29. „დინამო“; 32. მოტივი; 33. ზამბარა; 34. იუპიტერი; 35. ბრასლეტი.

**შვეულად:** 1. უტაქტო; 2. ქლორი; 3. ფოსტა; 4. ნიშანი; 5. რეჟისორი; 7. იზოლაცია; 8. ორმონდი; 12. ხერხემალი; 13. ემპირიზმი; 14. უკრაინა; 16. ნაწნავი; 21. ჰელსინკი; 22. დაბლობი; 23. შტურვალი; 27. ემოცია; 28. ჭორფლი; 30. კადრი; 31. არარა.

## მილოცვა

ჩვენს საყვარელ, ახალგაზრდა ბებოს

**რუსიკო ხელაძეს!**

[illegible]

*შვილიშვილები*

[illegible] 70 წლისთავს. [illegible]

*საყვარელი, მეუღლე, შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები*

## ქირავდება

[illegible] $100. ტელ: 37-40-36

1 და 3-ოთახიანი [illegible] – $5, $10, $20 და $50 [illegible] ტელ: 92-03-85; 99-94-67; 893 33-03-86. [illegible]

[illegible] №39. ტელ: 25-06-95; 22-43-81; 38-92-61.

## გთავაზობთ სამუშაოს

18-25 წლამდე გოგონებს ვთავაზობთ გამგზავრებას გერმანიაში და საფრანგეთში – 1 წლით, [illegible] AU-PAIR პროგრამით, [illegible] ტელ: 95-64-18

ინტერნაციონალური სასწავლო ცენტრი [illegible] AU-PAIR პროგრამით, [illegible] №95ა [illegible] 14-15 სთ.

[illegible] 16-60 წლამდე [illegible] $50. [illegible] №2, IV სართ. ოთახი №13. ტელ: 93-18-84; 62-21-30; 899 50-68-25.

## მომსახურება

[illegible] ტელ: 69-54-35; 899 94-14-91

[illegible] ტელ: 79-50-12; 899 90-44-93

[illegible] $200. [illegible] 53, I სად, I სართ. ბინა 5. ტ: 37-71-66; 93-19-52; 899 168-168. [illegible]

[illegible] – 5 ლარი; [illegible] – 15-20 ლარი. [illegible] №115, კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამს.); 96-22-89 (ბინა).

[illegible] ტელ: 57-50-49; 899 91-46-36

[illegible] ტელ: 95-97-12.

[illegible] ტელ: 72-14-10. [illegible]

„KNAUF" – [illegible] „AMF-Armstrong", [illegible] ტელ: 96-71-53; 877 71-09-89; 877 71-47-43

„KNAUF" – Монтаж подвесных потолков, перегородок из гипсокартона и „AMF-Armstrong", любой дизайн. Тел. 96-71-53; 877 71-09-89; 877 71-47-43

## სამძებრო



[illegible]

22010191;

ანგარიში № 101981001

## მკურნალობა

[illegible] ტელ: 96-62-58

[illegible] №16, [illegible] 10-16 სთ. ტელ: 899 97-58-77; 39-58-77 (ბინა)

მუშაობას შეუდგა არატრადიციული მეთოდებით მკურნალობის სპეციალისტი, დიპლომირებული, ექსტრასენსორიკული და სენსორული დიაგნოსტიკის პირველი კატეგორიის ექსტრასენსი *ეველინა ლოლაძე*. მუშაობისას იგი მიმართავს დისტანციურ მკურნალობას თვალით (სუგესტია), ფსიქოთერაპიას, სამკურნალო ჰიპნოზს, ინდურ ჩაკრებს. ექსტრასენსი მკურნალობს შორ მანძილზეც. ვისაც გაწუხებთ თავის ტკივილები, შაკიკი, დეპრესია, ნევროზები, სამწვერა ნერვის ანთება, მხედველობისა და სმენის დაქვეითება, რადიკულიტი, იშიაზი, სიმსუქნე, უნებლიე შარდვა – მიმართეთ ევლინა ლოლაძეს. მიღება ყოველდღე, 11-17 სთ, შაბათ-კვირის გარდა. მის: ივ. ჯავახიშვილის (ყოფ. კალინინის) ქ. №45, შესასვლელი ეზოდან, II სართ. ტელ: 95-00-83

პროსტატიტის, უროგენიტალური ინფექციების (ქლამიდიოზი, ტრიქომონიაზი და სხვა), უშვილობის, სქესობრივი პოტენციის დაქვეითების დიაგნოსტიკა და მკურნალობა უახლესი მეთოდებით და აპარატურით. *პროფესორი რევაზ ხალვაშა.* მის: მარჯანიშვილის 23 (მეტროსთან), VI სად. (ეზოდან), ბინა 1. მიღება შაბათს 12-16 სთ, სხვა დღეებში – წინასწარი ჩაწერით. ტ: 35-20-06; 92-36-67

თბილისში – მოსკოვის ფსიქიატრიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტში, მეტყველების ცენტრში, 23-ე საავადმყოფოში კვალიფიცირებული ექიმ-ლოგოპედი, უახლესი მეთოდით, მოკლე დროში, ყველა ასაკში, მუშაობის საკმაო გამოცდილებით – აღმდგენი სათანადო აპარატებით, ჩინური ნემსებით, წერტილოვანი მასაჟებით და სხვა მეთოდებით აღგიდგენთ ხმისა და მეტყველების ყოველგვარ დარღვევას – ენაბორძიკობას, ენაჩლუნგობას, გონებრივ ჩამორჩენილობას, სახისა და ხელფეხის პარეზს, ცერებრალურ დამბლას, სამშობიარო ტრავმას. ტელ: 899 55-05-75

ისრაელში შექმნილი ელექტრონული აპარატურის საშუალებით იკურნება გარანტიით სქოლიოზი, ნეკნთა კუზი, ოსტეოქონდროზი, ქრონიკული უძილობა, შაკიკი, წინამდებარე ჯირკვლის ადენომა, კიფოზი, ენურეზი, კარდიალგიები, ტკივილები ბეჭებს შორის, ბრონქიტი, დაავადების შემდეგ გამოწვეული უშვილობა. მკურნალი ანატოლი შავიძე. მის. ძმები გარიშვილების ქ. 18 (მ. „გურამიშვილთან"). ტელ: 61-65-03 (მიღება ყოველდღე, გარდა კვირისა)

პოლიკლინიკის დირექტორ ლომთათიძეს მოწვეული ჰყავს მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც მკურნალობენ: იშიაზრადიკულიტს, ოსტეოქონდროზს, ნერვის ანთებას, სახსრების დაავადებებს, ხერხემლის გამრუდებას ბავშვებში; ბუასილს, თმის ცვენას, ფსორიაზს, ფრჩხილების სოკოს, ფრჩხილების ჩაზრდას, თამბაქოს გადაჩვევას; ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისა და მარილებისაგან, გამაჯანსაღებელი საშუალება. მკურნალობის კურსი 5-10-დღიანია. მის: ალმაშენებლის 113. ლომთათიძე. ტელ: 95-74-29 (სამს); 77-68-50 (ბინა)

სამედიცინო ცენტრი „დელფინი" გთავაზობთ: 1) დიაგნოსტიკა და მკურნალობა 0-დან 15 წლამდე; 2) ახალშობილთა და ჩვილ ბავშვთა სამკურნალო ვარჯიშები წყალში, ცურვა, მასაჟები; 3) მოზრდილ ბავშვთა რეაბილიტაცია (მასაჟები, ვარჯიშები, სუნთქვითი ვარჯიშები), რეფლექსოთერაპია; 4) ჰომეოპათია; 5) ლაბორატორია; 6) ფსიქოლოგ-ლოგოპედი. მის: ცოტნე დადიანის ქ. №134, სპორტული კომპლექსის შენობა, III სართ. (მ. „ნაძალადევთან"). ტელ: 69-57-76 (დღისით); 36-40-65; 38-29-63 (საღამოს)

ალერგია! ვმკურნალობთ ევროპაში მიღებული გერმანული და ფრანგული ალერგენებით: ბრონქული ასთმა, პოლინოზი, რინიტი, ჭინჭრის ციება, კვინკეს შეშუპება, ალერგიული დერმატიტი – სრული განკურნებით. საზღვარგარეთ მუშაობის გამოცდილებით, ექიმი ჯულიეტა პეტაშვილი. მის: რკინიგზის საავადმყოფო (ბაზრობასთან), V სართ. ალერგოლოგიური განყოფილება (11-14 სთ)

ტრადიციული მეთოდებით მედიცინის მუშაკი მაყვალა ცინცაძე, სამკურნალო მცენარეებისა და თეთრი მუმიოსგან ამზადებს მალამოებს, საფენებს და ხსნარებს. მკურნალობს: ოსტეოქონდროზს, მარილებს, ართროზს, სამწვერა ნერვს, რადიკულიტს, პოლიართრიტს, სახსრების ანთებას, ქოლეცისტიტს, გასტრიტს. მხოლოდ ჰაიმორიტი იკურნება 5-8 დღეში სრული გარანტიით. მის: ფიფიას (ყოფ. ვორონინის) ქ. №25, II სართ. („დინამოს" პირდაპირ). ტ: 34-04-06; 34-62-51 (მიღება ყოველდღე, შაბათის გარდა, 13-16 სთ.)

**სამკურნალო განცხადებები ლიცენზიის გარეშე არ გამოქვეყნდება**

## განათლება

კომპიუტერული სტუდია „დაჯი კომპიუტერი", გიწვევთ კომპიუტერზე მუშაობის, კომპიუტერული ბუღალტერიის, პროგრამირების ენების და უცხო ენების სწრაფშემსწავლელ კურსებზე, შესწავლის გარანტიითა და სწავლების დამთავრების შემდეგ უფასო კონსულტაციებით. სწავლების მეთოდი ინდივიდუალურია. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ბარნოვის ქ. 1 („მაკდონალდსის" უკან). ტ: 98-44-20; 899 14-03-31

სასწავლო ცენტრი კომპანია „თემსო" აცხადებს მიღებას პროფესიული მომზადების კურსებზე. სპეციალობა: 1. მასაჟისტი (სამკურნალო, ჰიგიენური, ჩვილ ბავშვთა მასაჟი); 2. პარიკმახერი (ქალთა და მამაკაცთა ხელოსანი); 3. კოსმეტიკა (ეპილაცია, მასაჟი, მაკიაჟი, მალამოები); 4. ვიზაჟისტი; 5. პედიკიური, მანიკიური. კურსების დამთავრების შემდეგ გაიცემა ლიცენზირებული სერტიფიკატი. მის. ალმაშენებლის გამზ. №ა115. კაბ. №20 (ეზოში). ტელ: 94-01-82; 95-83-18 (სამსახური); 96-22-89 (ბინა.). კურსების ხელმძღვანელი ირინა ჯანაშია

ნაძალადევის კულტურის სასახლე აგრძელებს მიღებას კოსმეტიკის კურსებზე დაჩქარებული მეთოდით. შეისწავლება: კანის დეფექტები, მკურნალობა, მალამოები (მკვებავი, დეკორატიული, სამკურნალო); ეპილაცია, კანის გაწმენდა, მასაჟი ნიღბები და სხვა. გაიცემა სერტიფიკატი. მის: ნაძალადევი, დადიანის 26 (მ. „ვაგზლის მოედანი"). ტელ. 66-53-56, 893 33-09-66

## იყიდება

სასწრაფოდ, „პეჟო-605", ახალი ჩამოყვანილი, განბაჟებული, 1991 წლის, ალუბლისფერი, კონდიციონერით, მაგნიტოფონით, ალუმინის დისკებით, ცენტრალური საკეტით, ლუქით, სრული ელპაკეტით. ტელ: 58-68-88; 893 32-14-12

მოტოციკლეტი „იავა-350", კარგ მდგომარეობაში. ფასი $250. ტელ: 53-67-62

სასწრაფოდ, კომპიუტერის მაგიდა სავარძლით; პრინტერი „ეპსონი-760"; ნოუთბუქი პენტიუმ-2; ფაქსი პანასონიკი. ტელ: 58-68-88; 893 32-14-12

სმენის აპარატები, შეღავათიან ფასებში, სპეციალური ინდივიდუალური ყურის ჩასართით. აგრეთვე, ელექტრონული და მექანიკური წნევის აპარატები, გარანტიით. ტელ: 95-95-22 (15-19 სთ); 93-46-74 (20 სთ-ის შემდეგ)

მკერდის პროთეზი, მარჯვენა №3, 2 ცალი ბიუსტჰალტერით ზომა 80, თან ახლავს მოსკოვის ონკოცენტრის რეკომენდაციები. ტელ: 38-92-61; 25-06-95

ძველებური გერმანული ვიტრინკა-გორკა, ზედა მხარე სამმხრივი ბროლის მინებით, ქვედა მხარე 2-კარიანი დახურული. ფასი 200$. 5-სანთლიანი ჩეხური ჭაღი, ფაიფურის დეტალებით. ფასი 80 ლარი. ტ: 23-07-65

## შევიძენ

თმას. მის: ცენტრ. რკინიგზის სადგური, II სართ. მალაზია „ესთეტი". 12-17 სთ, დასვენება შაბათ-კვირას.

## ხსოვნა

### დაზმირ რუხაიას ხსოვნას!



28 მაისი მწარე მოგონებად გადაგვექცა. 10 წელი გავიდა, რაც წახვედი ჩვენგან. სიცარიელესთან და დიდ ტკივილთან ერთად, დაგვიტოვე კარგი კაცის სახელი და სიყვარული.

შენი წასვლიდან 8 წლის შემდეგ, 8 ოქტომბერს – შენს დაბადების დღეს, უფალმა ჩვენს ოჯახს პაწია დაზმირ რუხაია მოუვლინა – შენი შვილიშვილი.

გვაკლიხარ და უზომოდ გვენატრები.

უფალს ვთხოვთ, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი ოჯახი*

### ალეკო ლილუაშვილის გახსენება



ჩვენო საყვარელო ალეკო, 6 თვე მაილია შენი უკანასკნელი ამოსუნთქვიდან. 6 დეკემბერს 50 წლის ასაკში, ერთი ნასროლი ტყვიით შეწყვიტეს ბოროტმა ადამიანებმა შენი სიცოცხლე. შენი წასვლით გამოწვეული ტკივილი არ გვინელდება შენს 4 შვილს, ცოლს, ძმებს, რძლებს. ძალიან გვენატრება შენი ღიმილი, ხალასი იუმორი და კეთილი გული. შენს შვილებს სწორედ ახლა სჭირდებოდათ შენნაირი მზრუნველი და მოამაგე მამა.

ძმობა, რომელიც ჩვენ შორის წმინდა სანთელივით ენთო, ახლა დარჩება ჩვენი შვილებისათვის – წმინდა ნათებით მათი ცხოვრების გზაზე. უსაზღვროდ გვენატრები და თავს იმით ვინუგეშებთ, რომ შენ დატოვე პატარა ბეჭა, რომელიც შენს დაუმთავრებელ საქმეს გააგრძელებს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი კეთილი სული და მსუბუქი იყოს შენი სოფლის – როდინაულის მიწა.

*მეუღლე, შვილები, ძმები და რძლები*

### შოთა გელაძის ხსოვნას!



მამა, 1 ივნისს 17 წელი შეგისრულდა, რაც ამ ქვეყნიდან გადაინაცვლე იმ ქვეყანაში. შენ ძალიან ახალგაზრდა წახვედი, შენს პატარასთან, ულამაზეს და-ძმებთან, მარადისობას შეუერთდი. ოჯახს დააკლდა კარგი მამა, კარგი მეუღლე, საყვარელი სიძმრი.

მამა, ცხოვრება გრძელდება, გყავს სამი შვილიშვილი, რომლთაც შენ ვერ მოესწარი. შენს კარ-მიდამოს ბავშვების ჟრიამულ-ხივილი ავსებს.

მიუხედავად ხანგრძლივი ავადმყოფობისა, შენს სახეს ყოველთვის ღიმილი დასთამაშებდა, გიყვარდა შენიანი, ყველას სიკეთე გახარებდა, სიყვარულით და სათნოებით გულანთებულო, სულიერად და გარეგნულად ლამაზო მამა, ძალიან გვენატრები, გვეკლია უშენობა. მოგიზგიზე გული ლამპრად გვითებოდეს სასუფეველში. ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი ლამაზი სული მსუბუქი იყოს შენი ყაზბეგის მიწა შენთვის.

*შენი ციცია*

### ბესიკ მესხიას ხსოვნას!



5 აგვისტოს 26 წელი შეგისრულდებოდა. უკურნებელი სენით შეპყრობილი, ვაჟკაცურად უმკლავდებოდი გაუსაძლის ტკივილებს. მეიდი ოპერაციიდან გამრავებული გამოხვედი. ბოლოს მაინც იძლავრა ავადმყოფობამ. თვალისჩინი დაკარგე, მეტყველება გიჭირდა. იცოდი, შენი სიცოცხლის დღეები დათვლილი იყო, მაგრამ ერთიც არ დაგიკვნესია – აქეთ გვამხნევებდი, გვამშვიდებდი.

ენების კვირას მიიცვალე, დიდ ხუთშაბათს. შენ ამქვეყნად, კეთილი, პატიოსანი კაცის სახელით იცხოვრე. გვჯერა, აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს, უფლის წინაშე ანგელოზივით წარსდგებოდი შენს სპეტაკ სულს და ცათა სასუფეველში დაუმკვიდრებენ ბინას. აკი თვითონაც ამბობდი: მე იმქვეყნად ვიქნები ბედნიერიო. ჩვენ მუდამ ვილოცებთ შენი ლამაზი სულისათვის.

*ოჯახი*

### დათო ზუბაშვილის გახსენება



დათო, უკვე მეორედ ვხვდებით შენს დაბადების დღეს, შენ გარეშე. 1 ივნისს 33 წლის გახდებოდი, მაგრამ როდი დაგვცალდა ჩვენ ბედნიერება.

დათო, ძალიან მიყვარხარ, ძალიან მაჭირს უშენობა. გვენატრები ყველას – შენს ცოლ-შვილს, მშობლებს, ახლობლებს, მეგობრებს. ღვთის ნების წინაშე, ყველანი უღონონი ვართ. ჩემო ძვირფასო, მე ყოველთვის მეხსომები ისეთი ლამაზი ვაჟკაცი და გულკეთილი, როგორიც ყოველთვის იყავი, და ასე ლამაზად დარჩები ჩემს გულში მარად, როგორც ჩვენი სიყვარულია მარადიული.

ღმერთო, გევედრები, ნათელში ამყოფე ჩემი დათოს ლამაზი სული და მიეც მას საუკუნო ხსენება ლამაზ სასუფეველში.

*შენი შორენა*

### ლარისა ჩიტაიას, აკაკი განგიას ხსოვნას!

მოგონებების ნისლში გვახვევს დრო... შარშანდელი თიბათვის





პირველი დღე, შენი ბოლო ღიმილი, ბოლო სუნთქვა...

ახლაც ივნისი დგას, შენსავით თბილი, ალერსიანი. შენს მაგივრობას უწევს სენაკს, სკოლას, ჩვენს ქუჩას, ეზოს, სახლს... მამის სურათს, სულ მალე რომ მოძებნა ადგილი შენი სურათის გვერდით.

და დაგვყურებთ ახლა უკვე ორივენი, ზეციური საქართველოდან ნათელმოსილნი, ელმოხდილნი... გვეფერებით, გვამხნევებთ, რომ ქალაქში ცნობილი, პატივსაცემი ოჯახის ტრადიციებს გაგრძელება სჭირდება...

განა ასე ადვილია, თქვენ გარეშე ყოფნა?! მონატრებას, უსაშველო მონატრებას რა ვუყოთ?

*მარინა, ირინა*

### გუგუშა დავითის ძე გოგოლაშვილის ხსოვნას!



როგორი სისწრაფითა და ტკივილით გასრულდა ერთი წელი უშენოდ, მამა! ძნელზე ძნელი ყოფილა ძვირფასი ადამიანის გარეშე ცხოვრება. გაუსაძლისი ტკივილით ვიცხოვრეთ და უსაშველოდ ხანგრძლივი დღეები და ღამეები ენაცვლებოდა ერთმანეთს. ცრემლშეუშრობელი თვალებით უიმედოდ გელოდით ერთი წელი – აჰა, ახლა შემოაბიჯებს თავისი ბრიალა თვალებითა და ლამაზი ღიმილით, ჩემი ლამაზი მამიკოთქო. ერთმანეთს უხმოდ ვეკითხებით, – რად იგვიანებს მამა, იქნებ პაციენტთან შეაგვიანდა და ავადმყოფს მისთვის ჩვეულ იმედიან სიტყვას ეუბნება-თქო? მაგრამ, ეჰ, ეს მხოლოდ ოცნებაა, სევდიანი, ტკივილიანი, აუხდენელი ოცნება.

ცრემლად დაღვრილი დედაჩემის ცქერაც გვიმძიმს, ჩემო მამა, თითქოს სახლიც დაცარიელდა.

რამდენი ადამიანის იმედი იყავი, რამდენი ადამიანია შენი მად-

ლიერი; როგორი პროფესიონალიზმითა და პროფესიული ცოდნით, რწმენით ემსახურებოდი თითოეულს, როგორი უნარით [illegible] ღვთისგან ბოძებულ სიცოცხლეს, თავად უკურნებელი სენით დაავადებული, და როგორი უსუსურები აღმოვჩნდით ჩვენ, ულმობელი სიკვდილის წინაშე.

ნამუსიანად და ღვთისნიერად იცხოვრე ამქვეყნად. ამიტომაც ღმერთი მარჯვენით დაგიმკვიდრებს ადგილს და სასუფეველში გამყოფებს.

ვევედრებით, ვიცხოვროთ შენსავით ლამაზად და ვეღირსოთ შეხვედრა ღვთის საუფლოში.

*ოჯახი*

### რევაზ ესიავას ხსოვნას!



როგორ გიყვარდა სიცოცხლე, როგორი ითხოვდნენ შენი თვალები შუქებს. ჩვენ კი, გულდათუთქულები ვტრიალებდით შენ ირგვლივ. ყველაფერს ვაკეთებდით და არაფერი გამოგვდიოდა შენი სიცოცხლის გადასარჩენად. არ დაგინდო ულმობელმა სიკვდილმა.

21 მაისს ხომ 47 წელი შეგისრულდებოდა. ყველანი შევიკრიბეთ შენს საფლავთან, თვალცრემლიანებმა მოვიგონეთ დაბადების დღე. მსუბუქი იყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ონტოფოს მიწა. ღმერთმა სამარადისოდ ნათელში ამყოფოს შენი სული.

*დედა, მამა, მეუღლე, ძმა, შვილი [illegible] შვილიშვილები [illegible]*

### 36 წლის კობა მიქაუტაძის გახსენება



33 წელი იყმარე და ახლა უშენოდ გაძლიერს სწავლობენ შენიანები. დიდი ვერაფერი მკურნალი გამოდგა, კობა. პირიქით, გამძაფრდა მონატრება. არც ერთ დღეს არ ჩაუვლია შენი მოგონების გარეშე. რა მძიმეა, რომ შენს სიცოცხლესთან ერთად ჩაიფერფლა მრავალი ნატვრა და ოცნება.

შენი ჩვილი გული ისევ გასკდებოდა, ბიჭო, რომ დაგენახა, როგორ ეფერებოდა დედამიწის ქვიდან მომზირალ შენს სახეს, როგორ გტირიან მაიკო და ეკა. შენი სახელი მუდმივი სევდით შეიცვალა, და მაინც, სიკვდილმა ვერ გაჯობა, კობა, ისეთი კარგი შვილები დატოვე, ორივეს ღიმილსა და საქციელში ხარ გაცხადებული.

როცა უკვე წამოჩიტული სანდრო გვატკბობს თავისი სიმღერით და შენთვის უცნობი, პატარა ლიზი, დაუსრულებელი ტიკტიკით, შენ გვენანები, მათთან გაუხარელი.

ყველამ ვიცით, შენს პატარებს ბაბუა არაფერს გაუჭირვებს, მაგრამ მათ მამა უნდათ, შენნაირი მოსიყვარულე და მოხითხითე მამა.

არსთა გამრიგემ ასე ინება, ვერაფერს შევცვლით. ნუგეშად ერთს ვიტოვებთ მხოლოდ: სანამ ერთი მომგონებელი გვეყოლება, შენც ჩვენთან იქნები. ნათელში იყავ!

*ელიკო ნავაძე*

### ამირან მეცხვარიშვილის გახსენება



4 წელია, რაც შენს საფლავზე მუხლმოყრილი დილა ქვითინებს;

ოთხი წელია, საბურთალოს სევდიან გორაკს შეჰკედლებიხარ;

ოთხი წელია, შენს ტკივილიან „ბიულეტენსაც" ტაბუ დაადეს სოფლის მეურნეობის სამინისტროში, პენსიაზე გასვლამდე გამოხურე მისი კარი.

ჩვენ კი ვერ მოვირგეთ უშენობა, შენეული სტუმრის დახვედრა გვენატრება.

ეს ყველაფერი კი ამ ოთხი წლის წინ გაიხვეტე. ისიც კი არ გითქვამს, რატომ შემოგვწყერი, ან რატომ ჩამოურიგე შენს საფიცარ შვილიშვილებს მტკივანი დილა.

4 წელია, შენი ნუგეში აგვეკრძალა, ამიტომაც მოვაკითხეთ შენს ძვირფას საფლავს.

მოვედით, რომ ლაწვზე მცოცავი კურცხალი დაგიტოვოთ.

როგორც პანაშვიდებზე, ახლაც ისე ვდგავართ შენი საფლავის პირას.

ვერ ზაზა დგას თავში, შემდეგ სიძე – კოკა კუტუბიძე, მერე კი, შენი შვილიშვილები – ჯაბა და გვანცა მეცხვარიშვილები, სალომე და შალვა კუტუბიძეები. აქვე ჩამუხლულან რძალი – თეა თოდუ-რია, შვილი – ნატა და ნაადრევად დაქვრივებული ქალბატონი ლოლო ლორია, შავი კაბა რომ აჭკნება ტანზე.

გაზაფხულია.

შენი მშობლიური გორის რ-ნის სოფ. მერეთშიც გამოეკრავს ნავენაწევ გაზაფხულს მწვანე „ფიშტები".

ქალბატონი ლილოც მუდამ მერეთისკენ იჩქარის, სოფელში მოეჩქარება – ამირანის სულმა არ მისაყვედუროსო... ეზო-კარი არ დაობლდესო.

გვეროდეს, ამირან, არც-არა შენს საფლავს აახლახებს დავიწყების ხავსი.

*შენი ოჯახი*

### ალიკო ბაზერაშვილის ხსოვნას!



გავიდა 40 დღე, რაც შენმა სპეტაკმა სულმა დატოვა ეს გაუტანელი და უსამართლო წუთისოფელი და მარადისობას შეუერთდა.

რა იდუმალი სიკვდილით დაგვტოვე, ჩვენო საყვარელო ალიკო. შენი უბედური მშობლები და დები ვეღარასოდეს ვიგრძნობთ სიხარულს. გულს გვიკლავს ის, რომ არ ვიცით – ცხოვრებას და სიყვარულს მოწყურებული – ვინ, რომელმა ჯალათმა შეწყვიტა შენი სიკეთით და სიყვარულით სავსე სიცოცხლე. ვაი, რომ სრულიად უმწეონი ვართ ამ ტრაგედიის წინაშე. მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, შენს სურათებს მოვეფეროთ. უბედური დედაშენის თვალზე ცრემლი არ შრება. როგორ გვიყვარხარ და გვენატრები... 47-ე დაბადების დღე იმქვეყნად მოგილოცეთ, ჩვენო ალიკო. ამიერიდან, ჩვენი გულები სამუდამოდ, სათუთად შეინახავენ შენს ხსოვნას. უფალს ვევედრებით, ნათელში ამყოფოს შენი სული.

*შენი მშობლები, დეიდა, დები*

### მამის მონატრება

გავიდა ერთი წელიწადი. ოჯახში ძალიან გვენატრები, ჯემალი მამიკო. შენთან საუბრისას, მოყვასის სიყვარულს და ქართველობას სიღრმისეულად ვგრძნობდით. ახლა? ღმერთმა მარადიულ ნათელში გამყოფოს.

ჩვენ არ შეგარცხვენთ, მამა!

*ჯემალ ფანცულაიას ოჯახი*



მეუღლე ლეილა ონიგავა; შვილები ნანა, გია, გურამ; რძალი დალი კვესელავა; სიძე გია ხაბურზანია; შვილიშვილები ლელა, ლევან გაბელაიები, ნათია, ირაკლი ხაბურზანიები; და ეთერი, ძმა ზურაბ გაბელაიები; რძალი მზევინარ აბზიანიძე; სიძე მირიან გადელია; დისშვილი ბადრი გადელია; ძმისშვილები თემურ, ნიკოლოზ გაბელაიები, ნინო, ავთო მდევაძეები; ბიძაშვილები როინ, მაგული გაბელაიები, ნელი, გივი ჩოჩიები; მამიდაშვილები ლია, ვაჟა, გოგი ჩოჩიები; ცოლისდა ნელი, ცოლისძმა რაულ ონიგავები; მძახლები ასმათ კვესელავა, ნაზი ხაბურზანია ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ სიმონის ძე გაბელაია**

გაზეთ „კვირის პალიტრის" რედაქცია თანაგრძნობას უცხადებს ბატონ ზურაბ გაბელაიას, ძმის

**ნოდარ სიმონის ძე გაბელაიას**

გარდაცვალების გამო.

# ადამიანი-ამფიბია, მითი თუ რეალობა?

ამის შესახებ საუბარს აფრიკელები დუმილს ამჯობინებენ. უცხოელები კი იშვიათად გამხდარან ამ უნიკალური სანახაობის მოწმენი.

აი, რას მოგვითხრობს ერთ-ერთი მათგანი, რომელმაც სენეგალი მოიარა:

ზღვის სანაპიროსთან ცარიელ ნავებს ტალღები არწევდა. მეთევზეები ხამანწკებითა და კიბორჩხალებით სავსე კალათებს მოათრევდნენ. ზღვის ფსკერზე კი ისე თავისუფლად დადიოდნენ ადგილობრივი მცხოვრებლები, თითქოს ბაღში სეირნობენო. ისინი ზღვის ნობათს თოკგამობმულ კალათებში აწყობდნენ, რომელიც ზევით მყოფ მეთევზეებს ამოჰქონდათ. ზღვაში მყოფს კოჭზე მიბმული ჰქონდა მძიმე ქვა, რომელიც მას ზღვის სიღრმეში აკავებდა. გაოცებულ უცხოელს მეთევზეებმა უთხრეს, მყვინთავები წყალში ნახევარ საათზე მეტს ძლებენო...

მსგავსი შემთხვევები უამრავ მოსაზრებას ბადებს — როგორ ახერხებდნენ ეს ადამიანები ზღვის სიღრმეში ამდენ ხანს ყოფნას? ხომ კარგადაა ცნობილი, რომ ადამიანს სუნთქვის შეკავება მხოლოდ 3-5 წუთით თუ შეუძლია (თუმცა ცნობილია მარგალიტის მომპოვებელთა რეკორდი, რომლებიც ხანგრძლივი ვარჯიშის შედეგად, წყლის ქვეშ 10-12 წუთს ძლებენ).

გამოკვლევებმა უჩვენა, რომ ადამიანის ფილტვებსა და თევზის ლაყუჩებში ერთი და იგივე პროცესი მიმდინარეობს. ისინი გარე სამყაროდან იღებენ ჟანგბადს და სისხლში გადაქაჩავენ. სამაგიეროდ, სისხლი გამოყოფს ნახშირორჟანგის აირს. მაშინ, რატომ არ შეუძლია ადამიანს თევზის მსგავსად წყლის ქვეშ სუნთქვა?

ერთ-ერთი ვერსიის თანახმად, ამისათვის ორი პირობაა აუცილებელი: წყალში უფრო მეტი ჟანგბადი უნდა იყოს, წყალი კი თავისი ფიზიოლოგიური თვისებებით სისხლს უნდა მიუახლოვდეს.

ხოლო, რაც შეეხება წყალქვეშ თავისუფლად მოსეირნე ადამიანებს, შესაძლოა, ეს იყოს შედეგი იმისა, რომ ისინი იყენებენ ჩვენთვის უცნობ წამალს, ჰიპნოზს ან დასავლეთ აფრიკის მცხოვრებლებს აქვთ განსაკუთრებული პარანორმალური შესაძლებლობები. სხვათა შორის, მეცნიერები ყველაზე მეტად ამ ბოლო ვერსიას უჭერენ მხარს.

*ნლო №18-19*

საქართველოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა აკადემიის
წმიდა ილია მართლის სახელობის

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

გიწვევთ სასწავლებლად სპეციალობებზე:

1. სამართალმცოდნეობა, 2. ჟურნალისტიკა,
3. ქართული ენა-ლიტერატურა, 4. უცხოური ენები – ინგლისური, გერმანული, ფრანგული, რუსული.
5. საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები,
6. ფინანსები და საბანკო საქმე, 7. ფილოსოფია და პოლიტოლოგია,
8. ფსიქოლოგია და სოციოლოგია,
9. ისტორია და რელიგიის ისტორია,
10. ხელოვნებათმცოდნეობა და სახვითი ხელოვნება,
11. ფიზიკა და მათემატიკა, 12. ქიმია და ბიოლოგია,
13. სკოლამდელი აღზრდა,
14. დაწყებითი განათლების პედაგოგიკა, მეთოდიკა და ფსიქოლოგია.

**თბილისის ეროვნული უნივერსიტეტი**

საბუთები მიიღება 10-16 სთ-მდე. პ. მელიქიშვილის ქ. №2
(ვერაზე, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, 51-ე სკოლა).
☎ 92-30-36; 92-30-37; 37-31-32.




# იეზიდები ფარშავანგს აღმერთებენ



აღმოსავლეთის ზოგი ქვეყნის მთიან რაიონებში ცხოვრობენ იეზიდების საიდუმლო, რელიგიური სექტის წარმომადგენლები. მათი ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლება — ერაყშია. ისინი ქურთულ ენაზე საუბრობენ, მაგრამ ეთნიკურად ამ ხალხს ბევრი არ განეკუთვნება. სექტა ძველთაგანვე იპყრობდა მოგზაურთა ყურადღებას, ვინაიდან მათი მთავარი ღმერთი — ეშმაკია!

იეზიდები კარჩაკეტილად ცხოვრობენ, საიდუმლოდ ინახავენ სარწმუნოებრივ მოძღვრებას და რელიგიურ რიტუალებს. იეზიდებს რელიგია უკრძალავს წერა-კითხვის ცოდნას.

პირველად იეზიდები მოიხსენიება XII საუკუნის არაბულ წყაროებში, რომელთა უწყებით, ეს სექტა დააარსა შეიხმა ადი იბნ მუსაფირმა. სექტის სახელწოდების არსის თაობაზე მრავალგვარი აზრია. ზოგიერთი მეცნიერი მიიჩნევს, რომ იგი წარმოიშვა სპარსულ-ქურთული სიტყვიდან „იაზდან“ — „ღმერთი“, ზოგი კი მას უკავშირებს ირანული პროვინციის იაზდის სახელს. უფრო გავრცელებული ვერსიით, იგი მომდინარეობს ომეიადთა ხალიფის იაზიდ იბნ მუავიას სახელიდან.

რა არის იეზიდების სარწმუნოებრივი მოძღვრების თავისებურება? ცნობილია, რომ შეიხი ადი, თავდაპირველად ზოროასტრი იყო. ალბათ ამიტომ, იეზიდების სარწმუნოებაში აისახა ზოროასტრული წარმოდგენა სამყაროს ორი საწყისის — კეთილისა და ბოროტის შესახებ. იეზიდები ეთაყვანებიან ეშმაკს, თუმცა ღმერთისაც სწამთ, მაგრამ სჯერათ, რომ კეთილი ღმერთი ყველა საქმეს ეშმაკის ხელით აკეთებს, რომელიც მათ ფარშავანგის სახით წარმოუდგენიათ და ეთაყვანებიან მის გამოსახულებას; რელიგიურ მსვლელობებზე დააქვთ ფარშავანგის სპილენძის სტატუეტები, ეშმაკს ოქროს და ვერცხლის ნივთებს სწირავენ. იეზიდები პირს არ აკარებენ მამლის ხორცს, რომელიც მათ ფარშავანგს მოაგონებთ. სჯერათ, რომ ლურჯი ფერი ეშმაკს არ მოსწონს და ამ ფერის სამოსს არ იცვამენ. იეზიდი მამაკაცები არასდროს იპარსავენ პირს და არც თმას იჭრიან, არამედ იწნავენ და თავზე კონუსის ფორმის ქეჩის ჩაჩს იხურავენ. იეზიდები სარწმუნოების საიდუმლოს მკაცრად იცავენ და განმარტოებულ ადგილებში ლოცულობენ.

მუსლიმებისაგან განსხვავებით, იეზიდი ქალები ფართო უფლებებით სარგებლობენ. ქალიშვილები თავისუფლად ირჩევენ საქმროებს, ქალი შეიძლება ხელმეორედ გათხოვდეს, თუკი მისი მეუღლე ერთი წლის მანძილზე არ გამოჩნდა.

თანამედროვე ერაყში იეზიდები ძირითადად შორეულ მთიანეთში, მოსულის პროვინციაში ცხოვრობენ, ასევე საკმაოდ არიან სინჯარის მთებშიც, სირიის საზღვრის მახლობლად. მაქლუბის მთაზე, აინ-სიფნში ცხოვრობს იეზიდთა სულიერი ბელადი, რომელიც, ამავე დროს არის მცველი შეიხ ადის საფლავისა. შეიხი განისვენებს მთებით გარშემორტყმული ულამაზესი კორდის შუაში. აინ-სიფნის ირგვლივ ორასამდე ქვაბულია, რომლებშიც მოედინება წმინდა წყაროები და იეზიდები მათ ეთაყვანებიან.

იეზიდების ყველა რელიგიურ გამოსახულებაში, ფარშავანგის გარდა, გველიც ჩანს. ლეგენდის თანახმად, ნოეს კიდობანი სინჯარის მთებს მიადგა, დაზიანდა და წყალმა შიგ შეაღწია. დაბნეულმა ნოემ გველს სთხოვა, ხვრელი თავისი სხეულით ამოევსო. გველი დათანხმდა ერთი პირობით, რომ ნოე მას ადამიანის კბენის უფლებას მისცემდა. ნოეც შეჰპირდა, რაც შემდგომ ძალზე ინანა. წარღვნა შეწყდა, მაგრამ გველები სწრაფად გამრავლდნენ. შესაძლოა, რომ გველი იეზიდების საკულტო გამოსახულებაში შედის იმიტომ, რომ მასთანაა დაკავშირებული ეშმაკის ოინები.

ახალი წლის პირველ პარასკევს იეზიდების სოფლებში იწყება რელიგიური თამაშობა — ტავაფი, რომელშიც ადგილობრივი მუსლიმებიც და ქრისტიანებიც მონაწილეობენ. დღესასწაული მთელ თვეს გრძელდება. წინა დღეს, დღის 4 საათზე, სოფლის მოედანზე დიდიან-პატარიანად იკრიბება მთელი მოსახლეობა და ასრულებენ სარიტუალო სიმღერებს, რიტუალებს, რაც გამოიხატება ეშმაკისადმი მიძღვნილ მსხვერპლშეწირვაში. ჩვეულებრივ, სწირავენ ცხვრებსა და თხებს. იმართება დოლიც. ნასადილევს იწყება ცეკვები და სიმღერები.

*ნლო №6*

# მოუხელთებელი დონი

გარდაიცვალა ჯოზეფ (ჯუზეპე) ბონანო — ადამიანი, რომელმაც შექმნა ორგანიზაცია, ე.წ. ამერიკის მაფია და 30 წელიწადს ედგა სათავეში მას. სიბერემორეულმა ნებაყოფლობით დატოვა თავისი შავი იმპერიის ტახტი. სწორედ იგია ვიტო კორლეონეს „ნათლიის“ მთავარი გმირი.

მდიდარი სიცილიელი ჯუზეპე ბონანოს ოჯახში 1905 წლის 18 იანვარს დაიბადა ვაჟი, რომელსაც მამის პატივსაცემად ჯუზეპე დაარქვეს. მაშინ ვინ იფიქრებდა, რომ ეს ბავშვი, წლების შემდეგ, იმპერიის ერთპიროვნული მმართველი იქნებოდა — აშშ-ის სამხრეთ საზღვრიდან დაწყებული კანადით დამთავრებული.

ორი წლის იყო, როცა მისი ოჯახი ნიუ-იორკში გადასახლდა, მაგრამ მამის გარდაცვალების შემდეგ დედასთან ერთად სიცილიაში, კასტელამარეში დაბრუნდა და მაშინვე იქცა იქაური ბიჭების თავკაცად. 10 წლის ბიჭუნა თავისზე უფროსებსაც მბრძანებლობდა. მალე მისი გუნდით მაფიოზები დაინტერესდნენ და ბიჭებს პატარ-პატარა დავალებებს აძლევდნენ. ბონანოს ბანდა ნელ-ნელა ძლიერდებოდა. 1924 წელს ბონანო იძულებული გახდა, იტალია დაეტოვებინა, რადგან მუსოლინი „საქმეების გარჩევაში“ მონაწილეობისათვის დაჭერას უპირებდა. ამერიკაში დაბრუნდა და მაშინვე მამამისის ძველი მეგობრის სალვატორე მარანცანოს ბანდის წევრი გახდა. მას ძალიან რთული საქმე ჩააბარეს — სპირტიანი სასმლით იატაკქვეშა ვაჭრობა. მისი ხალხი მთელ ნიუ-იორკს ამარაგებდა სპირტიანი სასმლით. ამან ნიუ-იორკის შავი სამყაროს მაშინდელი ბოსი ჯუზეპე მასერია განარისხა. რაკი მარანცანო და მასერია ერთმანეთში ვერ მორიგდნენ, ბონანოს ბრძანებით, მასერიას ბანდას მარანცანოს ბიჭები დაერივნენ. კლანების ომი 3 წელიწადს გრძელდებოდა. 1931 წელს მოკლეს მასერია და მარანცანო. ამას მოჰყვა წვრილი ბანდების გაერთიანება და მათ სათავეში ბონანო, ლუჩანო და გამბინი ჩაუდგნენ.

ამერიკის მაფიის ისტორიაში კლანის ყველაზე ახალგაზრდა თავკაცი გახდა 26 წლის ჯოზეფ ბონანი. იგი ძალზე განსხვავებულად მართავდა კლანს, მორიდებული და ღვთისმოსავი იყო.

შავი ბიზნესიდან შემოსულ თანხებს ბონანო ლეგალურ იმპერიას ახმარდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყების წინ მთელ ამერიკაში ჰქონდა საფეიქრო სახელოსნოები, რძის ფერმები, დამკრძალავი ბიუროს ქსელი. კანონიერ და უკანონო ბიზნესს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებდა. სხვათა შორის, ბონანოს მოფიქრებულია ორმაგძირიანი კუბო, რომლითაც იშორებდნენ საშიშ ტვირთს. იმის მიუხედავად, რომ ხელისუფლებამ კარგად იცოდა, რა საქმიანობას ეწეოდა ბონანო, იგი არასოდეს უმხილებიათ უკანონობაში. მაშინ როდესაც იმავე პერიოდში



სახელგანთქმული ალ კაპონე ციხეში გაისტუმრეს გადასახადის გადაუხდელობისთვის, ლაკი ლუჩანო კი საპატიმროში აღმოჩნდა სუტენიორობისთვის.

მოგვიანებით ავტობიოგრაფიაში ჯოზეფ ბონანო წერდა, რომ 60-იან წლებში ნებაყოფლობით განუდგა საქმეებს. მისი თქმით, არ სურდა საქმე ჰქონოდა ისეთ არამამაკაცურ საქმიანობასთან, როგორიც ნარკოტიკებით ვაჭრობაა.

1964 წელს ნიუ-იორკი შეძრა ცნობამ, რომ ჯოზეფ ბონანო და მისი ვაჟი მოიტაცეს. მოგვიანებით გაირკვა, რომ მოტაცება მისივე მოწყობილი იყო, ამით ხელისუფლებისგანაც დაიხსნა თავი, რადგან სერიოზულად დაინტერესდნენ მისი საქმეებით და მოწინააღმდეგე მაფიოზური კლანების თავკაცების — ლუკეზესა და გამბინის მიერ დაქირავებული მკვლელებისგანაც.

ბონანო ნიუ-იორკში მხოლოდ 19 თვის შემდეგ დაბრუნდა, კარგად იყო მომზადებული როგორც ხელისუფლებასთან, ასევე კონკურენტებთან შესახვედრად, აღარ ინდომა ნიუ-იორკში ცხოვრება და ტაქსონში დასახლდა. მაფიისთვის ის აღარ არსებობდა. 1983 წელს ბონანომ დაწერა წიგნი „ჯოზეფ ბონანო — სიტყვის კაცი“. სწორედ ამ წიგნმა მისცა ხელისუფლებას საბაბი, რომ მაფიის მეფე ერთი წლით მაინც დაეპატიმრებინა ცრუმოწმეობისთვის. ციხიდან გამოსვლის შემდეგ კიდევ 16 წელი იცოცხლა. წყნარად, მშვიდად ცხოვრობდა ტაქსონში. ამბობენ, როცა ეკითხებოდნენ, — თქვენ ხართ სახელგანთქმული ბონანოო, პასუხობდა, — არა, მისი მოგვარე გახლავართო.

მოყვარული შვილიშვილების და შვილთაშვილების გარემოცვაში დალია სული 2002 წლის 11 მაისს, 97 წლის ჯოზეფ ბონანომ.

*ვლასტი №19*

# უდიდესი ღორმუცელობი



**კაცმა არ იცის, რატომ, მაგრამ XVII–XVIII საუკუნეებში უამრავი ღორმუცელა გაჩნდა. დიდი ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ფოლიანტებში საოცარი მონაცემებია მათ შესახებ.**

## ღორმუცელა კენტელი

XVII საუკუნეში ინგლისში ცხოვრობდა ვინმე ნიკოლას ვუდი, მეტსახელად გოლიათი ღორმუცელა კენტელი. პირველად მან სახელი იმით გაითქვა, რომ ნაძლევზე რვა კაცის სადილი შესანსლა, შემდეგ ლორდ ვოტინის სასახლეში 84 კურდღელი შეახრამუნა და ისევ მოიგო ნაძლევი. 1630 წელს პოეტ ჯონ ტეილორის თვალწინ ნიკოლასმა მადიანად მიირთვა ცხვრის მოზრდილი ბარკალი, 60 კვერცხი, 3 დიდი ღვეზელი, ერთი უზარმაზარი პუდინგი და ამის შემდეგაც ტუჩებს ნდომით ილოკავდა მანამ, ვიდრე შებრაწული იხვი არ დაუდეს წინ.

## ქვაჭამია

XVIII საუკუნეში ერთმა ბოჰემიელმა კაცმა სახელი გაითქვა ფუთობით უმი ხორცის ჭამით. იგი ჯერზე ხბოს ათავებდა...

1740-1750 წლებში ლონდონში გამოჩნდა ირლანდიელი ჯარისკაცი ფრენსის ბატალი, რომელიც გემრიელად ახრამუნებდა ქვებსა და ლოდებს. „ტრაპეზის“ შემდეგ გაშმაგებით არხევდა სხეულს და მისი მუცლიდან კენჭების რაკარუკი ისმოდა. ბავშვობიდან ბატალი ისე არ დაიკარებდა პირს კერძს, თუ მასში კენჭებს არ ჩააყოლებდნენ.

ბატალის მალე მეტოქე გამოუჩნდა. სალამანდერი, რომელიც რკინას კვნეტდა და ყვლივით ღეჭავდა, ხოლო მისი ცოლი, სარა, ნავთობითა და კუპრით იკოკლოზინებდა ყელს..

1790 წელს ნაძლევზე ვინმე სტილინგტონმა დალია 5,6 ლ ლუდი და თიხის კათხაც ზედ მიაყოლა, მაგრამ... ნაწლავები გადაეხლართა და ორი დღის შემდეგ სული უფალს მიაბარა. ასეთივე ბედი ეწია 1840 წელს მეორე ბრიტანელს, რომელმაც 4,5 კგ-იანი შემწვარი გოჭი, ორი მოზრდილი პური და ურიცხვი კარტოფილი შესანსლა.

## ფრანგი „გურმანები“

ყველაზე საზიზღარი „გურმანები“ საფრანგეთმა შვა. დიუფორი რას აღარ ჭამდა — 1792 წელს ერთ-ერთ ბანკეტზე გემო გაუსინჯა ყველანაირი ქვეწარმავლისა და მფრინავ-მხოხავისგან მომზადებულ კერძებს, გადაყლაპა ანთებული სანთლები და ზედ ბრენდი მიაყოლა, მერე მოგიზგიზე ნავთის ლამპაც სტომაქში გადაუძახა.

იყვნენ სხვებიც, რომლებიც დიდი რაოდენობით მიირთმევდნენ უმ თუ მოხარშულ სულიერ თუ უსულო საგნებს, მაგრამ ყველაფერი ხუნდებოდა ფრანგი ტარარის გვერდით, რომლის თავგადასავლები მის ბიოგრაფს, პროფესორ პერსის რომ არ დაედასტურებინა, ძნელი დასაჯერებელი იქნებოდა. თურმე ტარარი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა უსაშველო მადით. მშობლებს ამის გამო შინიდანაც კი გაუგდიათ. დაეხეტებოდა პარიზის ქუჩებში და რაც ხელში მოხვდებოდა, ყველაფერს პირში იყრიდა. პროფესორი პერსი წერდა, ტარარის გამოჩენისას ახლომახლო მოწანწალე კატები და ძაღლები დამფრთხალნი გარბოდნენო... 1788 წელს იგი ჯარში ჩაეწერა. მალე საქმე გამოუნახეს — მეთაურებმა გადააყლაპეს ხის ყუთი, რომელშიც საიდუმლო ცნობები ინახებოდა...

XX საუკუნეშიც იყვნენ მსგავსი ღორმუცელები. ცირკებში და ატრაქციონებზე გამოდიოდნენ ადამიანი-სირაქლემები, რომლებიც ყლაპავდნენ საცობებს, ღრღნიდნენ ჭიქებს, სვამდნენ ნავთს და ა.შ. მაგალითად, ფრანგი ლუი კლოდ დელერი ყლაპავდა თევზებით, ბაყაყებითა და ა.შ. სავსე აკვარიუმს და, რაც მთავარია, მაყურებლის გასაოცრად, ყველაფერს უკან გადმოუშვებდა ხოლმე, თანაც საღ-სალამათს...

***კალეიდოსკოპი №21***

# ანგელოზები — მისტიკა კი არა, შხლავი რეალობაა!



1985 წელს, საბჭოთა კოსმოსურ სადგურზე ფრენის 155-ე დღეს უცნაური მოვლენა მოხდა. ეკიპაჟი ექვსი წევრისგან შედგებოდა: ლეონიდ კიზიმი, ოლეგ ატკოვი, ვლადიმირ სოლოვიოვი, სვეტლანა სავიცკაია, იგორ ვოლკი და ვლადიმირ ჯანიბეკოვი. გეგმურ ექსპერიმენტებზე მუშაობისას მათ უეცრად დაინახეს — ხომალდის წინ გამოჩნდა უზარმაზარი ნარინჯისფერი ღრუბელი და ხომალდი ამ ღრუბელში შევიდა. კოსმონავტებს მოეჩვენათ, რომ ამოუცნობმა სუბსტანციამ ორბიტულ კომპლექსში შეაღწია. ნარინჯისფერი ნათება ისე შემოეხვია კოსმონავტებს, რომ ისინი ველარაფერს ხედავდნენ. საბედნიეროდ, მხედველობა მაშინვე აღუდგათ და ილუმინატორებს მისცვივდნენ. მათი განცვიფრება უსაზღვრო იყო: ზემყარი მინის მიღმა, ნარინჯისფერ ღრუბლებში გარკვევით მოჩანდა შვიდი გოლიათური ფიგურა. კოსმონავტებს ეჭვიც კი არ შეჰპარვიათ, რომ ისინი ციურ ანგელოზებს უყურებდნენ.

ანგელოზები ადამიანებს ჰგავდნენ, მაგრამ მათგან განსხვავდებოდნენ არა იმიტომ, რომ ფრთები ჰქონდათ და თავის გარშემო ნიმბი ერტყათ — მათ სახის სულ სხვანაირი გამომეტყველება ჰქონდათ. ანგელოზებმა თითქოს იგრძნეს ადამიანების დაჟინებული მზერა და თვითონაც შეხედეს და გაუღიმეს. „ისინი იღიმებოდნენ, — ჰყვებოდნენ კოსმონავტები, — ეს მისალმების კი არა, აღფრთოვანებისა და სიხარულის ღიმილი იყო. ჩვენ ასე არ ვიღიმებით!“ თითქმის ათი წუთი გავიდა. ანგელოზები გაქრნენ. გაქრა ნარინჯისფერი ღრუბელიც და კოსმონავტების სულში სიცარიელის ამოუცნობი გრძნობა დარჩა.

რა თქმა უნდა, იმ წლებში ასეთ საკითხებზე საუბარი შეუძლებელი იყო და ამიტომ, კოსმონავტებსაც კატეგორიულად აუკრძალეს ამ თემაზე კრინტის დაძვრა და მონაცემები, გრიფით „საიდუმლო“, ცხრაკლიტულში დაგმანეს.

ახლა, როცა ანგელოზების არსებობაში ეჭვი აღარ გვეპარება, აღმოჩნდა, რომ ამერიკელ კოსმონავტებსაც არაერთხელ უნახავთ ანგელოზები და ორბიტული ტელესკოპის „ჰაბლის“ საშუალებით გადაუღიათ კიდეც.

ცოტა ხნის წინ „ჰაბლმა“ დედამიწის ორბიტაზე დააფიქსირა შვიდი მოელვარე ობიექტი. ფოტოებზე აშკარად ჩანს ფრთოსანი არსებანი, რომლებიც ბიბლიურ ანგელოზებს მოგვაგონებენ. ნანახმა ფოტოებმა ააღელვა ამერიკელი ექიმი, მკურნალი და მეცნიერი სოფია ბლანკი. ისიც მკვლევარია და კვლევებს აწარმოებს რუსი მეცნიერის სემიონ კირლინის აღმოჩენილი ფოტოსისტემის საშუალებით.

„ჰაბლის“ მიერ გადაღებული ანგელოზები მსგავსია იმ ანგელოზებისა, რომლებიც კირლინფოტოებზე აღბეჭდა ქ-ნმა ბლანკმა. კირლინფოტოების უმთავრესი თავისებურება ის გახლავთ, რომ ზემგრძნობიარე ფოტოხელსაწყოს გადაღების დროს, გადასაღები ობიექტის ირგვლივ ენერგოველი ფიქსირდება. ცოცხალი ობიექტების ირგვლივ წარმოშობილ ენერგოველს ბიოპლაზმას ან ბიოველს უწოდებენ.

ბლანკის მიერ გადაღებულ ფოტოებზე ადამიანის მანათობელი ბიოველის გვერდით და მის შიგნით ფიქსირდება სხვადასხვა ენერგეტიკული სტრუქტურა, ანუ განსხვავებული სიცოცხლის ფიზიკური ფორმისაგან.

ადამიანთან მიმართებაში ისინი მეგობრულნი არიან, რომელსაც მოაქვს პოზიტიური ენერგიის ნაკადი. პირობითად, მათ ანგელოზები დავარქვათ. გარეგნულად ისინი ზუსტად ისეთები არიან, როგორც „ჰაბლის“ მიერ აღბეჭდილი ანგელოზები, მაგრამ გვხვდება ანგელოზის მსგავსი სტრუქტურებიც ჩიტების, პეპლების, ჭიამაიების სახით.

რატომ არის შესაძლებელი კოსმოსშიც და დედამიწაზეც ანგელოზების ფოტოგადაღება? იმიტომ, რომ ანგელოზებიც, სხვა ცოცხალი ობიექტების მსგავსად, წარმოადგენენ ენერგეტიკულ ჰოლოგრამებს. ყველაზე უფრო ხშირად ანგელოზები ადამიანის ენერგოველის მახლობლად ჩნდებიან ლოცვის შემდეგ.

სამწუხაროდ, კირლინფოტოებზე ადამიანის ბიოველის შიგნით და მახლობლად ფიქსირდება ადამიანისთვის ნეგატიური, მტრული სტრუქტურებიც, რომლებიც ურჩხულებს მოგვაგონებს. კვლევის მსვლელობის დროს ფოტოებზე არაერთხელ დაფიქსირებულა სხვადასხვა ენერგოსტრუქტურა, ადამიანის სახის მსგავსი. ეს მეტად სასიხარულოა, რადგან ამტკიცებს უკვდავების კონცეფციას — ჩვენ კი არ ვიკარგებით, არამედ ენერგეტიკულ სხეულში ვაგრძელებთ სიცოცხლეს.

***ნლო №21***


ფრჩხილების სილამაზე შეიძლება იმსხვერპლოს სოკოვანმა დაავადებამ

ფრჩხილების სოკოვანი დაავადებების მკურნალობა

თუ შეამჩნიეთ, რომ თქვენი ფრჩხილები გახდნენ არათანაბარი, დაიწყეს აქერცვლა ან შეიცვალეს ფერი, შესაძლოა თქვენ გაქვთ სოკო.

სოკოს შეუძლია:
- გადავიდეს სხვა ფრჩხილებსა და ორგანოებზე;
- გადაედოს თქვენს ახლობლებს;
- გამოიწვიოს ალერგიული დაავადება.

ამიტომაც საჭიროა მიმართოთ ექიმ-დერმატოლოგს.

დღეისათვის ექიმ-დერმატოლოგთა განკარგულებაში არის მკურნალობის ბევრი თანამედროვე მეთოდი. სოკოვანი დაავადების მკურნალობის უახლესი მეთოდი არის ***პულს-თერაპია*** (წამლის მიღება შესვენებებით). პულს-თერაპია ეფექტური და უსაფრთხოა, რადგანაც საშუალებას აძლევს ორგანიზმს დაისვენოს წამლის მიღებისაგან და არ საჭიროებს ქირურგიულ ჩარევას.



სერტიფიცირებულია

მოგვმართეთ და:
- თქვენ ნახავთ თქვენს ფრჩხილებს ლამაზს და ჯანმრთელს,
- თქვენ აღტაცებული იქნებით ეფექტით,
- თქვენ იგრძნობთ თავს დამაჯერებლად.

დამატებითი ინფორმაციისათვის ტელ.: 25 09 00, 10.00-18.00 (დასვენების დღეები: შაბათი-კვირა).

„ჯონსონ ჯონსონის“ კორპორაცია
ფირმა „იანსენ-სილაგი“


# ფანტომი აფრთხილებს



დიდი ბრიტანეთის ქალაქ ქოვენტრის მკვიდრებმა შარშან, ივლისში შუაღამისას არაერთხელ შენიშნეს თეთრ ცხენზე მოჯირითე შიშველი ქალი. მხედარს ერთი და იგივე მარშრუტი ჰქონდა — შუა საუკუნეების ნახევრად დანგრეულ წმინდა მიქაელის ტაძრიდან ქალაქის მოედანზე მდგარ ქანდაკებამდე, რომელიც დიდი ხნის წინ ლედი გოდივას — ხალხური ლეგენდის გმირის პატივსაცემად დადგეს.

სინამდვილეში ლედი გოდივა რეალური პიროვნება იყო. ახლანდელი საგრაფოს — ლესტეშირის ტერიტორიაზე ადრე პატარა სამეფო მერსია მდებარეობდა. სამეფოს ჰერცოგი ლეოფრიკი მართავდა. ლეოფრიკს ულამაზესი ცოლი ჰყავდა — ლედი გოდივა. ქალი არა მარტო სილამაზით, გულკეთილობითაც გამოირჩეოდა. ხალხს საფიცრად ჰყავდა თავისი ქალბატონი. ერთხელ ლედი გოდივამ ქმარს სთხოვა, ხალხს გადასახადები შეუმცირეო, ჰერცოგი დათანხმდა, ოღონდ ერთი პირობით — შიშველ ლედი გოდივას თეთრ ცხენზე ამხედრებულს უნდა მოევლო საგრაფო. ჰერცოგის გასაოცრად, ქალი დათანხმდა. ხალხმა რომ გაიგო, მათი კეთილისმყოფელი ქალბატონი რას აპირებდა, მადლიერების გრძნობით ავსებულებმა სახლების ფანჯრები დაგმანეს, რათა ლედი გოდივას თავი შეურაცხყოფილად არ ეგრძნო.

ეს ლამაზი ლეგენდა ისტორიკოსმა როჯერ ბერდსიმ გააცნო საზოგადოებას. მისი თქმით, ერთადერთი, ვინც გაბედა და ქალბატონს თვალი გააყოლა, ისტორიკოსის წინაპარი — ტომ ბერდსი იყო. თანამოქალაქეებმა მას ამისთვის მოთვალთვალე ტომი უწოდეს.

ლედი გოდივას მოჩვენების მნახველნი ამ ფაქტს სხვადასხვანაირად ხსნიან. ზოგს ძალიან მოსწონს, სხვები კი შეშფოთებულნი არიან — როგორც ამბობენ, უკანასკნელად ლედი გოდივას ფანტომი 1940 წელს სექტემბერ-ოქტომბერში ნახეს. იმავე წლის ნოემბერში კი ქალაქი მიწასთან გაასწორეს ფაშისტებმა. ლესტეშირელები დარწმუნებულნი არიან, რომ ლედი გოდივა მოსალოდნელი უბედურების შესახებ აფრთხილებს მათ.

***ტაინაია ვლასტ №9***

**ჩვენ გვწერენ**

# მე ვნახე... ანგელოზი!

ჩემი მამიდაშვილი მძიმედ იყო ავად. ახლობლები წუთითაც არ ვცილდებოდით მის სარეცელს. უკეთილშობილესი და მეტად განათლებული ადამიანი იყო ნაილი, ჩემს სულიერ დად მიმაჩნდა, ძალიან მიყვარდა, მაგრამ ისე ეწამებოდა, რომ ღმერთს ვევედრებოდი, მიიბარე მისი სული-მეთქი.

იმ დღეს მე ვუვლიდი. იჯდა საცოდავი საწოლზე უმწეოდ, თავი მკერდზე ჩამოვარდნოდა. სადღა იყო მშვენიერი, ენაწყლიანი, ცქრიალა ქალიშვილი... შევცქეროდი და გული მეწურებოდა. ვგრძნობდი, უკანასკნელი წუთები დარჩენოდა ამქვეყნად.

უეცრად დავინახე საწოლის თავზე, დაახლოებით 1 მეტრის სიმაღლეზე, როგორ აცურდა გამჭვირვალე ადამიანი. გარშემო მოციმციმე ნათელი ერტყა. კანქვეშ ჩონჩხი მოჩანდა, მის მიღმა თითქოს გაზით სავსე პარკი იყო. ნაილის გვერდით დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიდო, მარცხენა ხელი მუხლზე დაისვენა და მარჯვენა ავადმყოფისკენ გააცურა. პირზე საოცრად კეთილი, თბილი ღიმილი დასთამაშებდა. უმალ გულში გამკრა — ეს ხომ სიკვდილია-მეთქი, მაგრამ არ შემშინებია. მერე მივხვდი, თავად სიკვდილი კი არა, ჩემს გაწამებულ მამიდაშვილს ანგელოზი მიეახლა, რათა მისთვის ტანჯვა შეემსუბუქებინა.

არ ვიცი, რამდენ ხანს გასტანა ანგელოზის სტუმრობამ, მერე, როგორც მოვიდა, ასევე თვალსა და ხელს შუა გაქრა.

ნაილი მეორე დღეს მიიცვალა, მშვიდად, წყნარად, სახეზე ნათელი ადგა, თითქოს სანეტარო მხარეში მოხვედრილიყო...

***მია გოგორაშვილი***

## „საზალოო-სალაღო“ გვერდის პასუხები

I. ზედმეტი ფიგურაა ბ) და აკლია მე-4.

II. **რებუსი**
ზაფხულმაც შემოაბიჯა თავისი მცხუნვარებითა;

III. ბურთი.

# არ მინდა ინტერვიუ გაზეთში, რომელსაც ფეხსადგილში იყენებენ...

*(დასაწყისი იხ. გვ. 22)*

**— ერთია, როცა სტუდენტებთან გაქვთ ურთიერთობა, პროფესიას სრულყოფთ, მეორეა, როცა ტელეეკრანით გამოდიხართ. ყველა გცნობთ, ფაქტობრივად, თქვენი ცხოვრება იცვლება.**

— მიკვირს, როცა ვინმეს პოპულარობა მოსწონს. არასოდეს მისარგებლია ჩემი პოპულარობით. შეიძლება, ინსპექტორებთან მესარგებლა. როგორც წესი, არ ვარღვევ წესრიგს. შუაღამეც რომ იყოს და ქუჩაში მარტო მე მივდიოდე, წითელ შუქნიშანზე აუცილებლად ვაჩერებ. ვბრაზდები ხოლმე, როცა ოდნავ დავარღვევ რამეს, ეს კი ძალიან იშვიათად ხდება, იმწუთას მაჩერებენ. ერთხელაც გამაჩერა ინსპექტორმა. მიცნო, ნამდვილად არ მოვწონდი. გამომართვა საბუთები და მკითხა: რა ვქნათ ახლა ჩვენ? ვუთხარი, რა ვქნათ და ჯარიმა გამომიწერეთ-მეთქი. წავიდა გამოსაწერად. მოვიდა ისევ. ჯარიმას არ იხდიო? ვუთხარი: ქრთამს არ ვიძლევი, გამომიწერე და ბიუჯეტში გადავრიცხავ-მეთქი. წავიდა კიდევ. ისევ მოვიდა, ღიმილით მეუბნება: რა ხარ მაინც ეს გვახარიაო და მომიგდო საბუთები... არ არის სასიამოვნო პოპულარობა.

**— თქვენი რომელი პიროვნული თვისებაა თქვენთვის მნიშვნელოვანი?**

— ყველაზე კარგად ვგრძნობ თავს, როცა საჭესთან ვზივარ. მიყვარს ვიღაცების წაყვანა, წამოყვანა, სახლებში ჩამორიგება. ეს არის მანიპულაციის სურვილი. ამას ვეძახი, არარეალიზებული რეჟისორის კომპლექსს — გინდა, რომ ხალხი წაიყვანო... ძალიან მიყვარს ერთი და იგივე ფილმის ყურება სხვადასხვა აუდიტორიასთან... ესეც მანიპულაციაა: სხვისი თვალით ყურება. ჩემთვის უფრო სასიამოვნოა წავიდე პარიზში ადამიანთან ერთად, რომელიც იქ არ ყოფილა და დავათვალიერებინო, ვიდრე ჩავიდე იქ მარტო.

**— სასოწარკვეთა არ გქონიათ? ბოლოს და ბოლოს, ადამიანი იღლება, როცა საზოგადოების დიდი ნაწილი კრიჭაში უდგას, უპირისპირდება...**

— ძალიან მძიმე დღე მაქვს კვირა. რომ თენდება, ვფიქრობ, რისთვის იხარჯება ამდენი ენერგია... ეს ბუნებრივი დეპრესიაა.

**— როგორ ეგუებით ცხოვრებას შაბათიდან შაბათამდე?**

— ძალიან პუნქტუალური ადამიანი ვარ, ვღიზიანდები, როცა ჩემს დროს არ უფრთხილდებიან, სახლში რეკავენ, ფილმებს გირჩევენ უცნობი ადამიანები და არ კითხულობენ, გცალია თუ არ გცალია. ჩვენს ქალაქში არის ვამპირიზმი. კიდევ, შეცდომებს განვიცდი ძალიან. კანის ფესტივალი რომ წავიყვანე, იქ რაღაც შეცდომა მოხდა. ჩემი რეჟისორი მეუბნება, ისეთი სახე გქონდა, თითქოს დაიქცა ქვეყანაო. ეს არის ხუთოსნის თვისება, ნარცისიზმი. ეს ყოველთვის მქონდა. სკოლიდანვე ოთხიანი ჩემთვის ტრაგედია იყო. კიდევ მაქვს ჟინი და აზარტულობა.

**— პროფესიის მიღმა თუ გრჩებათ დრო?**

—არანაირი. ამიტომ ჩემი ახლობლები ხშირად ამბობენ, რომ ვარ უყურადღებო, ვიცი მეგობრების დავიწყება... ძალიან მიჭირს სამსახურის შეცვლა. ხშირად აქაც მეუბნებიან, არ მოგბეზრდა? მოდი, შევცვალოთ გადაცემა. არ მომბეზრდა. რამე რომ შემიყვარდება, აღარ მინდა იმისი შეცვლა.

...აღარ მინდა იქით გახედვა, სადაც გიორგი სანაიას კომპიუტერები დგას. შეიძლება ადამიანი განსაკუთრებული ახლობელი არ იყოს, მაგრამ როცა მოულოდნელად გაწონასწორებულ სამყაროში ასეთი რღვევა ხდება, ყველაფერი ინგრევა; არ შემიძლია აქვე არ ვთქვა, რომ ამაზრზენი იყო, რაც სანაიას სიკვდილის შემდეგ მოხდა — აქვეყნებდნენ სანაიას დიდ ფოტოებს, გადაშლიდი გაზეთს და არაფერი ეწერა... ვიღაცა ამ სიკვდილზე ფულის გაკეთებას ცდილობდა, ფოტოს ბეჭდავდა, რომ გაზეთი გაყიდულიყო.

**— საერთოდ, პრესასთან დისტანციური დამოკიდებულება გაქვთ?**

— ხშირად მითქვამს — არ მინდა ინტერვიუ გაზეთში (და არც მივცემ), რომელსაც ფეხსადგილში იყენებენ... ამას რომ ვამბობ, არ მოსწონთ, შეიძლება ძალიან ცუდიცაა... მაგრამ... ასეა.

***ლელა ჯიყაშვილი***

# სადღესასწაულო „ხუმრობა“ და მახინჯი მეძავი



37 წლის რუმინელი ლიზა ბუქარესტის ყველაზე მახინჯი მეძავის სახელით სარგებლობს. მიუხედავად ამისა, იგი დარწმუნებულია, რომ „ქალაქის საუკეთესო და პოპულარული მეძავია“.

ლიზამ განაცხადა, რომ მისი კლიენტები ის მამაკაცები არიან, რომლებსაც სურთ, მწარე ოინი მოუწყონ ახლობლებს. „ჩვეულებრივ ეს ასე ხდება: დავუშვათ ვიღაცას დაბადების დღე აქვს. როცა „იუბილარი“ გაილეშება, ბნელ ოთახში შეჰყავთ. ამ დროს მე უკვე საწოლში ვარ. „იუბილარი“ ვერ მხედავს. როცა ყველაფერი მთავრდება, ინთება სინათლე. იქ მყოფნი ტკბებიან რეაქციით, — ამბობს ლიზა.

***ეკონომიჩესკაია გაზეტა №19***

# უფლისწული „სანადიროდ გამოეიდა“



ვის შეირთავს ცოლად ევროპის ნომერ პირველი სასიძო — ესპანეთის ტახტის მემკვიდრე უფლისწული ფილიპე? ეს კითხვა უკვე რამდენიმე წელია ლამის არის მთელი მსოფლიოს ლამაზმანებს აწვალებს. სულ ახლახან ორი მეტრი სიმაღლის მომხიბლავმა პრინცმა ყურადღება მიაქცია 19 წლის მშვენიერ პრინცესას მადლენს, შვედეთის მეფის კარლ გუსტავის უმცროს ქალიშვილს.

მაგრამ არ იფიქროთ, რომ პრინცი ფილიპე აქამდე ქალებს ვერ ამჩნევდა. მას ჰქონდა რომანები არისტოკრატ ქალებთან, ჩვეულებრივ გოგონებთან... მაგრამ ყველა ეს რომანი ადრე თუ გვიან უშედეგოდ მთავრდებოდა, რადგანაც ფილიპე არამეფური წარმოშობის ქალზე ვერ დაქორწინდება. ეს არ არის მეფის ოჯახის



კაპრიზი და არც დედოფალ სოფიას დედური ეჭვიანობა. ამას ითხოვს ესპანეთის კონსტიტუცია. ამიტომაც ვერ შეირთო პრინცმა ცოლად თავისი ბოლო სიყვარული — მოდელი ევა სანუნი.

იქნებ ფილიპეს შეხვედრამ ულამაზეს შვედ პრინცესასთან გაახაროს ესპანელები და გოგონა, რომელიც მათ „მსოფლიოში ყველაზე მომხიბვლელ ქალიშვილად“ აღიარეს, ესპანეთის დედოფალი გახდეს.

***ოტდოხნი! №21***

# ნიკოლას ქეიჯი საკუთარმა მცველმა გაქურდა



ჰოლივუდის ვარსკვლავი ნიკოლას ქეიჯი ბინის ბანალური გაქურდვის მსხვერპლი გახდა. ქეიჯი საკმაოდ მდიდარი კაცია და სათანადოდ, საკმაოდ დიდი თანხა წაიღეს — 232 ათასი დოლარი. უცნაური კი ის არის, რომ მსახიობი გაქურდა მისმა ერთგულმა მცველმა, რომელიც მასთან წლების მანძილზე მუშაობდა. დაკარგულ ნივთებს შორისაა რამდენიმე უნიკალური საათი, სამარკო სასმელების კოლექციის ნაწილი და კლასიკური კომიქსები, რომლებსაც მსახიობი ყმაწვილობიდან აგროვებდა და ამ საქმემ ისე გაიტაცა, რომ თავისი ნამდვილი გვარი კოპოლა ერთ-ერთი ნახატი პერსონაჟის გვარით შეცვალა.

უნდა ითქვას, რომ ქეიჯის უიღბლობა ახალი წლიდან დაიწყო — 1 იანვარს მოჰპარეს საყვარელი მანქანა პორშე, რომელიც მოგვიანებით პოლიციამ აღმოაჩინა... ტბის ფსკერზე.

***ტვ პარკი***

# გამოჩნდა პავაროტის შემცვლელი



33 წლის სალვატორ ლისიტრას, პერსპექტიულ იტალიელ ტენორს, ყველაზე შარიანმა კრიტიკოსებმაც კი ახალი სენსაცია უწოდეს. ახლახან გაიმართა მისი დებიუტი პრესტიჟულ სცენაზე — ნიუ-იორკის მეტროპოლიტენ-ოპერაში. გამოსვლა, როგორც მოსალოდნელი იყო, ზედმიწევნით წარმატებული გამოდგა. ორი არიის შესრულების შემდეგ მსმენელმა მხურვალე ტაშით დააჯილდოვა შემსრულებელი. სცენიდან მისი გაშვება აღარ უნდოდათ.

ახალ ვარსკვლავს ლუჩანო პავაროტის დიდებას უწინასწარმეტყველებენ და უკვე დადის ხმები, რომ ლისიტრა შეცვლის ლეგენდარულ ტენორს, რომლის სცენიდან წასვლაც უკვე თითქმის უეჭველია.

***ნოვიე იზვესტია***

# ნაბრძანებია: არ მოკვდე!

საფრანგეთში, ქალაქ ლე-ლავანდუში ძალაში შევიდა კანონი, რომლის მიხედვითაც, ყველა მოქალაქეს ეკრძალება სიკვდილი მანამ, სანამ განსასვენებელს არ მოიმზადებს.

ქალაქის ხელისუფლებას ასეთი კანონის მიღება ერთმა გარემოებამ აიძულა — ადგილობრივ სასაფლაოზე არც ერთი თავისუფალი ადგილი აღარ არის. სასამართლომ კი აკრძალა ახლის გახსნა, რადგან ეს სანაპირო ზოლის გაშენების გენერალურ გეგმას ეწინააღმდეგება. გამოდის, რომ ყოველი ახალგარდაცვლილი მოქალაქე კანონს არღვევს და დამნაშავე ხდება. საფრანგეთის რივიერის ამ შუაგულში, ლე-ლავანდუში დაახლოებით 5 000-მდე კაცი ცხოვრობს. როცა კანონი ძალაში შევიდა, ქალაქის მორგში უკვე იყო 19 „მოუწყობელი“ მიცვალებული. მათ ნათესავებს ისღა დარჩენოდათ, განსასვენებელი მათთვის სხვათა ძვალთშესალაგში ეძებნათ.

***ორაკული №6***

# „დაადგინეთ ზომები“

თურქ ქალებს, რომლებმაც ეს-ესაა, მოიპოვეს სამსახურში შარვლების ჩაცმის უფლება, ახალი გასაჭირი აქვთ.

ზოგიერთ დაწესებულებაში დირექცია სასამართლოს მიმართავს იმ მოსამსახურე ქალების მოსარჯულებლად, რომლებსაც ზომაზე მეტად ვიწრო შარვლები აცვიათ. ზოგან კი ადმინისტრაციული მოკვლევაც ტარდება, რომლის შედეგი ფულადი ჯარიმები და სამსახურიდან დათხოვნაც კი არის.

ეტყობა, თურქ მამაკაცებს სამსახურში ყურადღებას უფანტავს ჯინსებში გამოკვართული ქალების ცქერა. „მაშინ გამოგვიცხადეთ შარვლების სივიწროვის კრიტერიუმები“, — მოითხოვენ ქალები.

სხვათა შორის, შარვლის წინააღმდეგ მიმდინარე ეს კამპანია ახალი მოვლენა არ გახლავთ თურქეთში. სულ ცოტა ხნის წინ კი, ანკარის ერთ სახელმწიფო დაწესებულებაში მამაკაცებმა დიდი პროტესტი გამოთქვეს შემოტმასნილი კაბების წინააღმდეგაც.

***ეხო პლანეტი №19-20***

# ევა შავკანიანი ყოფილა



მეცნიერები ვერ ამტკიცებენ, ცხოვრობდა თუ არა ის ედემის ბაღში, ან ერქვა კი ევა? მაგრამ ჩვენი დიდი წინაპარი რომ ნამდვილად არსებობდა, არავის ეეჭვება. ამის დამადასტურებელი ფაქტი ყველა თანამედროვე ადამიანის ქსოვილშიაო, — გვეუბნებიან ოქსფორდელი სწავლულები. მათ დაადგინეს პირველი მიწიერი ქალის ვირტუალური გენეტიკური კოდი და შეეცადნენ, აღედგინათ მისი გარეგნობაც. ამისთვის გამოიყენეს თანამედროვე ტექნიკისა და სასამართლო მედიცინის უკანასკნელი მიღწევები. აღმოჩნდა, რომ 120 ათასი წლის წინ მცხოვრები ევა გარეგნობით განსხვავდებოდა თანამედროვე ქალისაგან. უფრო მაღალი ყოფილა, ღონიერი და... შავი. კუპრისფერი ხუჭუჭი თმა ეყარა თურმე მხრებზე. 80 ათასი წლის წინ მისი შთამომავალი აფრიკიდან სხვა კონტინენტებზე გადასახლებულა, დროთა განმავლობაში იერი შეუცვლია, გარემო პირობების გავლენით კანის, თმისა და თვალის ფერი შესცვლია...

***კალეიდოსკოპი***

# გაპარული პორნო

ნამიბიის ტელევიზია მოულოდნელად მაყურებელს „მძაფრსიუჟეტიანი“ პორნოთი გაუმასპინძლდა — ზნეკეთილი ნამიბიელების გასაკვირად, საღამოს, უწყინარ სერიალში სექსუალური ორგიის ეპიზოდები იყო ჩართული.

როგორც გაირკვა, ნაციონალურ ტელეკომპანია ენ-ბი-სის არც უცდია არხის პოლიტიკის შეცვლა. უბრალოდ, ტელევიზიის ორი თანამშრომელი სერიალის ტრანსლაციის დროს სააპარატოში პორნოთი იქცევდა თავს და შემთხვევით სხვა ღილაკზე მოუხვდათ ხელი. ყველაზე დიდი უბედურება ის იყო, რომ სერიალი თანამგზავრული არხით აფრიკის რამდენიმე ქვეყანას გადაეცემა.

პორნოს მოყვარული თანამშრომლები დაუყოვნებლივ დაითხოვეს.

***ლიზა***

# ჟურნალ „კარუსელის“ საფირმო კროსვორდი „კვირის პალიტრისთვის“



**შევსების წესი:** **უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის უჯრებში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოხსნის შემთხვევაში გამუქებულ უჯრებში პიკასოს იმ სიტყვებს ამოიკითხავთ, რომლითაც მან მატისის შემოქმედება დაახასიათა.**

| კ | ვ | ი | რ | ი | ს | პ | ა | ლ | ი | ტ | რ | ა | შ | ე | ნ | ი | მ | ე | გ | ზ | უ | რ | ი | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | | |
| ნ | ი | ნ | შ | ი | | დ | კ | ი | ს | | ი | ა | ა | ჯ | ი | დ | ი | ი | ა | ა | ი | თ | ტ | ა |

**კ.** იაპონელთა ტრადიციული სამოსელი; **ვ.** ინგლისელი მწერალი ქალი, „კრაზანას“ ავტორი; **ი.** დოდო აბაშიძის კინოგმირის სახელი მხატვრულ ფილმში „პირველი მერცხალი“; **რ.** ბირმის დედაქალაქი; **ი.** ღონე, ძალა, არაქათი; **ს.** ქართული ანსამბლი; **პ.** ღრმულების ოჯახი; **ა.** მეხიკოს სახელგანთქმული სტადიონის სახელი; **ლ.** ქალაქი ბელგიაში; **ი.** მტაცებელი ცხოველი კატისებრთა ოჯახიდან; **ტ.** მოკლე მუსიკალური მისალმება; **რ.** მდინარე გერმანიაში; **ა.** აშშ-ის შტატი; **შ.** რა ერქვა მაუგლის მიერ მოკლულ ვეფხვს; **ე.** მეგრული კერძი; **ნ.** თავის თავზე უზომოდ შეყვარებული მამაკაცის ეპითეტი; **ი.** ქართული ხალხური შეჯიბრი ცხენოსნობაში; **მ.** დაბა სვანეთში; **ე.** დამოკლეს მახვილი, იობის მოთმინება, სიზიფეს შრომა, მურმანის — ?; **გ.** ქალაქი აფხაზეთში; **ზ.** მუსიკალური საკრავი, რომლის სახელსაც იმ კაცს მიაძახებენ ხოლმე, რომელიც ხმამაღლა ყვირის; **უ.** ტრანსპორტი, რომლის გადაბრუნებასაც, ანდაზის თანახმად, გზის გამოჩენა მოსდევს; **რ.** ქვეყანა, სადაც აირწინაღი გამოიგონეს; **ი.** თეოდორ დოსტოევსკის ნაწარმოები; **ა.** ტროპიკული ხილი.

**წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:**

**კ.** კევრი; **ვ.** ვაიკულე; **ი.** იოსები; **რ.** რეალი; **ი.** ინცესტი; **ს.** სპარტა; **პ.** პორთოსი; **ა.** არამისი; **ლ.** ლაფი; **ი.** იმედი; **ტ.** ტერტერა; **რ.** რეიგანი; **ა.** ამაზონი; **შ.** შუქურა; **ე.** ეშვი; **ნ.** ნოსტე; **ი.** იუდეა; **მ.** მთა; **ე.** ექსცესი; **გ.** გვარდია; **ზ.** ზიკო; **უ.** ულაყი; **რ.** რერო; **ი.** იოგა; **ა.** ადიდასი.

**გამუქებულ უჯრებში იკითხება: ვისაც არაფერი აქვს დასაკარგი.**

# „ფოლკსვაგენის“ ახალი ყველგანმავალი

კორპორაცია „ფოლკსვაგენმა“ უკვე გაავრცელა თავისი ახალი ყველგანმავლის ოფიციალური ფოტოვერსია. Volkswagen Tuareg-ი სერიულ წარმოებაში უკვე ამ წლის ბოლოს გამოჩნდება. გერმანული ჯიპის შესახებ ლაპარაკი დიდი ხნის წინ დაიწყო, მაგრამ ეს შემთხვევა იმით არის გამორჩეული, რომ მანამდე მხოლოდ ჯაშუშური ფოტოვერსიები ვრცელდებოდა. როდესაც ავტომწარმოებლებს მოდელის წინასწარი გახმაურება არ უნდათ (სიმართლე რომ ვთქვათ, პირიქით, ეს უფრო მეტი აჟიოტაჟის ასატეხად ხდება), ავტოდრომზე გამოყვანილ მანქანებს დამატებით, ცრუ დეტალებს უყენებენ ხოლმე. შედეგად, პრეზენტაციაზე წარმოდგენილი მოდელი ხშირად პრესაში გავრცელებული ფოტოებისგან განსხვავებულია.

თუ მეორე თაობის „გოლფის“ ბაზაზე გაკეთებულ ყველგანმავალს არ ჩავთვლით (ასეთები უკვე საქართველოშიც მოძრაობენ), Tuareg-ი „ფოლკსვაგენის“ პირველ ჯიპად შეიძლება ჩაითვალოს. მისი წინა ნაწილი აღნიშნული ფირმისთვის დამახასიათებელი დიზაინით არის შესრულებული და გარკვეულწილად ახალი თაობის „პასატს“ წააგავს. რაც შეეხება ზოგადად დიზაინს, იგი თავისი „ძმის“, Porsche Cayenne-ს გამეორებაა. განსხვავება მხოლოდ გარკვეულ შტრიხებშია, რადგან „პორშეს“ შემთხვევაში მთავარ ორიენ-



ტირად სპორტული სტილი იყო აღებული. თავისი დიდი ზომებისა და კომფორტულობის გამო, ახალი „ფოლკსვაგენი“ ისეთ ცნობილ ყველგანმავლებს გაუწევს კონკურენციას, როგორიც BMW X5, Mercedes ML და Rang Rover-ია. სხვათა შორის, გაბარიტების მიხედვით, ყველა ჩამოთვლილ მოდელს ჯაბნის.

Porsche Cayenne-ისგან განსხვავებით, „ფოლკსვაგენის“ ჯიპი უგზოობასა და ტალახში თავს კარგად გრძნობს — ჩაფლობის შემთხვეევაში ელექტრონული სისტემა თითოეულ ბორბალს ინდივიდუალურად ურჩევს ბრუნვის სიმძლავრეს. ჩვეულებრივ გზაზე მანქანა ავტომატურად გადადის უკანა გაწევის რეჟიმში. თუ ყოველივეს გაძლიერებულ ტრანსმისიას და სპეციალურად დამზადებულ ამორტიზატორებს დავუმატებთ, „ფოლკსვაგენის“ ყველგანმავალი მარტო ასფალტზე ბაქიაობისთვის არ იქნება განკუთვნილი. განაწყენებული არც სწრაფი რბოლის მოყვარულნი დარჩებიან — ავტომობილს სალონიდან, ღილაკის მეშვეობით, ეცვლება კლირენსი (გზის საფრიდან დაშორების სიმაღლე).

ახალ მოდელზე ორი ძრავაა გათვალისწინებული — 3,2ლ მოცულობის, 220 ცხ/ძ სიმძლავრის ბენზინის ძრავა და ათცილინდრიანი ტურბოდიზელი, რომელიც 313 ცხ/ძ სიმძლავრეს წარმოშობს. დაუზუსტებელი მონაცემებით, „ფოლკსვაგენის“ ჯიპი 35 ათასი დოლარი ეღირება.

# „ფორდის“ კომპანიაში „დედოვშჩინა“ მძვინვარებს?

აღნიშნული მოტივით აღძრა ამერიკის სასამართლოში სარჩელი „ფორდის“ რვა მუშამ, რომელთაც მოგვიანებით, სასამართლოს მსვლელობისას კიდევ 400-მა თანამშრომელმა დაუჭირა მხარი. მათი განცხადებით, კონცერნის საწარმოებში პერსონალის პროფესიონალიზმს და შესაბამისად, ანაზღაურებას საქმის ცოდნიდან და შესრულებიდან გამომდინარე კი არ საზღვრავენ, არამედ ნამსახური წლების მიხედვით. სასამართლომ მუშათა სარჩელი სამართლიანად ცნო და „ფორდის“ მესვეურებს შესაბამისი კომპენსაციის გადახდაც დააკისრა, რაც საკმაოდ სოლიდური თანხით, 10,5 მლნ დოლარით იქნა განსაზღვრული.

უკანასკნელ პერიოდში ასეთი ხასიათის საჩივრები „ფორდის“ მმართველობის წინააღმდეგ ძალიან გახშირდა. გასულ წელს კონცერნს კვლავ თანამშრომლები უჩიოდნენ, თანაც საკმაოდ ორიგინალური საბაბით. სარჩელი თეთრკანიანმა მუშებმა აღძრეს... რასისტული ჩაგვრის მოტივით. მათი განცხადებით, შავკანიან მუშას „ფორდის“ ქარხნებში თითქმის ყველაფერს აპატიებენ იმის შიშით, რომ მათ რასისტულ დისკრიმინაციას დააბრალებენ (7-8 წლის წინ ასეთი სარჩელი მართლაც მოიგეს „ფორდის“ ზანგმა მუშებმა) მაშინ, როდესაც თეთრკანიანი მუშის სამსახურიდან გასაგდებად ელემენტარული საბაბიც კი საკმარისია. აღსანიშნავია, რომ თავის დროზე, კორპორაციის დამაარსებელი ჰენრი ფორდი ამერიკელ მეწარმესაქმოსანთა შორის ერთადერთი იყო, რომელმაც მძაფრი კრიზისის პირობებშიც კი მოახერხა, არათუ უკმაყოფილო თანამშრომლები ჰყოლოდა, არამედ მის საწარმოებში პროფკავშირებიც კი არ შექმნილიყო — „მათ იმდენი საქმე და ანაზღაურება ექნებათ, რომ ერთმანეთთან შუღლისა და უკეთეს პირობებზე ფიქრისთვის არც დრო დარჩეთ და არც სურვილი“. ფორდმა ყველაფერი გააკეთა თავისი პრინციპის გასატარებლად — მის მუშებს შეერთებულ შტატებში ყველაზე მაღალი ანაზღაურება და სამაგიეროდ, იმდენი საქმეც ჰქონდათ, რომ საკვები მათთვის კონვეიერული წესით, სამუშაო ადგილებზე მიდიოდა. შედეგმაც არ დააყოვნა — „ფორდის“ საწარმოებთან სამუშაოს მსურველთა კილომეტრიანი რიგები იდგა, რომ აღარაფერი ვთქვათ საწარმოში არსებულ განწყობილებაზე. როგორც ჩანს, ჰენრი ფორდის მემკვიდრეებმა ამ პრინციპებს უღალატეს...

# მოძრაობა „ქართული ავტომობილისთვის“ გრძელდება...

*მკითხველი მიგვიხვდება, რაზეც ვსაუბრობთ. ერთ-ერთ გასულ ნომერში ქართველი დიზაინერის შესახებ გამოქვეყნებულ წერილს ქართული ავტომობილის გამოშვების იდეა მოჰყვა. საავიაციო ქარხნის მესვეურებთან და უნიკალური ძრავის კონსტრუქტორებთან მოლაპარაკების შემდეგ გადაწყდა, „კვირის პალიტრის“ საინფორმაციო მხარდაჭერით ყველა იმ ძალისთვის მოგვეყარა თავი, ვისაც კი საავტომობილო სფეროსთან ჰქონდა შეხება — კვლევითი ინსტიტუტი იქნებოდა თუ ინდივიდუალურად მომუშავე გამომგონებელი. ქართული ავტომობილის იდეას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. მათზე, ვინც იგი ოპტიმისტურად მიიღო, ოდნავ ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი ორიოდე სიტყვით ნიჰილისტურ განწყობასაც შევეხებით — პრაგმატულები იყავით, სად დაფრინავთ, რა დროს ქართული ავტომობილიაო... ჩვენ თავიდანვე აღვნიშნავდით, რომ მსოფლიოს ავტოგიგანტებთან ჭიდაობის არანაირი პრეტენზია არ გვაქვს. უბრალოდ, მოვისურვეთ ქართული ინტელექტის მიერ აწყობილი ავტომობილი საერთაშორისო სალონზე წარგვედგინა და მსოფლიოსთვის გვეჩვენებინა, რომ ჯერ კიდევ შეგვწევს აზროვნების უნარი, რომ „ბანანის ქვეყნად“ ჯერ კიდევ არ ვქცეულვართ... ქვეყნად, სადაც ყველაზე თავშესაქცევ სანახაობად არჩევნები და პოლიტიკური ტაკიმასხარობა ითვლება; ქვეყნად, რომლის მართვაშიც ერთმანეთს პოლიტიკოსის კარიკატურები ეცილებიან და არა პოლიტიკოსები... სამწუხაროა, მაგრამ ასეთია შედეგი თავისუფლების ათი წლისა და თუ პრაგმატულად განწყობილნი, ეროვნულ ინტერესებს მხოლოდ ლიმონათის „ცეხისა“ და რესტორნების მშენებლობის ჭრილში განვიხილავთ, კიდევ მრავალი ათეული წელი არაფერი შეიცვლება. თუმცა, ყველაფერი არც ისე ცუდად ყოფილა.*

*რასაკვირველია, იმედი გვქონდა, რომ საზოგადოება დაინტერესებას გამოიჩენდა. მაგრამ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. წერილს ბევრი ინსტიტუტი და გამომგონებელი გამოეხმაურა. გაზეთის ერთ ნომერში ერთბაშად ყველაფერზე საუბარი ძნელია. ამიტომ, ქართული ავტომობილის ირგვლივ მოვლენათა მსვლელობას მიმდევრობით მივყვებით და დროთა განმავლობაში ჩვენი მკითხველი უამრავ გამოგონებაზე შეიტყობს. თუ როგორ ამზადებენ ქართველი მეცნიერები უსინათლობის, უფულობისა და ელემენტარული უყურადღებობის პირობებში მსოფლიო დონის მოწყობილობებს — გატაცების საწინააღმდეგო უნიკალურ სისტემას; ავტომობილის „შავ ყუთს“, რომელსაც ანალოგი არ აქვს; მიკროსკოპული ელექტროსადენების ტექნოლოგიას; მინისა და ორგანული ნაერთების დამუშავების ალტერნატიულ მეთოდებს და მრავალ სხვას... ეს გახლავთ ხალხი, რომელსაც უდიდესი გამოცდილება, საკუთარი საქმის ფანატიკური სიყვარული და, რაც მთავარია, პატრიოტიზმი ასულდგმულებს და მოსვენებას არ აძლევს. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია შევნიშნეთ, რომელიც თითქმის ყველა გამოგონებას ახასიათებს — ეს არის ექსპლუატაციის სიმარტივე და წარმოების წარმოუდგენელი სიიაფე. რასაკვირველია, ცივილიზებულ ევროპაამერიკას არანაკლებ ნიჭიერი მეცნიერები ჰყავს, მაგრამ მათი გზის ფულიც კი ბევრად აღემატება იმ თანხებს, რაც ქართული მეცნიერების დაფინანსებას ხმარდება. ალბათ, აჯობებს ზოგადი მსჯელობა აქ შევწყვიტოთ და მოვლენათა მსვლელობას ქართული ავტომობილის გარშემო რიგის მიხედვით მივყვეთ. გეხსომებათ, ავტომობილის სავალი ნაწილის კონსტრუქციას თანდათან ციკოლიას აღიარებული დიზაინი და უნიკალური ძრავა მიემატა, რომელზეც საავიაციო ქარხანაში მუშაობენ. წერილს ერთ-ერთი პირველი ქუთაისის ავტოქარხანა გამოეხმაურა:*

— სჯობია, ადგილზე ჩამოხვიდეთ — ნახოთ, რას ვაკეთებდით და ახლა რა შეგვიძლიაო.

... ქუთაისში ვართ, ავტოქარხნის დასახლებაში. ერთ დროს ეს რაიონი პრივილეგირებულად



**ქუთაისში აწყობილი ჯიპი „მაჰინდრა-კლასიკი“**

ითვლებოდა. დღეს კი აქ მანქანებს ძროხები სჭარბობს. ავტოქარხნის ტერიტორია 125 ჰექტარზეა გადაჭიმული. როგორც მოგვიანებით გვითხრეს, აქ 18 ათასამდე მუშა-მოსამსახურე ყოფილა დასაქმებული. ახლა კი ხალხი კანტიკუნტად დადის. მიუხედავად ამისა, ქარხნის მესვეურთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მოუხერხებიათ და მანქანადანადგარების უმეტესობა შეუნარჩუნებიათ.

ავტოქარხნის მთავარი კონსტრუქტორი, **შალვა ბეროზაშვილი:**

— საბჭოთა პერიოდში კონვეიერზე წელიწადში 25 ათასი მანქანა ჩამოდიოდა. აბსოლუტურად ყველაფერი ადგილობრივი წარმოების იყო — მანქანის ძარა, კაბინა, ძრავა და სავალი ნაწილები...

**— ორხიდიანი „კოლხიდას“ შესახებ ბევრი მსმენია. პირდაპირ გეტყვით და, ხალხში მას „შინმოუსვლელსაც“ უწოდებდნენ. თუმცა, ტექნოლოგიურად საკმაოდ სრულყოფილი და თანამედროვე იყო...**

— ავტომობილი ტექნიკურად იდეალურია. ჩვენი პრობლემა გადაცემათა კოლოფში მდგომარეობდა. ხომ გახსოვთ, კომუნისტური ეპოქა როგორიც იყო. ხარისხი და ინიციატივა ნაკლებად, ან სულაც არ აინტერესებდათ. გადაცემათა კოლოფი ნაჩქარევად შექმნეს რუსეთის ერთ-ერთ საკონსტრუქტორო ბიუროში. მას შემდეგ, ხელსაც კი გვიშლიდნენ, მაგრამ მაინც მუდმივად მის დახვეწაზე ვმუშაობდით. რაღაც შედეგს რომ მივაღწიეთ, საბჭოთა კავშირიც დაინგრა და აღარც „კაზი“ სჭირდებოდა ვინმეს, არც მისი გადაცემათა კოლოფი.

**— დღეს ამ მოდელს აღარ აწარმოებთ?**

— „კაზის“ აღნიშნული მოდელი კიდევ უფრო დავხვეწეთ. მცირე წარმადობის გამო კოლოფის და სხვა სავალი აგრეგატების ადგილზე წარმოება წამგებიანია, ამიტომ „კამაზის“ გადაცემათა კოლოფს და მისსავე ძრავას ვიყენებთ. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ ტესტირებამ აჩვენა, რომ თავის კლასში ბევრი უცხოურ მოდელს გაუწევს მეტოქეობას.

*ქარხანაში ინდური ჯიპის ამწყობი საამქროც მოვინახულეთ. მანქანა საკმაოდ კარგია. რაც მთავარია, უმარტივესი კონსტრუქციის არის. სავალი ნაწილი და დიზელის ძრავა კი ფრანგული „პეჟოს“ ფირმისაა. მართალია, მაღალი ფასი (8-11 ათასი $) მაინცდამაინც გაყიდვის დიდ პერსპექტივებს არ ქმნის, მაგრამ მთავარი პრეცედენტია. თავისი კონსტრუქციის წყალობით „მაჰინდრა“ იდეალურია იმისთვის, რომ წარმოებამ ამ კლასის ავტომობილების ათვისება ისწავლოს. დანარჩენი კი...*

**შალვა ბეროზაშვილი:** მაღალი ფასი ტრანსპორტირებისა და საბაჟო ტარიფების შედეგია. ადგილობრივი წარმოება საშუალებას მოგვცემს, ფასი თითქმის გავანახევროთ. აქ ნებისმიერი ტექნიკური საშუალება გაგვაჩნია — ფოლადის ფურცლებით დაწყებული და თუჯისა თუ ალუმინის დამუშავებით დამთავრებული. დეტალების და კორპუსის ანტიკოროზიული დამუშავების მეთოდი აზოტირების საშუალებით მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში (სოციალისტური ევროპის ჩათვლით) მხოლოდ ჩვენთან და „გორკის“ ქარხანაში იყო აპრობირებული. საამისო ტექნოლოგიური დანადგარები დღესაც იდეალურ მდგომარეობაში გვაქვს.

*აზოტირების მეთოდი მსოფლიოში უნიკალური ტექნოლოგიაა და ლითონის სიცოცხლეს 4-5-ჯერ ახანგრძლივებს. თუმცა, წარმოებაში მისი დანერგვა ძალიან დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. სხვათა შორის, ამ მეთოდს იყენებს ლეგენდარული „როლს-როისიც“. „გორკის“ ქარხნის მიერ გამოშვებული „გაზ-21“-ის და „გაზ-24“-ის სიცოცხლისუნარიანობა სწორედ ამით აიხსნება..*

**— წელან ხარისხი ახსენეთ... ამ მხრივ როგორ იქნება საქმე?**

— ხარისხს კომუნისტები არ ითხოვდნენ, თორემ უნიკალური სპეციალისტები გვყავს. როდესაც ჯიპების წარმოებაზე ინდურ ფირმასთან გავაფორმეთ კონტრაქტი, მოლაპარაკებისამებრ, აქ ასაწყობი ავტომობილის დეტალები გამოგვიგზავნეს — საძირისძიროდ იყო დაშლილი. მიადგნენ ჩვენები და ორიოდე დღეში ააწყვეს. მესამე დღეს ჩამოვიდნენ ინდოეთიდან ინჟინრები და ნახაზები ჩამოიტანეს — თავის ჭკუაში, აწყობისთვის უნდა ეხელმძღვანელათ, მაგრამ ტვირთი უფრო მალე ჩამოვიდა და მანქანაც აწყობილი დავახვედრეთ — ყოველგვარი ინსტრუქციების და ნახაზების გარეშე. გადაირია ხალხი, არაფრით არ იჯერებდნენ — რაიმე ნაკლი ექნებაო, დღე და ღამე ცდიდნენ, მაგრამ ვერაფერი აღმოუჩინეს. სხვათა შორის, ის მანქანა შამიაშვილს გადავეცით და დღემდე 25 ათასი კილომეტრი ისე გაიარა, არანაირი პრობლემა არ ჰქონია. სხვასაც გეტყვით — ჩვენი წარმოება დღესდღეობით აქ დამზადებული სხვადასხვა დეტალის ექსპორტით სულდგმულობს. საკმაოდ რთული კონსტრუქციის კვანძებს, ლილვებს, კბილანებს ვამზადებთ, რომლებსაც იტალიაში ვგზავნით. დაბალი ფასისა და მაღალი ხარისხის გამო დიდი მოთხოვნაა. ეგ კი არა, ახლახან თუჯის სკამების დიდი პარტია შეგვიკვეთეს, ქუჩებისთვის. ჩვენ იტალიელი პარტნიორების ჰოლოგრამას ვადებთ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ქუთაისური ხარისხით იტალიურისგან არ განსხვავდება...

*მაშ ასე — ქართული ავტომობილის სავალ ნაწილს, ძრავას და დიზაინს კორპუსისა და ცალკეული აგრეგატების დამზადებაც მიემატა. მომავალ წერილებში კი ჩვენგან წარმოსახულ ქართულ ავტომობილს სხვა, არანაკლებ ხარისხიანი და უნიკალური, ადგილობრივი წარმოების დეტალები მიემატება. ვფიქრობთ, წარმოსახულის რეალურობა თანდათან მეტ დამაჯერებლობას იძენს. იმედი გვაქვს, ამაზე ქართველი მეცენატებიც დაფიქრდებიან...*

**დაჩი გრძელიშვილი**





აირზენა
საქართველოს ავიახაზები

ავიაკომპანია „აირზენა საქართველოს ავიახაზები“ გთავაზობთ ყოველდღიურ რეისებს ევროპაში და ამ ქალაქების გავლით მსოფლიოს ყველა კუთხეში

მოსკოვი A9-930 – ყოველდღე (გაფრენა 07:30 სთ)

პარიზი A9-627 – ორშაბათი (გაფრენა 05:50 სთ)
პარიზი A9-627 – პარასკევი (გაფრენა 05:50 სთ)

ვენა OS/A9-654 – სამშაბათი (გაფრენა 05:45 სთ)
ვენა A9/OS-681 – ხუთშაბათი (გაფრენა 08:00 სთ)
ვენა OS/A9-654 – შაბათი (გაფრენა 05:45 სთ)
ვენა A9/OS-681 – კვირა (გაფრენა 08:00 სთ)

ფრანკფურტი A9-621 – ოთხშაბათი (გაფრენა 15:30 სთ)
ფრანკფურტი A9-621 – შაბათი (გაფრენა 15:30 სთ)

თელ-ავივი A9-695 – ორშაბათი (გაფრენა 16:25 სთ)

ათენი A9-693 – სამშაბათი (გაფრენა 23:10 სთ)
ლარნაკა – სამშაბათი (გაფრენა 23:10 სთ)

კიევი A9-657 – პარასკევი (გაფრენა 16:00 სთ)

ინფორმაციისთვის დარეკეთ: ტელ: 387 103; 252-674
ქ. შარტავას ქ. 40, თბილისი 380060, საქართველო

# დაიწყო!

უახლოესი ერთი თვის მანძილზე მთელ მსოფლიოში დიდი ფეხბურთი იბატონებს — პარასკევს სეულში მსოფლიოს XVII ჩემპიონატი დაიწყო. სპორტის უპირველესმა სახეობამ დაიპყრო აზიაც და ევროპაც, აფრიკაც და ამერიკაც. იქნება გამარჯვებულის ყიჟინაც და დამარცხებულის ცრემლიც, მსოფლიოს ახალი ჩემპიონი მოევლინება, შემდეგ ამ ჩემპიონის ქვეყანაში სახალხო ზეიმები ქუჩებს წალეკავს, ზოგან შეიძლება საყვარელი გუნდის დამარცხების გლოვის ნიშნად ეროვნული დროშებიც კი დახარონ. ასეთია დღეს ფეხბურთი, ვისთვის შოუ, ვისთვის ბიზნესი, ვისთვის ვინ იცის კიდევ რამდენი რამ, მაგრამ უპირველესი მაინც თავად დიდი ფეხბურთია, ის დიდი ფეხბურთი, ოთხი წელი რომ ელოდება მილიარდობით ადამიანი



მთელ მსოფლიოში. სწრაფად, უსწრაფესად გაირბენს ეს ერთი თვე, გიჟური ციებ-ცხელებაც ჩაივლის და შემდეგ დაიწყება ისევ თითქოსდა უსასრულო, ოთხწლიანი მოლოდინი მომავალი საფეხბურთო დღესასწაულისა. უნებურად ჩნდება კითხვა — კიდევ რას შეიძლება ელოდო მთელი ოთხი წელიწადი? და თუ ამ კითხვას პასუხს ვერ გასცემ, მართლა ჰქონია ფეხბურთს ის ჯადოსნური ძალა, დიდი მატჩების მოლოდინში წლობით რომ ალოდინებს კაცს. თუმცა ჩემპიონატის დასრულებამდე ჯერ მთელი თვეა, ჩემპიონატი ჯერ მხოლოდ დაიწყო — დაუვიწყარი საფეხბურთო სანახაობების ხილვას გისურვებთ!

P.S. პირველივე დღეს ისეთი სენსაცია მოხდა, ამაზე მოულოდნელი შედეგი შეიძლება საერთოდ აღარ დაფიქსირდეს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი, საფრანგეთის ეროვნული ნაკრები ისეთ გუნდთან დამარცხდა, სახელის მეტი რომ არაფერი გვსმენია. ან კი საიდან უნდა ვიცოდეთ, სენეგალი ხომ პირველად მონაწილეობს მუნდიალზე.



ჩემპიონატის პირველი გოლი სენეგალელებმა მსოფლიო ჩემპიონს გაუტანეს

### A ჯგუფი

31/05 საფრანგეთი-სენეგალი 0:1
1/06 ურუგვაი-დანია 1:2

### B ჯგუფი

2/06 ესპანეთი-სლოვენია 0:0
პარაგვაი-სამხ. აფრიკა 2:2

### E ჯგუფი

1/06 კამერუნი-ირლანდია 1:1
გერმანია-საუდ.არაბ. 8:0

### F ჯგუფი

2/06 ინგლისი-შვედეთი 0:0
არგენტინა-ნიგერია 1:0

## ამ კვირაში გასამართი მატჩების განრიგი

| | | | |
|---|---|---|---|
| 3/06 | ნიიგატა | ხორვატია-მექსიკა | 11:30 |
| | ულსანი | ბრაზილია-თურქეთი | 14:00 |
| | საპორო | იტალია-ეკვადორი | 16:30 |
| 4/06 | კვანჯუ | ჩინეთი-კოსტა-რიკა | 11:30 |
| | საიტამა | იაპონია-ბელგია | 14:00 |
| | პუსანი | კორეა-პოლონეთი | 16:30 |
| 5/06 | კობე | რუსეთი-ტუნისი | 11:30 |
| | სუვონი | აშშ-პორტუგალია | 14:00 |
| | იბარაკი | გერმანია-ირლანდია | 16:30 |
| 6/06 | პუსანი | საფრანგეთი-ურუგვაი | 11:30 |
| | საიტამა | კამერუნი-საუდ.არაბ. | 14:00 |
| | ტეგუ | დანია-სენეგალი | 16:30 |
| 7/06 | კობე | შვედეთი-ნიგერია | 11:30 |
| | ჩონჯუ | ესპანეთი-პარაგვაი | 14:00 |
| | საპორო | არგენტინა-ინგლისი | 16:30 |
| 8/06 | ტეგუ | სამხ.აფრიკა-სლოვენია | 11:30 |
| | იბარაკი | იტალია-ხორვატია | 14:00 |
| | სეოკვიპო | ბრაზილია-ჩინეთი | 16:30 |
| 9/06 | მიაკი | მექსიკა-ეკვადორი | 11:30 |
| | ინჩჰონი | კოსტა-რიკა-თურქ. | 14:00 |
| | იოკოჰამა | იაპონია-რუსეთი | 16:30 |

**მატჩების პირდაპირ რეპორტაჟს აწარმოებს საქართველოს ტელევიზიის I არხი**


მსოფლიო სპორტი
ფასი 20 თეთრი
ყოველ ორშაბათს სამშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და კვირას
სპორტული გაზეთი ტოტალიზატორის მოყვარულთათვის და არა მარტო მათთვის
უახლესი სპორტული ინფორმაცია, მსოფლიოს საფეხბურთო ჩემპიონატებისა და ჩემპიონთა ლიგის შედეგები და მიმოხილვა, სტატისტიკა, ტოტალიზატორების კოეფიციენტები, ცხრილები, ინტერვიუები, კურიოზები, სპორტული კროსვორდები, მთელი კვირის სპორტული TV პროგრამა, ფერადი პლაკატი და სხვ.
ინფორმაცია ჩვენი, წარმატება თქვენი!


# დავეწიოთ და გავუსწროთ... უზბეკეთს!

28 მაისს ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაქვეყნა მსოფლიოს 250 საუკეთესო კლუბის სია. წინასწარ ვიტყვით, რომ მისი შედეგების გაცნობა ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებს ვერაფრით გაახარებს — რადგანაც მასში არც ერთი ჩვენი გუნდი არ არის ნახსენები. დამეთანხმებით, ეს სასიამოვნო ფაქტად ვერ ჩაითვლება. შედეგები 2001 წლის 1 ივნისიდან 2002 წლის 27 მაისამდე ჩატარებულ საკლუბო ტურნირებს ეფუძნება და წინა წლების დამსახურებებს ბუნებრივია, ვერ გაითვალისწინებდნენ.

შედეგებიდან აშკარად თვალშისაცემი საკლუბო რეგრესი იგრძნობა. თუკი 1994 წელს თბილისის „დინამო" მსოფლიოს 50 საუკეთესო კლუბს შორის მოიხსენიებოდა და უეფას პრეზიდენტი, ლენარტ იუჰანსონი თავის ხუთ საყვარელ კლუბთა შორის ასახელებდა, წლეულს აშკარად შევრცხვით, რაც ევროთასებზე ჩავარდნილი (მერამდენედ?) სეზონის ლოგიკური მაჩვენებელია.

კაცი კიდევ გაიგებს, რომ ზემოთ აღნიშნულ სიაში უკრაინის, რუსეთისა და ვთქვათ, ფინეთის გუნდები რატომ დასახელდნენ. თუმცა, ჩვენს ტკივილს ამძაფრებს ის ფაქტი, რომ სიაში მოხვდნენ საუდის არაბეთის, გვატემალის, ტუნისის, ერაყისა და უზბეკეთის კლუბები(!). ძნელია, ყოველივე ამას მშვიდად, აუღელვებლად გაეცნო და თავი ქვეყნის გაჭირვებული მდგომარეობით დაიმშვიდო.

საბჭოური პერიოდის თბილისის „დინამოს" დიდი გულშემატკივარი ნიკო ლეკიშვილი გულისტკივილით აღნიშნავდა, რომ ცხონებული ნოდარ ახალკაცი თურქულ კლუბებთან ამხანაგური შეხვედრების ჩატარებას დროის უქმად დახარჯვად მიიჩნევდა. ახლა თურქებმა როგორ გაგვისწრეს, ყველამ ცხადად დაინახა და მათთან გატოლებასაც ვეღარ ვახერხებთ. თუმცა, ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია უზბეკეთის სამი კლუბის ჩვენზე მაღალი რეიტინგი. ეს არ გახლავთ სხვისი წინსვლით გამოწვეული შურის აფიშირება, ჩვენ ქართული ფეხბურთის უკუსვლა გვაფიქრებს.

რეგრესის თვალსაჩინო ნიმუში ისიც გახლავთ, რომ მსოფლიო სანაკრებო ელიტის მიღმაც აღმოვჩნდით. მართალია, ქართველთა 17-წლამდელთა ნაკრებმა დანიაში გამართულ ჩემპიონატზე მეხუთე ადგილი დაიკავა, მაგრამ ამ ასაკის ტურნირებით ქვეყნის საფეხბურთო დონე მაინც არ განისაზღვრება. თანაც, ნიჭიერი ბავშვების შემდგომი ზრდაა ჩვენი ერთ-ერთი მთავარი პრობლემა. რეგრესის მიზეზების ძიება შორს წაგვიყვანს და ამიტომაც ძირითად პრობლემას შევეხებით...

უპირველესი, საქართველოს ჩემპიონატის უკიდურესად დაბალი დონეა. დასტურად თანამეგობრობის თასზე ქუთაისის „ტორპედოს" „სკონტოსთან" მარცხიც (0:3) იკმარებს — როდესაც ქვეყნის ჩემპიონი არასაფეხბურთო ქვეყნის ჩემპიონთან უსახელოდ აგებს, სხვა დასკვნას ვერ გამოიტან. გამოდის, რომ ქვეყნის პირველობა ვერ არის სასურველ დონეზე. არადა, ბოლო ჩემპიონატმა არნახული ინტერესი გამოიწვია, რაზეც ეს ფაქტიც მეტყველებს: თურმე, ბელგიაში, „ბრიუგეს" ხელმძღვანელობასთან ტრანსფერის თაობაზე მოსალაპარაკებლად ჩასული გიორგი დემეტრაძე „ლიერსელ" გელა შეყილაძესთან ერთად „ტორპედო"-„დინამოს" ბოლო ტურის შეხვედრას ადევნებდა თვალს. გიორგი გაოცებულია:

*— საქართველოს ჩემპიონატის თამაშებზე 30 ათასი კაცი თუ მოვიდოდა, ვერასდროს წარმოვიდგენდი. მაყურებლის ასეთი ინტერესი მახარებს, იქნებ ჩვენს ფეხბურთს რაიმე ეშველოს, თუმცა, თავად შეხვედრა ნამდვილად არ იყო მაღალი დონის. მე და გელა გულისტკივილით ვამბობდით, ჩვენი წასვლის შემდეგ დონე როგორ დაცემულა-თქო!*

დონის დაცემის მიზეზი მრავალია: უპირველესად კი საინვესტიციო გარემოს არარსებობა. არც ერთ მეპატრონეს არ აქვს დაბანდებული თანხის ამოღების გარანტია, ბილეთებიდან მიღებული შემოსავალიც ნულის ტოლფასია (მხოლოდ კონტროლის გამკაცრებით „დინამომ" მეორე წრეში მიზერული 6300 ლარი მიიღო(!). ჩემპიონატში რეკლამის განთავსების და გუნდთან პარტნიორობის მსურველიც არ ჩანს და ასე მიქრის მატარებელი არსაითკენ.

ფინანსური სიმწირე გუნდების მომზადებაზეც უშუალოდ აისახება. როდესაც მოთამაშეს 150-ლარიანი ხელფასი აქვს, შეუძლებელია აზერბაიჯანული კლუბების (რაც ბოლო დროს გახშირდა) მომხიბვლელი წინადადების უგულებელყოფა. როდესაც მოსამზადებელი პირობები არ არის, ისევე როგორც ხელფასები — ბუნებრივიცაა უცხოეთში ლეგიონერთა რიცხვის 400-მდე გაზრდა და... ჩაწყობილი თამაშებიც!

ერთ-ერთი ტოტალიზატორის მეპატრონე ჩვენთან კერძო საუბარში აცხადებს, რომ საქართველოს ჩემპიონატის შეხვედრებზე ფსონებს მანამდე არ მიიღებენ, სანამ გუნდების ფინანსური მდგომარეობა არ გაუმჯობესდება. სხვაგვარად დიდი ალბათობაა, რომ ღარიბმა და არა მარტო ღარიბმა გუნდებმა და მათმა მოთამაშეებმა თამაშები გაყიდონ და ტოტალიზატორებიც უზარმაზარ წაგებაში ჩავარდებიან. ამ დროს სწორედ ტოტალიზატორიდან მიღებული შემოსავლებია წამყვანი ევროპული ლიგებისთვის სალაროს შევსების ერთ-ერთი უმთავრესი წყარო.

სწორედ ჩაწყობა-გარიგებებზე აგორებულმა ჭორმა შეიწირა „ტორპედოს" მწვრთნელი, რევაზ ძოძუაშვილი. გუნდი შეელია მწვრთნელს, რომელმაც სახე შესძინა.. რამდენადაც საკვირველი არ უნდა იყოს, ეს კაცი ჭორების უმთავრესი ობიექტი გახდა. ქუთაისელთა ფანებმა ირწმუნეს, თითქოს მოთამაშეთა ჯგუფი (დიდავა, ქემოკლიძე, პოროშინი, ასათიანი) ნახევარი ძალით თამაშობდა და ამით „დინამოს" ჩემპიონობას ხელს უწყობდა. ჭორების არალოგიკურობაც ამაშია — თამაშების გაყიდვა დაბრალდა იმ ხალხს, ვინც „ტორპედოს" ჩემპიონობის უმთავრესი გარანტი გახდა. ძოძუაშვილი კი ნერვიულობისგან ავად



გახდა და სამი დღე ისე იწვა შინ, ფეხბურთის ხსენებაც არ უნდოდა:

*— „დინამოსთან" თამაში რომ წამეგო, ხალხი გადამთელავდა და ჩათვლიდა, თითქოს თბილისელებს მართლაც შევეკარი. სიბინძურე როგორ არ არის, თამაშებიც ეწყობა, მაგრამ მე თავი დამანებონ. ისე გადავიღალე, თუკი სტრესი არ მოვიხსენი, მომიწევს სამი-ოთხი თვე დასვენება. მრჩება შთაბეჭდილება, თითქოს ხალხს სპეციალურად მიბუნტებდნენ, მაგრამ მიზეზს ვერ ვხვდები.*

ჩაწყობილი თამაშები ქართული ფეხბურთის სენად 70-იანი წლებიდან იქცა. ჩვენი საფეხბურთო ჩინოვნიკები უკრაინიდან დაბერილ სიოს მხარს თუ ვერ აუბამდნენ, ვერაფერს გავაწყობდით. თუმცა, შემდგომ ეს სენი ისე მოგვედო მეტასტაზივით, რომ „დინამოს" აფხაზი მცველი, ახრიკ ცვეიბა თანაგუნდელებთან გაოგნებული ამბობდა, — ერთი „ნამდვილი" თამაში ჩამატარებინეთ, რომ გავიგო, რისი თავი გვაქვს რეალურადო. ეს არის რეალური სიმართლე, რომელიც დღემდე შემოგვრჩა და სპორტში უდიდეს პრობლემად გვექცა.

„დინამოს" ყოფილი პრეზიდენტი, მერაბ რატიანი ამბობს: „სანამ განუკითხაობა არ მოისპობა, ლოგიკურადაც მიმაჩნია, 250 გუნდშიც რომ არ გვახსენებენ".

მსოფლიო და ევროპა უკვე მიეჩვია უჩვენობას — სანაკრებო თუ საკლუბო დონეზე. და სანამ ტაჯიკეთი, კამპუჩია და ბანგლადეშიც გაგვისწრებენ, იმ პრობლემებს მაინც უნდა მივხედოთ, რომლისთვისაც ფული კი არა, ქართული ფეხბურთისადმი პროფესიონალური, უანგარო მიდგომაა საჭირო. ეს კი სავსებით შესაძლებელია, თუკი იმავე ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციის კიდევ ერთ მონაცემს გავეცნობით — პერსპექტიულ ბაზრებს შორის საქართველო მთელ მსოფლიოში მეთოთხმეტე პოზიციას იკავებს.

**ლაშა დუმბაძე**

## საჭადრაკო კლუბი



**„კვირის პალიტრა" აქვეყნებს საჭადრაკო ამოცანებს, მათი ამოხსნისათვის საჭადრაკო დაფა არ არის აუცილებელი.**

შავების დაშამათება არ უნდა გაგიჭირდეთ (თუ, რა თქმა უნდა, მოინდომებთ).
წინა ამოცანის ამოხსნა: 1. ლb5-e2!

თეთრები იწყებენ და აკეთებენ შამათს **სამ** სვლაში.



## №21 (295) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შედეგები

რეიტინგს 725 მკითხველი გამოეხმაურა. 3 ბარათი არასწორად იყო შევსებული. 275-მა ქალმა და 447-მა მამაკაცმა უპასუხა კითხვას: **„რომელია ყველაზე შთამბეჭდავი საარჩევნო ლოზუნგი?“**

ლოზუნგების რეიტინგში ლეიბორისტული პარტიის ლოზუნგი ლიდერობს — „ხელისუფლება ხალხს — მომავალი ჩვენს შვილებს“. რესპონდენტთა 28-მა შეაფასა იგი მაქსიმალური — 8 ქულით. მინიმალური — ქულა მკითხველთა 1,52-მა არგუნა. **5,95** საშუალო ქულით ქართველ ლეიბორისტთა ლოზუნგი პირველ ადგილზეა.

ჩვენი მკითხველების აზრით, ასევე შთამბეჭდავია მრეწველების მოწოდებაც — „თავად ვაშენოთ ჩვენი ქვეყანა“. მაქსიმალური ქულა მას მკითხველთა 12-მა მიაკუთვნა. საშუალო ქულაა 5,42.

შემდეგ ადგილზე ნაციონალური მოძრაობის ლოზუნგია — „თბილისი შევარდნაძის გარეშე“. უნდა აღინიშნოს, რომ მაქსიმალური ქულების რაოდენობის მიხედვით სააკაშვილის გუნდის მოწოდება პირველ ადგილზეა. საინტერესოა, თითქმის ყველა პარტია ამომრჩეველს საქართველოს მომავლის, ტრადიციების გადარჩენას, კეთილდღეობას ჰპირდება, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები კი ხალხს მხოლოდ თბილისს შევარდნაძის გარეშე ჰპირდებიან — პრეზიდენტის მიმართ არაკეთილგანწყობასა და მის კრიტიკას ისინი დღესაც მშვენივრად ახერხებენ და საკრებულოში მოსვლის შემთხვევაში დაპირებას აუცილებლად მოიყვანენ სისრულეში — ალბათ, ასე ფიქრობს მკითხველთა 33, რომელმაც მაქსიმალური ქულით შეაფასა მათი ლოზუნგი.

რესპონდენტთა აზრით, ჟვანიას გუნდისა და სოციალისტთა ერთობ დამაიმედებელი ლოზუნგი შედარებით ნაკლებშთამბეჭდავად გამოიყურება, ამ უკანასკნელმა მკითხველთა 46-ისგან დაიმსახურა მინიმალური — 1 ქულა.




საპრიზოს ზუსტად მხოლოდ ერთი ბარათი-რეიტინგი დაემთხვა. ჩვენი გამარჯვებული 35 წლის თბილისელი **ლამარა სიორიძეა.**

გამარჯვებულს ვულოცავთ და პრიზის — 100 ლარის მისაღებად ველით რედაქციაში ოთხშაბათს, 5 ივნისს, 17 საათზე.

## №22 (296) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი

**„კვირის პალიტრა“** თავისი მკითხველებისთვის აწყობს გამოკითხვებს სხვადასხვა საინტერესო საკითხზე, რაც საშუალებას მოგვცემს (ჩვენ და თქვენ), გავიგოთ საზოგადოების აზრი ამა თუ იმ მოვლენაზე, ფაქტზე და ა. შ.

გარდა ამისა, გამოკითხვა-რეიტინგები საპრიზოა, საპრიზო ფონდით —

**100 ლარი**

თქვენ მიერ შედგენილი რეიტინგებით დგება ერთი საერთო რეიტინგი, რომელიც გამოქვეყნდება **„კვირის პალიტრის“** მომდევნო ნომერში გამარჯვებულის ვინაობასთან ერთად.

პრიზს მიიღებს გამოკითხვის ის მონაწილე, რომლის მიერ შედგენილი (და, რა თქმა უნდა, რედაქციაში გამოგზავნილი) რეიტინგიც დაემთხვევა საშუალოს.

საპრიზო გამოკითხვაში შემოთავაზებული თემების თითოეული გრაფისათვის მკითხველთა მიერ დაწერილი ქულები ჯამდება და შემდეგ იყოფა რეიტინგის მონაწილეთა რაოდენობაზე, რაც გვაძლევს ამ გრაფის საშუალო ქულას.

რამდენიმე გამარჯვებულის შემთხვევაში, საპრიზო ფონდი მათ შორის განაწილდება, ხოლო თუ არც ერთი მკითხველის რეიტინგი არ დაემთხვა საშუალოს, პრიზს მიიღებს მასთან ყველაზე მიახლოებული ვარიანტის ავტორი.

იმ შემთხვევაში, თუკი მიახლოებული ვარიანტიც არ იქნება, თანხა ემატება შემდეგი რეიტინგის საპრიზო ფონდს.

* საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის შევსებისას ნუ დაგავიწყდებათ, მონაწილეობა მიიღოთ *მკითხველის ვიქტორინაში.*

**№22 (296) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგის ბარათი რაიონებში განთავსებულ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთებში ჩააგდეთ ოთხშაბათის, 5 ივნისის 10 საათამდე, თბილისში — ხუთშაბათის, 6 ივნისის 13 საათამდე.**

© თბილისი

თემა №22 (296)
აქტუალური პრობლემა

**თქვენი აზრით, რომელია ყველაზე აქტუალური პრობლემა დღეს საქართველოში** (ჩამოთვლილთაგან)**?** დაუწერეთ მას **8** ქულა, მომდევნოს — 7 და ა.შ. 1-მდე.

**№22(296) საპრიზო გამოკითხვა-რეიტინგი**

| № | პრობლემა | ქულა |
|---|---|---|
| 1 | უმუშევრობა | |
| 2 | დაკარგული ტერიტორიები | |
| 3 | კორუფცია | |
| 4 | პანკისი | |
| 5 | ადამიანთა უფლებების დარღვევა | |
| 6 | მიუსაფარი ბავშვები | |
| 7 | შიდაპოლიტიკური დაპირისპირებები | |
| 8 | ნარკომანია | |

### მკითხველის ვიქტორინა

**თქვენი აზრით, წინასაარჩევნო კამპანიისათვის რომელმა პარტიამ დახარჯა ყველაზე მეტი ფული?**

✓ ____________________

თქვენი სახელი, გვარი

ქალაქი (რაიონი)

ასაკი ტელეფონი

**„კვირის პალიტრის“ ყუთებში მითითებულ დროზე გვიან მოთავსებული ბარათები კონკურსში არ მონაწილეობს**

### მკითხველის ვიქტორინის შედეგები

რომელი ქართული მუსიკალური კლიპი მოგწონთ ყველაზე მეტად?

| | | |
|---|---|---|
| 1. | უცნობი — „ვაგონი მიქრის“ | 39,0% |
| 2. | ერისიონი — „ქართული ლეგენდა“ | 28,1% |
| 3. | ფორტე — „პოპური“ | 5,1% |
| 4. | თიკა ჯამბურია, დათო ხუჯაძე — „ცისარტყელები“ | 3,9% |
| 5. | უცნობი — „მზის ველოდები“ | 3,2% |
| 6. | თიკა ჯამბურია — „ჯეირანი“ | 2,7% |
| 7. | ლელა წურწუმია, სტეფანე — „ერთი სიყვარულის ამბავი“ | 2,5% |
| 8. | მარიკა თხელიძე — „პოპური“ | 1,5% |
| 9-10. | თამუნა ამონაშვილი, სტეფანე — „მოვა“ | 0,8% |
| 9-10. | უცნობი — „მელოტი კუ“ | 0,8% |

***მკითხველთა 3,2%-მა განაცხადა, რომ არც ერთი ქართული მუსიკალური კლიპი არ მოსწონს. 2%-ს კი გაუჭირდა რომელიმესთვის უპირატესობის მინიჭება.***

*მკითხველის რეიტინგში 590 რესპონდენტი მონაწილეობდა.*

## © · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა · ფოტოპალიტრა ·

*გთავაზობთ თქვენთვის ნაცნობი პიროვნებების ფოტოებს. გთხოვთ, პასუხები გამოგვიგზავნოთ „კვირის პალიტრის“ საფოსტო ყუთების საშუალებით. ყველაზე ორიგინალური პასუხები გამოქვეყნდება გაზეთის შემდეგ ნომერში.*

**რას დაარქმევდით?**

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

____________________

თქვენი სახელი, გვარი ____________________

ქალაქი (რაიონი) ____________________



**ლევან მამალაძე, ედუარდ შევარდნაძე**



**ჯორჯ ბუში, ვლადიმირ პუტინი**

***წინა ნომერში გამოქვეყნებულ „ფოტოპალიტრას“ 155 მკითხველი გამოეხმაურა, მადლობას ვუხდით მათ. ვაქვეყნებთ რამდენიმე ორიგინალურ პასუხს.***

**ჯ.ბ.** — ვოვაჩკა, სანამ ქართველებს საქართველოსთვის არ სცალიათ, გავინაწილოთ გავლენის სფეროები.
**ვ.პ.** — შენ ამერიკის ჯორჯიაც გეყოფა. ნუ მეცილები.

***ციური, თბილისი***

**ვ.პ.** — წასვლისას რუსეთის სიმბოლო თეთრი დათვი მინდა გაჩუქოთ, შესანიშნავი ბეწვი აქვს და იოლი შესანახია.
**ჯ.ბ.** — დიდი მადლობა, მაგრამ „თეთრი მელა“ უკვე მყავს. იოლი შენახვის კი რა მოგახსენო, რამდენიმე წელიწადში ორი მილიარდი შემიჭამა.

***პაატა ნაზღაიძე, რუსთავი***

კადრი კლიპიდან
„ახლა მოდაშია ჩურჩულები“.

***ლ. ქაჩიბაია, თბილისი***

**ჯ.ბ.** — მე რომ ნამდვილად ბუში ვარ კი ვიცი, მაგრამ შენც თუ ბუში იქნებოდი, თანაც ახმეტიდან, ამას ნამდვილად ვერ წარმოვიდგენდი...

***თინიკო რეხვიაშვილი, თბილისიდან***

გაისმა შუბლთა ჯახუნი,
იმედად მოსწვდა ჩვენსა მთებს,
თუ საქართველოს არ დათმობს
ვოვა დაკარგავს ლამაზ რქებს.

***გიორგი მხეიძე, თბილისი***

**ჯ.ბ.** — ნუ გეშინია, ჩემი „სპეცნაზი“ საქართველოში მხოლოდ და მხოლოდ კრიმანჭულის სასწავლებლად გავგზავნე.

***ქვაჩი, კომპოზიტორი, ჩინჩალიანი, თბილისი***

**მაყურებელი** — მკლავჭიდი გამიგია, ფეხჭიდიც (ფეხბურთი) გამიგია, მაგრამ ეს თავჭიდი რაღაა, ვერ გამიგია.
(კ/ფ „ცისფერი მთების“ მიხედვით)

***რეზო სვანიძე, თბილისი***

**ჯ.ბ.** — მეგობრები გიჟს მეძახიან იმის გამო, რომ სოსისი მიყვარს.
**ვ.პ.** — რა სისულელეა, სოსისი მეც ძალიან მიყვარს.
**ჯ.ბ.** — მაშინ რომ ჩამოხვალ, აუცილებლად გაჩვენებ ჩემს კოლექციას.

***გია და სოუ, თბილისი***

**ჯ.ბ.** — ვოვა, რაც მე იმ თეთრთმიან მოხუცს, უკან რომ მოგვდევს, დოლარები ვაძლიე, მაინც თავიდან ვერ მოვიშორე. იქნებ შენ მირჩიო რამე.
**ვ.პ.** — მაგას ისეთი სანათესავო ჰყავს, შენი ქვეყნის ბიუჯეტი არ ეყოფათ და როგორ მოიშორებ, ჯორჯ.

***ნ. მესტვირიშვილი, თბილისი***

ჩამოვიდა მოსკოვს ბუში,
ჩასჩურჩულა პუტინს ყურში,
საქართველოს პატრონი ჰყავს,
არ ეგონოს ვინმეს ბუში,
გირჩევნია ეს სიტყვები
ჩაიჭედო მაგრად გულში
თუ ჭკვიანად მოიქცევი,
შენც გექნება კარგი კუში.
მადლიერი ქართველები
ჩაგიძვრენენ ნალდად სულში,
თუ არადა დაგერქმევა
პუტანა და ბაიყუში.

***მარკშეიდერი***

***გურამ რეხვიაშვილი, თბილისი***

## ფოტო განწყობისთვის



— რატომ არ დამიჯერეთ...

დავდოთ ფსონი ხინიგალოზე...

3/VI უკანასკნელი მეოთხედი

მაგნიტური დღეებია:

4/VI — 2-დან 5 სთ-მდე

6/VI — 9-დან 11 სთ-მდე

## წინა სკანვორდის პასუხები






# ქართულ წამალ „სალხინოს“ გამოაქვს ჩირქი ნებისმიერი რბილი ქსოვილიდან

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები, როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი, გამონადენი, ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმლების არეში, შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია, მიიღეთ წამალი „სალხინო“ და მოგიხსნით ამ პრობლემებს. „სალხინო“ აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

„სალხინო“ გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტი, გასტრიტი, ნეფრიტი, გინგივიტი, სტომატიტი, ბრონქიტი და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. „სალხინო“ აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი „სალხინო“ კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს — მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ „სალხინოს“ თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ და რეგისტრირებულია, მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია. იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ექვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.

„კვირის პალიტრის“ უფასო განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები გამოქვეყნდება „კვირის პალიტრის“ დამატებაში — გაზეთში „სიტყვა და საქმე“ (აქ განთავსებული განცხადება „კვირის პალიტრაზე“ არანაკლებ ეფექტიანია).

„კვირის პალიტრაში“ კი, ქვეყნდება მხოლოდ ფასიანი განცხადების ქვითრით შემოსული განცხადებები. ქვითრები იყიდება საგაზეთო ჯიხურებში (ფასი 4 ლარი — 20 სიტყვა).

„უფასო განცხადების ქვითარი“ ჩააგდეთ „კვირის პალიტრისა“ და „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთებში. ყუთები იცლება **თბილისში** ხუთშაბათობით 13 სთ-დან. მათი განთავსების ადგილებია - თბილისში: მეტროპოლიტენის ყველა სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე; დოლიძის ქუჩის კუთხეში; საბურთალოს ბაზრის შესასვლელთან; ორთაჭალაში - გორგასლის ქუჩაზე (ციხესთან) და ავტოვაგზალთან; მისკლის გამზირის ბოლოში; ჩოლოყაშვილის (5 დეკემბრის) ქუჩის ბოლოში; დიდუბის ავტოსადგურთან; დიდ დიღომში ბოტრინის ქ. 3 - სურსათის მაღაზიის წინ; მე-3 მ/რ-ნი, მე-15 კორპ. წინ - ავტობუსების გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის გამზ. გადაკვეთაზე, ბანკის წინ, ავტობუსის გაჩერებასთან; დავით აღმაშენებლის გამზ. მუსკომედიის წინ, გაჩერებასთან; ჩიქობავას (საბჭოს) მოედანზე; ზაარბრიუკენის (ვორონცოვის) მოედანზე; ნაძალადევში კ/თ „საქართველოსთან“, წერეთლის გამზ. გამოფენის წინ, გაჩერებასთან, „თელასთან“ და სტადიონთან; ლილოში, „სამთო ქიმიის“ გაჩერებასთან; დიღომში - მეგობრობის გამზ. პოლიციასთან, უნივერსამის მიმდებარე გაჩერებასთან; მანქანების ბაზრობის ორივე შესასვლელთან; ვაკეში - კავსაძის ქუჩაზე; ჭავჭავაძის 46 და უნივერსიტეტის I კ.-თან; რუსთაველის 34; ბაგებში - გაჩერებასთან; გამსახურდიას გამზ. - ვ.ფშაველას დასაწყისში; ქავთარაძის ქუჩაზე - იზოტოპების ინსტიტუტთან, ბოლო (უნივერსიტეტის) გაჩერებასთან; ნუცუბიძის ქუჩაზე: II მკრ-ის ასახვევთან და „საქართველოს ბანკთან“.

ქალაქებში და რაიონებში: **მცხეთა, კასპი, გორი, ქარელი, ხაშური, სურამი, ზესტაფონი, ქუთაისი, წყალტუბო, სამტრედია, თერჯოლა, ხონი, აბაშა, სენაკი, ზუგდიდი, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, რუსთავი, საგარეჯო, გურჯაანი, წნორი, სიღნაღი, ყვარელი, ლაგოდეხი, თელავი, ბორჯომი, ახალციხე** – არსებული „სიტყვა და საქმის“ საფოსტო ყუთები იცლება ოთხშაბათობით 10 საათიდან. **ახმეტასა და დედოფლისწყაროში** ყუთები დაიცლება ყოველი თვის ბოლო ხუთშაბათს 10 სთ-დან. **ბოლნისში** თვის III კვირის ოთხშაბათს 12 სთ-დან. **ქირვალსა და დუშეთში** – თვის III კვირის ოთხშაბათს.

**ყურადღება: „კვირის პალიტრის“ (გაზეთის) საფოსტო (საკორესპონდენტო) ყუთებზე საავტორო უფლება დაცულია კანონით.©**

## (22) უფასო განცხადების ქვითარი

განცხადების ტექსტი ________________

________________

________________

________________

________________

სიტყვა და საქმე

გთხოვთ, ტექსტი გარკვევით დაწეროთ: სიტყვათა მაქსიმალური რაოდენობა – 30 (მისამართის და ტელეფონის ნომრის ჩათვლით)

გაურკვევლად ნაწერი განცხადება არ გამოქვეყნდება

№22 ქვითარი „კვირის პალიტრის“ ყუთებში ჩააგდეთ 6 ივნისის (ხუთშაბათი) 13.00 სთ-მდე.

* * *



კომპანია **Pottom Brewing**-მა დედოფალ ელისაბედ II-ს ცოტა არ იყოს უხერხული რამ შესთავაზა — მონარქის პროფილით ლუდის ბოთლის დამშვენება. და, წარმოიდგინეთ, დედოფალი დაუფიქრებლად დათანხმდა. მაგრამ, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმ პირობით, თუ სოლიდურ თანხას გადაუხდიან.

აბა, რა უნდა ექნა — ახლო მომავალში თავისი მმართველობის 50 წლის იუბილე აქვს გადასახდელი და ეს ღონისძიება პატარა თანხა არ დაუჯდება...

* * *



— მამი, პატარა რომ იყავი სკოლაში დადიოდი?

— აბა რა, თან არც ერთ გაკვეთილს არ ვაცდენდი.

— აი, ხომ გითხარი დედა, არა აქვს-მეთქი აზრი სკოლაში სიარულს...

* * *



ზარი კარებზე.

— ვინ ბრძანდებით?

— მწვანეები...

— რა გნებავთ?

— გამოკითხვაზე ვართ, თუ შეიძლება გაალეთ კარი.

— ვერა ბატონო, გუშინ ჩემს მეზობელთანაც იყვნენ და ჯერაც ვერ მოსულა გონზე.

— ვინ იყვნენ?

— ცისფერები...

**ფირმა „ზერმუხა“**



ბრტყელი და თუნექის სახურავების, საძირკვლების და აუზების ჰიდროსაიზოლაციო სამუშაოები ადგილობრივი და უცხოური მასალებით, რესპუბლიკის ტერიტორიაზე. გარანტია 10 წელი.

წერეთლის გამზ. №55, ბინა №53

☎ 96-06-00; 35-15-05; 899-50-06-50

რედაქცია შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

მთავარი რედაქტორი ლალი ბუნთაიშვილი

მთ. რედაქტორის მოადგილეები: ნუცა დუმბაძე, გიორგი თევდორაშვილი

სარედაქციო კოლეგია

მის.: აკურის ქ. №8 (სპორტის სასახლის უკან)

ტელ.: რედაქცია: 33-39-54

რეკლამა, ფაქსი: 33-50-32; 98-74-44

palitra@access.sanet.ge

www.opentext.ge\kvirispalitra

სარეგისტრაციო ნომერი 1518

„კვირის პალიტრა"©

გამოდის ორშაბათობით